

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ლიტერატურის მიმართულება

თ ა მ თ ა გ რ ი გ თ ლ ი ა

ღვთისმშობელი ქართველ პიმნოგრაფთა სახეობრივ  
მეტყველებაში

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (PH.D.) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო სელმძღვანელი: ელგუჯა ხინობიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

# შინაარსი

შესავალი

3

## I ნაწილი

- |   |    |
|---|----|
| 1. პიმოგრაფია და სიმბოლური სახისმეტყველება (ზოგადი მიმოხილვა) | 10 |
| 2. ღვთისმშობლის თემა  | 21 |

## II ნაწილი

- |  |    |
|--|----|
| 1. ღვთისმშობლის მარადქალწულობის აღმნიშვნელი სახე-სიმბოლოები  | 26 |
| (ქალწული, სძალი, დედოფალი/ქალბატონი, საფლავი, აპრონის კვერთხი, დატშული ბჭე, დაქრძალული ტაძარი, დაუთესველი ქუეყანა, საწმისი, სამი ყრმა, იონა წინასწარმეტყველი...) |    |
| 2. ღვთისმშობელი – მაცხოვრის დამტევნელი „ჭურჭელი“   | 45 |
| (ცა, ბეთლემი, მთა, სიონი, კიდობანი, ეტლი, ოქროს სასანთლე, ოქროს სასაქმევლე, ოქროს ტაგუე, ტაბლე, ტაძარი, საყდარი, კარავი)   |    |
| 3. ღვთისმშობლის სიმბოლიკა მცენარეთა და ფრინველთა სახისმეტყველების მიხედვით   | 70 |
| (ხე ცხოვრებისა, ვენახი/ვაზი, მორხი, ყვავილი, ვარდი, შროშანი, ალვა, შეუწელი მაყვალი, მტილი, მაღნარი, მტრედი)  |    |
| 4. ღვთისმშობლის სიმბოლიკა ფერთა და ძვირფას თვალთა სახისმეტყველების მიხედვით  | 92 |
| (ნათლისფერი, ოქროსფერი, იაკინთე და ძოწეული, მარგალიტი...)  |    |

- |   |     |
|---|-----|
| 5. ღვთისმშობლის ასტრალური სახე-სიმბოლოები | 103 |
| (ნათელი, მზე, მთვარე, ვარსკვლავი)         |     |

- |  |     |
|--|-----|
| 6. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის საერთო სახე-სიმბოლოები | 116 |
| (კიბე, სანთელი, კლდე, ღრუბელი, წყარო...)             |     |

- |   |     |
|---|-----|
| 7. ღვთისმშობლის მაღიდებელი სხვა სახე-სიმბოლოები   | 129 |
| (ქერუბიმთა უზეშთაესი, სამოთხე, ევას ცოდვის გამომსყიდველი/ადამის წყევის დამხსნელი, ქაცა ცხოვრების მიზეზი, დედა/მშობელი, ორბუნებათა მშობელი, ნათლის სვეტი...) |     |

## III ნაწილი

- |   |     |
|---|-----|
| ჯვარცმის ღვთისმშობლისეული აღქმა (გლოვა და სიხარული) | 146 |
|---|-----|

- |         |     |
|---------|-----|
| დასკვნა | 165 |
|---------|-----|

- |                         |     |
|-------------------------|-----|
| გამოყენებული ლიტერატურა | 169 |
|-------------------------|-----|

## შესავალი

ქართული საეკლესიო პოეზია ორგვარია: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხოვნილი, პირველი შეიცავს ლიტურგიკულ, საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებებს, საეკლესიო პიმნოგრაფიას, ხოლო მეორე – ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ღვთისმსახურებაში გამოსაყენებლად არ არიან განკუთვნილი და გამოხატავენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აზრებს, ავტორის გრძნობებს, სულიერ განცდებს, ანდა აგვიწერენ რომელიმე ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს (80, 587).

პიმნოგრაფია სინკრეტული დარგია. ის თავის თავში მოიცავს როგორც თეოლოგიურ, ასევე ესთეტიკურ და მუსიკალურ ასპექტებსაც, რადგანაც მისი საღმრთო დანიშნულება გალობით შესრულებაა.

პიმნოგრაფია არ შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერთი განცენებული დარგი. მას პიმნოგრაფები „დიდებისმეტყველებას“ შემთხვევით როდი უწოდებდნენ, რადგანაც საგალობელთა დანიშნულება უპირველესად ადამიანთა ღვთივგანბრძნობაა, რაც უფლის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა თუ წმიდანების დიდებით გამოიხატებოდა. თუმცა ეს არ იყო მხოლოდ დიდება, რადგან საგალობელში შეზავებული მხატვრული აზროვნება და თეოლოგია, საღვთო სიბრძნე ესთეტიკური განცდითაა გამოხატული.

პიმნოგრაფიაში ადამიანის, წმინდანის სახე საღვთო სახელებითაა შემკული, ხოლო ეს სახელები, საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან მხატვრულში გადატანის გამო, აღიქმებიან დრმააზროვან სიმბოლოებად, სახისმეტყველებით ხატებად.

სიმბოლური აზროვნება კაცობრიობის არსებობის უძველეს ხანას უკავშირდება. საუკუნეების მანძილზე იგი განსაზღვრავდა სხვადასხვა ეპოქის ხალხთა მსოფლმხედველობას. სიმბოლურ აზროვნებას ქრისტიანობამაც ფართოდ გაუდო კარი, რადგანაც იგი საღვთო საიდუმლოებათა გადმოცემის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნია.

სათქმელის სიმბოლურად გამოხატვის ხერხს გამოკვეთილად მიმართა წმიდა წერილმა – ძველმა და ახალმა აღთქმამ. ეს ორი ეპოქა არ არსებობს ერთმანეთის გარეშე, რადგანაც ძველი წინასახეა ახლისა. შესაბამისად, ახალი აღთქმის მრავალი მოვლენა წინასწარ გაცხადდა ძველ აღთქმაში, ანუ ძველი აღთქმა წარმოადგენს ახალი აღთქმის პირებისა და მოვლენების წინასახეს. თვით მაცხოვარი იგავებით ესაუბრება ერს. თავის ეპისტოლუებში მოციქული პავლე ძველაღთქმისეულ მოვლე-

ნებს სიმბოლურად უკავშირებს ხოლმე ახალ აღთქმას (გალ. 4; 22-26; 1 კორ. 9; 9-10 და სხვ.).

ბიბლიის სიმბოლური ენა იმთავითვე იქცა სასულიერო სამწერლობო ენის საფუძვლად. წმიდა წერილზე ამოზრდილმა სასულიერო პოეზიამ საღვთო მოვლენათა ხოტბა-შესხმა, წმიდა წერილის პალობაზე, ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით განახორციელა.

ყოველი ქრისტიანის დანიშნულებაა განდმრთობა – „იყვენით ოქუენ სრულ, ვითარცა მამად ოქუენი ზეცათად სრულ არს“ (მათ. 5, 48), რაც ითვალისწინებს ზნეობრივ სრულყოფასა და გამუდმებით სწრაფვას დვთისადმი, ეს კი მოითხოვს საღვთო ცნობიერებას. ლიტურგიაში მონაწილე ადამიანისათვის სულიერი ამაღლება სწორედ ზედროულობით განიცდება და ის სიმბოლურად მასში მონაწილეც ხდება, რადგან „საღვთო ლიტურგია თავად არის უდიდესი სიმბოლური ქმედება. საეკლესიო მამები (არეოპაგიტიკა, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, ნიკოლოზ კავასილა) ლიტურგიას ერთხმად უწოდებენ არა მხოლოდ საიდუმლოს, არამედ „საიდუმლოთმცოდნეობას“, მისტაგოგიას. ის არა მხოლოდ გაწმენდს ჩვენს დვთაებრივ ცხოვრებას და დვთისადმი ჩვენს მსხვერპლშეწირვას წარმოადგენს, არამედ, ამასთანავე, გვასწავლის დვთის სიტყვას, განგვიცხადებს დაფარულს“ (16, 315). ამაში კი უმთავრეს როლს შემეცნებითი ფუნქციის მატარებელი საგალობლები ასრულებს.

ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც ჰიმნოგრაფია დვთის სადიდებელ გალობად მიიჩნეოდა. ტერმინი „ჰიმნი“ ქართულ სასულიერო პოეზიაში არ გვხვდება. დვთისადმი მიძღვნილ საგალობელს ქება, შესხმა, გალობანი ეწოდება (53, 66-67).

საგალობელი მიემართება მაცხოვარს, საუფლო დღესასწაულებს, ყოვლადწმინდა დვთისმშობელსა და წმინდანებს. ამდენად, მისი თემატიკა შემოსაზღვრულია, მაგრამ არა ერთვეროვნად გამოხატული, რადგან თითოეული დვთივგაბრძნობილი ჰიმნოგრაფი სიმბოლურობითა თუ სახეთა პარალელიზმებით დაფარულ სიბრძნესაც განგიცხადებდა და მშვენიერებასაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალურობით გვაზიარებდა.

ჰიმნოგრაფს შეუძლია ნებისმიერი ჰიპოდიგმური თუ პარადიგმული მონაცემის გამოყენებით შეარჩიოს სიმბოლო-ალეგორია, მხატვრული ხერხი, ასოციაცია და სახეთა პარალელიზმი, რათა საკუთარი განწყობა, ემოცია მიიტანოს მსმენელამდე.

თუმცა, ამ სიმბოლოების მიღმა უზარმაზარი ინფორმაცია განიჭვრიტება, რომელიც ლიტურგიკული ცნობიერების მქონე შემოქმედსა და აღმქმელს მოითხოვს.

დგომისმშობლის სახე-სიმბოლოების გააზრება შეუძლებელია ძველი აღთქმის მოვლენების გაუთვალისწინებლად, რადგან ძველი აღთქმა იყო მოლოდინი ქრისტესი და თავისი სიმბოლო-ალეგორიებით მიანიშნებდა ახალ აღთქმაზე, ის იყო წინასახე ახალი ეპოქის მოვლენებისა და პიროვნებებისა.

ჰიმნოგრაფიის განვითარება საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას უკავშირდება. განვითარების ზენიტს ქართულმა ჰიმნოგრაფიამ X საუკუნეში მიაღწია. ამ პერიოდში „ერთმანეთს ცვლიან ქართველ ჰიმნოგრაფთა თაობები, რომლებიც ორიგინალურ საგალობლებს წერდნენ. ესენია: იოანე ზოსიმე, იოანე მტბევარი, იოანე მინჩები, მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, კურდანავ, ფილიპე, სტეფანე სანანოვსძე – ჭყონდიდელი და სხვები“ (183, 9).

ძველი ქართული მწერლობის დღემდე შესწავლილი მასალების თანახმად, მრავალ პრობლემურ საკითხს მოეფინა ნათელი, გამოიცა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, გაირკვა არაერთი ხელნაწერის ბედი, „თუმცა გარკვეული ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის გამო ბევრი რამ საერთოდ უყურადღებოდ დარჩა, განსაკუთრებით ის პრობლემატიკა, რომელსაც სასულიერო-საეკლესიო მწერლობა მოიცავს“ (20, 23). ამგვარ საკითხთა შორისაა ყოვლადწმიდა დგომისმშობლის სახის შესწავლის საკითხი, რომელიც, როგორც ქართული მწერლობის მკვლევართა, ისე ისტორიკოსთა და თეოლოგთა ერთობლივი ძალისხმევის საგნად უნდა იქცეს, რათა სათანადო ნიადაგი მომზადდეს საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობაში დგომისმშობლის როლისა და ადგილის საბოლოოდ განსაზღვრისათვის. საკითხის აქტუალობის ერთ-ერთ მხარედ ითვლება ის, რომ ყოვლადწმიდა დგომისმშობელი წარმოგვიდგება არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ, ზოგადად, მთელი ქრისტიანული სამყაროს მფარველად. ამიტომაც მისი სახის შესწავლა ბიზანტიურ ისტორიასა და მწერლობასთან მიმართებითაც უნდა წარიმართოს. ამის საფუძველს ძველი საქართველოს ბიზანტიურ ცივილიზაციასთან მჭიდრო კავშირები იძლევა, რაც საგანგებოდ არის შესწავლილი ქართულ მეცნიერებაში (ს. ყაუხჩიშვილი, რ. გორდეზიანი, ე. ხინთიბიძე, ლ. ხაჩიძე და სხვები).

თუმცა ეს საკითხი მაინც ქართველებისთვისაა განსაკუთრებული ღირებულების მქონე, რადგან სწორედ საქართველოა დგომისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. წმინდა

მარიამის ქართულ მწერლობაში შემოყვანაც, პირველ ყოვლისა, ივერიის მისადმი წილხვდომილობითაა გამოწვეული.

ცნობილია, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახე პირველად ბიზანტიურ მწერლობაში გამოჩნდა. IV საუკუნეში გრიგოლ ნაზიანზელმა შექმნა საგალობელი „ხოტბა ქალწულს“, სვინესიოს კვირინელმა (IV-V სს.) რამდენიმე პიმნი მიუძღვნა ღვთისმშობელს, რომანოზ მელოდოსმა (VI ს.) ღვთისმშობლის სახელზე შექმნა კონდაკიონები და საშობაო პიმნი. ბიზანტიური ლიტერატურის წიაღში შეიქმნა ასევე ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აკათისტო (დაუჯდომელი), რის მიზეზადაც კონსტანტინეპოლის მტრისაგან განთავისუფლება მიიჩნეოდა.

მარიამ ღვთისმშობლის სახე იმთავითვე იქცა ქართველ პიმნოგრაფთა შთაგონების წყაროდ. წმინდა ქალწულის სახე ქართული პიმნოგრაფიის თავდაპირველ ძეგლშივე გამოჩნდა. შოთ მდგიმელის (VII ს.) ჩვენამდე მოღწეული ორი პიმნიდან, რომელთაც „ოხითავ“ ეწოდება, ერთი მიძღვნილია ყოვლადწმიდა სამებისადმი, მეორე კი – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი. როგორც პ. კეკელიძე აღნიშნავს, შოთს ანდერძის თანახმად, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი „ოხითავ“ იგალობებოდა ღვთისმშობლის ტაძარში შესვლისას (80, 124). შეიძლება ითქვას, რომ ქართული ორიგინალური პიმნოგრაფია სამებისა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლებით იწყება, სადაც ქების ობიექტთა ხოტბა-შესხმა იერარქიული თანმიმდევრობით არის განხორციელებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მარიამ ღვთისმშობლის სახე ყველაზე სრულყოფილად პიმნოგრაფიაში გაცხადდა. „სწორედ აქ მოხდა მისი პიროვნების დრმად გააზრება. აქ დამუშავდა ყოვლადწმინდას მეტად საინტერესო სახე-სიმბოლოები, მეტაფორული სახეები, საერთოდ, მხატვრული სახეები“ (102, 28).

მეტად მნიშვნელოვანია VII საუკუნის ბიზანტიულ მოღვაწეთა – წმიდა ანდრია კრიტელისა და წმიდა იოანე დამასკელის საკითხავები „შობისათვს ღმრთისმშობელისა“, სადაც არაერთი საღვთისმშობლო სიმბოლოა ახსნილი და განმარტებული. ღვთისმშობლის სახის მხატვრულად გააზრების საქმეში დიდი როლი შეასრულა ასევე დაუჯდომელმა საგალობლებმა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საღვთისმშობლო სიმბოლოთა ახსნა-განმარტების შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს ქართული მწერლობის უდიდესი მოღვაწე, განსწავლული ღვთისმეტყველი, ქართველი ერის მღვდელმთავარი, ანტონ ბაგრატიონი, რომელმაც თავისი „წყობილსიტყვაობის“ ერთ-ერთი თავი – „თვს უფროვსად

კურთხეულისა დმრთისმშობელისაა“, საგანგებოდ მიუძღვნა დვთისმშობლის სიმბოლოებს, რომელთაც ის ძველი აღთქმის იმ აღგილების მოხმობით განმარტავს, სადაც ეს სიმბოლოებია ნახსენები.

აღსანიშნავია, დიდი ქართველი მეცნიერის ელენე მეტრეველის წვლილი ამ საქმეში. მის მიერ გამოცემული „ძლისპირნი და დმრთისმშობლისანი“ არა მხოლოდ ბიზანტიური პიმნოგრაფიის მიღწევებს გვამცნობს, არამედ ქართველი ერის მარიამ დვთისმშობლის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულის დასტურიცაა. ამის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ძლისპირთა კრებულები მხოლოდ ქართულ ენაზე ატარებს სახელწოდებას, „ძლისპირნი და დმრთისმშობლისანი“, როცა ბერძნულ, სლავურ და რუსულ კრებულებში მხოლოდ ძლისპირებია თავმოყრილი და კრებულიც მხოლოდ ირმოლოგიონის სახელწოდებას ატარებს, რაც ძლისპირთა კრებულს ნიშნავს“ (168, 10).

ასევე უნდა აღვნიშნოთ აკადემიკოს ელენე მეტრეველის, ცაცა ჭანკიველისა და ლილი ხევსურიანის მიერ გამოცემულ „უძველეს იადგარზე“ დართული მაცხოვრისა და დვთისმშობლის ატრიბუტები, რომლებიც იადგარის აღდგომის დასდებლებიდანაა ამოკრებილი.

დვთისმშობლის სახის მიმართ დაინტერესება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა უკანასკნელ წლებში. ა. ბაქრაძის, ქ. ბეზარაშვილის, ლ. ხაჩიძის, ნ. სულავას, ს. მახარაშვილის, ბ. ბალხამიშვილის, ტ. მოსიას, ქ. ელაშვილის, მ. თოდეას და სხვათა მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში დვთისმშობლის სახე სხვადასხვა კუთხითაა შესწავლილი. ამ თემატიკასთან დაკავშირებით საინტერესო სადისერტაციო ნაშრომები ჰქონდათ ლამზირა ბუბუტეიშვილსა და ია დადუას.

სადვთისმშობლო სიმბოლიკის შესწავლის მცდელობაა წინამდებარე ნაშრომიც, რომელიც ბიბლიასა და VIII-XVIII საუკუნეების ქართულ პიმნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობითაა დამუშავებული. კვლევისას გამოყენებული გვაქვს შესაბამისი პერიოდის ნათარგმნი ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლები, რათა ქრისტიანული სამყაროს უძველესი ცივილიზაციის ქვეყნის მიღწევების პარალელურად წარმოგვეჩინა ქართული პიმნოგრაფიის შემეცნებითი და მხატვრული დონე, ხაზი გაგენსვა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისათვის.

ნაშრომი სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი თავის მხრივ ორ თავს შეიცავს, რომელიც ეძღვნება ზოგადად პიმნოგრაფიას, სიმბოლურ სახისმეტყველუ-

ბას და დვთისმშობლის თემატიკას – საზოგადოდ მის მნიშვნელობას და კერძოდ, საქართველოსთვის. ამავე თავში განვიხილეთ საგალობელთა მხატვრული თემატიკა, რომელიც, როგორც წმიდა წერილისეული, ასევე ქართველ ჰიმნოგრაფთა მიერ შექმნილი ორიგინალური სახეებითაა წარმოდგენილი; მეორე ნაწილი, რომელშიც შვიდი თავია გაერთიანებული, მიზნად ისახავს დვთისმშობლის სახე-სიმბოლოთა შესწავლას ქართულ ჰიმნოგრაფიაში და მათ მიმართებას ბიბლიასთან.

სიახლე ამ მხრივ ისაა, რომ ვცდილობთ სიმბოლოთა სრულყოლილ დალაგაბას თემატიკის მიხედვით. ვფიქრობთ, დვთისმშობლის სახის მხატვრულებთეტიკური ფუნქციით განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ სახე-სიმბოლოებს, რომლებიც წმინდა მარიამის მარადქალწულობის წარმოჩენას ემსახურება, რადგან წმინდა მარიამის მიმართ გამოყენებულ სიმბოლოთა მთავარი დანიშნულება ქალწულის უბიწოების, მისგან განკაცებული დვთის მოვლინების წარმოჩენაა, რასაც არაერთხელ ადასტურებს როგორც წმიდა წერილი, ასევე საეკლესიო და ზეპირი გადმოცემები. საამისოდ უამრავი საინტერესო და ორიგინალური სახეა მოხმობილი, როგორიცაა: დახშული ბჭე, დაუთესველი ქვეყანა, დაბეჭდული წყარო, სამი ყრმა, უსძლო სძალი, უბიწო დედოფალი, ზეცისა სძალი, უქორწინებელი დედოფალი, უხრწინებელი დედოფალი, ცათა უზეშთაესი, სამოთხე, ზეცის იერუსალიმი, ქერუბიმთა მობაძავი, ბუნების წესის შემცვლელი და ა.შ. რომელთა ძიებასაც ძველ აღთქმამდე მივყავართ.

მეორე ნაწილის მეორე თავი დავუთმეთ იმ სიმბოლოების წარმოჩენას, რომლებიც უშუალოდ მიუთითებენ დვთისმშობელზე, როგორც მაცხოვრის დამტევნელსა და მტვირთველზე. ასეთებია: ცა, ბეთლემი, მთა, კიდობანი, სასანოლე, ეტლი, სასაკმევლე, ტაკუპი, ტაბლა, ტაძარი და სხვა. რომელთაც მხოლოდ სიმბოლურად თუ დავასახელებთ უფლის დამტევნელად, თორემ მაცხოვრის დამტევნელი ვერანაირი აღგილი ვერ იქნება, რადგან ის თვითონაა ყოვლისმომცველი, რასაც ასევე ადასტურებს ეფრემ მცირე: „ადგილ ღმრთისა ოდესმე ცად ითქუმის და ოდესმე ეკლესიად და ოდესმე ქალწული, რამეთუ ამათ ყოველთა მიერ ცხად არს, ვითარმედ არც ერთსა ადგილსა მიერ გარეშეცვულ არს იგი, არამედ ყოველსა მას მხოლოსა შეუცავს“ (150, 88).

დვთისმშობლის სახეს თავისებურ ელფერს ანიჭებს მცენარეთა და ფრინველთა სახისმეტყველება. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება დვთისმშობლის თვისებების უფრო ნათლად წარმოჩენა, მის უბიწო სულიერ სამყაროში ღრმად წვდომა.

წმინდა მარიამის დიდება და ხოტბა საგალობელში ფერთა და ძვირფას თვალთა სახისმეტყველებითაც არის მიღწეული. პიმნოგრაფთათვის დვთისმშობელი ქების მუდმივი ობიექტია, ამიტომაც ცდილობენ მისი უმანკო ბუნება ფერთა და ძვირფას თვალთა ნაირგვარი სიმბოლიკით წარმოაჩინონ. ამ მხრივ ჩვენი მხრიდან სიახლეა ის ფაქტი, რომ ნათლის სიმბოლიკა, რომელზეც ფერთა სახისმეტყველებაში ვსაუბრობთ, განხილული გვაქვს ასტრალურ სიმბოლოებშიც, რადგან წმიდა წერილიდან მომდინარე ორგვარი ნათლის არსებობა სასულიერო პოეზიაშიც დასტურდება: ერთი, როგორც ფერი და მეორე, „ნათელი უსხეულო“, „ბუნებითი ნათელი“... ანუ მატერიის შექმნამდე არსებულ ნათელი.

ამ ნაწილში საგანგებოდ გამოვყოფთ იმ თავს, რომელშიც ვსაუბრობთ დვთისმშობლისა და მაცხოვრის საერთო სახე-სიმბოლოებზე ქართულ პიმნოგრაფიაში, რადგან ასე დეტალურად და დრმად ამ სიმბოლოების მიზანმიმართული დაწყობა ამ ეტაპამდე არ მომხდარა.

იმ სახე-სიმბოლოებს კი, რომლებიც თემატურად ვერ დაჯგუფდა ამ თავებში, განვიხილავთ ცალკე თავად, რომელსაც ვუწოდეთ „დვთისმშობლის მადიდებელი სხვა სახე-სიმბოლოები“. ამ თავში ასევე საგანგებოდაა აქცენტირებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ქალწულის წარმომავლობა, გზის სიმბოლური მნიშვნელობა, გამოვყოფთ საგალობელთა იმ ნაწილს, სადაც საუბარია სულიერ ხსნაზე, მდვიმეთაგან ამოსვლაზე, „ორბებ განახლებაზე“ და ასევე დედოფლის სასუფეველში წაბრძანებაზე.

მესამე ნაწილი ჩვენ საგანგებოდ ვუძღვენით ჯვარცმის თემას, კერძოდ ჯვარცმის დვთისმშობლისეულ აღქმას, რადგან სწორედ ამ დროს იკვეთება დედა ქალწულის მეტად ორიგინალური სახე. ამ კოსმიურმა მოვლენამ ყველაზე ნათლად წარმოაჩინა დვთისმშობლის მანამდე თითქოს უჩინარი დედობრივი ბუნება. ამ ნაწილში ჩვენ შევისწავლით ჯვარცმასთან დაკავშირებულ დვთისმშობლის მხატვრულ სახეებს ქართულ პიმნოგრაფიაში და ამ კუთხით პარალელს ვავლებთ ბიზანტიელი პიმნოგრაფის თეოფანე გრაპტოსის შემოქმედებასთან. როგორ აღიქვა ქალწულმა შვილის ვნება? არის კი ზღვარი დვთისმშობლის გლოვასა და სიხარულს შორის? ვცდილობთ ამ კითხვებს დეტალურად და ამომწურავად ვუპასუხოთ ნაშრომის მესამე თავში, რომელსაც „ჯვარცმის დვთისმშობლისეული აღქმა (გლოვა და სიხარული)“ ვუწოდეთ.

## ნაწილი I

### 1. პიმნოგრაფია და სიმბოლური სახისმეტყველება (ზოგადი მიმოხილვა)

ქართული საეკლესიო პოეზია ორგვარია: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხოვითი, პირველი შეიცავს ლიტურგიკულ, საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებებს, საეკლესიო პიმნოგრაფიას, ხოლო მეორე – ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ღვთისმსახურებაში გამოსაყენებლად არ არიან განკუთვნილი და გამოხატავენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აზრებს, ავტორის გრძნობებს, სულიერ განცდებს, ანდა აგვიწერენ რომელიმე ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს (80, 587).

თავდაპირველად ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ჭარბობდა ფსალმუნური ელემენტი. მას დღესაც დიდი აღგილი უკავია ქრისტიანულ ლიტურგიკაში. V საუკუნიდან იქმნება პირველი ქრისტიანული ტროპარები/დასდებელნი<sup>1</sup>, რომლებიც შემდეგ უფრო რთულ კომპოზიციებში – კონდაკიონებს<sup>2</sup> და კანონებში<sup>3</sup> გაერთიანდა. ეს კომპოზიციები უკვე გულისხმობდა პირველი და მომდევნო ტროპარების ურთიერთკავშირს. თავდაპირველად ეს კავშირი შინაარსობრივი ხასიათისა იყო: მაკავშირებელი პირველი ტროპარი ბიბლიური გალობის ტექსტს წარმოადგენდა, რაც განსაზღვრავდა მთელი კომპოზიციის განწყობილებასა და შინაარსს (80, 589-590). ბიბლიური ოდების დასაწყისები კანონის ოდების სახელწოდებათა სახით შემოგვინახა კანონმა, ხოლო მაკავშირებელ ტროპარად, ანუ ირმოსად იქცა ოდის ან გალობის პირველი ტროპარი, რომელიც შინაარსობრივ ეხმაურებოდა იმ ბიბლიურ ოდას, რომლის სახელწოდებასაც ატარებდა კანონის გალობა (ანუ ოდა). ქართულმა გალობანმა (ანუ კანონმა) ბოლომდე შეინარჩუნა გალობის (ანუ ოდის) სახელწოდებად ბიბლიურ ოდათა დასაწყისები.

პიმნოგრაფიის ძირითადი პოეტური ფორმა, „გალობანი“ (კანონი) ცხრა თავისაგან (საგალობლისგან) შედგება. 1. „უგალობდითსა“; 2. „მოიხილესა“ 3. „განძლიერდასა“;

<sup>1</sup> პიმნოგრაფიული კანონის ის საგალობლები, რომლებიც მოხდეს ძლისპირებს, იმეორებენ მის საღვესო ზომას, გალობის ქილოს და შინაარსობრივად ეხმაურებიან იმ დღესახურების თემას, რომელსაც ეძღვნება პიმნოგრაფიული ქანონი.

<sup>2</sup> საეკლესიო საგალობლის სახეობა, რომელიც შემუშავებულია ბიზანტიული პიმნოგრაფის რომანოზ მელოდოსის (VII. I ნახ.) მიერ. კონდაკი პიმნოგრაფიული კანონის წინამორბედია. კონდაკის ფანრის აყვავება მოხდა VI-VII საუკუნეებში, შემდგომში ის შეცვალა პიმნოგრაფიულმა კანონმა. თანამედროვე მნიშვნელობით კონდაკი არის ერთსტროფიანი საგალობელი, რომელიც ჩაერთვის კანონის VI გალობის შემდეგ (იყოსის მხგავსად). იგი სრულდება ჩვეულებრივ რომელიმე დღესახურების დღით.

<sup>3</sup> გალობანი, ბერნი. კანონი – სასულიერო შინაარსის დიდი ზომის საგალობელი, რომელიც 9 გალობისგან ანუ ოდისგან შედგება. გალობანის ანუ პიმნოგრაფიული კანონის შედგენილობა განსაზღვრულია ბიბლიოური გალობებით. გალობანი ანუ პიმნოგრაფიული კანონი აგებულია ძღვისპირთა და დასხელელთა (ტროპართა) თანმიმდევრობაზე, ხადაც ძლისპირი არის რიტმულ-მელოდიური მოღელი მომდევნო დასხელელისათვის.

4. „უფალო მესმასა”; 5. „დამითგანსა”; 6. „ლალადეავსა” 7. „პურთხეულ არსა”; 8. „აკურთხევდითსა” 9. „ადიდებდითსა” (ეს გალობა ერთადერთია, რომელიც ახალი ადთქმიდან არის აღებული, დანარჩენი 8 გალობა ძველი ადთქმის სხვადასხვა წიგნიდან არის „ნასესხები“).

„გალობანის“ ყოველი გალობა ანუ ოდა მთავრდება დვთისმშობლისადმი მიძღვნილი დასდებლით, მისთვის აღვლენილი ლოცვა-ვედრებაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანულ დვთისმსახურებაში ფსალმუნური ელგ-მენტის სიჭარბე იკლებს დაახლოებით V-VI საუკუნეებიდან და შემოდის პიმნოგრაფიული ელემენტი.

პიმნოგრაფია უზენაესის განდიდების და საღვთო საქმეთა შემკობის პოეტური დარგია. თვით პიმნოგრაფები მას „დიდებისმეტყველებას“ უწოდებენ. საგალობელი მდიდარი ინფორმაციის შემცველი წყაროა თავისი სახისმეტყველებით, მხატვრული სემანტიკით, ბიბლიური მნიშვნელობით.

პიმნოგრაფია ადამიანში ბადებს სიდიადის, ამაღლებულობის განცდას, სიმშვიდის, სიწმინდის, ლოცვის განწყობილებას.

პიმნოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიული გნოსისის შემადგენელი ნაწილია. იგი ეკლესიისათვის ღირსეულია, პირველ რიგში, როგორც გნოსეოლოგიური ფენომენი, საეკლესიო მამები თვლიან, რომ გალობის დაშვება დვთისმსახურების დროს ადამიანური სისუსტეებისადმი დვთაებრივი ძალების შემწყნარებლური დამოკიდებულების გამოხატულებაა. ბასილი კესარიელი აღნიშნავს, რომ მუსიკა უადვილებს ადამიანს რელიგიური დოგმატების შეთვისებას: „სულიწმიდამ დაინახა, თუ რა ძნელია ადამიანისთვის სათხოების გზაზე შედგომა და რა ძლიერად ვართ ჩვენ მიდრეგილი სიამოვნებისაკენ, ვივიწყებთ რა წმიდა ცხოვრებას. და როგორ მოიქცა ის? შეურია დოგმატებს მელოდიის სიტკბო, რათა შეუმჩნევლად მივიღოთ სარგებლობა სიტყვებისაგან, რომლებიც ნაზად ელამუნებიან ჩვენს სმენას, მსგავსად იმისა, როგორც გონიერი ექიმები აწვდიან მწარე წამალს ავადმყოფს თაფლიანი თასით.” (26, 219; 120, 105).

ჩვენი ლიტურგიკული პიმნოგრაფია ორგვარია: უბრალო პროზაული პიმნები და ე.წ. იამბიკოები (იამბიკო დაყოფილია ცალკეულ სტროფებად ან ხანებად, რომელიც შედგება ხუთი სალექსო სტრიქონის ან ტაეპისგან. თითოეული ტაეპი შეიცავს თორმეტ მარცვალს ან შეტყუებას, ასე რომ, სტროფში არის სულ სამოცი მარცვალი (ან შეტყუება).

ქართულმა პიმნოგრაფიულმა ლიტერატურამ განვითარების რთული და გრძელი გზა განვლო და დაგვიტოვა როგორც ორიგინალური შემოქმედების, ასევე ნათარგმნი ძეგლების შესანიშნავი და მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

თავდაპირველად ჩვენი ლიტურგიკული პიმნოგრაფია ნათარგმნი იყო, უფრო მეტად თარგმნიდნენ ბერძნულ საგალობლებს. ეს იყო უბრალო პროზაული თარგმანი.

„ძველი ქართული პიმნოგრაფიის განვითარება სამ მეტად განსხვავებულ საფეხურს ქმნის. პირველი – უძველესი (VII-Xსს.) პიმნოგრაფია(პირობითად შეიძლება საბაწმიდური ვუწოდოთ); მეორე – (Xს. ბოლო-XIს.) ე.წ. ათონური პერიოდი და მესამე – XVII-XVIII სს. პიმნოგრაფია“ (152, 9).

უძველესი თარგმნილი პიმნოგრაფიული ტექსტები შემოგვინახა უნიკალურმა ქართულმა ლიტურგიკულმა კრებულებმა – იერუსალიმის ლექციონარმა და ე.წ. ჭილეტრატის იადგარმა. ორივე კრებული მოღწეულია ჩვენამდე IX-X საუკუნეების ხელნაწერებით და ასახავს იერუსალიმის უძველეს (VIIს.) ლიტურგიკულ პრაქტიკას.

იერუსალიმის საბაწმიდური პიმნოგრაფიის სკოლასთან არის დაკავშირებული აგრეთვე მომდევნო (VIII-Xსაუკუნეების) ეტაპი ქართული პიმნოგრაფიის განვითარებაში, როდესაც ლიტურგიკაში ფართოდ იკიდებს ფეხს ბიზანტიური რიტმული პოეზია. საბაწმიდის სახელმოხვეჭილი პოეტი-მელოდოსების გვერდით და მათთან შემოქმედებით კონტაქტში საბაწმიდის ქართველ პიმნოგრაფთა კოლექტივში იქმნებოდა პირველი ქართული იადგარები, სადაც თავი მოეყარა ადრეული ბიზანტიური რიტმული პოეზიის ნიმუშებს. აქვე და სინას მთაზე შეიქმნა ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიის ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები. IX-XI საუკუნეების ადგილობრივმა და ათონის პიმნოგრაფიულმა სკოლებმა დააგვირგვინეს ქართველთა მდიდარი შემოქმედება სასულიერო პოეზიის დარგში.

ათონის ლიტერატურულმა სკოლამ ქართული მწერლობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა. „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არა პქონია ჩვენი მწერლობის ისტორიაში, რომ ათონის ივერთა მონასტერს. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (80, 89).

პ. პეპელიძის თანახმად, ქართული ორიგინალური პიმნოგრაფია იწყება დაახლოებით მეშვიდე საუკუნიდან, როდესაც „სტიქარონი“ ჯერ კიდევ იწოდებოდა „ტროპარად“ და „ტროპარი“ „სტიქარონად“. (80, 589).

ქართული პიმნოგრაფიის მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია დაფასდეს ის დიდი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ქართული პოეტური აზროვნებისა და მხატვრული მეტყველების საგანძურში.

მდიდარმა პიმნოგრაფიულმა ლიტერატურამ საუკუნეების მანძილზე მხატვრული სახეების საკუთარი სამყარო შექმნა. პომილეტიკური ძეგლების მაღალმსატვრულ ნიმუშებთან ერთად, მან მოამზადა ნიადაგი საერო მწერლობის განვითარებისათვის. სასულიერო პოეზიის მხატვრულ სახეთა მარაგიდან ბევრი რამ მიიღო და აითვისა ქართულმა საერო პოეზიამაც.

როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, თავისი განვითარების კულმინაციურ პუნქტზე ქართული ორიგინალური პიმნოგრაფია X საუკუნის II ნახევარში შემდგარა. ესაა კლასიკური ხანა ქართული პიმნოგრაფიის ისტორიაში, როცა ერთმანეთს ცვლიან ქართული პიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იოანე ზოსიმე, იოანე მტბევარი, იოანე მინჩები, მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, კურდანავ, ფილიპე, სტეფანე სანანოვსძე-ჭყონდიდელი და სხვები.

ქართველი პიმნოგრაფები ეყრდნობიან სხვადასხვა უცხოელ თუ ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ გამოცდილებას, ინარჩუნებენ და იყენებენ მათ მიერ შემუშავებულ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს, სიმბოლოებს, ალეგორიებს, სახეობრივ სისტემას.

პიმნოგრაფიული ტრადიცია განამტკიცა გრიგოლ ხანძთელის იადგარმა, რომელმაც ნიადაგი მოამზადა ორიგინალური პიმნოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის. თითქმის ყველა ორიგინალური პიმნი, რაც მეათე საუკუნეში დაწერილა, საგანგებოდ თავმოყრილია მიქაელ მოდრეკილის ცნობილ კრებულში. აქ წარმოდგენილ ორიგინალურ პიმნებს სახელწოდებაც კი აქვთ – ქართულნი, უცხო და ნათარგმნი, ბერძნულ საგალობელთა გასარჩევად.

XVII-XVIII ს-ის პიმნოგრაფიის მხატვრული დონე, ცხადია, განვითარების მონაკვეთის სიმოკლისა და მრავალი სხვა მიზეზის გამოც, კლასიკურ პერიოდთან შედარებით დაბალია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XIV საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ლიტურგიკული პიმნოგრაფიის განვითარების ხაზი, ფაქტობრივად, შეწყდა და მხოლოდ XVII საუკუნის II ნახევრიდან ხერხდება მისი აღდგენა.

„XVII-XVIII საუკუნეების ლიტურგიკული პიმნოგრაფია წინა პერიოდთან შედარებით ჩვენი მწერლობის ისტორიაში ახალ ეტაპს ქმნის ახალი პრინციპებითა და ახა-

ლი თვალთახედვით. უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი ამ დროის პიმნოგრაფიისა კლასიკური პერიოდის პიმნოგრაფიისაგან არის ეროვნული მოტივი... მათი შემოქმედების ობიექტი მხოლოდ და მხოლოდ ქართული სინამდვილე და ქართველ მოწამეთა საქმიანობაა... ეს იყო ეპოქის პრინციპული მოთხოვნა, რომელსაც მტკიცედ იცავდა ქართული ეკლესია“ (152, 17).

ამ პერიოდის სასულიერო ისტორიისა და მწერლობის განვითარებაში ყველაზე დიდი როლი შეასრულა დავით გარეჯის ლიტერატურულმა სკოლამ, რომელიც სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობდა: 1. ჰაგიოგრაფიულ-პიმნოგრაფიული კრებულების დამუშავება, 2. დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის დამუშავება, 3. საერთო კულტურული საქმიანობა (ხელნაწერების გამრავლება, ბიბლიოთეკების შექმნა და სხვ.)...

ლიტურგიკული პიმნები დანიშნულია ღვთისმსახურებაში სახმარებლად, იმათ გალობენ ხოლმე და ამიტომ ქართულად „გალობანი“ ან „საგალობელი“ ეწოდებათ.

პიმნოგრაფიაში ქების ობიექტი არის ღმერთი, ღვთისმშობელი, წმინდანები. საგალობელი მათი ცხოვრებისა თუ წამების ეპიზოდებს ასახავს. ქების ობიექტი გამორჩეულია სულიერებით, ზნეობრივი სამყაროთი, ფაქტი და სათუთი ბუნებით, არსად ჩანს გარეგნული ფაქტორი.

პიმნოგრაფია, სხვა კანონიკურ საღვთისმეტყველო დარგებთან ერთად, ბიბლიას ემყარება და ამიტომ წმინდანთა მოხსენებისას გამოყენებული გამოთქმები სიმბოლურ აღქმას მოითხოვს. პიმნოგრაფია ფრაზეოლოგიასაც ბიბლიიდან და მასზე დაფუძნებული წიგნებიდან იღებს და ითავისებს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა: „ქართული ორიგინალური პიმნოგრაფია გვთავაზობს სასულიერო მწერლობისათვის კარგად ცნობილსა და დამუშავებულ ზოგად ქრისტიანულ მოტივებს. საგალობლები ეძღვნება ამა თუ იმ ქრისტიანულ დღესასწაულს, ღვთაებას, მაცხოვარს, წმინდანებს...“ (51, 91).

მწერალს შეუძლია ნებისმიერი ბიბლიური პარადიგმის მოხმობა. თეოლოგიური თვალსაზრისით იგი სიახლეს ვერ იტყვის. აქ მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში ყოველი სიტყვა, პირდაპირი თუ გადატანითი, ანუ ტროპული მნიშვნელობით გამოყენებული, ახალ კონტექსტში სხვაგვარ, ახლებურ ელფერსა და აზრობრივ დატვირთვას იძენს, ახალ განწყობილებას აღძრავს (135, 8).

პიმნოგრაფია, როგორც კანონიკური თეოლოგიური თხზულებებიდან აღმოცენებული და განვითარებული დარგი საღვთისმეტყველო მწერლობისა სახისმეტყველები-

თად ითვისებს სადგომ სახელებს. დმერთს და მის პიპოსტასებს, დვთისმშობელს უსადაგებს ისეთ სახელებს, როგორებიცაა: მზე სიმართლისა, მანანა, კიდობანი, მაყვალი, მთა გამოუკუეთელი, კიბე, კარაფი, ვენახი, სასანთლე და სხვა, რომელთაც დრმა სიმბოლური დატვირთვა აქვს და რომელთა შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

პიმნოგრაფიის მიზანი იყო დვთაებრივი სიტყვის გადმოცემა. ამიტომ იგი მაქსიმალურად ზღუდავდა თავის ინდივიდუალურ ხელწერას და ბიბლიიდან, ზოგჯერ კი უფრო შორეული მომდინარე სახისმეტყველებითა და მხატვრული აზროვნებით საზრდოობდა, რომელიც შეკუმშული ფორმით გადმოიცემოდა. ამას ემყარებოდა პიმნოგრაფთა მხატვრული მეტყველების არქეტიპულ სახეთა, პარალელურ სახეთა მიხედვით აგების პრინციპი. ასეთ შემთხვევაში ბიბლიური პარადიგმები გამოხატავდა თეოლოგიაში კარგად ცნობილ ალეგორიულ მიმართებებს ძველი და ახალი ადთქმის მოვლენებს შორის.

პიმნოგრაფიულ თხზულებებში, იქნება იგი მცირე ფორმის საგალობელი თუ კანონი, ძლისპირი მისი პირველი სტროფია, პირველი ტროპარია. ბიბლიურ გალობებთან კავშირს პიმნოგრაფიულ კანონში ამყარებდა ძლისპირი, რომელმაც სტროფიმოდელის ფუნქცია შეიძინა. პიმნოგრაფიაში ტერმინთა ნაწილი მეტაფორული გამოხატვის შინაარსს შეიცავს, ზოგ შემთხვევაში – ტროპული გამოხატვის სხვადასხვა ფორმას აერთიანებს.

ეფრემ მცირემ ფსალმუნთა კატენების შესავალში გამოყო სადგომისმეტყველო პრინციპებზე აგებული ნაწარმოების შინაარსის გააზრების ორი სახეობა: „განმარტებითი“, რომელიც ნაწარმოების შინაარსის პირდაპირი აზრით გაგებას გულისხმობდა, და „სახისმეტყველებითი“, რომელიც ნაწარმოების ალეგორიული და სიმბოლური შინაარსის ამოცნობას ემსახურებოდა.

სასულიერო პოეზიის მეორე სახეს – სამოძღვრო-მოთხრობითს, პ. კეკელიძემ არალიტურგიკული უწოდა (80, 607), რასაც არ იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი (ნესტან სულავა), რადგან სამოძღვრო-მოთხრობითია ყველა პიმნოგრაფიული კანონი. თითოეული მათგანის თემაა ღმერთის, დვთისმშობლის, მათთან დაკავშირებული დღესასწაულების, წმინდანების ქება. სამოძღვრო-მოთხრობითად მიჩნეულია დემეტრე მეფის, იოანე შავთელისა და სხვათა თხზულებები, ე.ი. ისინი მიჩნეულია არალიტურგიკულად. დასახელებულ ავტორთაგან იოანე შავთელს შეუქმნია პიმნოგრა-

ფიული კანონები, რომლებიც ლიტურგიკული დვთისმსახურებისთვის იყო განკუთვნილი. არალიტურგიკულად ვერ მივიჩნევთ დემეტრე მეფის იამბიკოებს, რადგან XVIII საუკუნეში ისინი შეუტანიათ სადღესასწაულოებში დმრთისმშობლისანის („აწდ“) ტროპარად. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს ამ იამბიკოთა ლიტურგიკული დვთისმსახურებისათვის დანიშნულებას. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სამოძღვრო-მოთხოვნითია როგორც ლიტურგიკული, ასევე არალიტურგიკული ჰიმნოგრაფია (135, 13-14).

ჰიმნოგრაფიაში ადამიანის, წმინდანის სახე საღვთო სახელებითაა შემკული, ხოლო ეს სახელები, საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან მხატვრულში გადატანის გამო, აღიქმებიან დრმააზროვან სიმბოლოებად, სახისმეტყველებით ხატებად.

სიმბოლო ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს პირობით ნიშან-თვისებას, ემბლემას, სიმბოლურ გამონათქვამს, ქარაგმულად ნათქვამს. სიმბოლო აღქმად-მატერიალურ სახეს აძლევს აზროვნებით პროცესებს და ამით ქმნის ცოდნის დაგროვების, შენახვისა და გადაცემის საშუალებას. სიმბოლური აზროვნება კაცობრიობის არსებობის უძველეს ხანას უკავშირდება. საუკუნეების მანძილზე იგი განსაზღვრავდა სხვადასხვა ეპოქის ხალხთა მსოფლმხედველობას. სიმბოლურ აზროვნებას ქრისტიანობამაც ფართოდ გაულო კარი, რადგანაც იგი საღვთო საიდუმლოებათა გადმოცემის ერთერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნია. „უნდა ითქვას, რომ ყოველი რელიგიური და, მით უმეტეს, მისტიური შემეცნება, იძულებულია შექმნას საკრალურ ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია აღწეროს თავისი „გამოუთქმელი“ შინაარსი. ამასთანავე, ქრისტიანული ნიშნებითა და სიმბოლოებით გამოწვეული სულიერი ზემოქმედება პრინციპულად განსხვავებულია სხვა რელიგიებში არსებული სიმბოლოებით აღმრული განცდებისაგან“ (68, 369-370).

ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანები წარმართო დევნის დროს ხშირად მიმართავდნენ სიმბოლოებს, რომ მტრისთვის გაუგებარი ყოფილიყო მათი მნიშვნელობა, ანუ სულიერი შინაარსი. ამას ადასტურებს რომის კატაკომბები, სადაც, სხვადასხვა სცენებთან ერთად, ხშირად ქრისტეს ვენახთან დაკავშირების სცენებსაც ვხვდებით. ვენახის მტევნებზე შემომსხდარი ფრინველები სულის სიმბოლოებია, ხოლო მტევნი – ღვინის მომცემელი (140, 211).

ადამიანს სულიერ სამყაროსთან სწორედ სიმბოლო აზიარებს. როგორც თეოლოგიაშია ცნობილი, ხილული საგნები უხილავ საგანთა გამოვლენილ ხატებს წარმოადგენს. ამასთან, ადამიანი სამყაროს სრულყოფილად შეიცნობს მაშინ, „თუ თავის

თავს აღიქვამს კოსმიურ მთლიანობაში, რაც პრეისტორიული დროიდან მოყოლებული მარტოოდენ სიმბოლოთა ენითაა გადმოცემული“ (146, 9). სიმბოლო „შემაერთებელია მიწისა და ზეცისა... ესაა ყოფიერების სასწაულებრივი საიდუმლო“ (128, 61).

რევაზ ბარამიძე სიმბოლოს არა მარტო მხატვრულ გამოსახვით საშუალებად, არამედ აზროვნების სტილადაც მიიჩნევს (21, 164), რომლის გეერდითაც დიდი აღილი უჭირავს ალეგორიასაც და „ხშირ შემთხვევაში აზროვნების გამოხატვის ეს ორი ხერხი იმდენად მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, რომ მათი გათიშვა, გამიჯვნა შეუძლებელი ხდება“ (21, 175) და განუმეორებელი სახისმეტყველებითი ფონი იქმნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიმბოლოთა სწორად აღქმისათვის რწმენაა აუცილებელი, „რადგან სიმბოლო ნიშანია, რომელიც მოითხოვს რწმენას და ამავე დროს, აღამია, რომელიც მოითხოვს ერთგულებას“ (8, 324).

„ძირითადი თავისებურება ბიბლიური და ქრისტიანული რელიგიურ-მხატვრული სახე-სიმბოლოებისა მათი სახისმეტყველებითი მოაზრებაა. ძველი ქართული ტერმინი „სახისმეტყველება“ გულისხმობს სახეობრივი გამოხატვის სხვადასხვა ფორმას (როგორც ალეგორიულ-სიმბოლურს, ისე, საერთოდ ტროპულს). იგი გულისხმობს აგრეთვე მთლიანად მხატვრულ აზროვნებას, მხატვრულ შინაარსს“ (29, 66).

სახისმეტყველებითი აზროვნების ცენტრი გახდა ალექსანდრიული სკოლა. IV-V საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში ორი წარმმართველი საღვთისმეტყველო სკოლა არსებობდა – ანტიოქიისა და ალექსანდრიისა: „ალექსანდრიის სკოლაში გამეფებული იყო ალეგორიული, ან ძველი ქართული ტერმინოლოგით, სახისმეტყველებითი მეთოდი, რომელიც საღმრთო ტექსტში ეძებდა უაღრესად საიდუმლო აზრს... ანტიოქიის სკოლაში, პირიქით, მიღებული იყო რეალისტური მეთოდი“ (77, 180).

ტერმინი „სახისმეტყველებითი“ „ჩვენ გვხვდება ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: „და გადმოთარგმნა... სახისმეტყველებით... წმიდისა ჟამისწირვისა... აღწერა“ (77, 223), მაგრამ უფრო გარკვევით მას ეფრემ მცირე განმარტავს. ის საღვთისმეტყველო თხზულებას ორგვარად გაიაზრებს – 1. განმარტებითად, რომელიც ნაწარმოების შინაარსის პირდაპირ გაგებას გულისხმობს და 2. სახისმეტყველებითად, რომელიც ნაწარმოების სიმბოლური და ალეგორიული შინაარსის გააზრებაა: „რომელიმე განმარტებით თარგმნის მუკლსა და რომელიმე სახის-მეტყველებით; და

არა მხოლოდ ორნი და ორგან; არამედ თუ იგივე ერთი და ერთსა შინა ადგილსა განკმარტებსცა და სახისმეტყუელებსცა მასვე და ერთსა მუტლსა... ყოველსავე მუტლსა სახისმეტყუელებად შესაძლებელ არს არა ერთი სახე ოდენ, არამედ მრავალსახედცა“ (159, 82).

დიდი ხნის განმავლობაში მიუიწყებული ეს სიტყვა („სახისმეტყველება“ – თ. გ.) ქართულ სინამდვილეში კვლავ „გააცოცხლა“ რევაზ სირაძემ.

სახე ესთეტიკის მთავარი კატეგორიაა. ხელოვნების ყოველი ნაწარმოები შედგება სახეებისაგან. სახეა მხატვრული ნაწარმოების მთავარი შემადგენელი ნაწილი, მისი ძირითადი ელემენტი.

ძველ ქართულ მწერლობაში სახე განმარტებული იყო, როგორც დაფარულის ხილვა და ჩვენება.

რ. სირაძის განმარტებით, სახე არის ხელოვნების ნაწარმოების ისეთი ელემენტი, რომელსაც ცალკე აღებულს მხეტვრული ზემოქმედების ძალა გააჩნია.

სახეები ერთმანეთის გვერდით, რასაკვირველია, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ მათ აქვთ შეფარდებითი დამოუკიდებლობა.

შეა საუკუნეებში ყველა ქრისტიანი ადამიანი თავის მიმართებას უზენაესისადმი გამოხატავდა მზა რელიგიური ფორმულებით, მხატვრული ლიტერატურაც უმთავრესად ეფუძნებოდა ამ რელიგიურ-დოგმატურ ფრაზეოლოგიას თუ მზა სახეებსა და გამოთქმებს, მაგრამ დ. ლიხახოვის დაკვირვებით, ეს ფორმულები ინარჩუნებენ პირველი მხატვრული მიგნების განუმეორებელ ნიშანს. „ტრადიციული ფორმულა თითქოს პატარა მხატვრული ნაწარმოებია“ (87, 114).

სათქმელის სიმბოლურად გამოხატვის ხერხს გამოკვეთილად მიმართა წმიდა წერილმა – ძველმა და ახალმა აღთქმამ. ეს ორი ეპოქა არ არსებობს ერთმანეთის გარეშე, რადგანაც ძველი წინასახეა ახლისა. შესაბამისად, ახალი აღთქმის მრავალი მოვლენა წინასწარ გაცხადდა ძველ აღთქმაში, ანუ ძველი აღთქმა წარმოადგენს ახალი აღთქმის პირებისა და მოვლენების წინასახეს, რასაც იქსო ქრისტეც ადასტურებდა: „გამოეძიებდით წიგნთა, რამეთუ თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ გაქუს ცხორებად საუკუნო მათ შინა და იგინი არიან, რომელი წამებენ ჩემთვს“ (იოან. 5, 39); „უპეეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთვს დაწერა“ (იოან. 5, 46). „გარდა ამგვარი ზოგადი განცხადებისა, უფალი ხშირად მიუთითებს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებასა და მოვლენებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის ცხოვრებასთან, სწავლებასთან, ჯვარცმის ტანჯვებთან. ის ხშირად საუბ-

რობს ძველ წინასწარმეტყველებათა განხორციელებაზე, რომელიც ეხება მის გამომ-ხსნელ მსხვერპლს (მათ. 26, 54; ლუკ. 22, 37) და თვით ჯვარზე წამების დროს წარ-მოთქმულ მის ამაღლებებლად დრმა და სიმშვიდითა და დიდებულებით აღბეჭდილ სიტყვებს: „აღსრულდა“ (იოან. 19, 30). ამით მიანიშნებს, რომ აღსრულდა ყველაფერი, რისთვისაც იგი იყო მოწოდებული“ (91, 11-12).

ბიბლიის სიმბოლური ენა იმთავითვე იქცა სასულიერო სამწერლობო ენის საფუძვლად. წმიდა წერილზე ამოზრდილმა სასულიერო პოეზიამ საღვთო მოვლენათა ხოტბა-შესხმა, წმიდა წერილის კვალობაზე, ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით განახორციელა, რაც კარგად არის ახსნილი პავლე მოციქულის ეპისტოლეში (1 კორ. 10, 11).

წმიდა წერილში გამოყენებულ სახე-სიმბოლოებით აზროვნება განსაკუთრებით დამახასიათებელია ჰიმნოგრაფიისათვის, სადაც დამუშავებულია საყოველთაოდ ცნობილი ზოგადქრისტიანული მოტივები. „ჰიმნოგრაფია საღვთისმეტყველო პოეზიაა, რომელსაც ფორმაც და შინაარსიც პოეტური აქვს. მას ბიბლიური მოტივები და სახისმეტყველება ასაზრდოებს“ (138, 116). საგალობლები ეძღვნება ამა თუ იმ დღე-სასწაულს, ღვთაებას, მაცხოვარს, ღვთისმშობელს, წმინდანს... განდიდებულია ქრის-ტეს შობა, ნათლისდება, აღდგომა, წარმოჩენილია წუთისოფლის წარმავლობისა და საკუთარ ცოდვათა მონანიების მოტივები. „ცნობილია ისიც, რომ მედიევალურ კულტურაში მხატვრული ფაქტურა შედგება მზა სახეებისა და აპლიკაციებისაგან. მაგრამ ცალკეული მხატვრული ნაწარმოები მაინც აღიქმება როგორც ორიგინალური და დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების მოვლენა“ (49, 146). შუასაუკუნეების ძეგლთა თავისთავადობას განაპირობებს ის გარემოება, რომ შემოქმედი ყოველ რე-ლიგიურ ფაქტთან ამყარებს დამოუკიდებელ მიმართებას, ესა თუ ის მოვლენა ხდება მისი პირადი განცდის საგანი, რითაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს იგი აღ-მოაჩენს და აღწერს პირველად ამა თუ იმ რელიგიურ დღესასწაულს, გამოიყენებს სხვადასხვა სახე-სიმბოლოებს. ნაწარმოებს წარმართავს გრძნობით დამუხტული აზ-რი, რაც განაპირობებს პოეტური საგალობლის ემოციურობას.

როგორც ცნობილია, „კონდაკის“ უანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო თხრობითი და დრამატიზებული, დიალოგური ნაწილები, შეცვალა „კანონმა“, რი-თაც, ფაქტობრივად, შეიცვალა საყრდენი მხატვრული შინაარსი. ხატოვანი თხრობი-სა და დრამატული სცენების დრო შეცვალა განსჯისა და ქება-დიდების აღვლენის ჟამმა. ამ უანრის ფუძემდებელი კი ანდრია კრიტელი იყო, რომლის მიერ დაწერილი

„დიდი კანონითაც“ პიმნოგრაფიის განვითარებაში იწყება ახალი ეტაპი. „დიდ კანონში“ დაუსრულებლად მონაცემების ძველი და ახალი აღთქმის სახეები. მაგალითად, „ეგა ეგა კი ადარ არის, არამედ თვით სამშვინველის ქალური, მაცდური საწყისია ყოველ ადამიანში“ (49, 145)...

ხშირად წმინდანისადმი მიმართული საგალობლის ერთ სტროფში სიმბოლოთა და ეპითეტთა მთელი არსენალია თავმოყრილი: „იხარებენ საღმრთონი ქადაგნი: წინასწარმუტყველნი და მამათმთავარნი; რამეთუ სარწმუნო იქმნება თქმულნი მათთა შენ ზედა უქცეველად აღსრულებითა: უსძლოო სძალო; ღვთისა მაღლისაო: გიხაროდენ კარავო წმიდაო აბრაკამის გამოსახულო და კიბეო სულიერო იაკობის ხილულო; გიხაროდენ, მაყუალო შეუხებელო, მოსეს მოსწავებულო და საწმისო გედეონის ქადაგებულო. გიხაროდენ კიდობანო დავითის გამოსახულო და ყუავილო სოლომონის მოსწავებულო: გიხაროდენ სულმცირეო ღრუბელო მზისა სიმართლისა მტკრთველო: გიხაროდენ მთაო გამოუკუეთელო ლოდსა საცნაურსა უბიწოდ მშობელო: გიხაროდენ ბჭეო აღმოსავალისაო დაჭმულო და წყაროო დაბეჭდულო: გიხაროდენ ღვთისმშობელო აღდგა მკვდრეთით მე შენი და ღმერთი ჩვენი: რომელსა აქუს დიდი წაყლობად“ (99, 492).

უსძლო სძალი, კარავი, სულიერი კიბე, შეუხებელი მაყვალი, საწმისი, კიდობანი, ყვავილი, ღრუბელი სულმცირე, გამოუკუეთელი მთა, დახშული ბჭე, დაბეჭდული წყარო... – ყველა ეს სახე-სიმბოლო ღვთისმშობელს მიემართება და მთლიანობაში მის მარადქალწულობის, უბიწოების, მაცხოვრისადმი უდიდესი მაღლისა და ძალის წარმოჩენას ემსახურება პიმნოგრაფთა მიერ.

## 2. ღვთისმშობლის თემა

მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილმა რელიგიურმა დღესასწაულებმა, ეპლე-სია-მონასტრებმა, ხატებმა, ჰიმნებმა, ლოცვებმა განაპირობეს მისი კულტის შექმნა.

რაც შეეხება საქართველოში წმინდა მარიამის კულტის ჩამოყალიბებას, იგი სათავეს მე-9 საუკუნიდან იღებს და კ. კეკელიძის თქმით, მე-10 საუკუნეში მთლიანი სისტემის სახით გვევლინება. ამის უპირველესი მიზეზი ჩვენში, ქრისტიანული რელიგიის განმტკიცება-გაძლიერებასთან ერთად, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაა. კ. კეკელიძის თანახმად, ეს ტენდენცია ჩვენში ყალიბდება ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში. გავიხსენოთ იოანე საბანისძის „აბოს მარტვილობიდან“ ერთი პასაჟი: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებად ესე ღვთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთ ამათ მკვიდრთა. აკა ესერა, ქართლისაცა მკვიდრთა აქეს სარწმუნოება და წოდებულ არს დედად წმიდათა“ (153, 444).

შუასაუკუნეების საქართველოში მარიამ ღვთისმშობლის კულტის დამკვიდრება თავისთავად მოასწავებდა ჩვენი წინაპრების ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული დირსებისა და სიამაყის აღზევებას. აქ გადამწყვეტი სიტყვა თქვა მესიის დედის წილხვედრ ქვეყნად საქართველოს გამოცხადებამ. კ. კეკელიძის მიხედვით, აზრი იმის შესახებ, რომ ქართლი მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილია, ჩასახულია მე-9 საუკუნეში (80, 81). მეცნიერისთვის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს „ილარიონ ქართველის ცხოვრება“. ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, საქართველოს ღვთისმშობლისთვის წილხვდომილობის იდეის გამოძახილს მე-7 საუკუნის ძეგლის „სვიმეონ მესვეტის“ ცხოვრებაში ვხვდებით: „ამ ძეგლში სულიწმიდა გვევლინება საქართველოს მფარველად, სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება კი ღვთისმშობელია“ (44, 75). ცნობილია, რომ პირველქრისტიანთა და ეპლესიის მამათა გაგებით, ღვთისმშობელი არის სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება.

მარიამ ღვთისმშობლისთვის საქართველოს წილხვდომილობის იდეა არაერთ ნაწარმოებშია დადასტურებული. XII საუკუნის „ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეულ მეტაფრასულ რედაქციაში ვკითხულობთ, რომ ღვთისმშობლის ხატის წინაშე მლოცველ ნინოს გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მოახსენა: „აკა ესერა წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოსასა, ერისა მიმართ ქართველთასა, წარვედ სიმხნით და უშიშად და უქადაგე ჭეშმარიტება“ (167, 16).

ეს იდეაა წინ წამოწეული პიმნოგრაფ არსენ ბულმაისიმის ძის პიმნოგრაფიულ ნაწარმოებში „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოსი“. პიმნოგრაფი მუხლმოყრით ევედრება მაცხოვრის დედას, რათა იხსნას, გადაარჩინოს და აცოცხლოს მისი წილხვდომილი ქართველი ერი:

„საცოტოათ ხსნილნი შენ მიერ, დმრთისმშობელო,  
წილად ხუდომილნი შენნი ქართველთა ერნი,  
ნინოს ღირსის მიერ ქადაგებითა  
გხმობთ შენდა მომართ, მაცხოვრებაო  
ჩუენო, გუაცხოვნენ, ქრისტეს ღმრთისა დედაო“ (135, 327).

რ. სირაძემ წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი თხზულებების სახისმეტყველებითი ასაექტების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა: „ნინო მაყვლის ბუჩქში მიგვანიშნებს, რომ ღვთისმშობელია მისი შემფარველი, მისი სულიერი სადგური“ (131, 107). ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ წმინდა ნინო ღვთისმშობლის მონაცემება საქართველოში.

ქართულ მწერლობაში დედა ღვთისას კულტი განსაკუთრებით მე-10 საუკუნიდან იჩენს თავს. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ სწორედ ამ ღროიდან მიიღო ჩამოყალიბებული სისტემის სახე საქართველოს მარიამ ღვთისმშობლისათვის წილხვდომილობის იდეამ, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, თუმცა VI საუკუნიდან მოკიდებული დედოფლის სახე ქართული მწერლობის შთაგონების თავანკარა წყაროს წარმოადგენს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა შიო მღვიმელის (VII.) „ოხითავ“, რომელიც ღვთისმშობლისადმი აღვლენილი დიდებული პიმნია. ავტორის თქმით, კურთხეულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, დედოფლი მარიამი, რომლის მიერ ქრისტესთვის ხორციელი ბუნების მინიჭებით ცოდვისაგან განთავისუფლდნენ ადამიანები და ეზიარნენ ანგელოზებს, დაიბრუნეს სამოთხე. შიო მღვიმელი ევედრება უფლის დედას („დედაო ნათლისაო“), რათა ნუ მოაკლებს თავის მეოხებას სამების წინაშე: „შენ გვევდრებით დედაო ნათლისაო დიდებული, ნათლისმცემლისა იოვანეის თანა დიდებულისა, მეოხება ნუ დასცხერები წინაშე სამებისა წმინდისა ჩვენთვის, რომელო – ესე ვითხოვთ შენგან წყალობასა!“ (153, 244).

„გალობანის“ რიგით მეცხრე საგალობლის თემა ღვთისმშობლის მიერ მესიის საგალობელია, ვინაიდან ქრისტემ სწორედ ის აირჩია მშობლად დედათა შორის. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, მეცხრე საგალობლის სახელწოდებაში – „ადიდებდითსა“ – მინიშნებულია ახალი ადოქმის შემდეგი ეპიზოდი, რომე-

ლიც ასე იწყება: „და თქვა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულ-მან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა“... (ლუკ, 7, 46-55). ამასთანავე, საგანგებო აღნიშვნის დირსია ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ ლექსიკურ ფონდში მკვიდრდება ტერმინი „დვთისმშობლისანი“. ამ ცნებით აღინიშნებოდა უფლის დედი-სადმი მიძღვნილი დამოუკიდებელი საგალობელი, რომელიც მომდინარეობდა მეცხრე გალობაში მოცემული თემიდან.

დვთისმშობლის თემას სასულიერო პოეზიაში უდიდესი ადგილი უჭირავს. დვთისმშობლის წილხვდომილობის იდეა, რომელიც შეისისხლხორცა ქართულმა სულმა, ჩაიდო რა ერის გენეტიკურ კოდში, ცხადია, აირეკლა ქართულ მწერლობაში.

ცნობილია, რომ დვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები სხვადასხვა ხასიათისაა. ისინი იყოვა ორ ძირითად ჯგუფად: დვთისმშობლის სადიდებელი საგალობლები, რომელსაც „დვთისმშობლის დაუჯდომელი“ დაედო საფუძვლად და ვედრების ციკლის საგალობლები.

საერთოდ, დვთისმშობლისად, როგორც ბერძნულ, ისე ქართულ პიმნოგრაფიაში, რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: 1. დვთისმშობლისად ეწოდება მთელ გალობას, რომელიც დაწერილია დვთისმშობლის სახელზე და სრულდება მის დღესასწაულებზე; 2. დვთისმშობლისად ეწოდება კანონის მეცხრე გალობას, რომელიც აგრეთვე დვთისმშობლის შესხმაა, თუმცა მთლიანი კანონი შეიძლება ეძღვნებოდეს სხვა დღესასწაულს, ან რომელიმე წმინდანს; 3. ეს სახელი ეწოდება ერთტროპიან შესხმას, რომელიც სრულდება ყოველი გალობის შემდეგ გალობისავე ძლისპირზე.

ხშირად ხელნაწერებში „დვთისმშობლისად“ ბოლომდე არც კია ხოლმე წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია მოტანილი. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა საგალობლის ავტორს არ ეცუთვნის გალობის ბოლო ტროპარი – „დვთისმშობლისად“.

ჩვენ მიერ მიმოხილული ეპოქის პიმნოგრაფებთან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დვთისმშობლის აღმნიშვნელი სახე-სიმბოლოები, რომლებსაც ისინი იყენებენ დედოფლის სადიდებლად და შესამკობად. ამ სახეთა გამოყენება ავტორთა იდეურ-მსოფლმხედველობრივ მრწამსს მიგვანიშნებს. უნდა ითქვას, რომ საგალობლებში ყოველი სიმბოლო მიზანდასახულადა მოხმობილი, თითოეულს თავისი თეოლოგიური და მხატვრული ფუნქცია აკისრია.

ყოველ სიმბოლურ სახეს ბიბლიურ-ევანგელიური და პატრისტიკული საფუძველი აქვს. სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვა გახდა ერთ-ერთი მთავარი მხატვრულ-გა-

მომსახველობითი საშუალება ქრისტიანობის მიერ წინაქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებისა.

ქართულ სამყაროში იგი კარგად გამოვლინდა მზისა და გაზის სიმბოლიკაში, რომელთა განვითარებასაც წარმართული კულტი და წარმოდგენები დაედო საფუძვლად, ხოლო ქრისტიანული კულტის გავრცელებამ და განვითარებამ მას ქრისტიანული ხასიათი შესძინა, ანუ მოხდა წარმართული კულტის დესაკრალიზება.

პიმნოგრაფია იმ სახელებს მიმართავს უფლისა და ღვთისმშობლის გამოსახატავად, რომლებიც წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, ღვთისმეტყველთა შრომებშია განმარტებული. ღვთისმეტყველება მისტიურია, საღვთო საიდუმლოა მასში ჩადებული. პიმნოგრაფია ცდილობს საიდუმლოს გაცხადებას სიტყვით. ამიტომაცაა იგი ასე მდიდარი სიმბოლოებით.

პიმნოგრაფიაში ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოები მართლაც რომ გამორჩეულია სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ოუ ღვთისა და წმინდანებისადმი მიძღვნილ საგალობლებში წინა პლანზე ღვთისმეტყველებითი გააზრებაა წამოწეული და მათი კვლევა უფრო ამ ასპექტითაა განსაზღვრული, ღვთისმშობლის საგალობლები უურადღებას მეტაფორული აზროვნებითა და ტროპული მეტყველებითაც იქცევს, რაც საბოლოოდ ესთეტიკურ განცდას აღძრავს მსმენელში. მათში საოცარი სიცხადით თვალსაჩინოვდება სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება და სულიერი სისადავე, რომელთა შერწყმა ადამიანის სულიერ მზერას წარმართავს ზეშთასოფლისაკენ, რომლის დაბრუნებაც კაცობრიობამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით შეძლო.

პიმნოგრაფს შეუძლია ნებისმიერი პიპოდიგმული მონაცემის გამოყენებით შეარჩიოს სიმბოლო-ალეგორია, მხატვრული ხერხი, ასოციაცია და სახეთა პარალელიზმი, რათა საკუთარი განწყობა, ემოცია მიიტანოს მსმენელამდე. ოუმცა, ამ სიმბოლოების მიღმა უზარმაზარი ინფორმაცია განიჭვრიტება, რომელიც ლიტურგიკული ცნობიერების მქონე შემოქმედსა და აღმქმედს მოითხოვს. ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოების გააზრება შეუძლებელია ძველი აღთქმის მოვლენების გაუთვალისწინებლად, რადგან ძველი აღთქმა იყო მოლოდინი ქრისტესი და თავისი სიმბოლო ალეგორიებით მიანიშნებდა ახალ აღთქმაზე, ის იყო წინასახე ახალი ეპოქის მოვლენებისა და პიროვნებებისა. წმიდა მამათა მიერ არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ძველ აღთქმაში იგავურად არის მინიშნებული ახალი აღთქმის მოვლენებზე. ეს პიპოდიგმურ-პარადიგმული მონაცემები, როგორც პარალელური სახეები

ბველი და ახალი აღოქმიდან, ერთმანეთს პიმნოგრაფიაში შეერწყა. იმავდროულად, დვოისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები გამორჩეულია ფსალმუნური პოეტური მეტყველებითაც.

## ნაწილი II

### 1. ღვთისმშობლის მარადქალწულობის აღმნიშვნელი სახე-სიმბოლოები

საერთოდ, ღვთისმშობლის თემას სასულიერო პოეზიაში უდიდესი აღგილი უჭირავს. სახე-სიმბოლოთა უპირველესი დანიშნულება ქალწულ მარიამის მიერ ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებაზე მინიშნება იყო, რის გამოც სახე-სიმბოლოთა უდიდესი ნაწილი ამ მოვლენის წინასწარ მომასწავებლად წარმოგვიდგა. ამასთან, ძველ აღთქმაში დაცული წინასახეების ახსნა მხოლოდ ახალი აღთქმის მეშვეობითაა შესაძლებელი. ამიტომაც ძველი აღთქმის პიპოდიგმებს ახალ აღთქმაში პარადიგმული მნიშვნელობა ენიჭება.

თეოლოგიაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, უფალმა ქალწული მარიამი წინასწარ გამოარჩია კაცთა მოდგმის გადარჩენისათვის: „ხოლო უკანასკნელი ესე უამითა და უპირატესი მადლითა ნაშობი მამათმთავართა წინაწარმეტყუელთავ ქალწული დადაცათუ ადსასრულსა უამთასა, არამედ ჯეროვანსავე და პირველ განსაზღვრებულსა უამსა განიკუთნა იგი ღმერთმან, რაჟამს იგი ჯერ-იჩინა გარდამოსლვად მისა მხოლოდ მობილისაა“, – განმარტავს წმიდა იოანე დამასკელი (166, 153). მაშინ, როცა ცოდვით დაცემული პირველი ადამიანები მართლმსაჯულების მკაცრ განაჩენს ელოდნენ, ყოვლადმოწყალე ღმერთმა მათ წმიდა ქალწულისაგან მხსნელის მოვლინება აღუთქვა. „თესლი დედაკაცისა შემუსრავს თავსა შენსა“, – ამ სიტყვებით მიმართა უფალმა გველს. ეს იყო მისი პირველი აღთქმა ადამიანთადმი, რომელიც მან არაერთხელ გაიმეორა, რათა დაპირებული მხსნელის მოვლინებისათვის მოემზადებინა კაცთა მოდგმა.

გადიოდა საუკუნეები, იცვლებოდა სამყარო, ადამიანები, ტრადიციები... მაგრამ ურყევი რჩებოდა ყოვლადწმიდა ქალწულისაგან მხსნელის მოვლინების რწმენა. მართლაც, აღსრულდა ყველა წინასწარმეტყველება, ძველი აღთქმის აჩრდილი გაქრა და სამყაროს მოევლინა მესია, რომელმაც კაცობრიობა საკუთარ, პირვანდელ სამშობლოში – ღვთის წიაღში – დააბრუნა. ეს კოსმიური მნიშვნელობის მოვლენა კი ძველი აღთქმის მრავალმა წინასწარმეტყველმა გაგვიცხადა, მათ შორის დიდმა წინასწარმეტყველებმა: ესაიამ, ეზეკიელმა, დანიელმა.

წინასწარმეტყველთაგან ყველაზე უფრო ცხადად ესაიამ იწინასწარმეტყველა მესიაზე – მაცხოვარზე, ამიტომ მას ძველი აღთქმის მახარებელს უწოდებენ.

ესაიასგან ნათქვამი იქნა ქალწულისაგან მაცხოვრის მუცლად-დება: „აპა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ეს. 7, 14). ესაიას წიგნში კიდევ რამდენიმე ადგილას გხვდებით წინაუწყებას ქალწულ მარიამზე: „და თქვა უფალმან ჩემდამო: მიიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა და დაწერე მას ზედა საწერელითა კაცისათა მალიად ქმნავ იაგარსა ნატყუენავთასა, რამეთუ მოწევნულ არს“ (ეს. 8, 1); „და მისლვა-ვყავ წინასწარმეტყველისა მიმართ, და მუცლად იღო და შვა ძე და თქუა უფალმან ჩემდამო: უწოდე სახელი მისი: მალიად წარმოტყუენე, მსწრაფლ იაგარ-ჰყავ“ (ეს. 8, 3).

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების თანახმად, ქალწული მარიამი, სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, შეიქნა ყოვლადწმიდად, ზებუნებრივად წმიდად. იგემა რა მოჭარბებულად ეს ღვთაებრივი მადლი, ქალწული სრულიად განეშორა ხორციელ სიტკბოებას და უბიწო და ღვთისმოსავი ცხოვრებით თავისი თავი დმრთის ჭურჭლად მოამზადა.

იოანე დამასკელი ბრძანებს: „ქალწულობა არის ანგელოზთა მოღვაწეობა და უველა უსხეულო ბუნების თვისება... თვით ქრისტე არის დიდება ქალწულობისა, რადგან არა მხოლოდ მამისგან იშვა იგი დაუსაბამოდ, წარუდინებლად და შეუწვილებლად, არამედ მაშინაც, როდესაც ჩვენებრ ადამიანიც გახდა იგი, ჩვენზე აღმატებულად, შეუღლების გარეშე განსხეულდა ქალწულისგან და თვითვე თავის თავში ჭეშმარიტი და სრული ქალწულობა გამოავლინა. ამიტომ, თუმცა მას ჩვენთვის ქალწულობა რჯულად არ დაუდია, რადგან, მისსივე თქმისებრ, „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუად ეგე“ (მათ. 19, 11), მაგრამ საქმით გვასწავლა იგი“ (174, 459).

მარიამ ღვთისმშობლის მიმართ გამოყენებულ სიმბოლოთა მთავარი დანიშნულება ქალწულის უბიწოების, მისგან განკაცებული ღვთის მოვლინების წარმოჩენაა, რასაც არაერთხელ ადასტურებს როგორც წმიდა წერილი, ასევე საეკლესიო და ზეპირი გადმოცემები. ღვთისმშობლის, როგორც ახალი აღთქმის პერსონაჟის წინასახედ ძველი აღთქმის არაერთი სიმბოლო მიჩნეული. ამის გამოსახატავად ჰიმნოგრაფები ხშირად მიმართავენ სახეთა პარალელიზმის პრინციპს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ღვთისმშობლის სახის წარმოსაჩენად.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი სიმბოლო ღვთისმშობლის ქალწულად წარმოჩენას ეძღვნება, საამისოდ უამრავი საინტერესო და ორიგინალური სახეა მოხმობილი, რომელთა ძირი ძველ აღთქმაშია საძიებელი.

ამ მხრივ გავრცელებული ეპითეტებია: დახშული ბჭე, დაუთესველი ქვეყანა, დაბეჭდული წყარო, სამი ყრმა, ცათა უზემთაესი, ქერუბინთა უზემთაესი, უბიწო დედა, უბიწო სძალი, უბიწო ქალწული, უსძლო სძალი, უსძლო ქალწული, უსძლო დედა, უქორწინებელი სძალი, უქორწინებელი ქალწული, დედოფალი, ქალბატონი, უბიწო დედოფალი, ზეცისა სძალი, უქორწინებელი დედოფალი, უხრწელი დედოფალი, უხრწელი დედოფალი, ცათა უზემთაესი, სამოთხე, ზეცის იერუსალიმი, ქერუბინთა მობაძავი, ბუნების წესის შემცვლელი, ორი ბუნების მშობელი;

უსძლო სძალი, უსძლო ქალწული, უსძლო დედა, უქორწინებელი სძალი, უქორწინებელი ქალწული – მაღალ ესთეტიკურ განცდასთან ერთად დვთისმშობლის უბიწოების, მარადქალწულობის გამომხატველია: ქალწულ მარიამის უბერებლობისა და მარადის ქალწულობის საღვთო საიდუმლოსაც გვამცნობენ: „ჩემ თვე დაადგრა ქალწოკლისა საშოსა მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთავ“... (72, 11); „აჲა, ქალწული მიოკდგეს და შვეს მც ენმანოკველ აწ იხარებენ“...; (72, 48). „ქალწოკლმან შვა ძევ, ბოკნებით სწორი მამისამ, რომელმან შეცვალა წყევად კაცთად კოკროხევად და მოგოკცა უკუდავებავ“... (72, 50); „ტაძრისაგან სამეუფოდსა დმრთისა სადგურისა და კიდობნისა მისგან სიწმიდისა, რომლისა სიკეთევ სთნდა მეუფესა პირველ გამოსახულისა დმრთის მგალობელთაგან. დღეს გამოვიდა დმერთი განკაცებული. უმთავრესი ყოველთა მთავრობათავ. საშოსაგან უსძლოვსა ქალწულისა“ (72, 83); „იხარებდ ქალაქო სიონო. განსცხრებოდე და გალობდ. იერუსალიმ. ბეთლემო განემზადე. რამეთუ ვარსკულავი აწ გამოვალს უწყებად შენდა შობასა ქრისტეს დმრთისასა ქალწულისაგან სძლისა უსძლოვსა“ (72, 67); „უქორწინებელო ქალწულო, შენ მიერ იხილვა დღეს ჭორცითა: ვითარცა კაცი და განაღმრთო სრულიად ბუნებად კაცთავ: და მოსავთა თვესთა შემწედ გიწოდა შენ მთით სამხრით“ (72, 62); „დასაბამად ქმნა დმერთმან: ცანი და ქუეყანავ სიბრძნითა გამოუთქმელითა: ხოლო აქა საშოსა შინა უსძლოვსა დედისასა შეიმოსა დასაბამი: ადამის ხატისა თვესისავ“ (72, 139); „უთესლოდ მუცლად იღე და პშევ ძევ უხილავისა მამისავ“... (73, 58); „ფესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო...“ (73, 365); „განგებულებავ ყოველი აღასრულა დმერთმან და ძემან შენმან, ყოვლად უხრწელო, რაჟამს მიიღო ბუნებავ კაცობრივი და ქალწულადვე დაგიცვა განუხრწელად დმრთისა დედაო, ქალწულო უბიწოო“ (152, 161).

**ქალწული.** ქალწულისაგან მესიის, მხესნელის შობის წინასწარმეტყველებას საფუძველი ესაიასთან დაედო: „ამისთვე თვე უფალმან მოგცეს სასწაული თქუენ.

აპა, ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს იე და უწოდონ სახელი მისი გმმანუილ“ (ეს. 7, 14). ამ წინასწარმეტყველებას, რომელიც მათეს სახარებაშიც თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება, ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაშიც ვხვდებით:

„ესაიამან, რომელმან ნაკუერცხალი  
ბაგეთა მისგან შეახო სერაბინმან,  
„ესე რა შობად ქალწული მიუდგეს“, თქვა  
ლამპრებრ მნათობი ღამისათავ, უხრწნელო,  
ოხრით ყურისა მიმართ მორწმუნეთავასა“ (135, 303);

„ესერა გამოვიდა სიტყუად დაუსაბამოდ ჭორცო შესხმული ბჭისა მისგან დაკშულისა, ქალწულისა საშომსაგან, რომელი იხილა პირველ ზეკიელ წინავსწარმეტყველმან და ბჭედ იგი პგიეს ყოვლად განუდებელად. უბიწოდ ბეჭედი ქალწულებისათ, რამეთუ შობილი იგი ღმერთ არს ჭეშმარიტად და მშობელი მისი ღმრთის მშობელად, ყოვლად წმიდად ქალწული, შემდგომად შობისა ძისა და ყოველთა ღმრთისა“ (72, 86).

ანდრია კრიტელი თავის საკითხავში „შობისათჯს ღმრთისმშობლისა“ ქალწულების არსის განმარტებისას მიუთითებს, ეს მოვლენა ტრანსცედენტური, ღვთაებრივი საიდუმლოა, მისტერიაა, რომლის განჭვრება მარტოოდენ გონებით შეუძლებელია, მას რწმენით აღქმა ესაჭიროება: „ბერწოაგან აღმოგაცენა ქალწული უბიწოდ, რომელმან დამკუდრებად ჯერ-იჩინა საშოსა მისსა საკურველად და შემდგომად შობისა დაიცვა ქალწულად“ (47, 144).

ჰიმნოგრაფები თავისი მხატვრული ენისა და დაუშრეტელი ფანტაზიის წყალობით კარგად ახერხებენ წმინდა მარიამის ქალწულობის ჩვენებას და ჩვენამდევ იმგვარი განცდით მოაქვთ, რომ შეუძლებელია არ გახდე მოზიარე მათი ღიდებისა. თქმულის დასადასტურებლად და ნათელსაყოფად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს მათი შემოქმედებიდან:

„და იშვა დედისაგან ჭორცითა უმამოდ“ (73, 49);  
„ემანოველ ჩუენ თანა ღმერთი, იშვა... ქალწულისაგან ჭორცითა და მშობელი თჯსი დაიცვა ქალწულადვე“ (73, 73).

„დასთაებრ გიგალობთ... ოტებულთა შენ მიერ, ქალწულო, ზესთა კურთხეულო!..“  
„ქალწულო უბიწოო!.. უძლურთა შეირტყეს შენ მიერ ძალი!..“  
„იჯსენ ცხოვრებად ჩემი, ღმრთისა დედაო“ (73, 192);

„სიბრძნემან ღმრთისამან ინგბა გარდამოსვლად ზეცით ქუმად, ჯერ-იჩინა დამკუდრებად საშოსა ქალწულისა უბიწოდესა და მისგან ხორციელ იქმნა“ (74, 195);

„ქალწულო და დედაო ქრისტესო“ (73, 149);

„...გიხაროდენ ქალწულო უბიწოო“ (73, 253);

„უმამაკაცოდ მისა მშობელი და კუალად ქალწული

ვითარ-ესე აწ შენგან ვიხილეთ სძალოო,

ყრმად იშვა შენგან ღმერთი და ქალწულად პგიე მარადის“ (73, 205);

„ქალწულმა უთესლოდ მუცლად იღვ... და გვიშევ ანგელოზთა შემოქმედი და შემდგომად შობისა ქალწულადვე პგიე, ამისთვისცა ღირსად გადიდებენ“;

„გიხაროდენ ქალწულო სიქადულო... ქალწულო უბიწოო, შენ დიდებულო ქალწულო“... (73, 205);

„ამისთვის იუო ქალწული

და ხორცქმნაო სიტყვისაო,

რაოთა დედობრივთა ოხათა მიერ

ცხოვნდენ ცოდვილნი“... (49, 200);

„...უხრწენელო ქალწულო... გვრწამს, ვითარმედ

პატივი ხატისა შენისაო შენდამი

წიაღმოვალს, ღმრთისმეტყველთაებრ...“ (49, 204);

„ქალწული, დიდებული

ძლიერი, რომელიცა წმიდა არს მარადის

და წყალობით მომხედა ჩუენ საშომთ შენით“ (72, 65);

„უჟამოდ ძევ ღმრთისაო

აღსასრულსა ჟამთასა

განკაცნა ქალწულისაგან“ (72, 323);

„მწევემსნი იღვძებდით გონიერად და სიხარულით ბეთლემდ მირბიოდეთ ქალწულისა დღეს და მაღალთა ზც ღმერთსა უდაღადებდით, დიდებაო, რომელმანცა ჯერ იჩინა ჩუენ თუს განკაცებაო ქალწულისაგან, რომელსა ვაღიდებთ: ნისლი ცოდვისა ჩუენისაო განაქარვე, რომელიცა საშომსაგან ქალწულისა გამოხუედ, ქრისტე“ (72, 74); „დღეს ბეთლემდ მოვალს ქალწული მუცლად ღებული შობად ყოველთა ღმრთისა...“ (72, 77); „ქალწულო, ვითარ პირველ ჟამთა შობილი ძევ გიტჯრთავს...“ (72, 78); „განაკრძალებდა უბიწო ქალწული იოსეფს და ეტყოდა მას

და ეტყოდა მას“... (72, 78); „ყრმად იშვა დღეს ქალწულისაგან და ძედ მოგუეცა ჩუენ  
ენმანუველ... ქალწულმან იტკრთა წიაღითა და ზრდიდა უბიწოდ სძითა, რომელი  
მზრდელი არს დაბადებულთავ“ (72, 78); „უქორწინებელო სძალო, შენგან შობილმან  
ქრისტემან უდიდებულეს გყო შენ ყოველთა დაბადებულთა ზეცისა და ქუეყანისათა,  
გორცითა რავ იშვა შენგან“ (72, 198); „იხილვა გორცშემოსილი, დაუთესველად  
აღმოცენებული ეკლოვანისაგან ქუეყანისა, ქალწულისა საშოვსა, შუვამდგომელი  
ორთა ბუნებათა შეურწყმელთა“ (72, 293); „აქა ქალწულმან შვა შეუწუველად  
ცეცხლი ღმრთებისავ გორცითა, რომელსა აგრილობდა მაღლით ცუარი  
მაღლისავ“ (72, 301); „ქალწული მიუდგა და გვშვა ენმანუველ, ღმერთი ძლიერი,  
მთავარი საუკუნეთავ, ძევ და სიტყუად მაღლისავ, საკურველი თანამზრახვალი  
მამისა და სულისა წმიდისავ და მშობელი პგიეს ქალწულად საუკუნოდ, რომელსა  
ჩუენ, მორწმუნენი, ვადიდებთ აწ და უკუნისამდე“ (72, 303).

„უძველეს იადგარშიც“ ქალწული რამდენიმე სხვადასხვა ეპითეტთან ერთად  
გვხდება: „ქალწულად დადგრომილი“, „ქალწული“, „ქალწული დედავ“, „ქალწული  
კურთხეული“, „ქალწული უბიწოვ“, „ქალწული შემდგომად შობისა“, „ქალწულები-  
თა უბიწოვ“.

**სძალი** ბიბლიური წარმოშობის სახელია. მას პირველად ძველი აღთქმის ქებათა-  
ქებაში ვხვდებით: „ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო და ბიწი არა არს  
შენთანა. მოვედ, სძალო, ლიბანით. მოვედ ლიბანით“ (ქებ. 7-8).

სძალი, სხვადასხვა ეპითეტთან ერთად, ჰიმნოგრაფიაში ყველაზე გავრცელებული  
მიმართვაა ქალწულ მარიამისადმი. „სძალი უსძლო“ – ამ შესიტყვებით მთავრდება  
დვთისმშობლის დაუჯდომლის ყოველი მუხლი. „უსძლო სძალს“ ხშირად ენაცვლება  
„უსძლო ქალწული“, „ზეცისა სძალი“, „უქორწინებელი სძალი“, „უსძლო დედა“,  
„უბიწო სძალი“ და სხვა. „საიდუმლო გამოუთქმელი დღეს ბეთლემს განცხადნა,  
რამეთუ სიტყუად პირველ დვთის მხილველთავ მას შინა იშვების გორცითა  
უსძლოდსაგან ქალწულისა“ (72, 83); „შევ შენ მამისაგან პირველ საუკუნეთა  
სიტყუად და კვალად დედისაგან უქორწინებელისა სძლისა“ (72, 83); „დღეს იხარებს  
კრებული წინასწარმეტყუელთავ, რამეთუ აღესრულნეს ჯმანი მათნი“... (72, 53);  
„განგადიდა შენ უფალმან, რომელიცა დაემკდრა საშოსა შენსა“... (72, 59);  
„რომელი უხილავ არს ბუნებით ღმერთი, უქორწინებელო ქალწულო, შენ მიერ  
იხილვა დღეს ხორცითა, ვითარცა კაცი“... (72, 61); „დაუსაბამოვ დასაბამიერ იქმნა  
უხრწნელისაგან დედისა დღეს გორცითა“... (72, 65); „სული წმიდავ მოვიდა შენდა,

ქალწულო, და მალი მაღლით გფარვიდა შენ, უსძლოო, საყდრად სიწმიდისად განგმზადა და დედად უხრწნელებისად ჩუენ ყოველთა გუჩინა, ამის თჯს ღმრთის მშობელად აღგიარებთ შენ“ (72, 66); „ღმერთი ჩუენი... უქორწინებელმან გჯშგა ხორცითა ბეთლემს“ (72, 68); „განისუენა შენ ზედა, სძალო, სულმან სიწმიდისამან“... (72, 72); „უწმიდესო ქალწულო და უბიწოდ მშობელო ძისა ნათლისა მის, ნათელთა გამომავლინებელისა“ (152, 140); „გიხაროდენ, უქორწინებელო სძალო, დედაო ყოველთა შემოქმედისა ღმრთისაო, რამეთუ შენ მიერ მოვიდეთ ჩუცნ ყოველთა ნათელი და ლხინება და ვდაღადებთ, რამეთუ არავინ არს წმიდავ შენებრ, კაცომოფუარე“ (152, 195).

მარიამის სძლობა ქრისტეს სიძეობის ანალოგიურია. დვთისმეტყველი მამები იესო ქრისტეს ზეციურ სიძედ მიიჩნევენ. ტრადიციის სათავე წმიდა სახარებაა. იგავებში – საქორწილო ნადიმის შესახებ (მათ. 22, 2-13), მექორწინეების შესახებ (მათ. 9, 15), ათი ქალწულის შესახებ (მათ. 25, 1-12) იესო ქრისტე ნეფედ იწოდება, მის ნადიმში მიწვეულნი კი მექორწინეებად.

სახარების ნადიმი დვთის სასუფეველის ალეგორიაა, ღმერთთან შერთვის, მასთან თანაზიარების სახეა, სადაც მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია, ვინც თავისი მოღვაწეობით ცდილობს ღმერთთან მიმსგავსებას.

მარიამის უსძლოობა მის ზეციურ სძლობას გულისხმობს, ამიტომაც იგი დვთის ნადიმის მარადიული მექორწილეა, თავად ხორციელი ქორწილის არგანმცდელი უქორწინებელი სძალია, რომელსაც დედათა და ქალწულთა შორის პირველს ერგო დვთის ნადიმში მიწვევა.

**დედოფალი/ქალბატონი.** მისი ეს ერთ-ერთი გავრცელებული ეპითეტი პიმნოგრაფებს შესანიშნავად შეუთავსებიათ მის უხრწნელებასთან. უხრწნელება ის პატივია, რომელიც უფალმა მისგან შექმნილ ადამიანს მიანიჭა, მაგრამ „ბოროტების მოთავე ეშმაკის შემოტევით მოტყუებულმა ადამიანმა არ დაიცვა შემოქმედის მცნება, მადლისაგან გაშიშვლებით განიძარცვა მან დვთისადმი გულხსნილობა“ (174, 104). პირველ ადამის შეცოდებით ცოდვა შემოვიდა სამყაროში.

შობილმა მშობელი უხრწნელების პატივით შემოსა, პიმნოგრაფებმა კი „უხრწნელ დედოფლად“ შეამკეს: „ბჭესა დახშულსა და მაყუალსა შეუწველსა და მთასა ლოდის მშობელსა, რომელი იქმნა თავ საკიდურთა, გადიდებთ შენ უხრწნელსა დედოფალსა და ქალწულსა, მითხოვე მისგან შენდობავ რომელი ჰშევ წმიდათა

უწმიდესი“ (72, 62). „დღეს აღიგსო სიხარულითა წმიდად დედოფალი, უქორწინებელი მარიამ“ (72, 272).

ქალწული მარიამი სულიერი დედოფალია ზეცისა და ქუმანისა, იგი ზეციური ქორწილის მონაწილე დედოფალია, ამიტომაც „უქორწინებელი დედა“, „უბიწო დედაა“: „ბუნებათა უზეშთაესმან, უაღრესმან ქერობინთავსა, მარიამ უსძლომან და უქორწინებელმან დედამან აღავსნა სიხარულითა ანგელოსნი და კაცნი უვანუველის შობითა და დღეს მიცვალებითა მის თანა“ (72, 62). „იხარებდ უბიწო დედაო ღმრთისაო...“ (72, 339); „შენ ხარ შემწე ყოველთა, რომელნი შენდა მოილტვიან, წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო ქალწულო, მეოხებითა, მოწამისაო შენისათა გვოხენ აღმსთობილთა შენდამი, ყოვლად უსძლოო, ცხორებად, ვითარცა ხარ დედა ღმრთისა.“ (152, 168); „ერი წილად ხდომილი შენი ქართველნი გაქებთ, დედოფალო წმიდაო...“ (152, 197); „ხრწნილებასა ზესთა-ექმენ, შ დედოფალო ყოვლად წმიდაო, გახრწნილი ესე ცოდვათა სიმრავლითა და ბრალთა ტპრთთაგან თავისუფალ მყავ“... (152, 238); „ისმინე ჩუენი ვედრებაო, დედოფალო წმიდაო, და გვიჯსნენ განსაცდელთაგან, სულიო და ხორციო შენდა შევედრებულნი...“ (152, 241).

მას შემდეგ, რაც ქალწულთა შორის გამორჩეული მარიამი დვთის დედა გახდა, უპვე თავისთავად იქცა ქალბატონად და მფლობელად ყველა მიწიერი და ზეციური ქმნილებისა: „სახელი მარიამი „ქალბატონს“ ნიშნავს (ებრაულად – ო. გ.). ეს სიტყვა კი ქალწულის დირსებასაც წარმოაჩენს და ქალწულებასაც ამოწმებს... დირსების თვალსაზრისით სხვა მიზეზის გამოც წარმოადგენს ქალწული ქალბატონს, – სახელდობრ – როგორც მთავარი ყოველთა ზედა, როგორც ქალწულობაში მუცლადმდებელი და დვთიურად მშობი – ბუნებისდა მიხედვით ყოვლისა სოფლისა მეუფისა. და კიდევ ქალბატონია, არა მხოლოდ როგორც თავისუფალი მონობისაგან და დვთიური მთავრობის თანამონაწილე, არამედ, ასევე, როგორც კაცთა მოდგმის განთავისუფლების წყარო და ძირი. და განსაკუთრებით კი თავისი გამოუთქმელი და სიხარულევანი შობის ძალით“ – განმარტავს წმიდა გრიგოლ პალამა (172, 3).

**საფლავი.** იშვიათად მაგრამ ეს სახე მაინც გვხვდება ჰიმნოგრაფებთან, როგორც დედა უფლისას ერთ-ერთი სახე-სიმბოლო: „შობილი ღმერთი ქალწულისაგან ქალწულმან მან საფლავმან გიტპრთა ჭორცითა, მაცხოვარ, მჯსნელო ჩუენო“ (72, 310); „ვითარცა შენ მხოლოდ დაგიცვა უხრწნელად, ეგრეთვე ბეჭედნი საფლავისანი დაპმარხნა აღუტეხელად, ვითარცა ქალწულებისანი განურყვნელად“ (72, 369);

„შობილი ღმერთი ქალწულისაგან ქალწულმან მან საფლავმან გიტგრთა ხორცითა“.  
(72, 310);

„საფლავმან შეგიწყნარა  
ღმერთი შეუწერელი,  
ნათელი შეუქმნელი“ (72, 329);  
„უკუდავებისა  
მფლობელო, გორცითა მოპტუედ  
და საფლავმან  
შეგიცვა, შეუცავო“ (72, 339).

ჰიმნოგრაფებთან საფლავს ემატება ეპითეტი „დაბეჭდული“, რაც ასევე წმინდა მარიამის ქალწულობის მიმანიშნებელია: „ვითარ დაბეჭდულისაგან საფლავისა უშაველოთა მიერ გამოხუედ სამარით, ვითარცა იშევ ქალწულისაგან“ (72, 315).

**აპრონის კვერთხი.** კაცობრიობის მომავალს უკავშირდება, მის განახლებასა და აღორძინებას მოასწავებს აპრონის კვერთხი, რომელიც დვთის ნებით, აღთქმის კიდობანში იქნა ჩადებული მომავალი თაობებისათვის სამახსოვროდ. აპრონის კვერთხი გამოხატავდა დვთისმშობელს, ხოლო მისგან გამოღებული ყვავილი ქრისტეს ალეგორიულ სახეს მოასწავებდა: „კვერთხი აპრონისი რაო განედლდა, მოგასწავებდა შენ უხრწნელსა მას ნერგსა საღმრთოსა, რომელი აღმოსცენდი იესესგან, უბიწოდა გამოიღე შენ ყუავილად ღმერთი ხორცშესხმული“ (168, 100) – ამგვარ განმარტებას გვთავაზობს ჰიმნოგრაფი. დვთისმეტყველებაში ახსნილია აპრონის კვერთხის მნიშვნელობა.

წმიდა ანდრია კრიტელი კვერთხის სიმბოლოზე საუბრისას ხაზს უსვამს მის შვილიერებას, რადგანაც ყოვლადწმიდა ქალწული ქალწულთა შორის ერთადერთია, რომელიც შვილიერ იქმნა: „გიხაროდენ, კუერთხო, ღმრთივ დარგულო ნერგო, მხოლოდ ყოველთა ქალწულთა შორის შვილიერო, რომელმან თკნიერ თესლისა აღმოაცენე ძე ყოველთა ღმერთი და მდდელომთაგარი“ (166, 109).

გავიხსენოთ აპრონის კვერთხის ისტორია ძველი აღთქმიდან, რომელიც მოთხოვთ რიცხუთა წიგნის მე-17 თავში. როცა უდაბნოში მოგზაურობის დროს ისრაელიანებს შორის ატყდა დავა მღვდლობაზე, დვთის ბრძანებით, მოსემ გამოუცხადა ხალხს, თითოეულ ტომს მოეტანა თითო კვერთხი (ჯოხი) თავიანთი სახელების ზედწარწერით. ჯოხები დააწყვეს მოძრავ ტაძარში. ვისი ჯოხიც განედლდებოდა, ის იქნებოდა დვთისგან რჩეული. მეორე დილით: „შევიდეს მოსე და

აპრონ კარგად საწამებელისა. და, ამა, ესერა, კუერთხი იგი აპრონისი განედლებული იყო სახლსა ზედა ლევისსა, და მოედო უურცელი, და გამოედო ჟუავილი და გამოსცა ნიგოზი“ (რიცხ. 17, 8).

საღვთისმეტყველო სწავლებით, „აპრონის აყვავებული კვერთხი წარმოადგენდა პირველ სახეს: ა) იქსო ქრისტეს უთესლოდ, უქორწინებელი მარიამ ღვთისმშობლისაგან ხორციელად დაბადებისა; ბ) ქრისტეს სხეულებრივი უხრწელებისა; გ) ქრისტეს ეკლესიის აღმდგენელი და გამაძლიერებელი მადლისა“ (91, 387). ასე რომ, აპრონის კვერთხის განედლება სიმბოლურად კაცობრიობის განახლებაზე მიანიშნებს, რაც ქრისტეს მეოხებით გახდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიური სამყარო ამავე დროს იცნობს მოსეს კვერთხსაც, რომლითაც წინასწარმეტყველმა უდაბნოში მყოფ ებრაელებს კლდიდან წყალი აღმოჟცენა. ღვთისმეტყველებაში მოსეს კვერთხის სახეში მარიამ ღვთისმშობელს მოიაზრებენ, კლდიდან გამოსული წყალი კი მაცხოვრის წინასახედაა მიჩნეული. მოსეს კვერთხი ასევე ჯვრის ერთ-ერთ ჰიპოდიგმადაც ითვლება. კვერთხის სიმბოლოს მრავალფუნქციურობა აღექვატურად აისახა სასულიერო პოეზიაშიც: 1) აპრონის კვერთხი წინასახეა მაცხოვრისა: „კუერთხი იესეს ძირისაგან აღმოგვიცენდი შენ ქრისტე“ (168, 40); 2) მოსეს კვერთხი ჯვრის ჰიპოდიგმაა: „სასწაულთა მოქმედი კუერთხი მოსესი სახე იყო ძელისა მის ჯუარისა ცხოველისა, რომელმან შეაძრწუნა ეშმაკი და ჯოჯოხეთი“ (73, 149); 3) კვერთხი მარიამ ღვთისმშობლის წინასახეა: „დავითის ძირთაგან აღმოსცენდი კუერთხი სუფევისად, ქალწულო“ (109, 327).

სშირად ჰიმნოგრაფები მარიამ ღვთისმშობელს მხოლოდ კვერთხად მოიხსენიებენ, რასაც ასევე ქალწულის დავითის ტომისაგან წარმომავლობის გახსენებაც მოჰყვება. ეს გვაფიქრებინებს, რომ კვერთხის სახეში აქაც აპრონის განედლებული კვერთხი უნდა ვიგულისხმოთ, რომლისაგან გამოდებულმა ჟვავილმა სურნელ-ყო მთელი სამყარო.

კვერთხის სახისმეტყველება კაცობრიობის განახლების იდეითაა ნასაზრდოები. ბიბლიური წიგნებიდან აღმოცენებული ეს იდეა ცხოველმყოფელ ხასიათს იძენს ჰიმნოგრაფიაში, სადაც თეოლოგიურ ჭეშმარიტებასთან შეზავებული მხატვრული სიტყვით არაერთხელ არის წარმოჩენილი პირველ ადამიანთა შეცოდების სიმძიმე. სამოთხის დაკარგვით წუთისოფელში შემოსულ ცოდვას გენეტიურად ატარებს კაცთა მოდგმა, რადგან ღვთის ურჩობით უხრწელების სამოსელი შემოექარცვა არა მხოლოდ ადამსა და ევას, არამედ მთელ მათ შთამომავლობას. ეოვლადმოწყალე

დმერთმა სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მხსნელის მოვლინება ჯერ კიდევ სამოთხეშივე ამცნო: „და მტერობა დაგდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა, და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“ (შეს. 3, 158). საუკუნეების შემდეგ კი ქალწულისაგან შობილმა დვთის ძემ, თავად უცოდველმა, ივნო ცოდვილთათვის, რათა „შეიცვალოს კაცებავ იგი ქუეყანით განხრწნილი დაუსაბამოსა მას უხრწნელებასა“ (143, 196). ამდენად, განახლებული კაცობრიობის პირველსახე მაცხოვარია, რის გამოც იგი პიმნოგრაფიაში „ახალ ადამად“, „ადამ მეორედ“ იქნა აღქმული, მისი მშობელი ქალწული კი – „ახალ“ ანუ „მეორე ევად“ (ამაზე კონკრეტულად ვსაუბრობთ შესაბამის ქვეთავში – თ. გ.): „... დმრთისა დედაო, ღირსად სანატრელო წმიდა დედოფალო, ნაშობო ადამ პირველისაო, და დედაო ადამ მეორისაო...“ (109, 835). ცოდვისაგან გათავისუფლება ანუ ძველი კაცის ქრისტესთან ერთად ჯვარცმა წმიდა წერილისეული იდეა: „ესე უწყით რამეთუ ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს ეცუა, რათა განქარდეს ჭორცი იგი ცოდვილისად“ (რომ. 8, 6-6). ძველი კაცის ახლით შემოსვას კი პიმნოგრაფები მარიამ დვთისმშობელს უმადლიან: „ბუნებავ კაცთავ პირველ ცოდვისაგან განხრწნილი განახლდა შენ მიერ, ღმრთისმშობელო, რამეთუ შენ მხოლომან უშევ კაცთა მაცხოვარი ყოველთავ“... (109, 659).

ცოდვით დაცემული ადამიანის პირველსაწყისთან დაბრუნება ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი მიზანია. სწორედ ამისთვის შეისხა ხორცი მაცხოვარმა და აქედანვე იღებს სათავეს კაცობრიობის განახლების იდეა. საგალობელთა შემქმნელები, რომელთა მსოფლმხედველობას ბიბლიური აზროვნება ასაზრდოებს, ყველაზე აქტუალურად ადამიანის არსებობისა და მისი სრულყოფილების საკითხს მიიჩნევენ, რაც, ბუნებრივია, განსაკუთრებულ დირებულებას პმატებს საგალობელთა თემატიკას, ამდიდრებს მას ზოგადსაკაცობრიო იდეებითა და, ამავე დროს, წარმოაჩენს საგალობელთა შემქმნელების მიზანსაც, რომლის არსიც ადამიანთა სასუფეველში დამკვიდრებაა.

**დაწმული ბჭე.** მითოლოგიური წარმოდგენების თანახმად, შეცნობისა და ფლობის ერთ-ერთ უნივერსალურ სიმბოლოდ იქცა კარიბჭე, რომელსაც სახეობრივი დატვირთვა აქვს სახარებაში: „მე ვარ კარი, ჩემ მიერ თუ ვინმე შეგიდეს ცხონდეს“ (იოან. 19, 7-10). აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლურ ტაძარში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღსავლის კარს, რომელიც საკურთხევლის სიმბოლიკის თანახმად, ზეციური სასუფევლის კარიბჭეს წარმოადგენს.

კარის (კარიბჭის) სიმბოლური დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია სხვადასხვა ეთნო-კულტურებში. უძველესი წარმოდგენებით, სწორედ კარიბჭის მეშვეობით ხდებოდა ერთი სამყაროდან მეორეში გადაადგილება, ანუ ამქაუნიური ცხოვრებიდან მიღმურ სამყაროში აღმოჩენა. „საკრალური კარის არათუ უნებლიერ გაღება, არამედ მიახლო-ვებაც კი საბედისწერო ხდებოდა მათვის, ვინც წინასწარ არ იყო სათანადოდ მომ-ზადებული ამ ქმედებისათვის“ (4, 100).

ბიბლიური შეხედულება დახშულ ბჭეზე ეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვას დაუკავშირდა: „და მომაქცია მე გზისა მიმართ ბჭისა წმიდათავსა გარეშისა, რომე-ლი ჰედავს აღმოსავალთა მიმართ, და იგი იყო დაკშული და ოქუა ჩემდამო უფალმან: ბჭე ესე დაკშულ იყოს, არა განედოს და არცა ერთი ვინმე განვიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაილისად შევიდეს მის მიერ, და იყოს დაკშულ“ (ეზეკ. 22, 1-2). ეკლესიის დიდი მამა, წმიდა იოანე ოქროპირი, ამ სიმბოლოს შემდეგ-ნაირად განმარტავს: „და ეზეკიელ დაკშული ბჭე იხილა, რომელი არავინ გავლო, გარნა ღმერთმან, და დაკშულივე ჰგიეს“ (125, 159), ე.ი. დახშული ბჭე ქალწულ მარიამს მოასწავებდა, რომელიც შობის შემდეგაც ქალწულად დარჩა, ისევე, როგორც ბჭე დარჩა დახშულად ღვთის გამოსვლის შემდეგ. ამდენად, დახშული ბჭე მარიამ ღვთისმშობლის ერთ-ერთი ჰიპოდიგმაა. საღვთო მოვლენათა განმადიდებელ ჰიმნოგრაფებს ქალწულისაგან მაცხოვრის ხორციელად შობის საიდუმლოს გად-მოსაცემად არაერთხელ მიუმართავთ ამ სიმბოლოსთვისაც: „ესერა გამოვიდა სიტ-ყუად დაუსაბამო: ჭორცშესხმული ბჭისა მისგან დაკშულისა ქალწულისა საშო-ვსაგან, რომელი იხილა ჰირველ ეზეკიელ წინასწარმეტყუელმან და ბჭევ იგი ჰგიეს ყოვლად განუდებელად“ (72, 86); „გითარცა ბჭესა დახშულსა... გევედრებით შენ“. (72, 62) დაკშული ბჭისგან, ანუ მარიამისგან გამოსული მაცხოვარი არის „სრული ღმერთი და სრული ადამიანი, ჰეშმარიტი ღმერთი და ჰეშმარიტი ადამიანი – იგივე სხეულისა და გონიერი სულისაგან“ (121, 125), ამიტომაც დახშული ბჭე ჰიმნოგრაფთა ქების ხშირი ობიექტია: „გიხაროდენ ბჭეო აღმოსავალისაო დაკშუ-ლო“ (72, 492). თეოლოგთა შეხედულებით, დახშული ბჭე, ამავე ღროს, სასუფეველ-ში შესვლის საშუალებადაცაა აღქმული, რადგანაც სასუფევლის კარი მისგან გამო-სულმა მაცხოვარმა გაუდო ადამიანებს. ჰიმნოგრაფთა ყურადღების მიღმა, ბუნებრი-ვია, არც ეს მოვლენა დარჩენილა. „ნევმირებულ ძლისპირნში“ მარიამ ღვთისმშობელი „ზესკნელს ცათა ბჭედაა“ წოდებული: „გიხაროდენ, მარიამ ღირსო ბჭეო ზესკნელს ცათაო...“ (109, 831). ქალწული მარიამი „ზესკნელს ცათა ბჭე“ ანუ

სასუფელის სახეა, რომელიც, ქრისტიანული გაგებით, ადამიანთა საბოლოო სამკვიდრებლად, ანუ მარადიული სიცოცხლის ადგილადაა მიჩნეული.

**დაკრძალული ტაძარი.** „დახშული ბჭისაგან“ გამოსული მაცხოვარი ჰიმნოგრაფს „ტაძრისაგან დაკრძალულისა“ გამოსულადაც აღუქვამს და ქალწულის ქება ასე გადმოუცია: „ტაძრისა დაკრძალულისაგან და ყოლად შეუგალისა კაცთა მიერ გამოვიდა კაცი სრული გემოვნებითა სიტყუა ღმრთისავ განკაცებული და ვითარცა შესლვასა არავ განედო, აგრეთვე გამოსლვასა არავ აგრძნა დედობრივმან ბუნებამან, და არცა ქალწულებამან, რამეთუ ჰფარვიდა მას ზეცით ძალი მაღლისავ და აწ აქუს მადლი ოხებად წინაშე ღმრთისა სულთა ჩუენთათუს“ (73, 182).

„დაკრძალული ტაძარი“ ღვთისმშობლის უბიწოებას გამოხატავს, რაც სულიწმოდის მადლით განხორციელდა. სულიწმიდამ ქალწული განწმიდა, რის შემდეგაც იგი შეიქნა სიწმიდემიმადლებულ, სულთმოფენილ, ღმრთებრივ ქალწულად. ამ ევანგელიურ სწავლებაზე დაყრდნობით წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელში იოანე მინჩხი ქალწულ მარიამს „სულიერ საყდრად“ მოიხსენიებს: „სულმან წმიდამან აღაშენა საყდარი ღმრთისა სიტყვსავ სულიერი ქუეყანასა ზედა“ (73, 340).

**დაუთესველი ქუეყანა.** ღვთისმშობლის პირველ იპოდიგმად შესაქმისეული მიწა უნდა მივიჩნიოთ. ბიბლიის დასაწყისში, მოსეს მიერ სამყაროს შექმნის თხრობისას, წმიდა ეკლესია და ღვთივგანბრძობილი მამები ქალწულ მარიამზე მითითებას პოულობენ პირველყოფილ, ქალწულებრივ მიწაში. ეს მიწა, მართალია, არ იყო დამუშავებული ადამიანის ხელით და მორწყული წვიმით, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღმოგვიცენა გასაოცარი ნაირგვარობა ბალახებისა და ხეებისა, და მისგანვეა შექმნილი თვით სხეული ადამიანისა. „როგორც პირველშექმნილმა ადამმა, – ამბობს წმიდა ირინეოს ლიონელი – მიიღო სხეულის შემადგენლობა სუფთა, ჯერ კიდევ ქალწულებრივი მიწისაგან და გამოისახა ღვთის ხელით, ამგვარადვე, ღვთის სიტყვით, ღმერთის სიტყვის ხორცშესხმისას – განმეორდა იგივე. სიტყვა – ღმერთმა, ახალმა ადამმა, კეთილ ინება და დაიბადა მარიამისაგან, რომელიც არის ქალწული“ (65, 20). როგორც ამ დაუმუშავებელმა მიწამ გამოიღო ნაყოფი საკვირველი, მომნიჭებული უკვდავებისა, ასევე ქალწულმა უთესლოდ შვა ღმერთკაცი. ცისა და მიწის სასწაული ქების უმთავრეს საგნად იქცა სასულიერო პოეზიაში, ღმერთკაცის მშობელი ქალწული კი „დაუთესველ ქუეყანად“ იქნა წოდებული, რასაც არაერთხელ იმეორებენ ჰიმნოგრაფები: „დაუთესველსა ქუეყანასა ნაყოფი უკუდავებისავ აღმოცენებუ-

ლი“ (72, 399) და რომლის ნათელ განმარტებასაც იოანე დამასკელი გვაძლევს: „ქვეყნად სახელ-ედების, რამეთუ თუნიერ თესლისა ნაყოფად გამოიღო გამომზრდელი ყოველთაც“ (166, 105). „დაუთესველი ქუეყანაის“ ანალოგითაა მიღებული „დაუთესველი ყანა“, რომელსაც „დაუთესველი დელე“, „საღმრთო დელე“ ან „სიწმიდის ქუეყანა“ ენაცვლება: „გადიდებო და გაკურთხებო და გაქებო სახელსა შენსა, დაუთესველი ყანავ, აღმომაცენებლად იფქლისა“ (73, 205); „ვითარმედ გხადოდით შენ, მარიამ, ... დელედ საღმრთოდ“ (73, 227); „აჟა ესერა ქუეყანისა მისგან სიწმიდის აღმოსცენდა დაუთესველად საზრდელი სულიერი და სამეცნიეროსაგან ვენაჭისა მოვისთულეთ ტევანი“ (73, 89). იფქლი და ხორბალი წმინდანთა გამომხატველი სახეებია, რომლებიც ბიბლიურ-პატრისტიკულ მწერლობაში სახარებიდან შემოვიდა. უფლის მიერ თავის საუნჯეში მათ ერთად შეკრებაზე კი მათეს სახარება გვამცნობს: „შეკრიბოს იფქლი თუსი საუნჯესა“ (მათ. 3, 12). როგორც ცოდვით მოცულ მიწას სჭირდება მადლის გამრავლება, ისე მარიამ დვთისმშობლისგან გამოღებულმა ნაყოფმა მადლით დაატკბო ადამიანთა სულები და უკვდავება მიანიჭა ყველას, ვინაც იგემა იგი. ამიტომაცაა, რომ პიმნოგრაფები მარიამ დვთისმშობელს იფქლის, ანუ მორწმუნეთა კეთილი ნაყოფის გამამრავლებლად მიიჩნევენ, რაც არაერთხელ გამოხატეს კიდეც ძლისპირებსა და დვთისმშობლისანებში: „...ქუეყანად პურიელად, რომლისაგან მოვიდეთ საზრდელი უკუდავებისაც“ (109, 271). წმიდა წერილიდან საღვთო ატრიბუტად ცნობილი პური ამ შემთხვევაში მარიამ დვთისმშობელს წარმოაჩენს ნაყოფიერად, მისგან გამოღებულ ნაყოფს კი – უკვდავად.

ბიბლიურ-პატრისტიკულ მწერლობაში „ქვეყნის“ სინონიმებია: მამული, მსოფლიო, ხმელი, მხარე, მიწა, სამკვიდრებელი. უნდა აღინიშნოს, რომ პიმნოგრაფებს იგი ყველა ამ მნიშვნელობის შენარჩუნებით გამოუყენებიათ, რის ნათელსაყოფადაც რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ „ნევმირებული ძლისპირნიდან“, სადაც ქუეყანა ნიშნავს: ა) სამყაროს, დედამიწას: „...ვითარცა კაცი ქუეყანასა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა“ (109, 257); ბ) კონკრეტულ, გეოგრაფიულ ტერიტორიას (ამ შემთხვევაში ეგვიპტეს): „...და მოსცნა მას სასწაულნი საღმრთონი ქუეყანასა ეგპტისასა...“ (109, 351); გ) ცოდვით სავსე წუთისოფლის გამომხატველად კი პიმნოგრაფებს „ეკლოანი ქუეყანა“ დაუსახავთ, რომელზეც ქალწულისაგან უთესლოდ შობილი მაცხოვარი „კაცთა შორის იქცეოდა“: „...აქა დდეს სიმდაბლით გამოჩნდა ეკლოანისაგან ქუეყანისა“ (109, 257). „ეკლოანი ქუეყანის“ მნიშვნელობის

სწორად ასახსნელად წმიდა წერილს მივმართოთ: მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად შესცოდა სამოთხეში, განრისხებულმა უფალმა ის გამოაძევა ედემიდან: „წყეულ იყავნ ქუჟანა საქმეთა შინა შენითა, მწეხარებით სჭამდე მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა, ეკალსა და კუროვსთავსა აღმოგიცენებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა“ (შეს. 17, 18). აქედან გამომდინარე, ცოდვის შედეგად გაჩენილი ეკალი სასულიერო მწერლობაში ბოროტების, მწვალებლობის, მტრობის სიმბოლოდად მიჩნეული, ხოლო „ვარდი ეკალთა შორის“ მოწამეთა გავრცელებულ სახეს წარმოადგენს.

ზემოთ მოხმობილი სიმბოლოები ის სახეებია „რომლისა ზედა არაოდეს აღმოწდა ეკალი ცოდვისად და უფროვსად წინააღმდეგომად ამისსა პირველ აღმოცენებულნი ეკალნი პირველისა მისგან ქუჟანისა განაპფხურნა ნაყოფმან მისმან“ (166, 105).

**საწმისი.** ეს სახე პიმნოგრაფთა მიერ სწორედ დედა დვთისას ქალწულობის გადმოცემას ემსახურება: „გიხაროდენ საწმისო გედეონის ქადაგებულო“ (72, 492). საწმისის სასწაულში დაფარული დვთისმშობლის უბიწო შობის საიდუმლო საგალობელში სათანადოდ არის კომენტირებული: „ითხოვა ღმრთისაგან სიბრძნე გედეონ სასწაულად, რავთამცა გულისვმა-ყო შენგან შობავ, ქალწულო, და უჩუენა ღმერთმან საიდუმლო ესე: თუნიერ ჰაერისა წკმავ საწმისსა ზედა, ზეცით შენდა მდუმრიად ცუარი ცხორებისავ“ (109, 595). „წვიმად საწმისად გარდამოსული პირველ რაჟამს იხილა გედეონ გუაუწყა ჩუენ შობისა შენისა, საიდუმლო სბალო“ (72, 63).

საწმისი დვთისმშობლის იპოდიგმური სახეა, რომლის შესახებაც მსაჯულთა წიგნი მოგვითხრობს. ებრაელი ხალხის მეხუთე მსაჯულმა გედეონმა, მოისმინა რა ანგელოზისაგან ნება დვთისა – წასულიყო და გაეთავისუფლებინა მამული მადი-ამელთა ძალაუფლებისაგან, ისურვა მიედო მინიშნება დასამტკიცებლად იმისა, რომ ამ საქმეზე არის კურთხევა დვთისა. ღმერთმა გედეონს უთხრა, რომ კალოზე მატ-ულის საწმისს დადებდა. თუკი მასზე ცვარი აღმოჩნდებოდა და მიწა კი მშრალი იქნებოდა, მაშინ გედეონი უფლის შეწევნით იხსნიდა ისრაელს მტრისაგან. განთიადი-სას გედეონმა გაწურა საწმისი და ფიალა წყლით აავსო, მაგრამ მიწა იყო მშრალი. გედეონმა არ იკმარა ეს მინიშნება და ღმერთს კიდევ სთხოვა, მიწა ყველგან ყოფილიყო ცვრიანი, ხოლო საწმისი მშრალი დარჩენილიყო. ღმერთმა ეს თხოვნაც შეუსრულა და გედეონმაც შეძლო მტრის დამარცხება (მსაჯ. 6, 36-40).

ამ მოვლენის მნიშვნელობა არაერთხელაა განმარტებული ეპლესის მამათა და თეოლოგთა მიერ: „გიხაროდენ, საწმისო, გედეონის მიერ გამოსახულო, რომლისა მიერ განგებულებით განვენითა გამოიწურა ცუარი უპუდაგებისათ ახოვნებით მომასწავებელი იგი ძლიერებისა თჯსისათ უცხოდთა მით სასწაულითა, რომელმან-იგი თქვა: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე გსძლევ სოფელსა“ (166, 113). მათივე შეხედულებით, მიწა რჩეულ ხალხად არის აღქმული, საწმისი კი ყოვლადწმიდა დვთისმშობლის სიმბოლოა. როცა ებრაელები და, ზოგადად, სხვა ერის წარმომადგენლები, სულიერად მშრალი და გამხმარი იყვნენ ცრურწმენისაგან, ყოვლადწმიდა ქალწული ისე-ვე იყო მორწყული დვთის მადლით, როგორც საწმისი – ცვრითა და ნამით.

უძველეს იადგარში მარიამ დვთისმშობელი ზეციური წვიმის საწმისად არის მიჩნეული: „შენ ზეცისა წვიმისა წმიდისა საწმისო“ (142, 439). თეოლოგიური თვალსაზრისით, საწმისის ბიბლიურ სასწაულში უძველესი არქეტიპის კვალი შეიძლება შევნიშნოთ. ადამიანთა წარმოდგენებით, ნამი ასოცირებული იყო გარიუბაჟთან, სულიერ გაცისკროვნებასთან, ზეგარდმო კურთხევასთან. იგი სიჯანსაღის, სიწმიდის, სიყვარულისა თუ ზეციური მადლმოსილების სიმბოლოდ აღიქმებოდა. „ინდუიზმში ნამი დვთაებრივი სიტყვის მეტაფორაა. ძველებრაჟული წარმოდგენებით, „სინათლის ნამი“, რომელიც სიცოცხლის ხიდან ორთქლდება, მკვდრეთით აღდგომას განასახიერებს, ქრისტიანულ სიმბოლიკაში კი „ცის ნამი“ სულიწმიდის მიერაა ბოძებული, რათა გააღვივოს და ააღორძინოს გახევებული სულები“ (5, 4). გედეონის საწმისში დაფარული ცვრისა და წვიმის არქეტიპი უძველესი წარმოდგენების გამოხატულებაა, რომელიც ბიბლიაში დვთის საიდუმლოს ხილვის ერთ-ერთ საშუალებადაა აღქმული.

საწმისის პიპოდიგმა სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. ქალწულის შობის საიდუმლოსთან ერთად, მას ქრისტეს ნათლისდების საიდუმლოც უტვირთავს: „საწმისსა მას, სავსესა ცუარითა, პედვიდა გედეონ გამოჰსახვიდა ქრისტეს ნათლის დებასა და დადადებდა: დიდებად ძალსა შენსა, უფალო“ (72, 231).

აკაკი ბაქრაძის აზრით, ძველი აღთქმის ამ ეპიზოდში ტრადიციული სქემაა გამოსახული: „დმერთი – საწმისი – ცვარი“. როცა გავიხსენებთ ქრისტიანული რელიგიის მოდელს: ღმერთი – ღმრთისმშობელი – ქრისტე, მაშინვე გასაგები გახდება, რომ საწმისი წმიდა მარიამის სიმბოლოა, ხოლო ცვარი – ქრისტესი. ასეც გადადის ეს სიმბოლოები პიმნებში, სადაც ცვარი ლოგოსია, ანუ ღმერთის სიტყვა, საწმისი კი მისი ხილვის საშუალება, ანუ ღმრთისმშობელი“ (27, 79).

ამრიგად, გედეონის საწმისი პიმნოგრაფიაში ორი მნიშვნელობით გვხვდება: ერთ შემთხვევაში იგი დვთისმშობლის შობის მაუწყებელია (რაც უფრო ხშირად არის გამოხატული საგალობლებში), მეორე შემთხვევაში კი – მაცხოვრის ნათლისღების გამომხატველი. ნამით გაედენთილი მიწა კი ალეგორიულად ქალწულ მარიამის უბიწოებაზე მიანიშნებდა (65, 31).

**სამი ყრმა** – ებრაელების ბაბილონში ტყვეობის დროს დვთისმშობელი სიმბოლურად გაცხადდა სამი ყრმის სახეში. სამი დვთისმოყვარე ყრმა – ანანია, აზარია და მისაელი ჩაგდებულ იქნენ გახურებულ ღუმელში იმის გამო, რომ თაყვანი არ სცეს უსულო კერპს. თუმცა, დვთის ძალამ უვნებლად დაიცვა ისინი (დან. 3). წმიდა მამათა განმარტებით, ეს ყრმები გამოხატავდნენ დვათაებრივი ცეცხლისაგან ყოვლადწმიდა დვთისმშობლის დაუწველობას (65, 32). ბიბლიის ეს ეპიზოდი არც პიმნოგრაფებს დარჩენიათ ყურადღების მიღმა: „საკპრველი საკპრველებათავ აჩუენე დმრთისა სიტყუაო, სამთა ყრმათა შორის საკუმილსა შინა, რამეთუ ალისაგან აცურიე ცუარი უბიწოდთა მით, სისხლითა შენითა ქრისტე, სესწუენ ჯოჯოხეთისა საფუძველნი და ცხოველსმყოფელი წყალი ასხურე წარმართო“ (72, 172-173); „წარმოტყუენა ჯუარს ცუმულმან ჯუარითა ჯოჯოხეთი და შეწუა დმრთებისა ცეცხლითა და იგსნა ადამ ბნელისაგან, ვითარცა პირველ სამნი ყრმანი საკუმილისაგან“ (72, 282).

როგორც სამი ყრმა გადაურჩა ცეცხლის სიმხურვალეს, ასევე დვთისმშობელი, დვთაებრივი ცეცხლის ანუ ქრისტეს შობის შემდეგაც, დარჩა ქალწულად: „სიწმიდით აღეგზნა ცეცხლი დმრთებისავ მიუახლებელი ბრძმედსა მას შინა უბიწოსა საშოსა ქალწულებისასა და უვნებელად დაიცვა მშობელი თვესი, ვითარცა სამნი ყრმანი ბაბილონს საკუმილსა მას შინა“ (72, 198); „მ სასწაული, რომელმან საკუმილსა დაიცვნა სამნი ყრმანი შეუწუველად, მანვე დაიცვა უბიწო მშობელი თვესი ყოლად ქალწულად, რაუამს განტორციელდა საშოსა მისსა უთესლოდ სიტყუა დმრთისავ“ (135, 308).

მველი აღთქმის ეს პიპოდიგმა ახალ აღთქმაში ქალწულისაგან მაცხოვრის შობის საიდუმლოში გაცხადდა და პიმნოგრაფთა განდიდების საგნად იქცა: „ყრმანი ბაბილონს შეუწუველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაუამს შენგან იშვა ცეცხლი დმრთებისავ და დაგიცვა შენ უვნებლად და უბიწოდ“ (168, 52);

ანანია, აზარია და მისაელი მარიამ ღვთისმშობლის წინასახედაა მიჩნეული: „სიწმიდით აღეგზნა ცეცხლი ღმრთეებისად მიუახლებელი ბრძმედსა მას შინა უბიწოსა, საშოსა ქალწულებისასა და უგნებელად დაიცვა მშობელი თჯი ვითარცა სამნი ყრმანი ბაბილონს საკუმილსა მას შინა“ (72, 198); „იქმნეს სახე შობისა ქალწულისა სამნი ყრმანი ღმერთშემოსილნი წარტყუენულნი სიონით ანანია, აზარია და მისაელ, რომელნი არავ შეწუნა ცეცხლმან. ეგრეთვე უგნებელად უგო ქალწული შემდგომად შობისა“ (72, 252).

იონა წინასწარმეტყველი. მელი აღთქმის პერსონაჟთაგან ღვთისმშობლის ერთ-ერთ წინასახედ იონა წინასწარმეტყველიც არის მიჩნეული. ვეშაპის მუცელში სამ დღეს დაფლული იონა ლოცულობდა და ღმერთს გადარჩენას ევედრებოდა. ღმერთმა ისმინა მისი და ვეშაპმა გამოაგდო ხმელეთზე (იონ. 2).

ვეშაპის მუცელი ჰიმნოგრაფებს ღვთისმშობლის მუცლისათვის შეუდარებიათ და მათ შორის პარალელის გზით ქალწულის ქება აღუვლენიათ: „ორთა მუცელთა ბუნებანი შეცვალეს ვეშაპისამან და ქალწულისამან დღეს: რამეთუ პირველ უხრწნელად დაჰმარხა მუცელმან ნაყოფი: ხოლო აქა მუცელი დაიცვა ნაყოფმან: იგი სახლ იყო ამისა: რამეთუ ქალწულად ჰგიეს ქალწული“ (168, 5). როგორც ვეშაპის მუცელი არის იონას უგნებლად შემნახველი, ასევე, ქალწულის მუცელი უხრწნელი რჩება ქრისტეს შობის შემდეგაც: „უზემთაესად ბრძენთა სიბრძნისა და სიტყვისა აღემატა ქალწულებით შობად შენი და შემდგომად შობისა კუალად ქალწულებად. რაჟამს ძემან შენმან შეცვალნა ბუნებითნი იგი შობისა წესთა სრბანი, დაგიცვა ღმრთეებისა ცეცხლმან უხრწნელად, ვითარცა იგი იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა“ (72, 299). „იონას ხსნა განმეორებადი, მარადიული აქტია. ამ ხსნას ევედრება ქრისტეს დაუსრულებლივ ყველა ჰიმნოგრაფი“ (29, 80). ბიბლიის კომენტატორთა და მეცნიერთა აზრით, იონა, ამავე დროს, ქრისტეს წინასახეცაა. ვეშაპის მუცელში წინასწარმეტყველის ყოფნა მოასწავებდა იესო ქრისტეს სამდღე სიკვდილს, დაფლვასა და აღდგომას: „იონა წინასწარმეტყველი, რომელიც ბიბლიის მიხედვით ვეშაპის მუცელში იყო სამი დღე-დამე, ამით ვითომც მოასწავებდა საფლავში ყოფნას სამი დღის განმავლობაში“ (76, 289). ვეშაპის მიერ იონას შთანთქმის ეპიზოდში ალეგორიულად ცოდვის მორევში ჩაფლობა მოიაზრება, მაგრამ ღვთისადმი რწმენას შეუძლია ადამიანი გაათავისუფლოს ცოდვისაგან. ღმერთმა იონა გამოიყვანა ვეშაპის მუცლიდან. ამ ეპიზოდში ადამიანის მეორედ დაბადების ალეგორია ჩანს, რაც აკაკი ბაქრაძის მოსაზრებით, „უშუალოდ უკავშირდება ქრის-

ტიანობის ერთ-ერთ ძირითად იდეას – „აღდგომას“ (27, 96-97). სიკვდილი და აღდგომა ადამიანთა უძველეს წარმოდგენებშიც არსებობდა, მაგრამ ქრისტიანობამ მათ სხვა დატგირთვა მიანიჭა. ქრისტეს აღდგომამ სიკვდილი საბოლოოდ დაამარცხა, ადამიანთა მოდგმა ცოდვისაგან გაათავისუფლა და ღმერთთან დაბრუნების საშუალება მისცა, რაც ალეგორიულად აისახა გეშაპის მუცელში სამ დღეს მყოფი ოონას სახეში.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში დვთისმშობლის მარადქალწულობას გამოხატავს ასევე შემდეგი სახე-სიმბოლოები: დაუჭკნობელი ყვავილი, დახშული მტილი, შეუვალი მაღნარი, შეუწველი მაყვალი, სანთელი, დაბეჭდული წყარო, ვარდი, მთვარე და ა.შ. რომელთა შესახებაც სხვადასხვა ქვეთავებში ვსაუბრობთ კატეგორიების მიხედვით.

როგორც ნათლად გამოჩნდა, ქართული ჰიმნოგრაფია იმ სახელებს მიმართავს დვთისმშობლის ქალწულობის გამოსახატავად, რომლებიც წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, დვთისმეტყველთა შრომებშია განმარტებული. დვთისმეტყველება მისტიურია, საღვთო საიდუმლოა მასში ჩაღებული. ჰიმნოგრაფია კი ცდილობს საიდუმლოს გაცხადებას სიტყვით. ამიტომაცაა იგი ასე მდიდარი სიმბოლოებით.

საგალობლების სახისმეტყველებისა და თემატური ასპექტების შესწავლის შედეგად აშკარად გამოიკვეთა ის გზა, რაც დვთისმშობლის ქალწულობის აღმნიშვნელმა სიმბოლოებმა გაიარა ძველი აღთქმიდან ქართულ ჰიმნოგრაფიამდე.

## 2. დვოისმშობელი – მაცხოვრის დამტევნელი „ჭურჭელი“

მარიამ დვოისმშობელზე მიმანიშნებელ სიმბოლოთა რიცხვი ძალიან დიდია და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მან მოგვივლინა კაცობრიობის მხსნელი, ჩვენი ცოდვების საგუთარ თავზე მტგირთველი მაცხოვარი. აქედან გამომდინარე, დვოისმშობლის მიმართ გამოყენებულ სიმბოლოთა მთავარი დანიშნულებაა, წარმოაჩინოს ქალწულის უბიწოება, მისგან განკაცებული დვოის მოვლინება, რასაც არაერთხელ ადასტურებს როგორც წმიდა წერილი, ასევე საეკლესიო და ზეპირი გადმოცემები.

ამ ქვეთავში ჩვენ გავაერთიანეთ ის სიმბოლოები, რომლებიც ქართულ პიმნოგრაფიაში უშუალოდ მიუთითებენ დვოისმშობელზე, როგორც მაცხოვრის დამტევნელსა და მტგირთველზე. ასეთებია: ცა, ბეთლემი, მთა, კიდობანი, სასანთლე, ეტლი, სასაკმევლე, ტაკუკი და სხვა. რომელთაც მხოლოდ სიმბოლურად თუ დაგასახელებთ უფლის დამტევნელად, თორემ მაცხოვრის დამტევნელი ვერანაირი ადგილი ვერ იქნება, რადგან ის თვითონაა ყოვლისმომცველი, რისი დასტურიცაა ეფრემ მცირისეული სიტყვებიც, რომელმაც ღმერთის ადგილი ასე განმარტა: „ადგილ ღმრთისა ოდესმე ცავ ითქუმის და ოდესმე ეკლესიად და ოდესმე ქალწული, რამეთუ ამათ ყოველთა მიერ ცხად არს, ვითარმედ არც ერთსა ადგილსა მიერ გარეშეცვულ არს იგი, არამედ ყოველსა მას მხოლოსა შეუცავს“ (150, 83). როგორც ნესტან სულავაც მიუთითებს „ღმერთის ადგილად სიმბოლურად იწოდება ცა და ეკლესია, ხოლო ქრისტეს, მე ღმერთის განკაცების შემდეგ ქალწული დვოისმშობელი იწოდება ადგილად, ე. ი. ცად და ეკლესიად“ (135, 78).

რაკი იესო ქრისტე მარიამ დვოისმშობლის წიაღში განსხეულდა, ამიტომ დვოისმშობელი საღვთისმეტყველო მწერლობაში სიმბოლურად იწოდება ზემოთ დასახელებულ სახელებად, რომელთა გენეზისს კვლავ წმინდა წერილამდე მივყავართ. თითოეული ეს სახე წინასწარმეტყველურად გაცხადებულია ძველ აღთქმაში. ძველი აღთქმისეული ხატი, სახე გვევლინება ახალი აღთქმის მოვლენის ჰიპოდიგმად. ახალი აღთქმის სახეებისთვის ეს ჰიპოდიგმები უცვლელია, სტატიკურია, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ ასევე სტატიკურად აღვიქვათ ახალი აღთქმისეული სახეებიც. ჰიმნოგრაფები კი მხატვრულ სახეთა სისტემის უკვე არსებულ შედეგებს იყენებენ, თუმცა მხატვრული სიტყვისა და საკუთარი ფანტაზიის წყალობით ახერხებენ ამ სახეების ორიგინალურად მიტანას მკითხველამდე.

ცა. ცა ადამიანის თვალსაწიერის უკიდებანობის უნივერსალური სიმბოლოა, ის რელიგიათა და ეთნოკულტურათა უმრავლესობაში ზეგარდმო არსებათა სამყოფს წარმოადგენდა. ასევეა ბიბლიაში (ფს. 19, 4; მათ. 5, 34; დაბ. 49, 25; გამ. 16, 21). ბუნებრივია, რომ ციო სიმბოლიზებულია ყოველივე ღვთაებრივი, მიუწვდომელი, უსასრულო. ანტიკური წარმოდგენებით, ისევე, როგორც ადრეულ იუდაიზმში, გარდაცვლილთა სულები მიწისქვეშეთში ბინადრობენ, მხოლოდ გვიანდელ იუდაიზმსა და ქრისტიანობაში უცოდველთა სულებმა ზეცაში გადაინაცვლეს. „ადამიანის სივრცითი ორიენტაციის უძირითადესმა ნიშნულმა „ზე-ქვეშეთისა“ წარმოშვა ეთიკური დუალისტური სისტემა, რომლის მიხედვითაც, ამაღლებული და ზეციური დაუპირისპირდა მდაბალსა და მიწიერს“ (5, 117). ცა ხშირად ღვთის მეტაფორულ სახელად იყო მოხსენიებული (ილია ჭავჭავაძის პოეტურ თქმაშიც – „მე ცა მნიშნავს და ერო მზრდის მიწიერი – ზეციერსა“ – „ცა“ ღვთის მეტაფორაა). ამასთან დაკავშირებით საინტერესო დასკვნას გვთავაზობს ვიქტორ ნოზაძე: „მარტივ თუ განვითარებულ რელიგიებში... ცას დიდი ადგილი უკავია და ძალიან ხშირად ცა ღმერთობა არის გაიგივებული და გათანასწორებული. რადგანაც ღმერთი ცაშია, ცა ღვთის სამყოფელოა, ამიტომ თვითონ ცა წარმოდგენილია ვითარცა ღმერთი და მის ნაცვლად ხშირად იხმარება; ყველა რელიგიაში რწმენის სიღრმე და პატივი მორწმუნეს უკარნახებდა ღმრთის სახელი არ წარმოეთქვა. ამ ნიადაგზე შექმნილია სხვადასხვა სახელი ღმრთისა – მეუფე, უფალი, ბატონი, უზენაესი, მეუფე ცათა, ცა მწყალობელი და სხვ. (113, 48).

არც პიმნოგრაფთათვის ყოფილა უცხო ეს სახე. მათ ქალწულის აღმატება და სიდიადე ცის სიმბოლოთიც გადმოუციათ. თეოლოგიური შეხედულებით არსებობს ორი ცა: ხილული ანუ მატერიალური და უხილავი ანუ ტრანსცენდენტური, რომელთა შესახებ განმარტებას თეოლოგთა და მეცნიერთა ნაშრომებში ვპოულობთ. ხილული ანუ მატერიალური ცის შესახებ შესაქმის პირველსავე თავებშია მოთხოვილი. წმიდა ბასილი დიდი სამყაროს შექმნის განმარტებისას კომენტარს აკეთებს ცის შესახებაც: „ხოლო ღმერთმან პირველად ყოვლისა ხილულისა – რაუმს ინება და იზრახა რათოამცა ქმნა არაარსნი და ვითარ იყოს, სოფელი ესე, ზრახვასავე შინა თჯსსა შექმნა სიკშოი იგი სამკაულითა თჯსითა და განუჩინა ცასა ბუნებათ, რომელ მას შეეტყუებოდა, და ხატსა ქუეყანისასა – ნივთი, რომელ შეჰვავდა და ცეცხლი და წყალი და პაერი დაპბადა, ვითარცა უნდა, და ყვნა იგინი თავსა შინა თჯსსა, ვითარცა შეეტყუების თითოეულსა მათსა საზღვარსა შინა

თუსსა“ (143, 31). აქედან კარგად ჩანს, რომ ხილული, ანუ მატერიალური ცა არის უხილავი, ანუ მეტაფიზიკური ცის ხატი. სამყაროს შექმნამდე არსებულ ცაზე განმარტებას გვაწვდის წმიდა იოანე დამასკელიც: „რადგან წერილმა თქვა „ც“, აგრეთვე „ცათა ცა“ და „ცათა ცანი“ და რადგან ნეტარმა პავლემ „მესამე ცამდე“ თავისი ატაცების შესახებ გვითხრა, ამიტომ ვამბობთ, რომ როგორც გვსმენია, მთელი ქვეყნიერების დაბადების უამს შეიქმნა ცა, რასაც უვარსკვლავო სფეროდ ამბობენ მოსეს დოგმატების მიმთვისებელი გარეშე ბრძენი“ (174, 347).

რადგანაც ცა ღვთის სამყოფელია, ბუნებრივია, მასში სიმბოლურად ღვთისმშობელი იგულისხმობდეს, რომლის წიაღმაც ყველაზე აღმატებული, სამყაროს შემოქმედი იტვირთა: „მარიამ მხევალო და დედაო ქალწულო, ცაო ცათაო, მხოლო, ხიდო ღმრთისაო კაცთა მომართ მოსლვისათვის“... (142, 439); „ღვთისმშობელო, დიდებულო ცაო ღმრთისაო“ (142, 461); „ემსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, შ წმიდაო“ (72, 364); ღვთისმშობელი სულიერი ცაა, „რომელიც ცისა და ქვეყნის მეუფემ აიგო და ააგო კაცთათვის“ (73, 164).

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობელი მიძინების შემდეგ ცად იქნა ამაღლებული თვით მისი ძის, იესო ქრისტეს მიერ. ჰიმნოგრაფს ეს მოვლენაც არ გამორჩენია მხედველობიდან და ქალწულის მიძინება „ცათა ცათაზე“ აღსვლად მოუაზრებია: „ცაო იგი სულიერი და სადგური სიტყვა ღმერთისავ – ქალწული დღეს აღმაღლდა ცასა ცათასა და მარადის იქების ანგელოსთა და კაცთაგან დირსად, საუკუნოდ იდიდების, ვითარცა დედად ღმრთისავ“ (73, 333). კაცთა შორის აღმატებული და ქალწულთა შორის გამორჩეული ქალწული არა მხოლოდ ცად, არამედ „ცათა უზეშთაესადაც“ დაუსახავთ: „უმეტესად კურთხეულ ხარ დედათა შორის, შენ ცათა უზეშთაესო ქალწულო, რამეთუ შენგან შობილმან ღმერთმან ჯვრითა მოკლა სიკვდილი და მკვდარნი ღმრთებრ აღადგინა, აღდგა რავ საფლავით“ (99, 388). „ცათა უზეშთაესის“ ხშირად „ცათა უვრცელესი“ ცვლის: „უწმინდესა წმიდათასა მარიამს, უვრცელესსა ცათასა ღმრთისმშობელსა...“ (109, 847).

იოანე დამასკელისა და ანდრია კრიტელის „ღვთისმშობლის შობის საკითხავში“ ღვთისმშობლის ყველა სიმბოლური სახელი ბიბლიური სახისმეტყველების მონაცემთა გათვალისწინებითაა ახსნილი. იოანე დამასკელი შემდეგნაირად მიმართავს წმინდა და მარიამს: „გიხაროდენ, ცაო გარეშემცველო სოფლისა სივრცისაო და პატიოსანო საფარველო კაცთა ნათესავისაო, რომელი-ეგე მდიდარ ხარ ლამპრებითა სათნოებათავთა, ვითარცა სიმრავლითა ვარსკულავთავთა, რომლისა მიერ აღმოხდა მზე სი-

მართლისად და ქმნა ცხორებად კაცთა შორის დღისა დაუდამებელისად“ (166, 110). ცა უფლის საყდარია, რომელიც სიმართლის მზეს ამოაბრწყინებს, ცათა მხგავსია ქალწული მარიამი, რომლის წინაშე უკელაფერი უფერულდება, რადგან ის კაცობრიობის სულიერი მხსნელის მშობელია. ანდრია კრიტელი ლვოისმშობლის ცისადმი მიმსგავსებულობას შემდეგნაირად ხსნის: „ამას ზედა იხარებდ, ცაო, რამეთუ შენმან მიმსგავსებულმან შენ შორის დაუტევნელი შეუიწრებლად დაიტია. ამას ზედა გალობდ, ქუეყანაო, რომელმან მუცლადღებითა თჯითა მიგამსგავსა შენ სიმაღლესა ცათასა, რაჟამს ზეცისა ყვნა ქუეყანანი“ (166, 155).

ამრიგად, სასულიერო პოეზიაში „ცა“, სხვა სიმბოლოებთან ერთად, არის ლვთის სამყოფელი, ამიტომაც ის სახეობრივად მარიამ ლვთისმშობელზე მიანიშნებს. „ლვთისმშობელი, იგივე „ცათა ცა“, არის საღვთო უსაზღვროების გარეშეუწერელობის დამტევი. ეს არის ლვთისმშობლის გამოუთქმელი საიდუმლო. ძე ლმერთში გაერთიანებულია ყოვლისმომცველობა და ყოვლისმოუცველობა, ასევე ლვთისმშობელშია გაერთიანებული ყოვლისდამტევობა; როგორც „ცა ცათა“ არის ყოვლისმომცველი, ყოველივეს დამტევი, ასევე ლვთისმშობელი არის ყოვლის დამტევი, ანუ დამტევი იესო ქრისტესი, ლვთის ძისა“ (135, 81).

**ბეთლემი.** დროსივრცული წარმოსახვით, ისევე როგორც ცა, ბეთლემიც ერთადერთია, რადგან სწორედ იქ განხორციელდა მაცხოვრის შობის მისტერია.. რაკი იესო ქრისტე მარიამ ლვთისმშობლის წიაღში განხორციელდა, ამიტომ საღვთისმეტყველო მწერლობაში წმინდა მარიამი სახისმეტყველებითად ბეთლემად იწოდება, რაც არა ერთხელ დასტურდება ჰიმნოგრაფებთანაც: „შენ, ქუაბო, დაიტიე დაუტევნელი და ბაგაო, აწ განშუენდი და შეიწყნარე ცხოვრებად საუკუნო...“ (72, 68); გიხაროდენ, ბეთლემო, რამეთუ იქმენ ქალაქ მეუფისა ძალთამსა. განხცხებოდე ქუაბო, რამეთუ იქმენ ტაძარ დამტევნელ ცათა დაუტევნელისა. გიხაროდენ, ბაგაო, რამეთუ შეიწყნარე საფასც საღმრთოსა მის სიმდიდრისად, რომელ არს სასყიდელი ჯსნისა ჩუენისად, რომელსა აქუს დიდი წყალობად“ (72, 70).

ამ სიმბოლოს მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის ფილიპე ბეთლემის საგალობელი, რომელიც ევანგელიურ მოტივებს ასახავს და რომელზე დაკვირვებითაც საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს ნესტან სულავა. ბეთლემი, ცის მსგავსად, ერთადერთია, რადგან სწორედ იქ განხორციელდა მაცხოვრის შობის მისტერია. „ასევე ერთადერთია ლვთისმშობელი, რადგან არავინ ყოფილა ქალწულთა შორის დედა და დედათა შორის ქალწული“ (137, 100).

პიმნოგრაფი მიმართავს დვოისმშობელს: „ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან, პოვ, ბეთლემო“, რითაც „ემსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, ჭ წმიდაო“ (72, 364) და იქვე აგრძელებს: „თაყუანის ვსცემთ ქეაბსა მაგას დიდებულსა, ჭ უხრწნელო, ლოცვად ჩუენი შეიწირე, ბაგასა მას მწოლარეო“ (72, 364).

ანდრია კრიტელმა დვოისმშობლის სხვა სახისმეტყველებით სახელებთან ერთად დვოისმშობლის ბეთლემად მოხსენიებაც განმარტა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, საცნაურო ბეთლემო, რომელი-ეგა იქმნენ სახლ და საგაბელ და ბუნება შემზადებული პურისა მის ცხორებისა, რამეთუ მან თავადმან, ვითარ-იგი თქუა, დაიმკაცრა შენ შორის, ვითარცა მან მხოლომან უწყის. და თანა შეეზავა ჩუენსა ამას ბუნებასა შეურევნელად. და ყოველი სავსებად ადამისი თავისა მიერ თჯისისან ადაფუვნა, რათა ყოს იგი პურ ცხოველ ზეცისა“ (166, 147).

**მთა.** ესაა ვიზუალური გამოხატულება ადამიანთა ზესწრაფვისა; მიწისა და ზეცის შერწყმის ადგილი (4, 145).

მთის შთამბეჭდაობამ – სიმაღლემ, ფორმამ, რაც საერთო ჯამში, სიდიადის შეგრძნებას ბადებს, – წარმოშვა მთის სიმბოლიზმის მთელი სისტემა, რომელიც აერთიანებს მაღალ სულიერებას, შთაგონებას, მაღლმოსილებას... ყველა ეს თვისება საფეხურებრივად მიიწევს წინ – მთად წოდებულ ცისკენ აღმართულ კიბეზე...

მთის საკრალურობას ორგვარი გამოხატულება ჰქონდა: ერთ შემთხვევაში მასზე ფეხი არ უნდა შეედგა უბრალო მოკვდავს; მეორე შემთხვევაში, მის მწერვალზე ჯერ კერპები და სალოცავები იყო აღმართული, შემდგომ კი – უკვე ეკლესია-მონასტრები.

„უძველეს კულტურათა უმეტესობაშიც მთა, „ბიბლიურ მთათა“ მსგავსად ან დვოიური ნების გაცხადების ადგილია, ან – დვთაებათა მთელი პანთეონის საუფლო, როგორც, მაგალითად, ოლიმპი; ზოგჯერ – მსოფლიო ხის ანალოგი და დედამიწის ცენტრის აღმნიშვნელი ვერტიკალი (მთა მერუ ინდუიზმში...) (4, 145).

მთას რაღაც ზედროული განზომილება შემოაქვს აღმიანის ცხოვრებაში: მთის მწერვალიდან ნებისმიერი ფუსფუსი მის ძირში, წვრილმან ამაოებად აღიქმება; ბუმბერაზი მთის შემყურე ადამიანს საკუთარი თავი არარაობად და უმწეოდ ეჩვენება, ხოლო მწერვალზე ასული – სიამაყესა და ყოვლისშემძლეობას განიცდის...

მთასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე აღრეულ წინასწარმეტყველებად უნდა მივიჩნიოთ დავით მეფსალმუნის მიერ აღწერილი მთა, რომელიც მოიწონა

უფალმან თავის სამკვიდრებლად: „მთავ ესე, რომელ სთნდა ღმერთსა დამკუდრებად მას ზედა, რამეთუ უფალმანცა დაიმკუდროს იგი სრულიად“ (ფს. 67, 16).

ალეგორიულად მთა აქ მარიამ ღვთისმშობლის სხეულზე მიანიშნებს, რომლის წიაღშიც შეისხა ხორცი უფალმა. დავით წინასწარმეტყველი ასევე ლაპარაკობს „პოხილ მთაზე“: „მთავ ღმრთისავ – მთავ პოხილი“ (ფს. 67, 16), სადაც ეპითეტი პოხილი ქალწულ მარიამის ნაყოფიერების გამომხატველია. მთის სახისმეტყველუბას განსაკუთრებით მდიდარი ბიოგრაფია აქვს ბიბლიაში: აქ მორიას მთა არის ღვთის მორჩილებისა და შეწყალების უნივერსალური სიმბოლო (აბრაამმა სწორედ მორიას მთაზე აიყვანა ისააკი, რათა უფლის ნება შეესრულებინა – შეეწირა მისთვის შვილი). მთაა უფლის გამოცხადებული უფალი სინას მთაზე ეჩვენა, სადაც „სჯულის კანონი ამცნო. სახარებაშიც „მთასა აღვიდა“ იესო ქრისტე და იქადაგა (მათ. 5, 6-7); სახარებაში მთა მოციქულთა ერთ-ერთ სახელადაც იქცა: „ვითარცა ეწოდოს მოციქულთა ოდესმე ეტლად, ოდესმე მახარებლად და მთავრად და მეუფედ, ესრეთვე აქა მთად სახელსდვა მოციქულთა ამას სიტყუასა სახარებასა შინა: ვერ შესაძლებელ არსო ქალაქი დაფარვად, რომელი მთასა ზედა დაშენებულ იყოს“ (მათ. 5, 14); თაბორის მთა კი უფლის ფერისცვალებისა, მისი ჭეშმარიტი მადლომსილების სიმბოლო; დაბოლოს, გოლგოთა – მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, სიკვდილის ძლევის მრავლისმეტყველი სახე.

ბიბლიაში აღწერილი მოვლენები ადგვატურ გამოხატულებას პოულობს სასულიერო პოეზიაში, კერძოდ, პიმნოგრაფთა შემოქმედებაში: პიმნოგრაფი შენდობას ევედრება „მთასა ლოდის მშობელსა, რომელსა დავით მთად პოხილად გიწოდა, რომელსა შინა დაიმკუდრა ქრისტემან“ (42, 64). მთის (მარიამის) ნოყიერებაზე მიუთითებს მისი მხრიდან ლოდის გამოტყორცნა, ამ შემთხვევაში, ქრისტეს დაბადება.

პიმნოგრაფი შეგვახსენებს, რომ წინასწარმეტყველმა ამბაკომ დედოფალს უწოდა „მთით ჩრდილოვთ მაღნართათ“. სასულიერო ლიტერატურაში ჩრდილოეთი, უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნავს ისეთ ქვეყანასა თუ ადგილს, სადაც ქრისტიანობა ჯერ არ იყო შედწეული („წმ. ნინოს ცხოვრება“).

როგორც ბიბლიიდანაა ცნობილი, ამბაკუმ წინასწარმეტყველს წინასწარ ეუწყასამყაროში ღვთის მოსვლა მთისაგან, ანუ ქალწულისაგან: „ღმერთი თემანით მოვიდეს და წმიდად მთისაგან ჩრდილოვსა მაღნარისადსა“ (აბაკ. 3, 3). „აწ იხარებდ სულითა და განსცხოებოდე ღირსად ამბაკომ დთის მგალობელო. აღესრულა თქმული

შენი, რამეთუ მოვიდა ღმერთი სამხრით ჭორცითა, ვითარცა ჯერ იჩინა ქალწული-სა საშოვსაგან და წმიდავ იგი მთით ჩრდილოვთ მაღნართავთ, მუცლისაგან მისი-სა“ (42, 85);

„შენ გიხილა ამბაკომ წინათვე  
მთად ჩრდილოდ, ღმრთისმშობელო ქალწულო,  
რომლისაგან გამოვიდა ღმერთი მხოლო,  
და ცანი შუენიერებითა თუსითა დაფარნა...“ (72, 231);

„მთასა ლოდის მშობელსა, რომელი იქმნა თავ საკიდურთა, გევედრებით შენ“... (42, 62); „რამეთუ მოვიდა ღმერთი სამხრით ჭორცითა, ვითარცა ჯერ იჩინა ქალწულისა საშოვსაგან და წმიდავ იგი მთით ჩრდილოვთ მაღნართავთ მუცლისა გან მისისა“... ან: „აჲა ესერა მთავ იგი, რომელსა ზედა ღმერთი დაემკვდრა“ (42, 85).

სასულიერო პოეზიაში ხშირად არის ნახსენები დანიელ წინასწარმეტყველის მი-ერ ხილული მთა: „ჰედუვდ ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი, მთისგან თუნიერ ჭელ-თასა“... (დან. 2, 34). „გიხილა შენ დანიელ სულითა მთად, რომლისგან გამოეკუტა ლოდი უტელოდ და დავითისაგან სახელ-გედვა მთად პოხილად, მთად ყოვლად შეყოფილად და კრწალულად ქალწულებითა ყოვლად წმიდითა“ (72, 141). „ის, რაც დანიელის წინასწარმეტყველების მიხედვით დაფარული და საიდუმლოებით მოცუ-ლი იყო, ჰიმნოგრაფმა უბრალოდ აგვისსნა და დაგვანახა“ (46, 98).

მაშასადამე, მთა, სულიერი გაგებით, ქალწული მარიამია, ხოლო მისგან გამო-კვეთილი ლოდი – ქრისტე. მთას ლოდი გამოეკუეთა, მაგრამ იგი მაინც მთად დარ-ჩა – ძნელი არ არის ამ ალეგორიაში ქალწულის მიერ მაცხოვრის შობის საიდუმ-ლოს ამოცნობა, რომელსაც უფრო აკონკრეტებენ ჰიმნოგრაფები: „ლოდი საკიდური უხელოდ გამოეკუეთა შენგან მთაო გამოუკუეთელო ქალწულო“ (168, 16). დანიელის მთის საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, როცა „დაფარული მთისაგან“, ანუ ქალწული-სგან იშვა მაცხოვარი, რის შემდეგაც დანიელის მთა ყველასთვის ხილული შეიქნა. ამიტომ, მარიამ დვთისმშობელი ასევე „დვთის მთა“: „მთავ ღმრთისად, უმაღლეს ცათა მაღალთა ამაღლებული წმიდათა უწმიდესი“ (42, 85). „სიბრძნისაგან სად-მრთოსა აღვსებული ძლიერად განსცხების სიხარულით იოველ ღმერთშემოსილი, რომელი ჰედავს დღეს აღსრულებად თქმულთა მისთა, რომლითა სარწმუნო იქმნა. „აჲა, ესერა მთავ იგი, რომელსა ზედა ღმერთი დაემკვდრა, გამოადინებს სძესა საზ-რდელად ყრმისა, რომელ არს პირველ მზისა შობილი, მზრდელი დაბადებულთავ, რომლისაგან შეიქმნეს სიბრძნით საუკუნენი, რომელი მიმიძღუების სახიერებით,

ყოველთა სრულებასა მიწევნად“ (42, 85). სძის მადინებელი მთა აქ ქალწულ მარიამის წინასახეა, რომელიც განკაცებულ მაცხოვარს ძუძუს აწოვებს. სძემდინარი მთის არქეტიპი იოველის წინასწარმეტყველებაშია დაფარული: „და სცნათ, ვითარმედ მე ვარ უფალი დმერთი თქუენი, დაკარვებული მთასა ზედა წმიდასა ჩემსა. და იყოს მას დღეთა შინა და მოასწოონ მთათა სიტაბოება და ბორცუნი აღენდნენ სძესა“ (იოან. 3, 17-18). ხშირად, მთას ჩანაცვლებულ ბორცვს იგივე სახეობრივი დატვირთვა აქვს.

**სიონი.** წმინდა მარიამის სიონად სახელდება დავით წინასწარმეტყველს უკავშირდება, რომელმაც წმინდა ქალწული სიონად დასახა და მისგან დმერთკაცის შობის საიდუმლოც გაამჟღავნა: „დედად სიონსა პრქუა კაცმან, რამეთუ კაცი იშვა მას შინა“ (ფს. 86, 5); ბიბლიაში წმინდა მარიამი „სიონის ასულდაც“ სახელდება „იტყოდა მისთვის უფალი: შეურაცხყო და განგბასრა შენ, ქალწულო, ასულო სიონისაო“ (4 მეფ. 19, 21). კვლავ დავით ფსალმუნთგალობელს მივუბრუნდეთ: „ისმინე, ასულო და იხილე: და მოყავ ყური შენი: დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისაო“ (ფს. 44, 10). წმიდა მამები განგვიმარტავენ: „ასულად უწოდა, რამეთუ უწინარცს ეხილვა საწინასწარმეტყველოთა თვალითა, მადლისა სულისავთა თვთ ყო და სულად შობა ზეგარდმო ემბაზისაგან, რომელ აღუდებიეს ეკლესიასა, ესე იგი არს, რომელ არს ბუნებად კაცობრივი, ექმნა თვთ დმრთისმშობელი და შვა ბუნებითა ჩუენითა და ჭორცითა ჩუენითა მხოლოდშობილი მც დმრთისაო“ (160, 392). წინასწარმეტყველთაგან მიღებული განწყობილება პიმნოგრაფებმა საგალობელში გაახმიანეს: „ასულო სიონისაო, ქრისტე მოვალს შენდა შემოსილი ძალითა მამისავთა დიდებით, გიხაროდენ ფრიად, სასძლო შენი შეამკვე და განსცხებოდე და დაიდგ გპრგპნი სიკეთისაო თავსა შენსა და მიეგებვოდე მას“ (73, 261).

ძველ ადოქმაში სიონს რამდენიმე მნიშვნელობა პქონდა. სიონად იწოდებოდა – მთა, ქალაქი და ციხესიმაგრე (124, 142), რომელთაგან დვთისმშობლის სიმბოლოდ სასულიერო პოეზიაში სიონად წოდებული მთა და ქალაქი ითვლებოდა. წმიდა მთაზე, სიონზე, აღესრულებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენები: სულიწმიდის გარდამოსვლის ჟამს სიონზე იყვნენ დვთისმშობელი და მოციქულები, სიონი იყო ასევე ადგილი დვთისმშობლის მიძინებისა. ამიტომაც ქცეულა იგი დვთის სადგურად, სამკვიდრებლად: „სიონად, სადა დაიმკპდრა ქრისტემან“ (17, 160).

კფიქრობთ, ნეტარი ავგუსტინეს განმარტება დაგვეხმარება სიონ ქალაქის არსის უკეთ წვდომაში. მისი კონცეფციის თანახმად, არსებობს სულიერი ქალაქი, სადაც

მკვიდრობენ „ანგელოზები, დვთის ერთგული ადამიანები, ჰეშმარიტი ქრისტიანები, დვთისმოსაგნი“ (53, 92), მეორე მიწიერ ქალაქს კი მიეკუთვნებიან უკეთური ცხოვრებით მცხოვრები, დვთის მცნებების უარმყოფელი, ცოდვით დამძიმებული ადამიანები. ზეციური ანუ სულიერი ქალაქის ერთ-ერთი სახელწოდებაა სიონი, რომელიც ასევე „ზეცისა იერუსალიმადაც“ მოიხსენიება.

სიონ ქალაქის სულიერი ასპექტები კარგად ჩანს მარიამ დვთისმშობლის სიონად სახელდებაში, რაშიც ქალწულის მიერ ქრისტიანთათვის ზეციური სასუფევლის გაღების იდეაა გამოხატული: „პირველ ყოვლისა აღეგო სიბრძნე ანუ გონიერნი სულნი, რომელიც შენს წმიდა ქალაქში პგიებენ ჩვენს დედასთან, რომელი ზეცისა იგი იერუსალიმი არს“ (111, 390).

ზეციური ქალაქიდან იღებს სათავეს სასულიერო მწერლობასა და პოეზიაში წმიდანის წარმოჩენა „ზეცისა მოქალაქედ“: „...ქუეყანისანი ესე და მიწისანი მას შინა მოქალაქედ აღწერასა ზედა მოხარულ ვართ“ (166, 114). ზეციური მოქალაქეობის მოპოვება ყველა ქრისტიანის საბოლოო მიზანია, ამიტომაც დვთის დედისადმი აღვლენილ ხოტბაში ზეცისა იერუსალიმში დამკვიდრების მოსურნე პიმნოგრაფთა სურვილიცაა ჩადებული. საყურადღებოა, რომ სულიერი ქალაქის ფუნქცია ძველი აღთქმის ებრაელთა ქალაქებსაც მიენიჭა. ზეციური ქალაქის ანალოგიით, მათში მარიამ დვთისმშობლის სახეს პოულობენ წმიდა მამები.

გავიხსენოთ ამ ქალაქების ისტორია: აღთქმის ქვეყანაში შესვლის შემდეგ ებრაელებმა იგი დაინაწილეს თორმეტ ტომს შორის, 48 ქალაქად. ექვსი ქალაქი გამოაცხადეს „შესალტოლველ“ ქალაქად, ვინაიდან ისინი წარმოადგენდა თავშესაფარს ყველა უნებლიერ მკვლელისათვის. ამ ექვსი ქალაქიდან სამი იყო იორდანეს გაღმა, სამიც ქანაანის ქვეყანაში. ამ ქალაქებს შეფარებულ უნებლიერ მკვლელს ვადარ შეეხებოდა შურისმაძიებელი. ამავე ქალაქში ინიშნებოდა გამოძიება მკვლელობისათვის.

მკვლელს აქ უნდა ეცხოვო მღვდელმთავრის სიკვდილამდე. მისი სიკვდილის შემდეგ კი ნება ეძლეოდა გასულიერ ქალაქიდან და ვერც ვერავინ შეეხებოდა.

წმიდა მამათა განმარტებით, ქალაქი სახეა ყოვლადწმიდა დვთისმშობლისა, ვინაიდან იგი მორწმუნეთა სულების თავშესაფარია, ისევე, როგორც აღთქმის ქვეყნის ქალაქები იყო თავშესაფარი უნებლიერ მკვლელთა“ (65, 31). დვთის სამკვიდრებელი ქალაქის მიმართ არაერთხელ აღავლენენ ქებას პიმნოგრაფები: „ვითარმედ გხადოდით შენ, მარიამ, ვენახად სამეუფოდ, ქალაქად ღმრთისა მაღლისად,

სამოთხედ სულიერად, სადგურად სულთა მართალთა, დედუფლად ზეცისა და ქუეყანისათა, მნათობად, ცად სამყაროდ, საყდრად ქერობინად“... (73, 227). ჰიმნოგრაფი დედოფალს ზეციურ იერუსალიმს უწოდებს. ცათა სასუფებელი, ზეციური ქალაქი, ზეციურ იერუსალიმადაც მოიხსენიება, რაც დასაბამს იოანეს გამოცხადებიდან იღებს. „სამოთხესა ქუეყანისასა, იერუსალიმს ზეცისასა“ (73, 235);

„ვითარმედ გხადოდეთ შენ, მარიამ,

ქალაქად ღმრთისად მაღლისად,

სამოთხედ სულიერად“ (73, 324).

ქალაქის სულიერი აღქმა სასულიერო მწერლობაში შესანიშნავად გადმოიცა წმიდანთა ქალაქად სახელდებაშიც. დაუჯდომელ საგალობელში წმიდა ნიკოლოზს ამგვარად მიმართავენ: „გიხაროდენ, მორწმუნეთა შესავედრებელო ქალაქო“. ამ მიმართვაში ხაზგასმულია წმიდანის ზეციურ-ღვთაებრივი მისია, რის გამოც იგი ღვთის წინაშე ადამიანთა განსაკუთრებულ მეოხადაა მიჩნეული.

ამრიგად, იერუსალიმის სიონი, ებრაული ქალაქები, ზეციური ქალაქის, იერუსალიმის ალეგორიად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო სიონად წოდებული იერუსალიმი – ღვთისმშობლის ერთ-ერთ სახე-სიმბოლოდ.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელი ერი ყოველთვის ცდილობს მისი მიწიერი სამკვიდრებელი ზეცასთან დააკავშიროს, რათა ამქვეყნადვე ახსოვდეს თავისი საბოლოო ადგილსამყოფელი. ქართველ ერს მრავალი წმიდა ადგილი მოეპოვება თავის მიწაზე, რომელიც სიწმიდით ზეცას უახლოვდება. ქართულ ცნობიერებაში სიონად იწოდება სვეტიცხოველი, „მეორე იერუსალიმად“ კი – მცხეთა, რომელიც უფლის წმიდა კვართის დაფლვის ადგილია და რომლის არსებობაც სავსებით სიმბოლურია ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ მყოფი ერისათვის.

საუკუნეების შემდეგ, ჰიმნოგრაფებმა მხატვრულ სიტყვაში ჩუქურთმასავით გამოკვეთეს და უკვდავყვეს ფსალმუნთმგალობლის მიერ უფლის „დედად“ წოდებული სიონი. კვართი, სვეტიცხოველი და სიონი – დროისა და სივრცის მიღმა არსებული ხატებია, ღვთის დაუსაზღვრელობის გამოხატულებაა, ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდილი ერის ისტორიულ და სულიერ საუფლოში.

**კიდობანი.** უფლის დამტევნელ სიმბოლოთაგან მეტად მნიშვნელოვანი და დატვირთული შინაარსის მქონეა ეს სახე. „ცოდვით დაცემა, გადარჩენა, ხსნა, სულიერი დამკვიდრება და კვლავ აღმოცენება, საღვთო წერილის მიხედვით, ბიბლიურ შჯულის კიდობანშია გაცხადებული და ამიტომაც ქრისტიანული სიმბოლიკით,

ის თავად ტაძარია – უფლის სახლი და იმავდროულად, ერმა იქსოს მომლოდინე დვთისმშობელიც“ (4, 112). ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, სჯულის კიდობანი ისრაელიანთათვის მათი დმერთის მიწიერ საუფლოდაა მიჩნეული. სწორედ ამ კიდობანში იყო მოსეს ათი მცნება. ბიბლიურმა დავითმა მისთვის ააგო „კარავი“, ხოლო სოლომონმა საზეიმოდ დასხენა მის მიერ აგებულ ტაძარში, სადაც ეს რელიქვია ებრაელთა წარმოსახვაში იყო ცენტრი იერუსალიმისა, ისრაელისა და მთელი მსოფლიოსი.

„ამგვარად, საკრალიზებული საგნისაგან განსხვავებით, ნოეს კიდობნის სიმბოლიკაში ფუნქციონალური ასკეტიც იკვეთება (კიდობანი-ხომალდი-სკივრი) და წინარე მითოლოგიური პლასტიც: ბიბლიური წარდვნის არქეტიპი გვხვდება მესოპოტამიურ ეპოსში გილგამეშის შესახებ; მსგავსი სიუჟეტებია ინდურ და ჩინურ გადმოცემებში; კოლუმბამდელი ამერიკის მითოლოგიამაც შემოინახა წარმოდგენა დედამიწაზე სიცოცხლის საყოველთაო წალეკვისა და ხელახალი აღმოცენების შესახებ.“ (4, 112).

ყველა ამ მითოლოგიური მასალის შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კიდობნის სიმბოლიკას ემატება კიდევ ერთი დატვირთვა – ხსნის სიხარული, რომელიც აუცილებლად დაეუფლობოდა ნოეს კიდობნის „წევრებს“, როდესაც მათ, ბოლოს და ბოლოს, მყარ მიწას დაადგეს ფეხი არარატის კალთაზე...

სასულიერო პოეზიაში, ისევე როგორც ზოგადად სასულიერო მწერლობაში, კიდობანი მარიამ დვთისმშობლის ერთ-ერთ პიპოდიგმადაა მიჩნეული: „განსცხებოდე აწ სულითა ძლიერითა და გალობდ დავით დვთისმგალობელო და შეამკობდ დღეს ქნარითა. რამეთუ მზესა აღდგა კარავი თვისი თავადმან და პირველ საუკუნეთა მფლობელი იწოდების დღეს ძედ შენდა კიდობნისა მისგან სიწმიდისა, რომელ არს ქალწული...“ (99, 48); „ტაძრისაგან სამეუფოსა დვთისა სადგურისა და კიდობნისა მისგან სიწმიდისა რომლისა სიკეთევ სთნდა მეუფესა: პირველ გამოსახულისა დვთის მგალობელთაგან: დღეს გამოვიდა ღმერთი განკაცებული: უმთავროსი უოველთა მთავრობათად: საშოთაგან უსძლოსა ქალწულისა“, (99, 85) – მიმართავს პიმნოგრაფი ქალწულ მარიამს.

ცნობილია, რომ ძველი აღთქმის ეპოქა სამ კიდობანს იცნობდა: პირველი იყო ნოეს მიერ აგებული, რომელიც გადაურჩა მსოფლიო წარდვნას და მასთან ერთად გადარჩა ამ კიდობანს შეფარებული ყველა სულდგმული; მეორე – მოსეს ლერწმის კიდობანი, რომელშიც დედამ ჩვილი მოსე ჩააწვინა და ნილოსის წყალს მისცა,

საიდანაც იგი ფარაონის ასულმა ამოიყვანა. ეს ეტაპი ეპოქალური ცვლის მაჩვენებლად იქცა ებრაელი ერის ისტორიაში; მესამე კი შჯულის კიდობანი, ომელშიც ებრაელები ინახავდნენ ქის ორ ფიცარს – ათი მცნებით. აქვე ინახებოდა მანანათი სავსე ტაკუკი და აჰონის კვერთხი. ბიბლიის კომენტატორთა განმარტებით, ეს კიდობნები წარმოადგენდა ყოვლადწმიდა ქალწულის სახეს.

ზემოთ აღნიშნული ფუნქციების გარდა, „კიდობანს აქვს მისტიური ფუნქციაც, ომდლის მიხედვით მოსე წინასწარმეტყველს, თავად ლერწმის კიდობნით გადარჩენილს, სჯულის კიდობნის სარქველზე ქერუბიმებს შორის ღრუბლის სახით ჩამოწოლილი უფლის დიდება ევლინება და რჩეულ ერს უფლის ნებას გამოუცხადებს“ (136, 92). ნოეს კიდობანი გაკეთებული იყო ულპობელი ხისაგან: „იქმენ უკუკ თავისა შენისა კიდობანი ძელთაგან ოთხკედელთა ბუდებად ჰქმნა კიდობანი და მოპირო იგი შინათ და გარეთ კირითა (გამ. 6, 14), რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ყოვლადწმიდა დვოისმშობელი მაცხოვრის შობის შემდეგაც დარჩა ქალწულად.

„როგორც კიდობანმა გადაარჩინა ნოე და მისი შვილები, ასევე ღვთისმშობლის მიერ სამუდამო დაღუპვისაგან გადარჩება ყველა მსმენელი დვთის ხმისა. როგორც კიდობნიდან გადარჩენილი ნოესაგან გამრავლდა წარდვნის შემდგომი ქვეყანა, ქრისტესაგან, ყოვლადწმიდა ქალწულისაგან დაბადებულისა, იდებენ სათავეს შვილები ახალი აღთქმისა“ (65, 22).

კიდობანი დგას წმიდა წმიდათაში (საკურთხევლის შიდა ნაწილში), მას სჯულის კიდობანსაც უწოდებენ, რადგან მის მარჯვნივაა დადებული სჯულის წიგნი. ის დვთის იქ ყოფნისა და დიდების სიმბოლოა. ჰიმნოგრაფიაში ხშირად გვხვდება მარიამ დვთისმშობლის სახელდება „სჯულის კიდობნად“: „კიდობნად სჯულისად გიცნობთ: რამეთუ სიტყუანი საღმრთონი გქონან შენ: ვითარცა ფიცარნი ქვისანი, სავსენი სიბრძნითა სულიერითა“ (99, 120); „ძუელისა და ახლისა სჯულისა კიდობანო და შემწყნარებელო საღმრთოთა წერილთაო, ვედრებად ჩუქნოჟს ნუ დააცადებ ქრისტეს მიმართ“ (109, 561), სადაც ძველი შჯულის კიდობანში იგულისხმება ის კიდობანი, რომელშიც ინახებოდა ქრისტეს ათი მცნება, ხოლო ახალი შჯულის კიდობანი წმინდა მარიამია, რადგან ის მშობელია ახალი შჯულის შემომტანისა და, ამავე დროს, შემნახველი ძველი შჯულისა. ახალი შჯულის კიდობნად ქალწული მოხსენიებულია XVIII საუკუნის „გულანში“: „დღეს იშვა ახლისა შჯუ-

ლისა კიდობანი და ნათლით შემოსილი, რომლითა ქრისტემან პნელსა შინა მსხვეო-  
მარენი განანათლენ ნათლითა დვთაებისათა“ (A 111; 12r).

კიდობანია წმინდა ადგილი სიტყბოებისა. კიდობანი ქრისტეს პირველსახეა.  
აქედან გამომდინარე, დედალვთისა არის ყველა ქრისტიანული საქმის წმიდათა  
წმიდა სამყოფელი, გვმართებს მისი მოფრთხილება.

ორი ფიცარი, რომელზეც ღვთის მიერ მიცემული მცნებებია წარწერილი, წინა-  
სწარმეტყველურად მოასწავებს ქრისტეს მოვლინებას, მის ორბუნებოვნებას, ხოლო  
კიდობანი, სადაც ინახება ქვის ფიცრებზე ამოტგიფრული ღვთის მცნებები, ღვთის-  
მშობლის სიმბოლოა.

ქალწულისაგან მაცხოვრის შობა საღვთო საიდუმლოა. ამ საიდუმლოს შეახ-  
სენებს ქალწული იოსებს, რომელზეც, სახარების თანახმად, დაიწინდა ის. პიმნოგ-  
რაფის სიტყვით ღვთისმშობელი მოაზრებულია „საღმრთო განსუენების კიდობნად“,  
რომელშიც ინება დამკვიდრება-განსუენება ქრისტემ: „განაკრძალებდა უბიშოდ ქალ-  
წული იოსეფს და ეტყოდა მას: რავსა მწერალე ხარ დირსო. საიდუმლოთა თჯს ჩემ  
ზედა აღსრულებულთა. ისწავე ესვ, ძეო დავითისო მე ვარ საღმრთოსა განსუენები-  
სა კიდობანი წმიდავ და საუნჯევ დაფარულთა მათ საიდუმლოთავ“ (72, 78).

„უძველეს იადგარში“ კიდობანი ღვთისმშობლის სახედ სხვადასხვა ეპითეტთან  
ერთად გვხვდება: „კიდობანი რჩულისავ“, „კიდობანი სიწმიდისავ“, „კიდობანი  
სიწმიდისა ქრისტესი“...

ამრიგად, კიდობანი, რომლის სამივე სახე თეოლოგთა მიერ ღვთისმშობლის წინა-  
სახედაა მიჩნეული, საგალობლებში შემდეგნაირადაა აქცენტირებული: 1) კიდობანი  
სამკვიდრებელია ღვთისა: „კიდობანი ღვთისა“, „კიდობანი სიწმიდისა“, „კიდობანი  
სულიერი“, „კიდობანი მადლისა“, „საღმრთო განსუენების კიდობანი“; 2) კიდობანი  
შემნახველია შჯულისა: „საღმრთო შჯულის კიდობანი“, „ახალი შჯულის კიდობა-  
ნი“, „ძველი და ახალი შჯულის კიდობანი“.

მართალია, საგალობლებში ღვთისმშობელთან მიმართებაში არ არის ნახსენები  
ნოესა და მოსეს კიდობნები, თუმცა ეს ხელს არ უშლის პიმნოგრაფებს სიმბოლოში  
დაფარული საღმრთო საიდუმლოება დირსეულად შეამკონ.

ძველი და ახალი შჯულის სახისმეტყველებითი ასპექტები კარგად არის ახსნილი  
კლარჯულ მრავალთავში მოთავსებულ იერემია წინასწარმეტყველის საკითხავში –  
„...სახს კიდობნისავ ძველისა და ახალი შჯულისავ“, სადაც მოთხოვობილია:  
წინასწარმეტყველმა იერემიამ იერუსალიმის ტაძრის მოოხრებამდე სჯულის

კიდობანი გადამალა კლდეში. უფალმა ბრძანა ახალი შჯულის დადება სიონზე, რათა ძველი შჯული დატოვონ აღამიანებმა და მიიღონ ახალი.

წინასწარმეტყველი ამბობს, რომ სოფლის აღსასრულის უამს კიდობანი აღდგება პირველად და დაიდგმება სინას მთაზე, რათა აღსრულდეს დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „აღდებ, უფალო, განსასუენებელად შენდა. შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისავ“, რომელ არს წმიდავ ქალწული მარიამ, რომელი მიიცვალების ამიერ სოფლით წინაშე ღმრთისა, რომელსა დღეს წმიდანი მოციქულნი სიონს შინა შემუსრვისა გალობასა უდაღადებენ“ (84, 409). ძველი შჯულის დასასრული და ახალი შჯულის დადება კი უშუალოდაა დაკავშირებული ღვთისმშობელთან, როგორც ახალი შჯულის ანუ ქრისტეს, მესიის მშობელთან. ამ წინასწარმეტყველებაში დაფარულია შემდეგი აზრი: ღვთის მეორედ მოსვლის შემდეგ ბოროტება, უსამართლობა საბოლოოდ დამარცხდება და დამყარდება ღვთის სამეფო, სამართლიანი სახელმწიფო. ამდენად, კიდობნის სიმბოლიკაში ესქატოლოგის მოტივიცაა გაცხადებული.

**ეტლი.** ეტლი, როგორც დინამიური სიმბოლო ძალაუფლებისა, განუყოფელი ატრიბუტია იმ მითოლოგიური და იკონოგრაფიული სიუჟეტებისა, რომლებშიც ღვთაებანი, გმირები თუ ალეგორიული პერსონაჟები მონაწილეობენ. სამხედრო დანიშნულებასთან ერთად, ეტლი წარჩინებულთა — მეფეთა, დიდებულთა, მხედართმთავართა გამორჩეულობის ყოფითი ატრიბუტი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობდა სრულიად გარკვეული შესაბამისობა ეტლის „გამწევ ძალასა“ და მის მგზავრს შორის: ასე მაგალითად, უმანკოების ალეგორიული ფიგურის ეტლს ცალრქა ეზიდება, მარადისობისას — ანგელოზები, დიდებისას — სპილოები, ხოლო დამისას და სიკვდილისას — შავი ცხენები. (5, 65). მნიშვნელობა აქვს მითოლოგიური ეტლის ფერსაც: ინდუისტური ქალდმერთის ინდრას ეტლი ოქროსფერია, ელია წინასწარმეტყველის ზეციური ეტლი კი — ცეცხლოვანი.

სხვა სახე-სიმბოლოებთან ერთად, ეტლიც ღვთისმშობლის ერთ-ერთ პიპოდიგმა-დაა მიჩნეული პიმნოგრაფთა მიერ და ჩვენ საგანგებოდ მივუჩინეთ ამ სიმბოლოს ადგილი ამ ქვეთავში. იდეაში ეტლი არ არსებობს მგზავრის გარეშე, ანუ იმ ადამიანის გარეშე, რომელიც მასში მოთავსდება; აქედან გამომდინარე, ღვთისმშობლის სიმბოლოდ ეტლის მოაზრება იმდენადაა მიზანშეწონილი, რამდენადაც მან იტვირთა მაცხოვარი თავის სხეულში: „...შენ ეტლო და საყდარო სიწმიდისაო, უსძლოო ქალწულო“ (72, 356); „სიტყუად ღმრთისად დაუსაბამოდ, ცუარი იგი ცხოველს-მყოფელი იტკრთე, ღრუბელო სულმცირეო, ეტლო სიწმიდისაო...“ (72, 211).

წმიდა ოთანე დამასკელი განმარტავს: „ეტლი ღმრთისად ბევრ წილ ქმნილი საღმრთოთა მაღლთაგან მდიდარ ქმნილებათა მიერ, ქერობიმთა ვიტყვ და სერაფიმთა“ (166, 119).

ეტლი თანავარსკვლავედის მნიშვნელობითაც იხმარება. როგორც ცნობილია, თანავარსკვლავედს მოჰყავს დიდი გარსბელავები. როცა მნათობი თავის სამყოფელ ეტლში შედის, ის ყველაზე მეტად ბრწყინვალეა მაშინ. აქედან გამომდინარე, დვთისმშობელი არის ყველაზე დიდი მნათობის, ანუ მაცხოვრის ზოდიაქო.

ტიტე მოსიას დაკვირვებით, ეტლი (ზოდიაქო, თანავარსკვლავედი – თ. გ.) ვარსკვლავის მნიშვნელობითაც იხმარებოდა და ფაეტონისაც. „წმიდა მარიამი ალგორიულ ენაზე ეტლადაა დასახული იმიტომ, რომ ცხრა თვის განმავლობაში იგი მუცლით ატარებდა მაცხოვარს, რომლის შობით ქვეყანას მხსნელი მოევლინა“ (102, 84).

**ოქროს სასანთლე.** გამოსვლათა წიგნში ნათქვამია, რომ შვიდრტოიანი სასანთლე (მენორა) გამოჭედილი იყო ხალასი ოქროს მთლიანი ზოდისაგან და სულ ცოტა 30 კილოგრამს მაინც იწონიდა. სასანთლის რტოები შემკული იყო ყვავილებითა და ფოთლებით. ეს იყო სინათლის ერთადერთი წყარო მთელ კარავში: „და ჰქმნე სასანთლე ოქროსაგან წმიდისა, წახნაგებულად ჰქმნე სასანთლე. დერი მისი და ლელწმის სახენი და ტაკუკნი და ბირთვს სახენი და შროშანნი მისგან იყვნენ. და ექუსნი ლელწმის სახენი გამოვიდოდინ გუერდთაგან: სამნი ლელწმის სახენი სასანთლისანი გუერდისაგან მისისა ერთისა და სამნი ლელწმის სახენი გუერდისაგან მეორისა. და სამნი ტაკუკნი დაწესებულნი ნიგუზის მსგავსნი: ერთი ლელწმის სახე, ერთსა – ბირთვს სახესა და შროშანსა და სამნი ტაკუკნი დაწესებულნი ნიგუზის მსგავსნი: ერთი ლელწმის სახე, ერთსა – ბირთვს სახესა და შროშანსა, ესრეთ ექუსთა ლელწმის სახეთა გამომავალთა სასანთლისაგან. და სასანთლესა მას ოთხნი ტაკუკნი დაწესებულნი ნიგუზის მსგავსნი ბირთვს სახენი და შროშანნი მისნი. ბირთვს სახე ქუეშე: ორთა ლელწმის სახეთა მისგან და ბირთვს სახე ქუეშე ორთა ლელწმის სახეთა მისგან, ესრეთ ექუსნი ლელწმის სახენი გამომავალნი სასანთლისაგან. ბირთვს სახენი და ლელწმის სახენი მისგან იყვნენ ყოველი წახნაგებული, ერთისაგან ოქროსა წმიდისა. და ჰქმნე სასანთლენი მისნი შვდნი და ზედა დაპსხნე სანთელნი მისნი და ნათობდენ ერთისაგან პირისა. და მოსაყოფელი მისი და ქუეშე

შესადგმელი მისი ოქროვსაგან წმიდისა. ტალანტისაგან ოქროვსა წმიდისა პქმნე ყოველნი ესე ჭურჭელნი“ (გამ. 25, 31-39).

იუდეურ შვიდსანთელაზე წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ „მას დაფარული მნიშვნელობა პქონდა. სასანთლე ყველას უგზავნის სინათლეს, ვისაც მისი სწამს და სჯერა“ (140, 229).

უამრავი ძველი აღთქმისეული წმიდა ნივთი, მათ შორის ოქროს სასანთლეც, ღვთისმშობლის წინასახედ იყო მოაზრებული. ყოვლადწმიდა ქალწული ყველა ნიჭით შემკობილი ოქროს შვიდსანთელად: „გიხაროდენ სასანთლეო, რომელი ებე ოქროთა ქალწულებისათა ზესთა ბრწყინვალე ხარ და სანთლად მოგიგიეს მადლი სულისა წმიდისათ, ხოლო ზეთად განმაპოხებელად ლამპრისა შენგან მიღებულნი იგი ჭორცნი წმიდანი, რომლისა მიერ დაუგალი იგი ნათელი ქრისტე ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარეთა აღუნთებს ლამპართა ცხორებისა საუკუნო ვსათა“ (166, 114).

ღვთისმშობლის სიმბოლოდ ოქროს სასანთლის მოხმობა არც პიმნოგრაფიისთვისაა უცხო: „გიხაროდენ სასანთლეო და ტაკუკო ოქროვსა წმიდისაო, რომელმან იტპროე ქრისტე, ცხოვრების მომცემელი“ (168, 35);

თეოლოგთა შეხედულებით, ამ სასანთლის სინათლე მოიაზრება, როგორც მადლი სულისა, ზეთი კი წმიდა სხეულია, ნასესხები სუფთა ნაყოფისაგან. ამ სიწმიდისგან წარმოიშვება ქრისტე. „სასანთლე არის შემნახველი ნათლისა, ვინაიდან მასში სანთელი ანათებს. ე.ი. მარიამი ის ჭურჭელია, რომელშიც ჩადგა მარადიული სინათლე ქრისტეს სახით. იგი ქრისტეს დედობით შეიქნა ბნელის მანათობელი“ (103, 107).

**ოქროს სასაკმევლე.** ღვთისმშობლის ერთ-ერთი სიმბოლო ოქროს სასაკმევლეცაა. ებრაელები ამ წმიდა ჭურჭელს საკმევლის საკმევად იყენებდნენ. ამ ღროს სასაკმევლიდან გამოსული კვამლი ლოცვების ღმერთთან ამაღლებას ნიშნავდა. ამ შეხედულებით ყოვლადწმიდა ქალწული არის „კეთილსურნელოვანი სასაკმევლე“, რადგანაც იგი ყველაზე გულმოდგინე, საიმედო მლოცველი და ქომაგია ჩვენთვის ღვთის წინაშე (65, 23). ისევე როგორც სასანთლე, სასაკმევლეც ოქროსგან იყო დამზადებული, რაც პიმნოგრაფებს აძლევს საშუალებას, რომ ღვთისმშობელს მიმართონ ასე: „მარიამ, შენ ხარ სასაკუმევლც იგი ოქროვსაო, რომელმან ერთი განუყოფელი სამებისაო მუცლად-იდე და მან სურნელ-ყო ყოველი სოფელი“ (168, 90); „გიხაროდენ, ოქროვსა სასაკმევლეო, რომლისაგან ვიყნოსეთ ჩუენ ანგელოზთა სურნელებად სულთა ჩვენთა განმასურნებელი“ (73, 169); „ყოვლად წმიდაო ოქროვსა წმიდისა

სასაკუმევლეო, სულნელებითა სავსეო, რომელი განაპტოვებ საყნოსველსა კაცთასა, ამისთვის გაკურთხევთ შენ და შენგან შობილსა“ (135, 286); „შე„ ტაძარო ღმრთისაო, სასანთლეო ნათლისაო, ოქროსა სასაკმევლეო, სურნელმყოფელო ყოველთა დაბადებულთაო...“ (152, 168).

წმიდა იოანე დამასკელი მარიამ ღვთისმშობელს „ყოვლისა სოფლისა სასაკმევლედ“ მოიხსენიებს: „გიხაროდენ, სასაკუმევლეო ყოვლისა სოფლისაო, სალხინებელ-ად ღმრთისა მიმართ წარმართებულო, ადსავსეო სულნელებითა სულისა წმიდისათა, რომლისათვის საკპრველებით ითქვა სადამე, ვითარმედ: „ვინ არს ესე აღმომავალი უდაბნოეთ, აღმაღლებული, ვითარცა კუამლი საკუმევლთაო“ (166, 112).

**ოქროს ტაკუკი.** როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყოვლადწმინდა ქალწულის მომასწავებელ აღთქმის კიდობანში ინახებოდა ოქროს წმიდა ჭურჭელი, ტაკუკად წოდებული, რომელშიც მოთავსებული იყო მანანა. „რადგან ერთხელ ლოგოსმა ანუ ქრისტემ წმიდა მარიამის წიაღში ხორცი შეისხა და კაცებრივი სახით მოევლინა დედამიწას, ბუნებრივია, რომ ლოგოსის აღრინდელი გამოვლენები, კერძოდ, მანანა და მისი სამკვიდრებელი ოქროს ტაკუკი, საღმრთო წერილის შემწყნარებელი შჯულის კიდობანი, კვერთხი არიან ღვთისმშობლის საიდუმლოს (ქრისტეს შობის) წინასწარ მომასწავებელნი“ (27, 92).

გამოსვლათა წიგნი მოგვითხრობს: „და ოქუა მოსე აჰრონის მიმართ: მოიღე ტაკუკი ოქროვსა ერთი და შთაასხ მას შინა ღომორი სავსე მანანავთა და დასდგა იგი წინაშე უფლისა ღმრთისა დასამარხველად ნათესავთათვის თქუცნოთა!“ (გამ. 16, 33). ღვთისმეტყველებაში მანანა იესო ქრისტეს მოასწავებდა, რომელმაც თავის თავზე თქვა: „მე ვარ პური ცხორებისაო, რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის და რომელსა პრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის“ (იოან. 6, 35). ეს იყო აგრეთვე სახე საიდუმლო ზიარებისა. ისევე როგორც ტაკუკში ინახებოდა მანანა შთამომავლობისათვის გადასაცემად, ასევე ღვთისმშობლის საშოში იქნა დატეული ქრისტე ადამის მოდგმის გადასარჩენად. ე.ო. ტაკუკი იყო წმიდა ქალწული, შემნახველი მანანასი, ანუ მაცხოვრისა.

ასეთივე სახით გადასულა ის პიმნოგრაფიაშიც: „ტაკუკი ხარ მარიამ, ოქროვსა უბიწოვსაო...“ (109, 507); „გიხაროდენ შენ, ტაკუკო ოქროვსაო, სავსეო მანანავთა და კუალად გიხაროდენ... დედაო ძისა ღუთისაო“ (135, 293); „ტაკუკსა ოქროვსასა მანანავთა სავსესა, ჩუენდა მაგემებელსა სულნელსა, საყდარსა ღმრთისა მაღლისასა, ოქრ-

ოდსაცა კიდობანსა, წმიდასა ბაზმაკსა მნოებარესა, ემბაზსა ნათლისასა, ქრისტეს დედასა თაყუანის-ვსცემდეთ“ (135, 294).

იოანე დამასკელი ადიდებს უფლის დამტევნელ ტაპუას: „გიხაროდენ, ტაპუა ოქროცხებულო, ყოვლისა უშუერებისაგან სრულებით განყენებულო, ვინაო-ებე მანანათ დართულ იქმნა ყოველი სოფელი სიტყვთა მის ცხორებისათა, რომელი შეიცხო ცეცხლითა ღმრთებისათა“ (166, 109).

**ტაბლა.** ძველი აღთქმის კლესის წმიდა ნივთთაგან ყოვლადწმიდა ქალწულის ერთ-ერთი წინასახე ტაბლაც იყო. გამოსვლათა წიგნი მოგვითხრობს, რომ მსგავსად კიდობნისა, ტაბლაც ულპობელი ხისგან იყო გაკეთებული: „და პქმნე ტაბლად ძელთაგან ულპოველისა“ (გამ. 25, 23) და ოქროთი შემოსილი: „და უდელნი იგი კიდობნისანი და ტაბლისანი ქმნნა ძელთაგან ულპოლველთა და შემოსნა იგი ოქრო-ვთა“ (გამ. 37, 28).

მას საწინაშეო პურის ტაბლას ეძახდნენ; მოოქრულ ტაბლაზე, რომელიც საკურ-თხეველში იდგა, შაბათობით დააწყობდნენ თორმეტ ახალ გამომცხარ პურს, თი-თოს ყოველი ისრაელიანი ტომისაგან. ეს პურები დვთის წინაშე იყო დადებული: „დააგნე ტაბლასა ზედა პურნი საწინაშონი წინაშე ჩემსა მარადის“ (გამ. 25, 30).

საღვთისმეტყველო განმარტებით, ქრისტე პურია, ვინაიდან ის არის სამუდამო სიცოცხლით ჩვენი გამომკვებავი. ტაბლა კი უფლის დამბადებელია, მტვირთველია „უხუებისა ლხინებისასა“, რომელმაც დიდი სიხარული და მოლხენა აღირსა ცოდ-ვილთ“ (102, 107). ამიტომაც დვთისმშობელს „საღვთო ტრაპეზსაც“ უწოდებენ.

**ტაძარი.** უფლის სამკვიდრებელი წმიდა ქალწულის ერთ-ერთ წინასახეს წარმოადგენს ტაძარიც, რომელიც „უფლის სახლია“ – წმინდა ადგილი, კოსმიური პარმონიის მიწიერი ანარეკლი, ადამიანის ღმერთოთან მიახლების საკრალურად შემო-საზღვრული არე – სიმბოლო თავად სამყაროსი“ (5, 64). წიგნში „საკრალური და მიწიერი“ მირჩა ელიადე ტაძრის ჭეშმარიტ არსეზე საუბრობს: „მესოპოტამიურ, ეგვიპტურ, ჩინურ თუ ინდურ ცივილიზაციებში ტაძარმა ახალი და არსებითი მნიშვნელობა მიიღო. ის არა მარტო სამყაროს ხატს, არამედ ზეგარდმო სამყაროს ერთგვარ მიწიერ მოდელსაც წარმოადგენდა... როგორც ჭეშმარიტად წმინდა ადგილი, „უფლის სახლი“, – ტაძარი მუდმივად ხელახლა აკურთხებს სამყაროს, რადგან ერთსა და იმავე დროს, მოიცავს კიდეც მას და განასახიერებს. საბოლოო ჯამში, სწორედ ტაძრის წყალობით ხდება სამყაროს სრული განწმენდა. რა წაბილწულიც არ უნდა იყოს სამყარო, მას მუდამდღე ასპეტაკებს საკურთხევლის მადლი“ (60, 59).

საინტერესოა, ბიბლიურ ტრადიციაში გამოკვეთილი ქრისტიანული ტაძრის სიმბოლიკის რამდენიმე პლასტი; კერძოდ, ჯვარგუმბათოვან ტაძარს უნდა წარმოქსახა მაცხოვრის მისტერია; ერთნავიან ეკლესიას – ნოეს კიდობანი, პეტრე მოციქულის ნავი, ანდა, სულაც „სულიერი ხსნის“ ხომალდი... მაგრამ ამ ბიბლიური ისტორიზმის გარდა, ტაძარს უნდა განესახიერებინა უნივერსალური კოსმოლოგიური იდეა და სამყაროს ერთგვარი, საკრალური მოდელიც უნდა ყოფილიყო. (5, 65). სწორედ ამ სიმბოლოზმის ნიმუშია წმინდა სოფიას ტაძარი კონსტანტინეპოლიში (VII.), რომელშიც გაერთიანდა, როგორც აღმოსავლური, ისე რომაული არქიტექტურა, მხატვრული და ტექნიკური ტრადიცია.

ძველ აღთქმაში რამდენიმე წინასწარმეტყველის მიერაა აღწერილი ტაძრის მშენებლობის ამბავი: „აპა, გამოვავლინო ანგელოზი ჩემი და მოიხილოს გზავ პირისა ჩემისავ და მექსა შინა მოვიდეს ტაძრად თვისსა უფალი, რომელსა თქუენ ემიებთ და ანგელოზი აღთქმისავ, რომელი თქუენ გნებავს-ყე. აპა, მოვალს, – იტყვის უფალი, ყოვლისა მპყრობელი“ (მალ. 3, 1).

ღვთისმშობლის წინასახედ ტაძარი ნახსენებია მეფეთა მესამე წიგნშიც, სადაც მოთხრობილია სოლომონ მეფის მიერ ტაძრის მშენებლობის ეპიზოდი: „და აღიშენა ტაძარი იგი ქვითა უთლელითა და კმავ ჭურჭლისა და რკინისა ყოვლადვე არა ისმა შენებასა მის ტაძრისასა“ (3 მეფ. 6, 7). სწორედ ამ ტაძარში ხედავს წმიდა იოანე დამასკელი ყოვლადწმიდა ქალწულის სახეს: „შ ქალწულო, ღმრთივ მიმედლებულო, ტაძარო ღმრთისაო წმიდაო, რომელი ეგე სულიერმან მშვდობისმთავარმან სოლომონ აღგაშენა და შენ შორის დაემკდრა არა ოქროვთა და ქვითა უსულოვთა შემკობილი, არამედ ნაცვალად ოქროვსა ბრწყინვალე სულითა“... (166, 123).

ამავე სახით ქალწულ მარიამზე წინასწარმეტყველებას ვხვდებით ანგია წინასწარმეტყველთანაც: „მით, რამეთუ დიდ იყოს დიდებად სახლისა ამის უკუანადსკნელი, უფროს პირველისა, – იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, და ადგილსა ამას შინა მივსცე მშვდობა, – იტყვის უფალი ყოვლისა მპყრობელი (და მშვიდობად სულისად მოურნეობად ყოველსა მგებელსა აღდგინებად ტაძრისა მის)“ (ანგ. 2, 10), ხოლო „საკვირველ ტაძარზე“, როგორც ღვთისმშობლის წინასახეზე, წმიდა დავით წინასწარმეტყველი ერთ-ერთი პირველი მიუთითებს: „წმიდა არს ტაძარი შენი, საკვირველ არს სიმართლითა“ (ფს. 64, 4-5).

დაკვირვებიდან გამომდინარე, ძველ აღთქმაში ტაძარი ისეთ ადგილს წარმოადგენდა, სადაც ღვთის მყოფობა ყველაზე საცნაური იყო, რადგანაც აქ აღვლენილ

ლოცვას დებულობდა უფალი და რჩეულ მოღვაწეებს ზეშთააგონებდა და ეცხადებოდა. დვთისმშობლის მოაზრება ტაძრის სახეში სწორედ ტაძრის სიწმინდით იყო განპირობებული.

ჰიმნოგრაფებიც არაერთხელ იყენებენ ამ სახეს დვთისმშობლის სიმბოლოდ და მისი მეშვეობით კიდევ ერთხელ ახერხებენ მხატვრული სიტყვის ძალის წარმოჩენას: „შენ, ტაძარო დმრთისაო... გვიოხენ წინაშე ძისა შენისა ამისთვის გიღაღადებთ შენ, მადიდებელნი შენნი.“ (152, 168). იოანე მინჩხს დვთისმშობლისთვის „პირმეტყველი ტაძარი“ უწოდებია: „დვთისმშობელსა ვადიდებდეთ მშობელსა და ქალწულსა, დედასა მეუფისასა, ვენაჭსა გონიერსა, ტაძარსა პირმეტყველსა“ (73, 160). ამ ეპითეტით ჰიმნოგრაფი სიმბოლოს ერთგვარ განზოგადებას გვთავაზობს. ეპითეტი „პირმეტყველი“ განასხვავებს ცოცხალ ტაძარს ანუ დვთისმშობელს რეალური, ფიზიკური ტაძრისაგან.

იოანე მტბევარისთვის დვთისმშობელი „სიწმიდის საყდარი“ და „სამეუფო ტაძარია“, რომლისგანაც განკაცებული დმერთი გამოვიდა: „სული წმიდავ მოვიდა შენდა ქალწულო და ძალი მაღლით გვარვიდა შენ, უსძლოო, საყდრად სიწმინდისად განგამზადა და დედად უხრწნელებისად ჩუენ ყოველთა გპჩინა, ამისთვის დმრთისმშობლად აღგიარებთ შენ“ (72, 66); „ტაძრისაგან სამეუფოსა დმრთისა სადგურისა და კიდობნისა მისგან სიწმიდისა, რომლისა სიკეთევ სონდა მეუფესა პირველ გამოსახულისა დმრთის მგალობელთაგან, დღეს გამოვიდა დმერთი განკაცებული უმთავრესი ყოველთა მთავრობათად საშოასაგან უსძლოსა ქალწულისა“ (72, 83).

საგალობლებში ტაძარი რამდენიმე სხვადასხვა ეპითეტთან ერთად გვხვდება: „ტაძარი დვთისა“, „ტაძარი შემოქმედისა დმრთისავ“, „ტაძარი დაურღვეველი“, „სულიერი ტაძარი“, „სამეუფო ტაძარი“, „ტაძარი მაცხოვრისავ“, „პირმეტყველი ტაძარი“, „დაკრძალული ტაძარი“; აქედან უფლის სამკვიდრებელს აღნიშნავს: 1) „ტაძარი დვთისა“, „ტაძარი შემოქმედისა დმრთისავ“, „სულიერი ტაძარი“, „სამეუფო ტაძარი“, „ტაძარი მაცხოვრისავ“; 2) „ტაძარი დაურღვეველი“ ქალწულის მარადიულ ხატებას განასახიერებს; 3) „დაკრძალული ტაძარი“ კი დვთისმშობლის უბიწოებაზე მიმანიშნებელია (რაზეც დვთისმშობლის მარადქალწულობის აღმნიშვნელ სახე-სიმბოლოებზე საუბრისას აღვნიშნეთ).

აღსანიშნავია ტაძრის კიდევ ერთი სახე, რომელსაც „უძველეს იადგარში“ ვხვდებით: „გიხაროდენ, ყოლად წმიდაო ქალწულო, აღშენებულო ტაძარო...“ (142, 510). ამ ეპითეტში, უფლისაგან საგანგებოდ გამორჩეული, სულიწმიდისაგან

განწმენდილი, ანუ მისგან დვთის სამკვიდრებლად აღშენებული დვთისმშობლის წმიდა სხეული უნდა ვიგულისხმოთ. ცნობილია, რომ დვთისმეტყველებაში ქალწულ მარიამის როგორც სული, ასევე სხეული, დვთის ტაძრად არის მიჩნეული. ასე მოიხსენიებს მას წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე: „ყოვლადწმიდა ქალწულის სული დმერთის ტაძარი მანამდე იყო, სანამ სხეული დმრთის განხორციელებული სიტყვის ტაძრად შეიქნებოდა“ (169, 278).

გვიქრობთ, საინტერესო და, ამასთანავე, ორიგინალური შესიტყვებაა – „დარღვეული ტაძარი“, რომელიც „აღშენებული ტაძრის“ ანტინომია, თუმცა მსჯელობას კვლავ წმიდა წერილთან მივყავართ. იოანეს სახარებაში ტაძრის დანგრევასა და ადდგომაზე საუბრისას, მაცხოვარი საკუთარ ვნებაზე წინასწარმეტყველებს: „დაპხსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგვ. პრქშეს მას ჰურიათა: ორმეოც და ექვსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე და შენ სამთა დღეთა აღადგინო იგი? ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათვის გუამისა თვისისა“ (იოან. 3, 19-21).

ეს თემა არც ჰიმნოგრაფებისთვისაა უცხო: „მოასწავებდა უფალი ჰურიათა დაფლვასა თვისისა და სამ დღე ადდგომასა: „დაარღვეთ თქუენ დიდი ესე ტაძარი, დაპხსენით და მე სამ დღე აღვჭმართო იგი“ (73, 298). უფლის სხეულის გამომხატველ ტაძარს საგალობელში სხვა დატვირთვაც შეუძენია. ჰიმნოგრაფები ტაძრად მოიხსენიებენ წმიდა ლაზარეს სხეულსაც: „ვითარცა ხუროთმოძღვარმან ყოვლისა შემძლებელმან დმრთებისა ძალითა ტაძარი იგი დაცემული და დარღვეული – ჭორცოა ლაზარესთავ კუალად აღაშენა“ (73, 259).

ადამიანის სხეულის ტაძრად მოაზრების საფუძველიც ევანგელურ სწავლებას ეფუძნება. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ნათქვამია: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარი დმრთისანი ხართ და სული დმრთისავ დამკვიდრებულ არს თქუენ შორის“ (1 კორ. 3, 16). თეოლოგიური შეხედულებით, დვთის ხატად შექმნილი ადამიანის სხეული სულიწმიდის სამკვიდრებელია. როგორც დვთის ხელშია ადამიანი და ყოველივე ამქვეყნად არსებული, ასე ის განსაზღვრავს თითოეული ჩვენგანის ბედსაც და, ბუნებრივია, მასვე ძალუბს მის მიერ შექმნილი სხეულის აღდგინებაც. ლაზარეს დარღვეული სხეული ანუ ტაძარი, დვთის ძალით ისევ აღდგა. ჰიმნოგრაფი ამ ფაქტს ხუროთმოძღვრის საქმიანობას ადარებს, რადგანაც, ხუროთმოძღვრის მსგავსად, მხოლოდ უფალს ძალუბს შექმნაც და განახლებაც. ადამიანმა გამუდმებით უნდა იზრუნოს როგორც სულის, ასევე სხეულის სიწმიდისათვის, რისთვისაც დმერთან ლოცვითი კავშირის აუცილებლობას გვირჩევენ წმიდა მამები: „და ესე არს დამკად-

რებად დმრთისად ჩუენ შორის, რათა დაუვიწყებლად გუაქუნდეს კსენებად მისი ჩუენ შორის, რამეთუ ესრეთ ვიქმნებით ტაძარ დმრთისა“ (26, 219).

აქედან გამომდინარე, ამ სახე-ხატთან დაკაგშირებით, დასკგნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაძარი სასულიერო პოეზიაში აღნიშნავს: 1) ქრისტეს სხეულს; 2) იგი არის დვოისმშობლის ჰიპოდიგმა; 3) ტაძრად იწოდება ადამიანის სხეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ დვოისმშობელი ტაძართან ერთად ტაძრის ეზოდაც არის წოდებული. გამოსვლათა წიგნში აღწერილ ტაძრის მშენებლობის ეპიზოდში ასევე საუბარია ტაძრის ეზოზეც: „და ჰქმნე ეზო ტაძრისა კერძოვსად სამხრად მიმართსა, კრეტსაბმელი ეზოვსად ბისონისგან ძახილისა, სიგრძე – ასი წყრთად ერთისა მის მომრგულებისად“ (გამ. 27, 9). ქალწული მარიამი ტაძრის ეზოდ არის წოდებული ძლისპირებში: „შენ ყოდად ქებულო, დიდებულო დმრთისმშობელო, რომელი შემდგომად მეორედ ეზო ტაძრისად ხარ, რომელსა პრქან წმიდად წმიდათად, გალობით გადიდებო“ (109, 885). ტაძარი აქ ქრისტეა, ხოლო ეზო – ქალწული მარიამი.

**საყდარი.** დვოისმშობლისადმი მიმართული ეს სიმბოლო ხშირად ენაცვლება ტაძრის ჰიპოდიგმას. ესაიას წინასწარმეტყველებაში ვკითხულობთ, თუ როგორ იხილა მან საყდარზე მჯდომი უფალი: „ვიხილე უფალი საბაოთ, მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა და სავსე იყო დიდებითა უფლისაოთა ტაძარი იგი“ (ეს. 6, 1). დვოისმშობელში მაცხოვრის დავანება ჰიმნოგრაფებს ამ სიმბოლოს დახმარებით ასე გადმოუციათ: „გიხაროდენ საღმრთოვსა მის ოქროვსა ტაკუკო, სავსეო მანანაოთა, გიხაროდენ საყდარო დმრთისაო, გიხაროდენ შემწეო ჩუენო, გიხაროდენ მოღუაწეო ყოვლისა სოფლისაო“ (73, 233); „არარად არს მსგავსი შენი, ეტლო ზეცისაო, ქერუბინო საყდარო ცეცხლისა მის უსხეულოვსა, უხილავისაო და დედაო დამბადებლისაო, სასოო და სიქადულო და მეოხო სულთა ჩუენთაო“ (73, 233). უფლის ცეცხლად მოხსენიებაც წმინდა წერილიდან იღებს სათავეს: „რამეთუ, აპა, უფალი ვითარცა ცეცხლი, მოიწიოს... დევნად ალითა ცეცხლისათა“ (ეს. 66, 16). ცეცხლი უფლის წინასახეა შესაქმეშიც, როცა მაყვალსმოდებული ცეცხლი არ წვავდა მცენარეს (ამ საკითხზე დაწვრილებით ვისუბრეთ დვოისმშობლის მარადქალწულობის აღმნიშვნელ სახეებში).

ახალ აღთქმაში ცეცხლთან არის ასოცირებული ასევე სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულებზე. აქედან გამომდინარე, ცეცხლს ბოროტების, უკეთურ ძალთა განადგურების ფუნქცია აკისრია. თეოლოგიაში განსწავლულ ჰიმნოგრაფთა სიტყვის ძა-

ლა და მრავალფეროვნება იგრძნობა, როცა ისინი დვთისმშობელს „უსხეულო ცეცხლის საყდრად“ და „დვთის გარდამოსვლის საყდრად“ მოიაზრებენ: „...საყდარსა დმრთისა გარდამოსვლისასა, წმიდასა მას დედოფალსა, საუნჯესა სულიერსა მადლისასა, ღმრთისა სიტყვა მშობელსა, მისგან განკორციელებულისასა, ზეცად აღმყვანებელსა ჩუენსა ანგელოზნი ადიდებენ მათ თანა შემაერთებელსა ჩუენსა“ (73, 235).

**კარავი.** გამოსვლათა წიგნში ნათქვამია, რომ მოსეს კარავი გაკეთებული იყო ოთხი სახის ქსოვილისა და ტყავისაგან, რომელიც გადაჭიმული იყო ხის ჩონჩხზე. მისი შიგნითა ფენა წარმოადგენდა სელის გადასაფარებლებს, რომელსაც ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი მატყლისაგან ნაქსოვი სახეები ამშვენებდა. მის ზემოთ განლაგებული იყო თბილი ქსოვილის ფენა. ასეთივე ქსოვილის ნაჭერი კარის მოვალეობასაც ასრულებდა. კარავს გარედან ცხვრის ტყავისაგან გაკეთებული წყალგაუმტარი გადასაფარებელი ეკრა, რომელიც წითლად იყო შედებილი.

კარავი შიგნით ორ ნაწილად იყოფოდა. უფრო მომცრო, კარებიდან შორს მდებარე სენაკი – „წმიდათა წმიდად“, ე.ი. ყველაზე წმიდა აღგილად იწოდებოდა. მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა წელიწადში ერთხელ იქ შესვლის უფლება.

„წმიდათა წმიდა“ უფრო დიდი ოთახისაგან გრეხილი სელის კრეტსაბმელით იყო გამოყოფილი. სავანეში შესასვლელს ჩამოფარებული ჰქონდა აგრეთვე ნაქარგი გრეხილი სელის ჩამოსაფარებელი. (გამ. 25, 27; 30, 1-10; 17-21).

ჰიმნოგრაფიაში გავრცელებულ დვთისმშობლის ამ სიმბოლოს წინასახეს წმინდა მამები სწორედ მოსე წინასწარმეტყველის მიერ აგებულ კარავში ხედავენ, რომელიც მოძრავ ტაძარს წარმოადგენდა. წმიდა იოანე დამასკელი გვიხსნის ძველი აღთქმისეული კარვის მნიშვნელობას დედოფალთან მიმართებაში: „მოუდერკინ კარავი მრავალ განთქმული, რომელი უდაბნოსა ზედა მოსე შემზადა ყოვლით კერძოთა და მრავალსასყიდლისათა ნივთთა მიერ და პირველ მისსა აბრაჟამისიცა იგი ამისისა მამისად სულიერსა ამას და სიტყვერსა კარავსა ღმრთისასა, რომელი ესე არა თუ მოქმედებათა ღმრთისათა საუნჯე, არამედ არსებითისა მის და გუამოვნებითისა სიტყვსა ღმრთისა გუამისა სამკუდრებელ იქმნა“ (166, 120).

სახე-სიმბოლოებით მდიდარი ბიბლიური სამყარო ასევე იცნობს აბრაამის კარავსაც, რომელიც ასევე ღვთისმშობლის ჰიპოდიგმადაა მიჩნეული. შესაქმის თანახმად, აბრაამ მამამთავარს მამრეს მუხასთან ღმერთი გამოეცხადა სამი მგზავრის სახით, როცა ის კარვის კართან იჯდა. ერთ-ერთმა მათგანმა აბრაამს უწინასწარმეტყველა, რომ მას შვილი ეყოლებოდა სარასგან. ღვთის წინასწარმეტყველება

ახდა. აბრაამს ეყოლა ისააკი. აქედან გამომდინარე, პიმნოგრაფიაში აბრაამის კარავი დვთის დამტევნელ ქალწულად იქნა მოაზრებული. „ვინაიდან მარიამ დვთისმშობლის მეშვეობით მოევლინა ადამიანებს უხილავი დმერთი ხილულად, ამდენად, პიმნოგრაფებმა ალეგორიულად აბრაამის კარავი მაცხოვრის დედად წარმოსახეს“ (102, 68). იოანე მინჩხის ერთ-ერთ საგალობელში აბრაამის კარავი დვთის დამტევნელი ქალწულის საშოდაა მოაზრებული: „კარავმან აბრაამისამან დაიტია დმერთი დაუტევნელი და მოასწავა საშოვ შენი“ (73, 155).

პიმნებსა და პომილიებში „კარავი“ როგორც ცალკე, ისე სხვადასხვა ეპითეტთან ერთად („სამეუფო კარავი“, „განწმენდილი კარავი“, „სულიერი კარავი“, „წმინდა კარავი“, „მაღლის კარავი“...) გამხდარა დვთისმშობლის განდიდების ერთ-ერთი სიმბოლო, რომლის ძალითაც შესანიშნავად წარმოჩნდა წმინდა მარიამის მადლი ცოდვილთა წინაშე: „გიხაროდენ, კარავო დმრთივ აღშენებულო და სიმრგულედ ცისა შემზადებულო, უგრცელესო ზეცისა კამარათაო, რომლისა მიერ თჯსით პირით ეზრახა დმერთი კაცთა და რომლისა მიერ სოფელსა მოენიჭა სალხინებელი საუკუნო“ (166, 107); „კარავ იქმნა სანატრელი მარიამ ცათავ და ქუეყნისავ, შემოქმედი იტვირთა და მისგან გამოვიდა მფენელი სულთა ჩუენთავ“ (142, 7); „კარვად სამეუფოდ გამოშჩნდი დმრთისმშობელო, რამეთუ შენგან გამობრწყინდა სიმართლის მზე, მჯსნელი და მაცხოვარი სულთა ჩუენთავ“ (142, 414); „კარავი განწმენდილი, ქალწული უბიწოვ“ (142, 434); „დმრთისა დედაო და ქალწულო, გადიდებო ცხორებისა წყაროსა დაუწყედელსა, კარავსა სულიერსა დმრთისასა“ (101, 10); „გიხაროდენ კარავო წმიდაო, აბრაამის გამოსახულო“ (72, 381); „გიხაროდენ, კარავო მაღლისაო“ (109, 347).

დროთა განმავლობაში პიმნოგრაფთა მიერ კარვის შინაარსი დვთისმშობელთან მიმართებაში უფრო გაღრმავდა, იგი ცათა და ქვეყნის კარვად იქცა: „კარავ იქნა სანატრელი მარიამ ცათავ და ქუეყნისავ, შემოქმედი იტვირთა და მისგან გამოვიდა მჯსნელი სულთა ჩუენთავ“ (142, 7).

კარვის სიმბოლიკამ დვთისმშობლის სახლად, სულიერ სადგურად მოაზრების საფუძველიც შექმნა: „სახლი, რომელ იშენა დმრთისა სიბრძნემან – დედაო თჯსი, წმიდაო ქალწული უბიწოვ, სულიერი სადგური ცათა მობაძავი“... (73, 328). იოანე მინჩხის დახვეწილმა მხატვრულმა გემოვნებამ დვთისმშობლის „დვთის სიტყვის სადგურად“ და „მართალ სულთა სადგურად“ სახელდებაშიც იჩინა თავი, რითაც სადგურის სულიერი შინაარსი კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა: „ცავ იგი სულიერი და

სადგური სიტყუსა დმრთისად – ქალწული დღეს აღმაღლდა ცასა ცათასა და მარა-დის იქების ანგელოსთა და კაცთაგან დირსად, საუკუნოდ იდიდების, ვითარცა დე-დად დმრთისად“ (73, 333); „ვითარმედ გხადოდით შენ, მარიამ, სადგურად სულთა მარ-თალთა“ (73, 227).

ამდენად, ტაძარი, კარავი, სახლი, სადგური ერთნაირი სახეობრივი შინაარსის მატარებელი სახეებია – ისინი გამოხატავენ მაცხოვრის დამტევნელ დვთისმშობელს.

როგორც ვნახეთ, ქართველ პიმნოგრაფთა შემოქმედებითი ინტერესის მთავარი საგანი დვთაებრივი მოვლენების არა მხოლოდ გახსენება, არამედ მათი შექებაა, რაშიც უმთავრეს მასალას მათ წმიდა წერილი აძლევს. მაგრამ ოდენ წმიდა წერილისეული მოვლენების მოხმობა, ბუნებრივია, ასეთი მიმზიდველი ვერ იქნებოდა, რომ არა ზეგარდმო მადლი, რომელიც მათ შემოქმედებით ინტერესს აღვივებდა. როგორც წმიდა მოვლენები არ აღესრულებოდა, ასევე, არც მათი ქება წარმოითქმოდა უფლის ნების გარეშე. რადგანაც ძველი აღთქმის ეპოქა განსაკუთრებით მდიდარი იყო სიმბოლო-ალეგორიებით, ამიტომაც პიმნოგრაფთა ინტერესი განსაკუთრებული აქტიურობით გამოიხატა მის მიმართ. უშუალოდ ქართველ პიმნოგრაფთა ტექსტებზე და წმინდა წერილზე დაკვირვებით, ვნახეთ, თუ რა გზა გაიარა აქ მოხმობილმა სახე-სიმბოლოებმა. გამოჩნდა, რომ თითოეული სიმბოლო წმინდა მარიამის პიპოდიგმური სახეა, ძველ აღთქმაში წინასწარმეტყვე-ლურად მოასწავებდა მაცხოვრის დამტევნელ დვთისმშობელს, რაც ახალ აღთქმაში უკვე გაცხადებულადაა წარმოდგენილი. ქართველმა პიმნოგრაფებმა კი თითოეულ სახეს მხატვრული ელფერი შესძინეს და კიდევ ერთხელ განადიდეს წმინდა მარიამი – იესო ქრისტეს სამკვიდრებელი – ამ სიმბოლოთა მოხმობით.

### **3. დგთისმშობლის სიმბოლიკა მცენარეთა და ფრინველთა სახისმეტყველების მიხედვით**

მცენარეთა და ფრინველთა შესახებ უძველესი დროიდან არსებობდა სხვადასხვა წარმოდგენები და ის არც სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების მქონე ძველი და ახალი აღთქმის ეპოქას დარჩენია ყურადღების მიღმა, ამასთან, მათ არქეტიპებს ახალი სახეობრივი დატვირთვა მიანიჭა. სასულიერო მწერლობამ, რომელიც ბიბლი-ას ემყარება, შეითვისა მათი სახისმეტყველებითი დატვირთვა და თავისი თემატიკის ორგანულ ნაწილად აქცია. მცენარეთა და ფრინველთა სიმბოლიკა მიემართება მაც-ხოვარს, დგთისმშობელს, წმინდანებს... აქ წარმოდგენილი თითოეული სახე ბიბლი-იდან, კერძოდ, ძველი აღთქმიდან მომდინარეობს. ქართველმა პიმნოგრაფებმა კი მხატვრული სიტყვის წყალობით, მოახერხეს მათი გამოყენება წმინდანებთან მიმართებაში, ამ შემთხვევაში, წმინდა მარიამის ატრიბუტად აქციეს და მკითხველამდე ორიგინალური სახით მიიტანეს.

**ხე ცხოვრებისა.** როგორც ცნობილია, ინდურ მითოლოგიაში სიცოცხლის ხე, რომელიც კოსმიური კვერცხისგან იზრდება, განასახიერებდა მატერიალური სამყაროს შემქმნელ ბრაჟმას. „ხე ცხოვრებისა“ ბიბლიურ-ზეციურ იერუსალიმში თორმეტ ნაყოფს ისხამს... ზუსტად ასევე, ძველი ინდოეთისა და ჩინეთის მითოლოგიაში მსოფლიო ხის ტოტებში თორმეტი „მზიური ფრინველი“ ცხოვრობდა“ (5, 152).

პირველი მცენარე, რომელიც ბიბლიური სახისმეტყველების კვალობაზე მარიამ დგთისმშობელზე მიანიშნებს, არის „ხე ცხოვრებისა“. ეს ხატოვანი გამოთქმა, მაცხოვრის ერთ-ერთ მეტაფორადაა მიჩნეული, ხოლო შედარებით იშვიათად გამოყენება მარიამ დგთისმშობელთან მიმართებაში.

„ხე ცხოვრებისა“ ხშირად გარდაისახებოდა ხოლმე სამყაროს შექმნის მეტაფორად. არაერთი კულტურული ტრადიციის მიხედვით, ეს ხე წმინდა მთაზე ან სამოთხეში იზრდება. სულიერი ენერგიის ნაკადული მისი ფესვებიდან მოსჩქევს.

ძველი აღთქმის დასაწყისშივე გკითხულობთ: „და აღმოაცენა ღმერთმან მერე ქუეყანით ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა – შორის სამოთხესა და ხე იგი – ცნობადი კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 2, 9). „ხე ცხოვრებისას“ სათანადო ახსნა-განმარტება მოგვცა არაერთმა დიდმა საეკლესიო მოდგაწემ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „აწ უკუე ერთი არს ძალი სიტყვისავ

მის, უკუთუ სოქეა: ხე ცხოვრებისა, გინათუ ხე იგი, რომელსა ეწოდების უოველივე, რომლისა გემოდ მისი დაბადებულთათვის... ვითარცა ხატებად ლმრთისად“ (143, 190) დამოწმებული სიტყვების კომენტირებისას ლაურა გრიგოლაშვილი შენიშნავს, რომ „ხე ცხოვრებისას“ სინონიმად ლვთისმეტყველებაში გვხვდება ყოველი ხე. ეს სახეები ერთი შინაარსით არიან დატვირთულნი და ერთ აზრს გულისხმობენ (49, 62).

გრიგოლ ნოსელი „ხე ცხოვრებისას“ სიბრძნის, სიკეთის, ჭეშმარიტების სიმბოლოდ მიიჩნევს, რის საფუძველსაც მას ბიბლიური ტექსტი უნდა აძლევდეს: „ნეტარ არს კაცი, რომელმან პოვა სიბრძნე და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერება, რამეთუ უმჯობეს არს ესე მოგებად, ვიდრედა ოქროსა და ვერცხლისა საუნჯესა... ხე ცხოვრებასა არს, ყოველთა რომელთა შეიწყნარონ იგი, და რომელნი შევედრებულ არიან მას, ვითარცა უფლისა მიმართ, უცომელ“ (იგავ. 3, 13-18).

„ხე ცხოვრებისა“ მაცხოვრის სიმბოლოა ახალ აღთქმაშიც: „მივჭიცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხოვრებისა, რომელ არს შორის სამოთხესა ღუთისასა“ (გამოცხ. 2, 7). ასევე: „და მიჩურნა მდინარე წმინდად ერთი წყლისა ცხოველისა, ბრწყინვალე ვოთარ ბროლი, გამომავალი საყდრისაგან ღუთისა და კრავისა, მათ შორის სივრცესა მის ქალაქისასა და მდინარისა მისა მიერ წიაღვლი ხე ცხოვრებისა, ნაყოფისა გამომდებელი ათორმეტთა ნაყოფთა“ (გამოცხ. 22, 1-2). აშკარაა, რომ აქ „ხე ცხოვრებისა“ მაცხოვარია, „ათორმეტ ნაყოფში“ კი მისი 12 მოწაფე იგულისხმება. ხის სიმბოლიკის მაცხოვრის სახედ წარმოდგენა არც ჰიმნოგრაფებისთვისაა უცხო: „განედო დღეს ბეთლემს სამოთხეო, მოვედით, გემოდ ვიხილოთ ხისა მის ცნობადისა, რომელ არს ქრისტე, საღმრთო იგი ყუავილი“ (72, 161). ტიტე მოსიას დაკვირვებით, აქ „ხე ცნობადი“ იესო ქრისტეს ადამიანური ბუნების ცნობადობაზე უნდა მიანიშნებდეს. ჰიმნოგრაფები ასევე განადიდებენ ცხოვრების ხის დამნერგველ ქალწულს: „ქალწულო მარიამ, დაპნერგე ხე ცხოვრებისა უბიწო“ (168, 158); სხვაგან კი წმინდა მარიამი თავადაც ცხოვრების ხედაა წარმოდგენილი, რადგანაც იგია დასაბამი ცხორების: „ხე ცხოვრებისა გუექმნა წმიდად ქალწული მარიამ და ვენახი ჭეშმარიტებისა, რომელმან გამოიღო ტევანნი ცხოვრებისა“ (180, 151).

„ხე ცხოვრებისა“ კაცობრიობისათვის საშუალებაა სულიერი განწმენდის, გადარჩენის, ყოფიერების წნეხიდან გათავისუფლების. მართლაც, თავისი აგებულებით, ხე განვითარების სიმბოლოა, მისი ტოტების მრავალფეროვნება კი – ერთიანობის.

ვიკტორ ნოზაძე თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში „მშვენიერების თეორიები“ სიცოცხლის ხედ სახელდებს ალვის ხესაც და ბიბლიური მონაცემების დამოწმების შემდეგ წერს: „თითქმის ყველაზან ხე წარმოდგენილი არის მითოსურად, მსოფლიოს გამომხატველად. ხე არის ხატი მსოფლიოსი: მისი წვერი, გვირგვინი არის ცათა სამყარო, მისი ტანი არის მიწაზე, ხოლო ძირი და ფესვები – დედამიწის გულში. ამასთანავე, ეს მსოფლიო ხე არის სიცოცხლის ხეც. ამ მითოსური შეხედულებებიდან გამოდის ის რწმენა, რომ ჩვენი ხე, მიწიერი ხე, არის მსოფლიო ხისა და სიცოცხლის ხის (ხე ცხოვრებისა) გამომსახველი. ეს ხე აერთიანებს ქვესკნელს, ზედაპირს და ზესკნელს“ (116, 26).

ბიბლიურ-საღვთისმეტყველო მწერლობაში „ხე“ მხატვრული შედარების ობიექტიცაა: „და იყოს იგი, ვითარცა ხე, დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი, მისნი არა დასცვივენ“ (ფს. 1, 3), ე.ი. ფსალმუნში უფლის რჯულის დამცველი ნეტარი კაცის ბუნების გამოსახატავად შედარების ობიექტად წყლის პირას დარგული ხეა გამოყენებული.

**ვენახი/ვაზი.** მცენარეთა საღვთისმშობლო სიმბოლოებიდან პიმნოგრაფიასა და, ზოგადად, სასულიერო მწერლობაში გავრცელებულია ვენახი, რომელსაც ენაცვლება ვაზი.

ეს ხვიარა მცენარე, დაკიდებული მტევნებით, პალესტინის უმნიშვნელოვანები ნაყოფიერი კულტურაა. მცენარეს რგავდნენ მწკრივში, წინასწარ საგულდაგულოდ გამზადებულ ნიადაგში, მთის მზვარე კალთებზე. ყოველ გაზაფხულზე ვაზს სხლავდნენ, ხოლო როცა მტევნები შემწიფდებოდა, ვენახის პატრონი სათვალთვალო კოშკიდან ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რომ ვენახში არც ცხოველს შეედწია, არც ადამიანს. მოსავლის ძირითად ნაწილს წურავდნენ. ვენახი იყო ისრაელის ეროვნული ემბლემა, მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლო. იქსო ვაზის სახეს თავის ხუთ იგავში იყენებს, ხოლო იოანეს სახარებაში თავის თავს ჭეშმარიტ ვაზს უწოდებს, თავის მიმდევრებს კი – ვაზის ლერწებს. (რიცხვ. 13, 21; 24-25; მათ. 9, 17; 20, 1-7; ლუკ. 13, 6-9; იოან. 15,1...).

ვაზი იყო პირველი მცენარე (ფაქტობრივად, განასახიერა „ხე ცხოვრებისა“), რომელიც ნოემ წარდგნის შემდეგ დარგო, ხოლო გამოსვლათა წიგნში კი პირველი ნიშანი იმისა, რომ ეგვიპტიდან გამოსულმა ებრაელებმა აღთქმულ მიწას მიაღწიეს. ვენახი მიჩნეული იყო, ასევე, ბუნების სიუხვის, სიძლიერისა და სილამაზის ერთ-

ერთ სიმბოლოდაც. „არამედ ოდეს უჩვენო მშვიდობა, ვენაჭმან მისცეს ნაყოფი მოსი, და ქუეყანამან მოსცეს ნაშრომნი თჯხნი...“ (ზაქ. 8, 12); „და განისუენებდეს კაცადი ქუეშე ვენაჭსა თჯსსა, და კაცადი ქუეშე კერძო ლედვისა თჯხისა და არა იყოს მაშინებელი, რამეთუ პირი უფლისა ყოვლისა მპყრობელისა იტყოდა ამათ“ (მიქ. 4, 4).

ვენახი ისრაელის სახლად ითვლება ესაია წინასწარმეტყველთან, ხოლო იუდეველი ხალხი მის ნერგად არის მოაზრებული: „რამეთუ ვენაჭი უფლისა საბაოთისი სახლი ისრაილისა არს და კაცი იუდაისათ – ახალნერგი შეუვარებული. ველოდე, რადთამცა ყო მშჯავრი, ხოლო ყო უშჯულოება; და არა სიმართლე, არამედ დაღადება“ (ეს. 5, 7).

„ქრისტიანული ვაზი“ ძირეულად განსხვავდება იმ დიონისური სიმბოლიზმისაგან, რომელიც დვინის დვთაებას, ბახუსის (დიონისებ) სახელს უკავშირდება და გრძნობადი, ჰედონური, ეროტიული კულტურის მთელ პლასტს ქმნის“. (5, 68). ყურძენი და ხორბალი (დვინი და ჰური) ქრისტეს სისხლსა და ხორცს აღნიშნავს, ევქარისტული სიმბოლოებია. ქრისტიანულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ვაზი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მკვდრეთით აღდგენის სიმბოლო იყო და მხოლოდ ამის შემდეგ – სტუმართმოყვარეობის, სიუხვის, შემოდგომის განსახიერება. იოანეს სახარების მიხედვით ვაზი თავად ქრისტეა (იოან. 15, 1). რადგან ვაზის სიმბოლიკა დვთის მადლს მოასწავებდა, ამიტომაც სოდომის ცოდვილ მიწაზე ყურძენი საჭმელად უვარგისი იყო. მოსეს რჯულდებით, ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ეჭამა ყურძენი სხვისი ვენახიდან, ოდონდ ნაყოფი სახლში არ უნდა წაედო, მხოლოდ და მხოლოდ წყურვილი უნდა მოეკლა. ყურძნის მოსავლის აღება – რთველი, ბიბლიური გაგებით დღესასწაულად ითვლებოდა: არ შეიძლებოდა ყურძნის უსიხარულოდ კრეფა, ხოლო უწმინდურებს ეკრძალებოდათ რთველში მონაწილეობის მიღება.

ქართველები ვაზს „სიცოცხლის ხედ“ თვლიდნენ. ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრებისთვის მზე ასტრალურ დვთაებად ითვლებოდა, ხოლო ვაზი მის მცენარეს განასახიერებდა. გავრცელებული წარმოდგენით ვაზს შეეძლო ყველაზე მეტად შეეწვე მზის ძალა. ამ ძალას შეიწოვდა არა მარტო მცენარის ფოთლები და მტევანი, არამედ ტანიც. ეს კი იყო მზისგან მოცემული სიყვარულის ძალა. „მტევანი და ტანი ვაზისა ქალური სიყვარულით განიცდიდნენ მზის ძალას, რომელსაც ცხოველთაგან განასახოვნებდა ლომი. ამ ძალით იყო დაგრეხილი ვაზის ტანი, ამავე ძალით ეტმასხება იგი ჭიგოს. ამაშივე იყო მისი სილამაზე, თუ გნებავთ

მზიური სილამაზე. ამიტომ იყო მიმზიდველი ვაზის მიმოხრა და ამიტომაც დაამსგავსეს მას ქართული ჩუქურთმა“ (129, 26). ქრისტიანობამ უხვად გამოიყენა მზისა და ვაზის სიმბოლიკა, ამიტომაცაა, რომ ტაძართა შემპულობაში მათ გარკვეული ადგილი უკავია. ამ მცენარის ორნამენტით შემპულია ბაგრატის ტაძრის სვეტისთავი (XI ს.), ჯვრის მონასტერი (VI ს.), ატენი (VII ს.), სამთავისი (XI ს.) (39, 181).

ვენახს უძველესი დროიდანვე პატივს სცემდნენ საქართველოში. „ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები, დამწერლობის, მხატვრობის, სკულპტურის მონაცემები და რელიქვიები მოწმობენ, რომ კასპიის, შავი და ხმელთაშუა ზღვის რაიონები წარმოადგენდნენ უძველეს ცენტრებს კულტურული ვაზისა“ (110, 8).

ტრადიციული შეხედულებით, საქართველოში საკრალურად ითვლებოდა ის ადგილიც, სადაც დვინო იწურებოდა. „მარანი ანუ საღვინე სახლი მოიაზრებოდა როგორც საკრალური ტერიტორია, რომელშიც დვთაებრივი ძალა სუფეს. მასზე დატანებული იყო ჯვარი“ (2, 9).

ამ მხრივ, ვფიქრობთ, აღნიშვნის ღირსია ანდრო ლეკიაშვილის წიგნი „შენ ხარ ვენახი“, სადაც ავტორი ვენახს ეთნოლოგიურ-ისტორიული კუთხით განიხილავს და ცდილობს მაგალითების მოხმობით განამტკიცოს ის აზრი, რომ ვენახის თავდაპირველი სამყოფი ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო. „ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიული მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის წიგნის, „სამეგრელოს აღწერის“ ფურცლებზე იმოწმებდა ნოეს შესახებ ბიბლიურ გადმოცემას, როგორც საქართველოში მიწათმოქმედების შორეული ტრადიციების დამადასტურებელ საბუთს. ამ გადმოცემის თანახმად, მევენახეობა თავდაპირველად ამიერკავკასიაში ჩაისახა. აქ, არარატის მთის სანახებში, გადმოვიდა თუ არა კიდობნიდან, „იწყო ნოე კაცმან საქმედ ქვეყნისა, და დაასხა ვენახი და სვა დვინისაგან და დაითრო“, – გვაუწყებს ბიბლია, „შესაქმეთა წიგნი“ (86, 7).

ახალ აღთქმაში ვენახი ქრისტეს ერთ-ერთი სიმბოლოა: „მე ვარ ვენაგი ჭეშმარიტი და მამავ ჩემი მოქმედ არს“ (იოან. 15, 1). ასეთივე მნიშვნელობით დამკვიდრდა ვენახი სასულიერო პოეზიაშიც: „და მათ ვენახი ცხოვრებისავ ჯუარს გაცეუს“ (73, 273) – მიმართავს პიმნოგრაფი მაცხოვარს.

სასულიერო მწერლობაში არსებულ სიმბოლოთა შორის ვენახი ერთ-ერთი იმ სახეთაგანია, რომელიც გამოიყენება როგორც მაცხოვრის, ასევე დვთისმშობლის სიმბოლოდ.

„ვენახი“ განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს ჰიმნოგრაფთაგან. იგი „გონიერია“, რაღანაც დვთის დამბადებელია, მეუფის სამკვიდრებელია, ამიტომაც ასევე „სამეუფოა“: „ღმრთისმშობელსა ვადიდებდეთ, მშობელსა და ქალწულსა, დედასა მეუფისასა, ვენაჭსა გონიერსა“ (73, 160); „ვითარმედ გხადოდით შენ, მარიამ, ვენახად სამეუფოდ, ქალაქად ღმრთისა მადლისად“ (3 227) – ვკითხულობთ იოანე მინჩხის საგალობელში.

ჰიმნოგრაფიაში ვენახი არა მხოლოდ ქრისტესა და დვთისმშობლის, არამედ წმიდანთა ერთ-ერთ სიმბოლოდაც ქცეულა. წმინდანის ვენახთან შედარება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ის ისევე დაუშურვებლად გამცემია მადლისა, როგორც ვენახი უხვად გამომდებელი ნაყოფისა. ჰიმნოგრაფთან წმიდა ბასილი დიდი საღვთო ვენახის რტოა: „რტოდ ვენახისა საღვთომა გამოშჩნდი შენ ბასილი, სათნოვებისა ტევანი გამოიხუენ მამაო და ლვინო გულისხმისყოფისა ასე სამწყესოთა ქრისტევსთა ყოვლად ნეტარო“ (99, 121).

საყურადღებოა, რომ წმიდა მამათა შრომების მიხედვით, „მესიის მიერ ჯოჯონეთის ცეცხლისაგან დახსნილი ადამიანებიც ქრისტეს „საყურძნესა“ დანერგილ ვენახად თვლიან თავს, ე.ი. ქრისტეს სასუფეველში დამკვიდრებულად: „უფალმან ჩუმანმან მოგჟყვანნა ვენაჭსა თვისსა; დანერგულმცა ვართ, ვითარცა ვენაჭნი საყურძნესა ქრისტესსა, რამეთუ იგი თავადი არს ვენაჭი ჭეშმარიტი“ (160, 305).

ვენახი ორიგინალური ეპითეტით გამშვენებული წარმოგვიდგება ანდრია კრიტელის საკითხავში „შობისათვს ღმრთისმშობელისა“: „ვენაჭი რქაშუენიერი ანნადასაგან აღმოსცენდა და ტევანი სიტყბოებისა აღყუავილნა“ (166, 121). ანნასაგან შობილი „რქაშუენიერი ვენახი“ – მარიამი სიტყბოების ტევანის ანუ ქრისტეს გამომდებია.

აღსანიშნავია რომ, ქრისტეს ერთ-ერთი სახელად თეოლოგიაში ტევანიც არის ცხობილი, რასაც ასევე ბიბლიური საფუძველი ეძებნება: „მოისთულეთ ტევანნი იგი ვენახისა მის ქვეყნისა, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი მისი“ (გამოცხ. 15, 18). აქედან გამომდინარე, ტევანი ჰიმნოგრაფიაში გამოიყენება როგორც მაცხოვრის, ასევე დვთისმშობლისა და წმიდანების დვაწლის წარმოსაჩენადაც: „რომელმანცა გამოიხუენ ტევანნი შუენიერნი, გუნდნი იგი მოწამეთანი“ (72, 127).

ვენახის სახისმეტყველებით განმარტებისას რევაზ სირაძე დასძენს, „ვენახი“ სისავსის სიჭარბეს მოასწავებს. ვენახს ამ სისავსეს მზე ანიჭებს. ვენახი მზითაა აღვილი, როგორც დვთისმშობელი დვთაებრიობით. ამიტომ ყოვლადწმიდა მარიამი თავისი დვთისმშობლობით თავისსავე თავს სჭარბობს“ (129, 101).

ჰიმნოგრაფიაში ვენახის სიმბოლოსთან დაკავშირებული ტროპული აზროვნების ბრწყინვალე სახეები დამკვიდრდა: „ვენახი გონიერი“, „ვენახი ჭეშმარიტი“, „ვენახი შუენიერი“, „რქაშუენიერი ვენახი“, „სამუუფო ვენახი“, „სადმორო ვენახი“, „სიწმინდის ტევანი“. როგორც ვნახეთ, ვენახის (ვაზის) სახისმეტყველება საბოლოოდ სრულყო ქრისტიანულმა რელიგიამ, რაც შესაბამისად აისახა სასულიერო პოეზიაში.

**მორჩი.** ახალ ადთქმაში ვკითხულობთ: „ძირი იგი, წმიდა არს და რტონიცა მისნი“ (რომ. 11,16). „მორჩი-ნორჩი, – განმარტავს სულხან-საბა, – ახალ მოზარდე“. ნ. ჩუბინაშვილსაც მორჩი-ნორჩი ახსნილი აქვს, როგორც ახალმოზარდი ნერგი.

მორჩი საღვთო სახელადაა ცნობილი არეოპაგიტიკიდან: „წყარო ღმრთებისა მამა, ხოლო ძე და სული ღმერთმშობელისა მის ღმრთებისა ესრეთუ ჯერ არს თქუმად, მორჩ ღმრთივ მცენარე და რეცა ყუავილ და ზეშთაარსებისა ნათელ. ხოლო თუ ვითარ არს ესე ესრეთ, ამისი არცა თქუმად, არცა მოგონებად შესაძლებელ არს“ (119, 20-21).

„მორჩი“, „ვენახის“ რიგის სიმბოლოა, რომელიც ჰიმნოგრაფებს, როგორც ქრისტეს, ასევე მარიამ დვთისმშობლის წარმომავლობის გამოსახატავად გამოუყენებიათ. დვთისმშობელი ჰიმნოგრაფიაში იესეს ძირიდან აღმოცენებულად არის მოხსენიებული: „ქალწული წმიდა იესეს ძირისაგან აღმოგვიცენდა და გვიშვა სიტყუად ღმრთისა“ (168, 40); „ნაყოფი უკუდავებისა აღმოცენებული მორჩთაგან იესესთა“ (99, 399). „მორჩის“ განმარტებას დვთისმშობელთან დაკავშირებით გვთავაზობს წმიდა ანდრია კრიტელი: „მხოლოდ მას წმიდასა და წმიდათა ყოველთა უწმიდესსა ყოვლად ყოვლითურთ წმიდად გამოჩინებულსა მის შორის და დამკადრებულისა მისდა უბიწოდ სულით და ჭორცით. მარიამს ვიტყვ დიდსა მას და ნამდჟლვე სამსახურებელსა სახელსა სიტყვა და საქმითცა, წინასწარ მეტყულებრივსა ძირსა, კუერთხსა იესესსა, მარადის ყუავილოვანსა მორჩსა იუდაოსსა, რომლისა მიერ ზესთა სოფლისა მე ღმრთისა, თანადაუსაბამო მშობელისა მამისა ჭორცითა აღმოეცენა“ (166, 131). ამ განმარტებაში მარიამ დვთისმშო-

ბელი წინასწარმეტყველებრივი ძირია, იესეს კუერთხია, მარად აყვავებული იუდას მორჩია – ასე განადიდებს წმიდა მამა ქალწულის წარმომავლობას.

აქედან გამომდინარე, სასულიერო პოეზიაში მარიამ დვოისმშობლის პიპოდიგმად იესეს მორჩიც დამკვიდრებულა: „დღეს აღყუავილნა კვერთხი იგი ესაიას ქადაგებული, რომელი იგი აღმოცენდა მორჩთაგან იესტსა და გამოიღო ნაყოფი იგი მომწყდართა ცხოველსმყოფელი ქრისტე“ (72, 81). დემეტრე-დამიანეს სიტყვებით დვოისმშობელია „მორჩი კეთილი“, ანუ ძირითვე სიკეთეა მასში და, ამასთანავე მარადიულ ბედნიერებასაა ნაზიარები – „ედემსაა დანერგული“. მხოლოდ ამგვარი კეთილი მორჩისაგან შეიძლებოდა აღმოცენებულიყო „სურნელოვანი ყვავილი“. იოანე მინჩხიც ამ ეპითეტის დართვით წარმოგვიჩენს წმინდა მარიამის მშვენიერებას: „მორჩი კეთილი აღმოსცენდი, დვოისმშობელო, ყოვლადქებულო, რომელმან გვიშევ ჩუენ ყვავილი სულნელი, რომელმან სულნელ ყვნა კიდენი სოფლისანი მორწმუნეთათვის“ (73, 202). არც პიმილიებშია უცხო ამ სახელის მარიამ დვოისმშობლის სიმბოლოდ გამოყენება: „გიხაროდენ, კუერთხო აკრონისაო, ძირი იესესო, მორჩო დავითისო“ (166, 146); „მცენარე უწოდს მორჩსა და მორჩად ვისმცა სხუასა გულისხმაჲყოფდ საყუარელო, ანუ ოუ ცხად არს, ვითარმედ საკუთრად შედრგინებით მხოლოსა მას წმიდასა და წმიდათა ყოველთა უწმიდესსა ყოვლად ყოვლითურთ წმიდად გამოჩინებულსა მას შორის და დამკვიდრებულისა მისდა უბიწოდ სულით და ხორცით, მარიამს ვიტყვი, დიდსა მას და ნამდვილვე სამსხურებელსა სახელსა სიტყვითცა და საქმითცა წინასწარმეტყუელებრივსა ძირსა, კუერთხსა იესესსა, მარადის ყვავილოვანსა მორჩსა იუდაოსსა“ (166, 131).

აქედან გამომდინარე, დვოისმშობელი გენეალოგიით არის დავით წინასწარმეტყველის მორჩი, ყლორტი, შტო.

**ყვავილი.** ყვავილი, შეიძლება ითქვას, ბუნების ლაკონური სიმბოლო – მისი სრულყოფილების, მისი მარადიული წრებრუნვის: დაბადების, სიცოცხლის, სიკვდილის და კვლავ აღორძინების განმასახიერებელი. თითოეულ ყვავილს, რა თქმა უნდა, სიმბოლურად თავისებური დატვირთვა აქვს, მისი ფორმისა და ფერის გათვალისწინებით, მაგრამ ერთი ცხადია, რომ მათ სიმბოლიკაში არის რაღაც საერთოც: ყვავილი განასახიერებს სილამაზეს, სრულყოფას, სიკეთეს. „აღმოსავლურ რელიგიებში აქცენტი გადატანილია ყვავილის, როგორც სულიერი გაფურჩქნის, გასხივოსნების სიმბოლიზმზე... ბრაჟმა და ბუდა ყვავილთა შორის არიან გამოსახულნი. ქრი-

სტიანულ იკონოგრაფიაში განსაკუთრებით თვალშისაცემია „ხარების“ მიზანსცენები, სადაც ანგელოზს ხელთ შროშანი უპყრია“ (5, 107).

ყვავილი იმ სიმბოლოთაგანია რომელიც სასულიერო მწერლობაში როგორც შობილს, ისე მშობელს მიემართება. ამის საფუძვლად კი ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები უნდა მივიჩნიოთ: „და გამოვიდეს კუკრთხი ძირისაგან იესესსა და ყუავილი ძირისაგან აღმოხდეს“ (ეს. 11, 1), რის შესახებაც პირდაპირაა მითითებული მიქაელ მოდრეკილთან: „რამეთუ აღმოსცენდი შენ ყუავილად ძირთაგან იესესთა ესაიას მიერ ქადაგებითა“ (99, 4); ჰიმნოგრაფებთან ქრისტე „საღმრთო ყვავილია:“ „განედო დღეს ბეთლემს სამოთხევო. მოვედით გემოდ ვიხილოთ ხისა მის ცნობადისად, რომელ არს ქრისტე. საღმრთო იგი ყუავილი, რომლისაგანცა სიტკბოებად იწნისა საიდუმლო. განმწედელი სულთა ჩუენთად“ (72, 64). მხატვრული სიტყვის ოსტატები მეტად ორიგინალურად აღწერენ ქალწულისგან ყვავილის გამოსვლის საიდუმლოს:

„შევამკობდეთ ყოვლად წმიდასა დმრთისმშობელსა,  
რომელმან გამოიდო ყუავილი იგი სუნელებისად  
და განდევნა სულმყრალობად ცოდვათა ჩუენთად  
ვითარცა ღმერთ არს“ (72, 68).

ჰიმნოგრაფი ალეგორიული ენით გადმოსცემს ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების დვთაებრივ საიდუმლოს, რომელშიც ადამიანთა სიკვდილისაგან გამოხსნა და მათთვის უკვდავების მინიჭება იგულისხმება.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში უხვადაა იმის მაგალითები, როცა მაცხოვარი იესეს ძირიდან ამოზრდილ ყვავილად იწოდება: „იესეს ძირისაგან აღმოცენდი მორჩი სიტკბოებისად და გამოიღე ყუავილი ყოველთავე სულნელ მყოფელი“ (99, 23). იქვე მაცხოვარი წმინდა მარიამისგან აღმოცენებულ ყვავილად გვესახება: „შევამკობდეთ ყოვლად წმიდასა, დმრთისმშობელსა, რომელმან გამოიდო ყუავილი იგი სულნელებისად“ (99, 143); „გიხაროდენ მარიამ, წმიდაო ქალწულო, რომელმან გამოიდე ყუავილი იგი აღდგომისა მკუდრეთით“ (125, 204) და ა.შ.

სასულიერო მწერლობაში ყვავილი არა მხოლოდ მაცხოვრის, არამედ დვთის-მშობლის მეტაფორაცაა: „გიხაროდენ კიდობანო, დავითის გამოსახულო და ყუავილო სოლომონის მოსწავებულო“ (99, 492). „გიხაროდენ, ყოვლად წმიდაო ქალწულო... დაუჭნობელო ყუავილო“ (142, 510) – ნათქვამია უძველეს იადგარში. ეპითეტი „დაუჭნობელი ყვავილი“ შესანიშნავად გამოხატავს ქალწულ მარიამის

მარადიულ ბუნებას. ამ სახით ეს ეპითეტი წმიდანთა ღვაწლის წარმოსაჩენადაც გამოუყენებიათ პიმნოგრაფებს: „სიყვარულმან ქრისტესმან შეგითხზა შენ გვირგვინი სურნელთაგან დაუჭინობელთა ყუავილთა და გიხარის მართალთა თანა სასუფენელსა შინა, სადა თვით პნათობს ბუნებითი იგი ნათელი“ (72, 158). „დაუჭინობელი ყვავილისაგან“ შეთხზული გვირგვინი იმ ღვთიური მადლის გამომხატველია, რომელიც წმიდანებს ემოსათ.

„ღვთისმშობლის შობის საკითხავში“ დედოფალი დასახულია ყოველნაირ ყვავილზე უფრო აღმატებულად: „გიხაროდენ, ყუავილო ყოველსავე ფერსა ყუავილთა საღებავთასა აღმატებულო მრავალფერობითა და შეზავებულო სათონებათა შეზავებულებითა, ვინავ-იგი აღმოჰდა ყუავილი მსგავსი მსგავსისაგან და მამაკაცი სრული დედობრივისა გუამისაგან, რომელსა ზედა განისუენეს შედთა სულთა სიტყვსა-ებრ წერილისა“ (166, 110).

მსგავსი ნიმუშები მრავლად დაიძებნება ლიტურგიკულ ლიტერატურაში: პარაკლიტონში, საღლესასწაულოში, თვენში. „დაუჭინობელი ყვავილის“ სინონიმად „მარხუანში“ ვხვდებით „საღმრთო ყვავილს“: „ხატად სიწმიდისად სულიერად და შემწყნარებელად ნაყოფსა მადლისასა ბრწყინვალედ გამოჩნდა დღეს ანნა დიდებული და გაშვა ჭეშმარიტად ქალწულებისა საღმრთო იგი ყუავილი...“ (Sin 7; 9v-10r).

ყოველი ადამიანი, რომელიც ქრისტეს მიუძღვნის მთელ თავის ცხოვრებას ან მისთვის წამების გვირგვინს დაიდგამს, ქრისტეს თანაზიარი ხდება, ვინაიდან იგი იმეორებს მის მიერ გავლილ გზას. ამიტომაც თავისი მადლით ის ისეთივე სურნელოვანია, როგორც ყვავილი: „...აღორმნდეს საღმრთონი იგი ყუავილნი შეუნიერნი პირმეტყუელნი ნერგნი ყოვლად დაუჭინობელნი სიონისა შვილნი გონიერნი. ახლისა აღთქუმისა ძენი სულიერნი...“ (72, 297).

პიმნოგრაფის ენით „საღმრთო ყვავილი“ წმიდანებს განასახიერებს, რომლებიც ასევე „პირმეტყველი ყვავილებიც“ არიან. პიმნოგრაფის მიერ წმინდა აბო სურნელოვან ყვავილადაა დასახული: „ყუავილი სულნელი მირთაგან უნაყოფოთა გამოჩნდა ფერითა მით მეწამულითა და სულმან წმიდამან აღიტაცა ზეცად გონებითა დამ უნ უწუენა შეუბად წმიდათად ყუავილოვანსა სამოთხისასა“ (72, 183). აღსანიშნავია, რომ ყვავილის ფუნქცია სასულიერო მწერლობაში მისი ორმაგი მნიშვნელობითაა მოტივირებული: 1) იგი მიმსგავსებულია ადამიანთან, რადგანაც „შესაბამის პერიოდში გაფურჩქვნილია, ხოლო დროის მოწევნისას იწყებს ჭკნობას და გაქრობას, რითაც ხაზი გაესმის ადამიანთა სიცოცხლის წარმავლობას“ (101, 38). იობის

წიგნში სწორედ ეს მომენტია აქცენტირებული: „რამეთუ კაცი ნაშობი დედათად, მინათუ ვითარცა ყუავილი ყუავინ და დასცვივის“ (იობ. 14, 1-2). წმიდა წერილის გავლენით, ყვავილი სასულიერო პოეზიაშიც შესულა სოფლის წარმავლობის სიმბოლოდ.

მაგალითისათვის საგალობლიდან ერთ ადგილს მოვიხმობთ: „ვითარცა რავ ყუავილი ველისავ და აჩრდილი განქარვებადი მსწრაფლ წარმავალ არს“ (99, 373); 2) ყვავილის თვისებიდან გამომდინარე, მას სილამაზის, სრულყოფილების, სიკეთის, მშვენიერების სიმბოლოდ აღიქვამენ, რაც ადამიანთათვის სიამოვნებისა და სიხარულის მომნიჭებელია. ბუნების ეს ულამაზესი ქმნილება მარადიული წრებრუნვის – დაბადების, სიცოცხლის, სიკვდილისა და კვლავ აღორძინების განმასახიერებელია. რასაკვირველია, მეორე ფუნქცია არ გამორიცხავს პირველს, მაგრამ ქრისტეთან და მარიამ დვთისმშობელთან მიმართებაში ყვავილის სწორედ ეს მეორე ფუნქციაა აქცენტირებული.

აქედან გამომდინარე, ყვავილის მეტაფორა გამოიყენება წმიდანებთანაც იმ სურნელის ანუ მადლის წარმოსაჩენად, რომელსაც ქრისტეს გზაზე შემდგარი ადამიანები ატარებდნენ.

**გარდი.** „ძველი რომაული მითები წითელ ვარდს ომის ლმერთს მარს, მის ცოლს ვენერას (აფროდიტეს) და მშვენიერ ადონისს უკავშირებენ. ამ მითის ბერძნული ვერსიის თანახმად, ადონისი სასიკვდილოდ დაჭრა გარეულმა ტახმა. როდესაც აფროდიტე თავის დაჭრილ სატრფოსთან გარბოდა, ფეხში თეთრი ვარდის ეკალი შეერჭო და სწორედ აფროდიტეს სისხლმა გააწითლა ეს ყვავილი.“ (4, 70).

ადრექრისტიანული ტრადიციების მიხედვით, ვარდი უეკლო იყო პირველ ცოდვამდე. ქრისტიანობამ ვარდი დვთისმშობელს დაუკავშირა და სიმბოლურად ის უეკლო ვარდად იყო მიჩნეული. ძველი ადთქმის წიგნებში იგი სილამაზის, სიხარულის, ხოტბის, დვთიურობის, სიბრძნის, იდუმალების, სიამაყის, მდუმარების სიმბოლოს წარმოადგენდა. ამ თვისებებით გადმოვიდა იგი სასულიერო მწერლობაშიც. ამასთან, მასში სიმბოლიზირებულია მზე და ვარსკვლავები... „ვარდი ეპალთაგან გამორჩეული“ იყო წმინდანის ატრიბუტი.

ქრისტიანულმა აზროვნებამ ვარდი სხვა ასპექტით წარმოაჩინა. ვარდმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქრისტიანულ ხელოვნებაშიც. აქ „თეთრი ვარდი სიმბოლოა ქალწულ მარიამისა, წითელი კი განასახიერებს ქრისტეს სისხლს“ (61, 555). გავრცელებული აზრით კი ვარდის ბუტონი ქალწულების სიმბოლოდ აღიქმებოდა

(120, 1840). გერმანელი მხატვრის ა. დიურერის სურათზე ქალწული მარიამი ვარდის თაიგულთან ერთად არის გამოსახული.

სილამაზის, მშვენიერების, მოწამეობის სიმბოლოდ არის წარმოსახული ვარდი სასულიერო პოეზიაში, სადაც იგი არა მხოლოდ ქრისტესა და ღვთისმშობლის, არამედ წმიდანთა მეტაფორადაც გამოიყენება. მეწამული ფერის ვარდი და მისი ეკლები კი მაცხოვრის მოწამეობის სიმბოლოდ არის აღქმული.

ცნობილია, რომ ვარდის სიმბოლიკა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია არა მხოლოდ სასულიერო მწერლობაში, არამედ საეროშიც, სადაც მას ქალისა და მამაკაცის სილამაზის გამოსახატავად მიმართავდნენ. ვარდი გამოიყენებოდა აგრეთვე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

ჰიმნოგრაფიაში ვარდის პოპულარობას ღვთისმშობელთან ერთად იესო ქრისტეს სიმბოლოდ მისი გამოყენება განაპირობებს: „აღყუავნა ნერგი იგი ვარდისად მორჩი უნაყოფოთად გამომდებელი ყუავილისა ცხორებისად (99, 318). გავრცელებულ სახედ აქ მეწამული ვარდი ითვლება. ვარდის ფუნქცია ჰიმნოგრაფებს ასევე კარგად შეუთავსებიათ ღვთისმშობლისთვისაც: „ვითარცა რა ვარდი და შროშანი სურნელი... მთათა შინა და დელეთა მსოფლიოთად, გამოგირჩია შენ მგსნელმან და დაემკვდრა რა შენ შორის, და იშვა რა სულნელებითა აღაგსო ყოველი სოფელი, დედოფალო!“ (152, 233) გიორგი მთაწმიდელის „ოვენში“ ქალწულ მარიამის უმანკოება ყვავილთა რამდენიმე სიმბოლიკის მოხმობით იქნა ხაზგასმული. მეწამული ვარდის, შროშანისა და დელეს ყვავილის თავმოყრა საგალობელში განუმეორებელ კოლორიტს ქმნის: „ვითარცა ვარდი მეწამული და ვითარ შროშანი და ვითარ ყუავილი დელეთად გპოა ქრისტემან დმერთმან და განკაცნა შენგან, ქალწულო“ (47, 259).

მეწამული ვარდი წმიდანთა ერთ-ერთი ატრიბუტია. სტეფანე სანანოისძე წმიდა აბო თბილელს მეწამულ ვარდს ადარებს: „ვითარცა ვარდი შუენიერ ფერითა მეწამულითა გამოჩნდა ნეტარი [პ]აბო და სულნელ ყო ეკლესიად ნელსაცხებელთა წილ სხურებითა სისხლისათა...“ (72, 151). ჰიმნოგრაფისთვის აბო წითელი ვარდია, რადგანაც სურნელოვანი ნელსაცხებლის ნაცვლად მან საკუთარი სისხლით სურნელ-ყო წმიდა ეკლესია. სიმბოლურად ვარდი აქ წარმართთა შორის რწმენის ყვავილობას მოასწავებს.

ვარდ-ყვავილთან ერთად სასულიერო ლიტერატურაში ეკლის სიმბოლიკაც გვხვდება, რაც ურჯულოების, ურწმუნოების, მაცდურობის, ბოროტების, მწვალებლობის აღმნიშვნელად გვევლინება. ეკალი ნეგატიურის სიმბოლოდ იყო მიჩნეული

ჯერ კიდევ წინარექტისტიანულ ხანაში. ასევეა პიმნოგრაფიაშიც, სადაც კიდევ ერთხელ იკვეთება ვარდის დადებითი ფუნქცია მასთან მიმართებაში. საამისოდ მოვიტანო რამდენიმე მაგალითს პიმნოგრაფთა შემოქმედებიდან: „შესწუენ ეკალნი იგი საცდურებისანი“ (99, 113); „ეკალთა შორის ვარდად და ბნელსა შინა სინათლედ გამოშჩნდი, ნეტარო ანასტასი“ (99, 288); „შესწუენ უღმრთოვებისა ეკალნი და ღმრთის მსახურებისა ნერგნი ნაყოფიერნი დაპნერგენ სულსა მორწმუნეთასა“ (99, 117); „ვითარცა რა ვარდი და შროშანი სურნელი... მთათა შინა და ღელეთა მსოფლიოთად, გამოგირჩია შენ მჯსნელმან და დაემპაზდრა რა შენ შორის, და იშვა რა სულნელებითა ადავსო ყოველი სოფელი, დედოფალო!“ (152, 233); იოანე მინჩხის პოეზიაში წმიდა გიორგი სურნელოვანი ვარდია, რომელიც „ეკალთაგან უნაყოფოთა“ გამოჩნდა. ცხადია, უნაყოფო ეკალში პიმნოგრაფი წარმართ ერს უნდა გულისხმობდეს: „ვითარცა ვარდი სურნელი, ფერითა შუცნიერითა გამოშჩნდი ეკალთაგან უნაყოფოთა“ (73, 336). „ვარდი ეკალთა შორის“ გავრცელებული გამოთქმაა ქრისტიანულ ლიტერატურაში, სადაც იგი სიწმინდის, უმანკოების, ღვთიურობის გამოხატულებას წარმოადგენდა. „ვარდი ეკალთაგან გამორჩეული“ ასევე წმიდანის ატრიბუტიცაა.

მხატვრულ სააზროვნო სისტემაში ვარდის სიმბოლოზე მსჯელობისას, ნესტან სულავა მის რამდენიმე ტროპულ ფუნქციას გამოყოფს: 1) ვარდი არის შედარება; 2) ვარდი არის ეპითეტი; 3) ვარდი არის მეტაფორა; 4) ვარდი არის სიმბოლო; 5) ვარდი ხშირად გამოიყენება ალეგორიული თვალსაზრისით“ (133, 52).

**შროშანი.** ეს სპეციალური ყვავილი ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან ლეგენდარულ მცენარეებს განეკუთვნებოდა. ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ის ზევსის მეუღლის, ქალღმერთ ჰერას რძისაგან აღმოცენდა. უძველესი წარმოდგენების თანახმად, შროშნის სიმბოლო სხვადასხვანაირად იყო გააზრებული: 1) იგი განასახიერებდა სიწმინდეს, უმანკოებასა და სისათუთეს, რის გამოც შეუთვისებია ქრისტიანულ აზროვნებას; შროშანი ასევე ღვთიური ენერგიის მატარებელადაც ითვლებოდა, ამიტომაც ქრისტიანულ ცნობიერებაში ის ერთმნიშვნელოვნად აღიქმება, როგორც ღვთისმშობლის ყვავილი; 2) შროშანს, ამავე დროს, ნაყოფიერებისა და ეროტიულობის სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ მთელ აღმოსავლეთში (5, 114).

შროშანის სიმბოლო ბიბლიურ-ევანგელიურ სწავლებიდან მომდინარეობს: „სიძე ეტყვეს სძალსა სულისა თვისისათვს: მე ყუავილი ველისად და შროშანი ღელეთად. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი ასულთა“ (ქებ.

2, 1-2;). ნესტან სულავას აზრით „შროშანი ეპალთა შორის“ იმავე რიგის მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული, როგორითაც „ვარდი ეპალთა შორის“, რითაც შროშანის გამორჩეულობა და მისი ეპალთაგან განსხვავებაა აღნიშნული. „და სამოსლისათვის რავსა პზრუნავთ? განიცადენით შროშანი ველისანი, ვითარ-იგი აღორძინდის! არა შურებინ, არცა სთავნ“ (მათ. 6, 28), ნათქვამია მათეს სახარებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფსალმუნე მეფე დავითის ქნარი ამ უსათუოესი ყვავილის ანალოგით შეიქმნა (ქნარს ებრაულ ენაზე ეწოდება „შოშან“, ანუ „სოსან“).

ქართულ სასულიერო მწერლობაში მარიამ ღვთისმშობლის შროშანთან შედარების კლასიკურ ნიმუშად ითვლება დემეტრე მეფის ცნობილი იამბიკო: „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა, ქალწული, შუცნიერი შროშანი“;

იოანე დამასკელის „საკითხავშიც“ არაერთგზის დასტურდება ეს სახე ღვთისმშობლის ეპითეტად: „გიხაროდენ, სიწმიდეო შროშანო ღმრთივ აღმოცენებულო, აღსავსეო ყოვლითა სიწმიდითა, რომლისა მიერ აღმოსცენდა სიწმიდე იგი წმიდათამ, რათა განწმიდოს სოფელი არაწმიდებისაგან“; ასევე: „გიხაროდენ, შროშანო, რომლისა შობილმან შროშანი ველისანი შემოსნა და აჩუქნა მშობელი თუსი აღსავსედ სულნელებითა სულისა წმიდისათა, რაჟამს მისგან შეიმოსა და უქუსუველი იგი და თესლისაგან მიუხებელი სამოსელი სამოსელსა მას ხოლო მონისსა დამფარველი თუსითა ბრწყინვალებითა“ (166, 110).

რენესანსის დროიდან შროშანი ასოცირებულია ხარებასთან; ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გაბრიელ მთავარანგელოზს ღვთისმშობელთან მიახლებისას ხელში უპყრია შროშანი, ან შროშანი ლარნაკში დევს მასსა და წმინდა მარიამს შორის. რადგან შროშანი ღვთიური ენერგიის სათნოებრივ ასპექტს გამოხატავს, ქრისტიანულ ცნობიერებაში ის ერთმნიშვნელოვნად ღვთისმშობლის ყვავილად აღიქმება.

**ალგა.** როგორც ცნობილია, ალვა სხვა ხეთაგან ფოთლის შეფერილობით განსხვავდება, რაც განაპირობებს კიდევ მის ალეგორიულ მნიშვნელობას. მისი ფოთლის ზედაპირი, რაც მზის მხარესაა, ღიაა, ხოლო ზურგი – მუქი. „ეს გაორება აისახა მითში ჰერაკლეს შესახებ, რომელშიც მიწისქეშეთში ჩასული ჰერაკლეს ალგის ტოტებისაგან დაწნული გვირგვინი კვამლისაგან შეფერილობას იცვლის. ალვა იყო მიჩნეული ფრიგიული ზევსის, აგრეთვე ღვთაება – საბზიურის წმინდა ხედ, თუმცადა ამ სიმბოლოს სამგლოვიარო ელფერიც ახლდა“ (4, 21) სიმაღლისადმი სწრაფვის ყველაზე დიდი ენერგია ხეთაგან სწორედ ალვაში იგრძნობა.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართულ ხალხურ პოეზიასა და ჰიმნოგრაფიაში შემორჩენილია ალვისა და ვაზის სიმბოლური კავშირისა და ჩანაცვლების კვალი. ამ მხრივ საინტერესოა დემეტრე-დამიანეს საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ სადაც ჰიმნოგრაფი წმინდა მარიამის სიმბოლოდ ვენახსა და სურნელოვან ალვას მოიხსენიებს:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,

მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,

ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული“... ვაზისა და ალვის ასეთი საოცარი შერწყმა სემთხვევითი როდია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვაზს შეეძლო ყველაზე მეტად შეეწოვა მზის ძალა. ამ ძალას შეიწოვდა არა მარტო მცენარის ფოთლები და მტევანი, არამედ ტანიც. ანუ ვაზია სიმბოლო მზესთან ზიარების. ეს სეიძლება განვიხილოთ, როგორც ვაზის შინაგანი ლტოლვა და ბუნება, ხოლო „მზესთან ზიარების გარეგანი გამოხატულება კი ალვის ხის ზესწრაფულ, ზეაღმავალ ლტოლვაში გამჟღავნდა“ (4, 21). ამ საგალობლის „ალვა სულნელლნი“-ს თავისებურ განმარტებას გვთავაზობს ტიტე მოსია. მისი აზრით, „ალვა“ აქ ხეს არ ნიშნავს, არამედ სულნელ-საკმეველს, რაც ალვის ხისაგან, ან მისი შემადგენელი ნაწილისაგან მზადდებოდა, როგორიცაა: წიწვები, გირჩები და სხვ. (101, 50).

საინტერესოა ამ სტრიქონის – „ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული“ – რევაზ სირაძისეული გააზრებაც: ღვთისმშობელი ქრისტიანულ მწერლობაში ევას უპირისპირდება. სწორედ ევას ბრალით მოაკლდა სამოთხეს პირველი ადამიანი, ხოლო ღვთისმშობელი სამოთხის მკვიდრი გახდა (127, 99).

როგორც არ უნდა იყოს, ერთი ნათელი და ცხადია: ჰიმნოგრაფმა ამ სახის ღვთისმშობლისადმი მოხმობით, კიდევ ერთხელ ცხადყო წმინდა მარიამის დიდებული, ზეამაღლებული ბუნება, რომელიც მზადაა თითოეული ჩვენგანი, რომელიც კი მაცხოვარსა და ქალწულს შეიცნობს, დაუბრუნოს პირველსახეს.

**შეუწველი მაყვალი.** ქალწულის აღმნიშველ სიმბოლოთაგან, ვფიქრობთ, ყველაზე მეტად აღსანიშნავი სწორედ მაყვლის სიმბოლიკაა, რადგან იგი დედა-ქალწულობის აღმნიშვნელ სახელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა.

მაყვლის სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც ბიბლიური მოსეს ბუჩქიდან მომდინარეობს (გამ. 3, 2), ფართოდ არის გავრცელებული ქრისტიანულ მწერლობაში. ძველ ქართულ ენაში, ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვას „მაყუ-

ალი“ „მაყულოვანი“ უნდა პქონოდა იგივე მნიშვნელობა, რაც აქვს თანამედროვე ქართულში, ე.ი. „მაყვალი“. სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვასთან „მაყუალი“ მითითებულია გამოსლ. 3,2 და იგი განმარტებულია როგორც „ხე“. მაყვლის სიმბოლოზე მსჯელობისას ქ. ბეზარაშვილი და ბ. კული მიუთითებენ მის რამდენიმე მნიშვნელობაზე: 1. ეპლიანი ბუჩქი; 2. მაყვალი, მაყვლის ბუჩქი. დროთა განმავლობაში მან დაკარგა პირველი მნიშვნელობა და თანამედროვე ქართულში მას შემორჩა მხოლოდ მეორე მნიშვნელობა (30, 64).

არც პიმნოგრაფთათვისაა უცხო ამ სახის მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ გამოყენება. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს მათი შემოქმედებიდან: „...ვითარცა მაყუალსა შეუწველსა“ (73, 62); „ვითარ შვა ქალწულ-მან ვისწავოთ და ვითარ ცეცხლი საღმრთოდ წიაღითა იტვირთა და არავ შეიწვა, ვითარ მაყუალო, რომელი გამოჰსახვიდა საიდუმლოდ შობასა შენსა ქრისტე ღმრთისა სიტყუაო“ (72, 55); „გიხაროდენ ქალწულო მარიამ, შეუწველო მაყუალო, რომელი გიხილა მოსევ“ (72, 541); „იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე მაყულად“... (72, 189);

### „შეუხებელმან

საღმრთომან ცეცხლმან უსხეულომან

არავ აღაგზნა

მსგავსად მაყულისა წმიდავ ქალწული

და განაკურვნა

ძალნი ზესკნელს ცათანი, ვითარცა მოსე მთასა სინასა“ (72, 21).

ოთანე დამასკელის პომილიაში ვკითხულობთ, რომ ეპლის ბუჩქი (მაყუალი) ცას მიემსგავსება ღვთისმშობლის წყალობით, ანუ მის მიერ ღვთის შობით. ამ კონტექსტში მიწიერი ეკლოვანება და ზეციური სასუფეველი უპირისპირდება ერთმანეთს, ნაჩვენებია მაყვლოვანის ღვთიურით განწმენდა: „გიხაროდენ მაყუალო ცეცხლმგზებარეო, საკურველებით აღზებულ და არა შეწველ, დატევებით უვალო ცოდვისაგან, რამეთუ ნერგი შენი დაუჭირობელ და მაყუალი ეგე ცათა მიმსგავსებულ ღმრთისმშობელობითა შენითა“ (166, 108).

წმიდა მამათა მიერ საგანგებოდაა ახსნილი შეუწველი მაყვლის სულიერი შინაარსი: „ვითარცა იტყვს წინასწარმეტყველი მოსე: მაყუალი აგზებული და არა შემწუარი ეგზებოდა და არა შეიწუებოდა. ესე იგი არს: შვა ღმერთი და საშოა არა განწრწნა; მუცლად-ილო და ქალწული ქალწულადვე ეგო; გამოვიდა მუცელი დაკ-

რძალული დაუტევა“ (125, 204). მაშასადამე, მაყვლის შეუწელობა სახისმეტყველებითად ქალწულ მარიამის უბიწოებას მოასწავებს და ამდენად მისი პიპოდიგმაა.

ბიბლიური მაყვლის სიმბოლიკაზე საუბრისას აკაკი ბაქრაძე მოვლენის შემდეგ მოდელს გვთავაზობს: „ღმერთი – მაყვალი – ცეცხლი. ახალი აღთქმის მიხედვით ეს მოდელი ასეთ სახეს ღებულობს: ღმერთი – ღმრთისმშობელი – ქრისტე. როცა ამ მოვლენებს ერთმანეთს შევადარებთ, – წერს აკაკი ბაქრაძე, – მკაფიოდ გამოჩნდება, რომ მაყვლის ბუჩქი მარიამის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – იესო ქრისტესი (27, 58).

სახისმეტყველებითი აზროვნების წყალობით ცეცხლოვანი ბუჩქის სახეში უდიდესი მოვლენა გაცხადდა. წინასწარმეტყველმა მოსემ პირველმა იხილა უფლის ხორცშესხმა, მის თვალწინ აეხადა ფარდა ქალწულების საიდუმლოს: „განკურთა გულითა მოსე, ოდეს იხილა უცხოვ ხილვავ – მაყლოვანსა მას შინა ცეცხლი იგი მგზნებარე, რამეთუ ალი ამაღლდებოდა, ხოლო მაყუალსა მას არავ ევნებოდა მისგან; სახედ აჩუენა მას უფალმან და მოასწავა, ვითარმედ: არავ შეწუას შობასა საღმრთომან ცეცხლმან საშოვ ქალწულისავ“ (73, 336).

სასულიერო პოეზიაში მოსეს მაყვლის სწორედ ეს სახეობრივი მნიშვნელობაა აქცენტირებული ღვთისმშობელთან მიმართებაში, სადაც პიპოდიგმურ-პარადიგმურ სახეთა შერწყმის გზით შესანიშნავად არის წარმოჩენილი მოვლენის სულიერი ასპექტები. „უძველეს იადგარში“ ღვთისმშობლისადმი მიმართულ სავედრებელ პიმნებში დედა ღვთისა იხსენიება როგორც „მაყუალი ცეცხლმგზებარე, აღგზებული“ და „მაყუალი შეუწელი“: „მაყუალი აგზებული და ცეცხლი არაშეხებული...“ (142, 439); „გიხაროდენ მაყუალო შეუწელო, გიხაროდენ დედაო უფლისაო...“ (142, 492); „მუცლად იდე სიტყუად ღმრთისაო, ღირსო, და არა შეგწუა შენ ცეცხლმან საშინელმან საღმრთომან, რამეთუ სახედ შენდა იხილა მოსე მთასა ზედა სინასა მაყუალი მგზებარე და არაშემწუარი, ხოლო შენ, წმიდაო, დაგმარხა ქალწულად შობილმან სენგან ღმრთისა სიტყუამან“ (135, 307).

იოანე დამასკელის „ღვთისმშობლის შობის საკითხავში“ ვკითხულობთ: „გიხაროდენ, მაყუალო ცეცხლმგზებარეო, საპარველებით აღგზნებულო და არა შეწულო, დატევებით უვალო ცოდვისაგან, რამეთუ ნერგი შენი დაუჭნობელო და მაყუალი ეგა ცათა მიმსგავსებულ ღმრთისმშობელობითა შენითა“ (166, 102).

უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება ძლისპირებიდანაც: „იქმნა სახე ქალწულისაო მაყუალი მოტყინარე ცეცხლითა, რომელი იხილა შჯულისმდებელმან

და განპერთა გონებითა, რამეთუ სადმრთოდ განხორციელებად პირველვა გამოისახოდა“ (109, 549); „მაყუალი სულიერი, რომელი უჩვენა მოსეს სინასა მოტყინარე შეუწველად, სახედ შენდა გამოჩნდა, ღმრთისმშობელო ქალწულო“ (168, 158).

როგორც უშუალოდ ტექსტებზე დაკვირვებამ და ამ სახის გენეზისძა გვაჩვენა, შეუწველი მაყვალი სახისმეტყველებითად ქალწული მარიამის უბიწოების მომასწავებელია და აქედან გამომდინარე მისი ჰიპოდიგმური სახელია.

აკაკი ბაქრაძე ბიბლიური მაყვლის სიმბოლიკაზე საუბრისას შემდეგი სახის მოდელს გვთავაზობს: „ღმერთი – მაყვალი – ცეცხლი. ახალი აღთქმის მიხედვით ეს მოდელი ასეთ სახეს ღებულობს: ღმერთი – ღმრთისმშობელი – ქრისტე. როცა ამ მოვლენებს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ გამოჩნდება, რომ მაყვლის ბუჩქი მარიამის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – იესო ქრისტესი (27, 58).

**მტილი.** საგულისხმოა, რომ სასულიერო პოეზიაში ხშირად ვხვდებით სინონიმური მნიშვნელობის მატარებელ ეპითეტებს. მათ შორისაა მტილიც, რომლის სინონიმებია: ბაღი, ყვავილნარი, ბოსტანი. ბაღი ოდიოგანვე იდეალური სამყაროს, კოსმიური წესრიგისა და ჰარმონიის მიწიერი განსხვავებაა. ეს არის დაკარგული და თავიდან აღმოჩენილი სამოთხე. მსოფლიოს ძირითად კულტურათათავის ბაღი წარმოადგენდა ღვთაებრივი ნების და ადამიანის სულიერ მისწრაფებათა თანხვედრას. თავისი, გამორჩეული სიმბოლიკა აქვს სახარებაში გეთსიმანიის ბაღს – მოსალოდნელი განსაცდელის წინათგრძნობით შეპყრობილი მაცხოვრის სულიერი მზაობის მოწმეს... „ბაღი ამავე დროს ცნობიერების სიმბოლოცა, რომელიც უპირისპირდება ტყეს, როგორც არაცნობიერს“ (4, 37).

ძველ აღთქმაში საუბარია დახშულ მტილზე, რომელიც წინასწარმეტყველურად მარიამ ღვთისმშობელს მოასწავებს, მისი ჰიპოდიგმური სახეა. სოლომონ მეფის „ქებათა ქებათაში“ ნათქვამია: „მტილი მოკრძალული არს დავ ჩემი, სძალი, მტილი დაკშული და წყაროდ დაბეჭდული“ (ქებ. 4, 12). ამ ადგილის კომენტარს ვხვდებით სინურ მრავალთაგში: „...მტილად დაკშულად მისთვის, რამეთუ მანგალი იგი მუშაკისად ყოვლადვე არა მიგეხო შენ“ (125, 205). აქედან გამომდინარე, „მოკრძალული მტილი“ გავრცელებული ეპითეტია სასულიერო მწერლობაში. ისევე, როგორც მარიამ ღვთისმშობლის სხვა მრავალი სიმბოლო-ალეგორია თუ მხატვრული სახე, „მოკრძალული მტილიც“ მის ქალწულებაზე მიმანიშნებელია.

**მაღნარი.** მცენარეთა სიმბოლიკიდან, რომელიც წმინდა მარიამს მიემართება, აღსანიშნავია მაღნარის სიმბოლოც. ჰიმნოგრაფები არაერთხელ ადარებენ წმინდა

ქალწულს მაღნარს: „სოფელმან გიცნა ქრისტე ორი ბუნებად განუყოფელი: გპოვეთ ველსა მას მაღნართასა შეუვალსა ქალწულისა საშოსა“ (99, 399). „შეუვალი მაღნარიც“ ისევე გამოხატავს ქალწულის უბიწოებას, როგორც „დახშული მტილი“. ამავე ავტორს ქალწულ მარიამის მუცელი „ჩრდილო მაღნართანაც“ შეუდარებია: „აწ იხარებდ სულითა: და განსცხოებოდე ლირსად ამბაკუმ ლვთის მგალობელო: ადესრულა თქმული შენი, რამეთუ მოვიდა ლმერთი სამხრით ჭორცითა ვითარცა ჯერ იჩინა ქალწულისა საშოსაგან და წმიდად იგი მთით ჩრდილოთ მაღნართადთ მუცლისაგან მისისა“ (99, 85).

როგორც ვხედავთ, მაღნარი ორგვარი შესიტყვებით გვხვდება ქართველ პიმნო-გრაფებთან: „მაღნარი შეუვალი“, „მაღნარი ჩრდილოვ“. ეს უკანასკნელი ამბაკუმ წინასწარმეტყველის ხილვასთან არის დაკავშირებული: „ლმერთი თემანით მოვიდეს და წმიდად მთისაგან ჩრდილოთსა მაღნარისადსა (განსუენება), დაფარნა ცანი სათნოებამან მისმან... (აბაკ. 3,3).

რაღანაც ადამიანში ზეცისკენ სწრაფვის სურვილი ოდითგანვეა, ამიტომ ის ყოველთვის შენატროდა ფრინველს. მითოლოგიამ გაითავისა და სიმბოლურ სახეებში ასახა ეს ოცნება. მაგალითად, ძალზე ხშირად ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში ფრინველები ადამიანის სულს განასახიერებდნენ.

პიმნოგრაფთა შემოქმედებაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში ფრინველთაგან მაცხოვრისა და ლვთისმშობლის სიმბოლოდ მოჰყავთ მტრედი, როგორც უმანკოების გამოხატვის თვალსაჩინო სახე.

**მტრედი.** ეს იმ სიმბოლოთაგანია, რომელიც გამოხატავს როგორც მაცხოვარს, ასევე დედა ლვთისმშობელს. მტრედი უძველესი დროიდან ითვლებოდა ლვთაებრივი სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოდ. მასში ხედავდნენ ზეციურ მაცნეს ადამიანსა და უფალს შორის. „განსაკუთრებული შარავანდედითაა მოსილი მტრედი ქართული მთიანეთის მითოლოგიაში: მთიულეთში მისი ბუდე აღიქმება, როგორც ზეგარდმო მინიშნება ეკლესიის ასაშენებელ ადგილზე (ზეგარდის წმ. გიორგი); ხევსურეთში – ხან „ლვთისშვილი“ იღებს მტრედის სახეს, ხან – გუდანის ჯვარი; თასზე გამოსახული მტრედი კი მიანიშნებს, რომ ეს თასი წმინდა საგანია და მხოლოდ საკულტო მსახურებისას უნდა იხმარონ“ (4, 154).

ამ ფრინველის სილამაზე ქალის მშვენიერებასთან იყო ასოცირებული. ეს ესთუტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ „ქებათა ქებაში“ გამოიხატა: „მოვედ თავით შენით,

ტრედო ჩემო, საგრილსა ქუეშე კლდისასა, მახლობელად ზღუდისა, მაჩუენე მე პირი შენი და მასმინე მე წმად შენი, რამეთუ ტკბილ არს წმად შენი სმენად და პირი შენი შუენიერ (ქებ. 2, 14). ბიბლიის კიდევ უფრო არქაულ პლასტში ჩვენ ვხედავთ საყოველთაო წარდვნის ქამს ნოეს კიდობანთან ნისკარტში ზეთისხილის რტოთი მობრუნებულ მტრედს, რომელიც გვაუწყებს, რომ ადამიანებზე გადმოდენილ დვთის წყრომას მადლი შეენაცვლა. ეს ბიბლიური სცენა საფუძვლად დაედო მტრედის საყოველთაო სიმბოლიკას და დვთისაგან გამორჩეული ფრინველი მშვიდობის უცვლელ სიმბოლოდ აქცია. ახალ აღთქმაში მაცხოვარი თავად თვლის მას გულუბრყვილობისა და სისუფთავის სიმბოლოდ, როცა მოწაფეებს მიმართავს: „აჲა, მე მიგავლინებ ქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით უკუენ მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათ. 10, 16) წმინდა იოანე ოქროპირმა „თარგმანებადში მათეს სახარებისავ“ მტრედის განმარტება ამ მუხლისათვის შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „უმანკოებად ტრედისავ, რავთა არა ბოროტსა უყოფდეთ ბოროტისმყოფელთა ჩუენთა, არცა მივაგებდეთ ნაცვალსა მტერთა ჩუენთა, რამეთუ ამათ ორთა სახეთაგან უკუეთუ ერთიცა აკლდეს კაცსა, არა აქუს მას წესი სათნოებისავ. აჲა, ბრძანებად სრულებისავ, არა კმა არს მოთმინებად განსაცდელთად, არამედ არცა თუ განრისხებად შეგინდობო, რამეთუ ესრეთ არს სახე ტრედისავ“ (176, 210).

მტრედი ხშირად შედარების ობიექტია ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ლიტერატურაში: „და ვთქუ: ვინმცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი, ავფრინდე მე და განვისუენო“ (ფს. 54, 7); „და განერნენ განრინებულნი მათგან და იყინენ მთათა ზედა, ვითარცა ტრედნი მღუნავნი, ყოველნი მოსწყდენ კაცადნი უმართლობათა შინა მისთა“ (ეზეკ. 7, 16) და სხვ. უმეტესად კი უმანკოებისა და სიწმინდის სიმბოლოა: „იყავით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათ. 10, 16).

ვ. ნოზაძე ერთგან შენიშნავს, რომ „ხალხში გავრცელებული შეხედულებით, ქრისტიანი გარდაცვალებულის სული ტრედის სახით მიფრინავს ზეცად. ამ რწმენის გამო მტრედი ხშირადაა გამოხატული ეპლესიებში და მრავალ წმიდანთა ცხოვრების ამბავში მტრედს განსაკუთრებული ადგილი უკავია“ (113, 237).

საფლავის ქვათა სიმბოლიკაში მტრედი იყო ალეგორია უმანკო სულისა, რომელიც ზეცად აღევლინება, იქ სიცოცხლის ხეზე დამკვიდრდება და უკვდავების წყალს ეწაფება...

მტრედი ასევე განასახიერებს სულიწმიდის გამოცხადებას მაცხოვრის ნათლის-დების ქამს: „და ნათელ-იდო იესუ. და მეყსეულად აღმოვიდა რავ წყლისა მისგან, და აპა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისად, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა“ (მათ. 3, 16).

მკვლევარ ჭ. გამსახურდიას შენიშვნით, „რელიგიასა და ღვთისმეტყველებაში სულიწმიდის საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოა მტრედი. იგი ამ თვალსაზრისით გამოუყენებია „თამარიანის“ ავტორსაც. თამარი შედარებულია მტრედთან, რაც იწვევს სულიწმიდის ასოციაციას“ (44, 98).

როგორც აღვნიშნეთ, მტრედი ღვთის სიტყვის გადამცემიცაა, ახალი ეპოქის დადგომის მაცნეა. ეს მოტივი ასახულია საერთ ლიტერატურაშიც, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანზე ნათქვამია:

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,

არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედას-ზედი;

ვით ზღაპარი ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,

სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი“ (165, 1184)..

ნესტან სულავას აზრით, ეს კონტექსტი ადასტურებს ნესტან-დარეჯანის სული-ერ გაწმენდასა და სრულყოფას, რადგან „მტრედის გონებით მოსილობა“ მხოლოდ ღმერთთან ზიარების შედეგია. „მართალია, კიდევ დიდმა დრომ განვლო ნესტან-დარეჯან – ტარიელის შეხვედრამდე, სულიერი სრულყოფის პროცესიც გახანგრძლივდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უკვე „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა სულიერება გადარჩენილია, მხოლოდ დროა საჭირო, რომ ისინი საბოლოოდ შეხვდნენ ერთმანეთს, დაძლიონ წუთისოფლური განსაცდელი, გადაღახონ ამქვეყნიური სირთულეები და ეზიარონ ერთს, ანუ ღმერთს. ნესტან-დარეჯანის გონების მტრედთან შედარება სწორედ იმას მიანიშნებს, რომ მისი განწმენდილი სული და გონება ახალი ეპოქის დადგომისათვის მზადაა, რაც პოემის პერსონაჟთა ცხოვრებაში სიახლის მოლოდინსა და მომავალში მის დამკვიდრებას მოასწავებს“ (136, 112-113).

პიმნოგრაფებთან კი მტრედი როგორც მაცხოვრის, ასევე ღვთისმშობლის სიმბოლოა. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: „წყლით რღუნასა ცოდვისასა აწ გუახარებს დაცხომასა სულისა იგი მტრედი, რამეთუ მადლისა რტომ უტვირთავს და განგვიყოფს ყოველთავე უხრწნელებასა მადლით“ (72, 221); „უმანკოსა სამეუფოსა მას ტრედსა, უბიწოსა ქალწულსა, ცათა უზეშთაესსა შორის დედათა კურთხეულსა. ვითარცა მშობელსა ღმრთისასა ყოველნი ვპნატრიდეთ“ (72, 71).

ამრიგად, მცენარეთა და ფრინველთა სიმბოლიკას განუმეორებელი ელფერი შეაქვს ქალწულ მარიამის მიმართ გამოყენებულ სიმბოლოთა მდიდარ რეპერტუარში, ამდიდრებს ქალწულის სახესთან დაკავშირებულ მხატვრულ თემატიკას, უფრო ცხადად წარმოაჩენს იმ წმიდა მოვლენებს, რომლებმაც წინასწარ მიგვანიშნა ქალწულისაგან მაცხოვრის მოვლინების სასწაულზე.

კიდევ ერთხელ გამოვლინდა და საგრძნობი გახდა საგალობელში ჰიმნოგრაფთა შემოქმედებითი წარმოსახვა, მხატვრული სიტყვის ძალა.

მცენარეთა და ფრინველთა ოვისებებმა ნათლად გამოკვეთა ქალწულის მარადიული ბუნება, მისი კეთილშობილება, უფლისაგან ბოძებული უმანკოება, რაც დღვესაც მარადიული იდუმალების განცდას გვრის კაცობრიობას.

ამასთან, ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ ძველ ადთქმაში ეს სიმბოლოები წინასწარმეტყველური მნიშვნელობისაა, ხოლო უკვე ახალ ადთქმაში გადმოსული მაცხოვარსა და დვოისმშობელს მიემართება. ჰიმნოგრაფიაში კი ამ სახისმეტყველებითმა სიმბოლოებმა მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა შეიძინა. გამოჩნდა ჰიმნოგრაფთა, როგორც ინდივიდუალურ შემოქმედთა სულიერი სამყარო, ზნეობა, ესთეტიკური მრწამსი, რაც ადამიანის გულსა და გონებას ჭეშმარიტი დირებულებებისაკენ წარმართავს.

#### **4. დგომისმშობლის სიმბოლიკა ფერთა და ძვირფას თვალთა სახისმეტყველების მიხედვით**

ალბათ, არაერთხელ დავფიქრებულგართ იმაზე, თუ როგორი დგომაებრივი ჰარმონია აერთიანებს სამყაროს ფერადოვან პალიტრას და როგორ ცდილობს ადამიანი მისი სრულყოფის საიდუმლოს ჩაწვდეს. ფერთა რაობა უძველესი დროიდან იყო ფილოსოფოსთა, მწერალთა და ხელოვანთა განსჯის საგანი.

ატომისტი დემოკრიტე იყო პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც სცადა ფერთა თეორიის შექმნა. გარდა იმისა, რომ მან აღიარა ოთხი ძირითადი ფერის (თეთრი, შავი, წითელი, მოყვითალო-მომწვანო/მწვანე) არსებობა, განაცხადა, რომ ატომების ფორმა განაპირობებდა მათ ფერს: თეთრი ატომები იყო სწორი, გლუვი, გამჭვირვალე, ხოლო შავი – უხეში და უსწორმასწორო. ითვლება, რომ მოყვითალო-მომწვანოსთან (მწვანე) დაკავშირებით დემოკრიტემ ერთგვარად უდალატა თავის შეხედულებას, რადგან იგი მიიჩნია მყარისა და ცარიელის კომბინაციად და ფორმის მიხედვით არ განსაზღვრა. ამავდროულად, მან ყველა დანარჩენი ფერი ამ ოთხი ძირითადი ფერის კომბინაციად ჩათვალა (57, 11).

ფერთამეტყველების ისტორია საუკუნეთა წიაღიდან იღებს სათავეს. ადსანიშნავია, რომ თითქმის ყველა უძველეს ცივილიზაციაში სამი ძირითადი ფერი დომინირებდა: თეთრი, წითელი და შავი. თეთრი და წითელი, უმეტესად, სიცოცხლის სიმბოლოები იყო. თეთრი სინათლის, დღის გამოხატულებაა, შავი კი – სიბრტყისა და დამისა. „ამიტომ თეთრია ფერი სიცოცხლისა, ბედნიერებისა, სამოთხისა; ხოლო შავი ფერი კი – უკუნისა, უბედურებისა, სიკვდილისა, ჯოჯოხეთისა. მაზდეანიზმში და ზოროასტრიზმში დმერთი არის თეთრი, ნათელი, ბრწყინვალე.“ (114, 86). ასევეა მითრაიზმში, მაპმადიანობასა და ქრისტიანობაში.

ქრისტიანობამ ფერთამეტყველების თავისებური სისტემა შექმნა: თეთრი ფერი უმწიკვლობის, ანგელოზთა ფერად იყო მიჩნეული; ალისფერი – სიყვარულის, ცისფერი – ზეციური საუფლოსი. „მოგვიანებითი პერიოდის ქრისტიანობაში ფერთა სიმბოლიკა ევოლუციას განიცდის: თეთრი ფერი მამა-ლმერთის სიმბოლო ხდება; ცისფერი – ძისა და წითელი – სულიშმიდის; მწვანე – რწმენის სიმბოლო გახდა, თეთრმა რწმენისა და სისპეტაკის ელფერი შეიძინა, შავმა – მონანიებისა და გლოვის; წითელმა – სიყვარულისა და გულმოწყალების (5, 77).

სასულიერო პოეზია ფერთა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, რის მიზეზადაც შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელი მწერლისთვის რეალური სინამდვილე სიჭრელესთან იყო ასოცირებული, ხოლო ქრისტიანული იდეალი სტაბილურობაში გამოიხატებოდა.

ამიტომაცაა, რომ „ბიზანტიური ლიტერატურის ტრადიციულ ფერით სისტემაში, განსაკუთრებით, პორტრეტულ ფერწერაში, როგორც წმინდა ესთეტიკურ, ისე სიმბოლურ მნიშვნელობათა გათვალისწინების თვალსაზრისით, სამი ძირითადი ფერი – ე.წ. რჩეულ ფერთა სამეული – ოქროსფერი (იგივე ყვითელი), ალისფერი (წითელი) და თეთრი დომინირებს“ (75, 132).

სასულიერო პოეზიაში ფერს ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი კანონიზებული შინაარსი აქვს. ამდენად, სიმბოლური დატვირთვის მატარებელია თეთრი, წითელი და ოქროსფერი, ხოლო ნეიტრალური – შავი და თეთრი ფერი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტრადიციულად, ბოროტებასა და სიკეთეს შორის დაპირისპირებაზე მიანიშნებს. ამ ქვეთავში განვიხილავთ უშუალოდ იმ ფერებსა და ქვებს, რომლებიც წმინდა მარიამს მიემართებიან, მის ჰიპოდიგმებს წარმოადგენენ და ამასთან, ჰიმნოგრაფებს ეხმარებიან დედაღვთისას დვაწლის უფრო მხატვრულად გადმოცემაში.

**ნათლისფერი.** ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნათლისფერის სიმბოლიკა. როგორც ცნობილია, ღვთის ნათლად წარმოსახვა ქრისტიანობის პრეროგატივას არ წარმოადგენს. ჯერ კიდევ უძველეს შუმერულ, ეგვიპტურ, ინდურ თუ სხვა ხალხთა რელიგიებში ნათელი ღვთის ერთ-ერთ სახელად იყო ცნობილი. ქრისტიანულმა რელიგიამ კი მათგან იმემკვიდრა იგი და ერთარსება ღვთის ერთ-ერთ ატრიბუტად გამოაცხადა. „ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი. ღვთის მსახურნი – ანგელოზი აგრეთვე ნათელი და თეთრი-სპეტაკი სამოსელის მატარებელნი არიან.“ (114, 92).

წმიდა წერილიდან მომდინარე ორგვარი ნათლის არსებობა სასულიერო პოეზიაშიც დასტურდება. შესაბამისად „ნათელი უსხეულო“, „ბუნებითი ნათელი“... აქ მატერიის შექმნამდე არსებულ ნათელზე მიუთითებს, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ შესაბამის ქვეთავში „ღვთისმშობლის ასტრალური სიმბოლოები“. „ნათელი დაუსაბამო“, „ნათელი თვალშეუდგამი“, „წყარო ნათელთავ“ – წმიდა სამების პირველი და მეორე ჰიპოსტასის – მამა ღმერთისა და ძე ღმერთის გამომხატველია, რადგანაც ნათელი, როგორც ფერი, ვარირებს თეთრსა და

ბრწყინვალეს შორის; ამიტომაც მისი სიმბოლიკა გაიგივებულია შემოქმედთან. აქედან გამომდინარე, ნათლის სიმბოლიკა სათავეა ყველა სხვა ფერის აღსაქმელად და გასააზრებლად, რადგანაც სიმბოლური სახეებით აზროვნება მხოლოდ „ნათლისმიერი ხედვითაა“ შესაძლებელი. „ფერი და ნათელი ღმერთთან არის გადაბმჟული და პირველი ფერი, რომელიც აღამიანდა იცნო, იყო თეთრი და შავი“ (114, 8). ტრადიციულად თეთრი ფერი სიკეთის, სიწმინდის, უმანკოების გამოხატულებას წარმოადგენდა, ხოლო შავი – ბოროტების, სიბნელისა, უმეცრებისა. „ნათლისა და ბნელის სიმბოლურ მნიშვნელობათა ფიგურაცია ლიტერატურული ნაწარმოების ფერითი სისტემის ელემენტთა მსგავსი ფუნქციებით, უპირველეს ყოვლისა, ნეიტრალური ფერების – თეთრისა და შავის სიმბოლიკას უკავშირდება“ (25, 67).

ასევეა სასულიერო პოეზიაშიც. ღმერთი, როგორც სიკეთე – ნათელია, სპეტაკია, ბოროტება კი სიბნელედ არის აღქმული. სულიერი თვალსაზრისით ბოროტებად ითვლება ურწმუნოებაც, ამიტომაც იგი ასოცირებული იყო სიბნელესთან, წყვდიადთან. საგალობელში შავი და თეთრი ფერის დაპირისპირების გზით ნაჩვენებია მაცხოვრის ანუ „საღმრთო ნათლის“ მოსვლა ურწმუნოების წყვდიადში მყოფი კაცთა მოდგმის განსანათლებლად: „ნათელი საღმრთოსა გამობრწყინდა ნათლისაგან დაუსაბამოსა მოსრული მაცხოვრად მომწყდართა და განათლებად მსხდომარეთა ბნელსა“ (99, 145-146). სინათლე, როგორც სიცოცხლის სიმბოლო, და სიბნელე, როგორც სიკვდილის სიმბოლო, ბნელისა და ნათლის დაპირისპირებაში ასეა გაგებული პიმნოგრაფთა მიერ: „სიკუდილი დაბნელდა და ჩვენ ვიხილეთ ნათელი უკუდავებისათ“ (72, 265).

ზოგადად, ლიტერატურულ ფერწერაზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ნათლის სიმბოლიკა, რადგან „ფერთა მთლიანი ქრომატული გამა სწორედ ნათლიდან იღებს სათავეს“ (25, 60).

ძველ აღთქმაში ნათელი სამოსია, რომლითაც იმოსება ღმერთი. „შეიმოსე ნათელი ვითარცა სამოსელი“ (ფს. 103, 2); იგი ცეცხლის ალით არის გარშემორტყმული (გამ. 19, 18); ღმერთი გზას უნათებს აღამიანებს თავისი კანონით (იგავ. 6, 23);

სახარებაში კი მაცხოვარი მაშინ გამოუმჯდავნებს თავის მოწაფეებს სადგომ დიდებულებას, როცა მათ წინაშე გაბრწყინდება: „და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმავ მისი და აღიყვანა იგინი მთასა მადალსა თჯსაგან და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და გაბრწყინდა პირი მისი,

ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაპ, ვითარცა ნათელი“ (მათ. 17, 1-2).

თეოლოგიური სწავლებით, ნათელი, რომლითაც იხილვებოდა განკაცებული მაცხოვარი მოციქულთა წინაშე, მას იმ დროს არ მიუღია, უფალმა თავისი დვთავებრიობა გამოუცხადა მოწაფეებს: „ფერისცვალებისას მან გამოაცხადა არა სხვა რომელიმე ნათელი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც დაფარული ჰქონდა ხორციელ კრეტსაბმელს მიღმა. ეს ნათელი საღმრთო ბუნებისაა – ხელთუქმნელი, დვთიური. მსგავსად ამისა, დვთისმეტყველ მამათა სწავლებით, იესო ქრისტემ ფერი იცვალა მთაზე ისე, რომ არაფერი მიუღია და არაფერ ახალში, რაც მანამდე არ ჰქონია, არ გარდასახულა. თავის მოწაფეებს უჩვენა მხოლოდ ის, რაც უკვე გააჩნდა“ (172, 3); აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თაბორის მთაზე გამოჩენილი ნათელი არ იყო წარმოქმნილი, არამედ ეს იყო დმერთოან მანამდეც თანაარსებული – მარადიული და უჟამო. „ძველ აღთქმისეულ თეოფანიებში იგი ცხადდება როგორც დიდება დვთისა, ქმნილთათვის საშინელი და დაუთმენელი... არავითარი ცვლილება არ მომხდარა ღმერთკაცში თაბორის მთაზე, მხოლოდ მოციქულთათვის ეს იყო დროისა და სივრცის საზღვრების იქით გასვლა, მარადიულ რეალობათა აღქმა“ (92, 35).

წმიდა წერილიდანვე იდებს სათავეს ნათლის მოციქულებზე გადმოსვლის ტრადიციაც, „ვინაიდან მოციქულობა არის ქრისტეს ყოველი მიმდევრის საქმე, რომელიც უნდა იყოს „ნათელი სოფლისა“ და „მარილი ქვეყნისა“ (მათ. 5, 13-14) (35, 350).

მაშასადამე, ნათელი, როგორც ღმერთოან ასოცირებული ფერი, სრულად იტევს დვთავებრივ სისავსესა და ყოვლისმომცველობას. ხოლო „დაუსაბამო ნათელი“ მთელი თავისი სისავსით მხოლოდ ქალწულის წიაღმა დაიტია. ამიტომაც ნათელი, მაცხოვართან ერთად დვთისმშობლის სიმბოლოცაა: „უზეშთაეს ხარ ქებულებათა დირსო, უშუენიერეს ყოველთა სამკაულთა, ღმრთისმშობელო, უნათლეს მნათობთა სამყაროსათა, რამეთუ საღმრთოთა ნათლითა სავსე მარადის პნათობ წინაშე ღმრთისა“ (73, 132).

დვთავებრივი ნათლით სავსეობა მხოლოდ დედათა შორის გამორჩეული ქალწულის თვისებაა და დვთის წინაშე მარადიულად ნათების უნარიც მას აქვს მინიჭებული. ქალწულ მარიამის სულიერი ბუნება, ჰიმნოგრაფმა ფიზიკურ მნათობთაგან ბოძებულ სინათლეს შეადარა, რათა მატერიალურ ნათელზე სულიერი ნათლის უპირატესობა ეჩვენებინა. „ნათელი დაუდამებელი, ნათლისაგან თვალშეუდგამისა მოს-

რელი შევიდა საშოსა სულმცირისა მის ღრუბლისასა“ (73, 180) – პიმნოგრაფმა მხატვრული სიტყვის წყალობით მეტად ორიგინალურად გადმოსცა ძე ღმერთის მამა ღმერთისგან შობისა და ქალწულის საშოდან მისი განხორციელების დოგმაზი: „ნათელი დაუღამებელი“ – ძე ღმერთი, წმიდა სამების მეორე პიპოსტასი იშვა მამა ღმერთისაგან, ანუ სამების პირველი პიპოსტასისაგან, ხოლო მისი ხორცშესხმის საიდუმლო „სულმცირე ღრუბლის“ – ქალწულ მარიამის წიაღში აღესრულა.

ბუნებრივია, რომ „დაუღამებელი ნათლის“ შობის შემდეგ ქალწული „ნათლის დედად“ იწოდა, თუმცა პიმნოგრაფი იქვე დასხენს, რომ ეს სახელი ქალწულ მარიამს პირველად სოლომონმა უწოდა: „ქებასა შინა ქებათასა პირველვე გიწოდა დედად ნათლისა სოლომონ“ (109, 819).

„ნათლის დედა“ ისეთივე სახელია ქალწულისა, როგორც კარავი დვთისა, ტაგუპი მანანავსა, კიდობანი დვთისა და ა. შ.

პიმნოგრაფები ხშირად პმადლობენ მარიამ დვთისმშობელს, როგორც უკვდავების ნათლის გამომაბრწყინებელს. „ხოლო შენგან, მარიამ ქალწულო, მოვიღეთ ნათელი უკუდავებისათ, ამისათვესცა ვითარცა სთქუ ყოველნი გნატრით“ (72, 53). პიმნოგრაფის ხედვა ამ შემთხვევაშიც მისი მსოფლმხედველობრივი სიღრმის შესატყვისია. დვთისმშობელი ადამიანთა სიხარულის წყაროა, სოფლის ზღუდე და მფარველია, მაცხოვრის წინაშე ჩვენი მეოხია, რის გამოც გვმართებს მისი სამარადისო დიდება: „დიდებულსა და ყოვლადქებულსა ადამიანთა სიხარულსა, სოფლისა ზღუდესა და მფარველსა და ქრისტიანობის ნათელსა, სულთა ჩუენთა განმანათლებელსა და წინაშე ღმრთისა სასოსა ჩვენსა, მარადის ვადიდებდეთ წმიდასა მას დედოფალსა“ (73, 200).

**ოქროსფერი.** დვთისმშობელთან დაკავშირებულ ფერთა სიმბოლიკაში ნათლის ფერის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოქროსფერს, რომელიც „როგორც ზეციური იერუსალიმის ფერი არის პრაქტიკულად ძირითადი ფერი მთელი მართლმადიდებლური იკონოგრაფიისათვის – ოქროსფერით იფარებოდა როგორც ხატების, ასევე მინიატიურების ფონებიც“ (5, 80). ოქრო და ოქროსფერი ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისში მოწამეობის სიმბოლოდ იქცა. როგორც ოქრო გამოიწრობა ცეცხლში, ასევე განიწმინდება ადამიანის რწმენით ანთებული გული განსაცდელისას.

„ოქრო შეიძლება მოვიაზროთ, როგორც აბსოლუტური მეტაფორა დვთისა“ (8, 52). სიმბოლურად ნათლის ფერი ოქროშია განფენილი, ანუ ოქრო არის ნათლის მა-

ტარებელი ლითონი. ამიტომაც ოქროსკენ „სწრაფვა მიახლებაა ქრისტესთან, როგორც ნათელთან“ (18, 156). ამის გამოხატულებაა ოქროსფერის უმაღლეს იდეალთან – უფალთან, მარიამ დვთისმშობელთან და წმიდანებთან დაკავშირებით გამოყენება სასულიერო მწერლობაში.

ჩვენი თემის ინტერესიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მარიამ დვთისმშობლის ძველი აღთქმისეული ჰიპოდიგმები, რომლებიც ოქროსაგან იყო დამზადებული. ცნობილია, რომ მოსეს სჯულის კიდობანი შიგნიდან და გარედან ოქროთი იყო დაფარული (გამ. 25, 11), რაც სიმბოლურად მარიამ დვთისმშობლის მარადქალწულობასა და მის უხრწელებას გამოხატავს (8, 51). კიდობნის ოქროთი მოვარაყება კი უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს ქების ობიექტის დვთაებრივ-სულიერ მხარეს და მოსავს მას უზენაესი ბრწყინვალებით. დვთის დიდებულებისა და ბრწყინვალების დამტევია, ასევე, ოქროს სასანთლე, ოქროს სასაკმევლე და ოქროს ტაპუკი.

სიმბოლურად, ოქროს სასანთლე ანუ დვთისმშობელი მატარებელია დვთაებრივი ნათლისა, ამდენად, იგი სულიერი ენერგიით არის აღვსილი, ისევე, როგორც სასაკმევლე და მანანის შემნახველი ტაპუკი: „ტაპუკი ხარ, მარიამ, ოქროსა უბიწოდესა“ (109, 507); გიხაროდენ, სასანთლეო ბრწყინვალეო, ნათელსა უფლისასა, გიხაროდენ ოქროსა წმიდისა სასაკუმევლეო...“ (109, 815). ოთხივე ჰიპოდიგმა მიანიშნებს დვთის მტვირთველ ქალწულზე, ხოლო მათი ოქროსთან დაკავშირება, ოქროთი გაბრწყინება ალუზიურად უფლისა და მარიამ დვთისმშობლის უხრწელების გამოხატულებაა.

ოქროს სულიერ შინაარსს აღრმავებს მარიამ დვთისმშობლის სამოსის ოქროსურად წარმოჩენაც. X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის, ფილიპეს, სიმბოლოებით, სახეებითა და ფერებით დატვირთულ საგალობელში დვთისმშობლის ხოტბა ასე იწყება: „ფესუთა მათგან ოქროანთა შემკული ხარ შენ ქალწულო, იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს ღმრთისმშობელო“ (72, 364), რითაც დვთისმშობლის გამორჩეულობაა მინიშნებული და რომელიც 44-ე ფსალმუნის შემდეგ სიტყვებს ეხმიანება: „ყოველი დიდებად ასულისა მეუფისა შინაგან, ფესუედითა ოქროვანთა შემკულ არს და შემოსილ ჰირად-ჰირადად“ (ფს. 44, 14). საგალობელში დვთისმშობლის სამოსის ფერები ოქროსფერი და ძოწეულია. „ოქროსფერი სულიერების, ზეციურობის სიმბოლოა, მასზე შემოვლებული ოქროს ფოჩი – კი ზეციური დედოფლობისა“ (137, 92).

საზოგადოდ, ძოწისფერის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება შესამჩნევი გახდა ბიზანტიაში, სადაც მღვდელმთავრები და იმპერატორები ძოწისფერი სამოსით იმოსებოდნენ. აქედან გაგრცელდა იგი ეგროპაშიც.

„ფესუედი ოქროვანი“ პოპულარული ეპითეტია სასულიერო პოეზიაში. მას ხშირად გხვდებით ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კრებულებში: „ფრთეთა ზედა ქერუბიმთასა მჯდომარე დმერთი იტვირთე ფესუედითა ოქრეანითა შემქულ ხარ და შემოსილ პირად პირადითა შუენიერებითა აღყუავებულ ხარ“ (Sin 5;172r). თვენში კი ჰიმნოგრაფი მორწმუნებს ურჩევს: „ნესტუსა საღმრთოსა დაპბერეთ ნიავ სულნელით გამო და მოისწრაფეთ სიონდ ქალწულისა კრებასა ქალწულთა ერნო ფესუედითა ოქროვანითა“ (H 2337; Rt : 198 v).

\*\*\*

რაც შეეხება ძვირფას თვლებს, ისინი სიმბოლოთა მნიშვნელოვან რკალს წარმოადგენს. ერთ-ერთი ქრისტიანული ლეგენდის თანახმად, ძვირფასი ქვები დედამიწაზე მიმოიფანტნენ, როდესაც ზეციდან განდევნილი ლუციფერი მიწას დაენარცხა. არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც, „თვალნი პატიოსანი წარმოშვა ლვთაებრივმა ენერგიამ, რომელმაც თვალ-მარგალიტებად ააკაშკაშა უღიმდამო, ნაცრისფერი კენჭები.“ (4, 131).

ესთეტიკური ფასულობის გარდა ძვირფას ქვებს ყოველთვის ახლდათ სიმბოლური მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა – სულიერი გაცისკროვნებისა და განწმენდის, მარადიული ფერისცვალებისა და ბოროტი ძალის უვნებელყოფის. ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმიდა ეპიფანე პეიპრელმა სპეციალური შრომა – „თვალთაღ“ – მიუძღვნა ძვირფას ქვებს, რომლის მიხედვითაც, მოსემ უფლის ნებით გააწყო პირველ მღველმთავრის აარონის სამოსი, სადაც ოთხ რიგად განლაგებული თორმეტი პატიოსანი თვალი იყო ისრაელის თორმეტი შტოს შესატყვისი. ეს თორმეტი ქვაა: სარდიონი, ტბაზიონი (იგივე ტოპაზი), ზმური (ანუ ზურმუხტი, სმარაგდი), იაკინთი (ანუ პიაცინტი, ალისფერი ცირკონი), საფირონი, იასპი, ლიგვირიონი (იგივე ქარვა), აქატი, ამეთვისტო, ძოწეული, ბივრიტი, ფრცხილი (იგივე ონიქსი). ამ თვალთაგან ყურადღებას შევაჩერებთ იმ თვლებზე, რომლებიც დგთისმშობლის სიმბოლოდაა გამოყენებული.

**იაკინთე და ძოწეული.** ფილიპეს საგალობელში ჰიმნოგრაფი შემდეგი სიტყვებით მიმართავს წმინდა მარიამს: „იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს დმრთისმშობე-

ლო“ (72, 364); იაკინთესა და მოწეულის სიმბოლურ დატვირთვაზე საუბრობს ნესტან სულავა, რომელმაც მათში გეოგრაფიულ მხარეთა გააზრებაც გამოავლინა. „იაკინთის თვალი სიმბოლურად არის იუდას ნათესავის, შთამომავლის აღმნიშვნელი, ასეთადაა ცნობილი იესო ქრისტე. იგი არის ხსნისა და რისხვის გამომხატველი. ხსნისა – ღირსთათვის და რისხვისა – ტანჯვითა და ულირსთა და შეურაცხმყოფელთათვის. იაკინთის თვალი მანათობელია დამისა, რომელშიც ქრისტეს შობამდე იმყოფებოდა კაცობრიობა. მან ნათლით შემოსა ყოველი, ვინც ქრისტე ჭეშმარიტად ირწმუნა. ამიტომ გამოიყენება იაკინთის თვალი ღვთისმშობლის შესამკობად“ (137, 92). ამრიგად, ძვირფას ქვათა თვისებების მოშველიებით საგალობელში ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება და მარიამ ღვთისმშობლის უხრწნელებაა აქცენტირებული.

**მარგალიტი.** სასულიერო პოეზიაში ყურადღებას იქცევს პატიოსანი თვალი – მარგალიტი, რომელიც სხვადასხვა ასპექტის შემცველი მეტად მნიშვნელოვანი სახე-სიმბოლოა. იგი აღნიშნავს უმაღლეს სულიერ ფასეულობას, კანონს, საღვთო ჭეშმარიტებას.

პატიოსან ქვათა შორის მარგალიტი გამორჩეულია თავისი განსაკუთრებული თვისებებით. გავრცელებული წარმოდგენით, იგი საჭიროებს საგანგებო მოპყრობას თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ გარკვეულ ხანს ინარჩუნებს თავის პირვანდელ ელვარებას. ამიტომაც მარგალიტი სისპეტაკის, ქალწულებრივი უცოდველობის სიმბოლოა. მისი მკრთალი ელვარება ასოცირდება სავსე მოვარესთან, წარმოშობა კი დაკავშირებულია წყალთან, ნიჟარის წიაღში მისი განვითარება დაბადებას, ადდგომასა და განახლებას მოასწავებს: „ღრმა წყალში, ნიჟარის წიაღში მანათობელმა სითეთრემ გახადა მარგალიტი სიმბოლო სიბრძნისა და ეზოთერული ცოდნისა“ (35, 98).

ქრისტიანულმა სიმბოლიკამ ეს უძვირფასესი ქვა მაცხოვრის სიმბოლოდ დასახა (მათ. 13, 45-46).

წმიდა ოთანე დამასკელი ხატოვნად განავრცობს მარგალიტის სახისმეტყველებას: „...კუალად ზღუად ვითარცა სიღრმეთაგან უშინაგანესთა მოგუანიჭებს საცნაურსა მას მარგალიტსა მაღლისასა, რამეთუ აჲა ესერა, წარმოდგა ახლადდაბადებული იგი სოფელი სამკადრებელი დაუტევნელისაღ“ (166, 104).

მარგალიტის სახისმეტყველებას განსაკუთრებულ ელფერს მატებს მისი გამოყენება მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ. ქრისტე – მარგალიტია და მისი მტვირ-

თველი ქალწულიც ასევე მარგალიტად იწოდება: „გადიდებს ყოველი თქსლი, სიხა-რულევანო, პატიოსანსა მარგალიტსა, რომელმან იტვირთე მეუფე“ (142, 379).

მარგალიტი სასულიერო პოეზიაში ორიგინალურ ეპითეტთან არის დაწყვილებული – „მარგალიტი მრავალსასყიდლისა“. ქალწული მარიამი ჰიმნოგრაფს ამ მარგალიტის მტვირთველად დაუსახავს: „გადიდებთ ქალწულსა, მტვირთველსა მარგალიტისა სამეუფოისა მრავალისა მის სასყიდლისასა“ (109, 591).

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ეპითეტი „მრავალსასყიდლისა“ ჰიმნოგრაფთა მიერ შექმნილი მდიდარი მხატვრული საუნჯის კუთვნილებას არ წარმოადგენს. თავდაპირველად მას წმიდა სახარებაში ვხვდებით ცათა სასუფევლის მეტაფორად: „და პო რა ერთი მარგალიტი მრავალსასყიდლისა, წარვიდა და განყიდა ყოველივე რაც ედვა და მოყიდა იგი“ (მათ. 13, 46). ავერინცევის შენიშვნით, „შემდეგ მარგალიტი თვით ქრისტეს სიმბოლოდ იქცა. ეს ინტერპრეტაციები კი არ გამორიცხავენ ერთმანეთს, რადგან მოპოვება ჭეშმარიტებისა, რომელიც არის ქრისტე, მორწმუნეთათვის არის მოპოვება მარადიული სასუფევლისა“ (9, 434-435). ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „მრავალსასყიდელი“ განმარტებულია, როგორც ფასდაუდებელი, ე.ი. ძვირფასი, დიდი დირებულების (6, 216). ასეთი ძვირადლირებული მარგალიტია იესო ქრისტე. თუმცა მარგალიტი თავისთავად გამორჩეულია სხვა თვალთაგან, ამ ეპითეტის დახმარებით მისი დირსება ერთიორად იზრდება – ძვირფას მარგალიტზე უფრო ძვირფასი და ძვირადლირებული მარგალიტია იესო ქრისტე. მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს „სადღესასწაულოდან“: „გალობით პატივს ვჲსცემდეთ წმიდისა დვთისმშობელისა შემოსლუასა, რათა ვითარცა ტაძარი სამეუფო ტაძრად შეიყუანების, შესაწირავად დვთისა, მარგალიტი მრავალსასყიდლისა“ (S1464;218v).

საყურადღებოა, რომ ეპითეტი მრავალსასყიდლისა სახარებაში ლარდიონთან დაკავშირებითაც გვხვდება, აღნიშნული საგნის ძვირადლირებულებისა და რჩეულების დასტურად: „მოიდო ლიტრად ერთი ნელსაცხებელი. ლარდიონი რჩეული მრავალსასყიდლისად“ (იოან. 12, 3). „მრავალსასყიდლიანი“ მარგალიტი საღვთო სიბრძნის სიმბოლოა, რომლის მოპოვებას, სახარებისეული ვაჭრის დარად, ცდილობს ყველა ადამიანი, ვინც ქრისტეს გზას შეუდგა. ზეციური მარგალიტის მოპოვება, ქრისტეს სიბრძნესთან ზიარება, წმიდანთა ცხოვრების უმთავრესი მიზანია, რამაც საბოლოო ადგილი უნდა განუკუთვნოს მათ ცათა სასუფეველში.

სასულიერო პოეზიაში წმინდანები ხშირად მარგალიტის „მოტრფიალედ“ ან „მომგებლად“ (შემძენად) არიან დასახულნი. პიმნოგრაფი ილარიონ ქართველს უგალობს: „ეტრფიალე მარგალიტსა მრავალსასყიდლისასა“ (11, 178). იოანე ქართველს მიმართავენ: „მოიყიდე მარგალიტი იგი უსასყიდლოდ“ (11, 188), გიორგი ათონელისადმი მიძღვნილ საგალობელში გაითხულობთ: „ეტრფიალე სიბრძნესა, ლმერთშემოსილო, და შეიყუარე იგი უფროს ყოვლისა და ვითარცა მარგალიტი პატიოსანი სულისა საუნჯეთა დაჭმარხე“ (11, 354-355).

ამრიგად, მარგალიტი ფართოდ გავრცელებული სიმბოლოა, რომელიც მიემართება როგორც ქრისტეს, ასევე მარიამ ღვთისმშობელსა და სხვა წმინდანებს.

პატიოსან ქვათაგან პიმნოგრაფებს ანთრაკიც გამოუყენებიათ. ძლისპირებში ქალწული მარიამი ანთრაკითაა შემკობილი. „ქრისტეს დედაო, შემკობილო თვალითა მით ანთრაკითა...“ (109, 473).

ცნობილია, რომ ქრისტიანული სიმბოლოებით გაჯერებული სასულიერო პოეზიის უმთავრესი მიზანი საღვთო მოვლენებში წვდომაა, მისგან განსხვავებით, საერო ლიტერატურაში წინ არის წამოწეული ესთეტიკური მხარე. ესთეტიკურობის ფუნქცია აკისრია აქ ფერებსაც, რომლის ასოციაციას ხშირად ძვირფასი ქვებიც იწვევს. პატიოსანი თვალი მხატვრულ ნაწარმოებში მეტაფორულ ხატებს ქმნის, როცა საგალობელში მას უმთავრესად სიმბოლური ფუნქცია აკისრია.

მარიამ ღვთისმშობელთან დაკავშირებული ფერთა სიმბოლიკა ყველაზე მკაფიოდ, ბუნებრივია, ფერწერაში ჩანს. სასულიერო პოეზიაში გამოყენებული ძოწისფერი ფერწერაშიც გვხვდება ასეთივე ფუნქციით, ხოლო სამეფო ტანსაცმლის აუცილებელ ატრიბუტად ქცეული ოქროსფერი „თავისი დიდებული სიმბოლური და მხატვრული შინაარსებით ამკობს ფერწერულ ხატებს და გარკვეულ წესრიგსა და სიმწყობრეს ანიჭებს მათ საერთო ქრომატულ გამას“ (25, 65). ღვთისმშობლის მიძინების სცენაზე საკარცხულზე გამოსახულ ქალწულს ძოწისფერი წალები აცვია. ამ დეტალს ვხვდებით ხოვგოროდის სკოლის XII-XIII საუკუნეების მიჯნის ხატზე, უფრო ადრე კი ბიზანტიურ ბეჭდებზე. წალები ფერწერულ ხატებზე გამოისახება ძოწისფერით, რაც სიმბოლურად ღვთისმშობლის დედოფლობისა და უბიწოების გამომხატველია. შეუქმნელი ღვთაებრივი ნათელი კი მიძინების კომპოზიციაში ხან ცისფერით, ხან კი მწვანე ფერით წარმოჩნდება.

თუკი მხატვრობას დაგუპვირდებით ამ კუთხით, მეტად საინტერესო და ფერადოვან სურათს მივიღებთ. გრაჩინიცას მხატვრობაში დვთისმშობლის მაფორიუმი (ზედა კაბა – თ. გ.) ძოწისფერია. იგი ისეა დამუშავებული მოლურჯო რეფლექსებით, რომ ლაჟვარდის ფერებში გადადის. ხოლო ხორას ეკლესიის მოზაიკაზე მისი სამოსი მთლიანად ლაჟვარდის ფერია, რაც ქალწულის სასუფეველში დამკვიდრებაზე უნდა მიანიშნებდეს (96, 7). სიმბოლური დატვირთვა აქვს **ლურჯ ფერსაც**. ამ ფერისაა მაცხოვრის ჰიმატიონი<sup>4</sup> შუა საუკუნეების ქართულ ფერწერულ ხატებზე, ხოლო ქიტონი ძოწისფერია (რომელსაც ხშირად ყავისფერი ცვლის), ან ასევე ლურჯი. სამოსის ფერი თეოდოგიურ სიმბოლიზმს ემყარება – ცისფერი ქიტონი მაცხოვრის დვთაებრივ ბუნებას, ხოლო ძოწი კი მის მეუფებაზე მიგვანიშნებს. ორი ფერი კი მის ორბუნებოვნებას შეესაბამება (181, 133).

**ლურჯი ფერის** სტოლა და ყავისფერი მაფორიუმი მოსავს მარიამ დვთისმშობელს გელათის მიძინების კომპოზიციაზე.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ფერთა სიმბოლიკა საგალობელში ერთგვარი დამხმარე საშუალებაა ქების ობიექტის სულიერი პორტრეტის წარმოსაჩენად. ფერთა შორის ძირითადი ფუნქცია აკისრია ნათლისფერს, როგორც დვთიურობის სიმბოლოს და მისგან გამომდინარე ოქროსფერსა და ძოწისფერს, რომლებიც ქალწულის უხრწეველ ბუნებას განასახიერებს. პატიოსან ქვათა – იაკინთეს, მარგალიტისა და ანთრაკის გასიმბოლურებით კი მარიამ დვთისმშობლის გამორჩეულობა და უხრწეველებაა ხაზგასმული.

<sup>4</sup> მამაკაცი წმინდანის გარეთა შესამოსედი.

## 5. ღვთისმშობლის ასტრალური სახე-სიმბოლოები

ქართულ სინამდვილეში ადამიანის ბედ-იდებლის ასტრალურ სამყაროსთან დაკავშირება ყველაზე ნათლად „გეფხისტყაოსანში“ გამოჩნდა, კერძოდ, ფრიდონთან მიმავალი ავთანდილის ეპიზოდში, სადაც ეს უკანასკნელი მნათობებს შესთხოვს, ძალა შემატონ, რათა პირნათლად აღასრულოს თავისი რაინდული ფიცი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული პლანეტა დაკავშირებული იყო ზოდიაქოს ნიშანთან და ადამიანის ხასიათის სხვადასხვა თვისებასთან. მაგ., მზე ნებელობასთან და აქტივობასთან, მთვარე – წარმოსახვასთან და ა.შ.

ჩვენს წინაპრებს სჯეროდათ, რომ პლანეტები თავად იყვნენ ყოვლისშემძლე ღვთაებანი, რომ ისინი თავიანთი ნებით დანავარდობდნენ ღამეულ ცაზე და მათი ურთიერთგანლაგებით, მიზიდვისა თუ განზიდვის ძალით ასტროლოგები ჭვრებდნენ ადამიანთა ცხოვრების მთელ სურათს: ვინ რა ვარსკვლავზე გაჩნდა, როგორი იქნება მისი ეს უძველესი რწმენა ყველაზე ხატოვნად ანტიკურ მითოპოეტურ ტრადიციაში წარმოჩნდა და ამიტომაცაა, რომ პლანეტებს დღემდე შემორჩათ ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა სახელები.

ასტრალური სახეები არც ჰიმნოგრაფთათვისაა უცხო. ამ სიმბოლოთ ისინი კიდევ ერთხელ განადიდებენ ღვთისმშობელს მათვის დამახასიათებელი დახვეწილი მხატვრული ფორმებით, რის შემდეგაც საგალობელში სიტყვისა და მუსიკის ბრწყინვალე პარმონია იქმნება. ღვთისმშობელია ნათელი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები. თითოეული სახე კი დედაღვთისას დიდებისა და მარადიულობის ჩვენებას ემსახურება.

საზოგადოდ, „მზე, მთვარე, ვარსკვლავები... წარმოადგენენ ღვთაებისა და გადვთაებრიებული ადამიანის პირდაპირ ნაცვალსახელებს – ეპითეტებს“ (70, 208).

**ნათელი.** ნათელი ის უნივერსალური ფენომენია, რომელიც თითქმის ყველა რელიგიურ სისტემაში სამყაროს შეცნობასა და აბსოლუტურ სიკეთეს განასახიერებს. სულისა და ღვთაებრიობის ამ მეტაფორას ჩვენ აღვიქვამთ სისპეტაკისა და სიფაქიზის, გონიერებისა და ინტელექტის, ზეამაღლებისა და ბედნიერების, უკვდავებისა და სრულქმნილების – თავად სიცოცხლის სიმბოლოდ.

ზეციური ნათელი თავის თავში მოიცავს არსესაც და სიცოცხლესაც: მისი დანახვა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მათი გონების თვალით წვდომა,

რადგან ნათელი განხორციელებული დგთაებრიობაა, ხოლო წყვდიადი – განუხორციელებელი. „ამგვარი დუალიზმი ახასიათებს იმ ეთიკურ-რელიგიურ სისტემებს, რომლებშიც „ნათელი“ და „ბნელი“ ურთიერთდაპირისპირებულ საწყისთა მთლიანობაა მარადიული ურთიერთქმედებითა და ურთიერთშენაცვლებით... ამიტომაც, ძველი ჩინელების წარმოდგენით, სამყაროს განვითარებას და ნებისმიერ სასიცოცხლო პროცესს ნათელ-ბნელის თანაფარდობა განაპირობებს“ (5, 63)

სინათლის ფენომენზე მსჯელობისას აუცილებელია მოვიხმოთ ერთი პასაჟი ძველი აღთქმიდან: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცავ და ქუეყანა. ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი“ (შეს. 1, 1-3) და პირველი სამი დღის განმავლობაში ეს პირველქმნილი ნათელი ასრულებდა მზისა და მთვარის მოვალეობას. ამ ნათლის უცნაურ თვისებებზე გვესაუბრება წმ. ეფრემ ასური: „პირველქმნილი ნათელი განფენილი იყო ყვალგან და არ იყო ერთ ადგილას მოთავსებული... მას ახასიათებდა უეცარი გაქრობა, რის შედეგადაც სიბნელე ისადგურებდა, და უეცარი გაჩენა, რის გამოც ეს სიბნელე იფანტებოდა. ასე მონაცელებდა იგი პირველი სამი დღის განმავლობაში“ (123, 286). ცოტა ქვემოთ წმ. ეფრემი წერს: „ამბობენ, რომ პირველ დღეს შექმნილ ამ ნათლისაგან და ცეცხლისგან არის წარმოქმნილი მზე, რომელიც მდებარეობს მყარზე, და ასევე მთვარეც და ვარსკვლავებიც ამ ნათლისგანაა შექმნილი“. ბიბლიიდან მოყოლებული მთელ სასულიერო-საღვთისმეტყველო მწერლობას მსჭვალავს ქრისტეს სიმბოლურ-მეტაფორულ სახელად „ნათელი“, რომლის სათავეც თავად მაცხოვრის სიტყვებიდან მოდის: „მე, ნათელი, სოფლად მოვივლინე, რათა ყოველსა, რომელსაც პრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს“ (იოან. 12, 6). ეს „ნათელი“ ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე მოელვარე ნათელია, რომელიც გახდა წყარო მატერიალური მზის, მთვარის და ვარსკვლავების წარმოშობისა. სწორედ ამიტომ, ლოგიკურად, ამ თავში გავაერთიანეთ ეს სიმბოლო (ხოლო ნათელზე, როგორც ფერის აღმნიშვნელ სიმბოლოზე ვსაუბრობთ ქვეთავში „დვისმშობლის სიმბოლიკა ფერთა სახისმეტყველების მიხედვით). როგორც ა. ლოსევი მიუთითებდა, ნათლის ესთეტიკა კაცობრიობის სულიერი კულტურის უძველესი პერიოდიდან იღებს სათავეს. იგი განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო აღმოსავლური სამყაროსათვის, აგრეთვე ანტიკური საბერძნეთისთვის, საიდანაც შემოვიდა ქრისტიანულ ლიტერატურასა და თეოლოგიაში.

ნათელი არის პირველი, რასაც უფალი ქმნის ქვეყნიერების დაბადების პირველსავე დღეს და რაც, ფაქტობრივად, საფუძველია ხილული და უხილავი სამყაროსი. აქედან გამომდინარე, ნათელი წამყვანი სახე-სიმბოლოა ქრისტიანული მწერლობისათვის და განსაკუთრებით, ჰიმნოგრაფიისათვის.

რ. სირაძემ მზისა და გაზის სიმბოლიკის წარმოჩენით აღნიშნა, რომ ქრისტიანობამ განსახოვნების ძველი ფორმები გამოიყენა, როგორც არქეტიპი და ახალ ესთეტიკას შეურწყა (127, 15). მკვლევარის მოსაზრებით, ნათლის ესთეტიკა ქართული სახისმეტყველებისათვის ჯერ კიდევ წარმართული კულტურიდანაა დამახასიათებელი, შემდგომში კი მისი ამგვარი აღქმა ქრისტიანულ გაგებას შეერწყა: „წარმართულ წარმოდგენას – კურძნის მარცვალში მზე იხედებათ – ცვლის ქრისტიანული სიმბოლიკა: „მე ვარ ვენახი და მამად ჩემი მოქმედ არს“ (127, 15).

ნათლის ტრანსფორმირება რამდენიმე ფორმაში საინტერესოდ ახსნა ახალგაზრდა მკვლევარმა თ. ბიგანიშვილმა: „ნათელი, როგორც პოეტური სახე, ტრანსფორმირებულია ვაზის, ღვინის, სისხლისა და პურის ფორმებში: ზეციდან გარდამოსული მანანა არის სიმბოლო ქრისტეს ხორცისა, რომლის ხილული სახეც ლიტურგიაზე არის პური. ქრისტეს სისხლი, რომელიც ღვინის სახითაა წარმოდგენილი, არის ნათელი, რომელიც მზის სახითაა ვაზში ჩადგრილი და ქრისტე კი ვენახია, ხოლო მამა „მოქმედ არს“ (36, 35).

ნათელი არა მხოლოდ წამყვანი სახე-სიმბოლოა ქრისტიანულ აზროვნებაში, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლოთა ჯაჭვსაც წარმოადგენს, რადგან ხსნის სხვა სახე-სიმბოლოებს. ძველ აღთქმაში, ბიბლიური კოსმოგონიის მიხედვით, ნათელი ხილული და უხილავი სამყაროს მატერიალურ საფუძველთანაა გაიგივებული, ახალ აღთქმაში კი – ღმერთთან, რაც იოანეს სახარებაშია განცხადებული: „მის თანა ცხორებად იყო და ცხორებად იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1, 4-5); „მე ვარ ნათელი სოფლისად. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისად.“ (იოან. 8, 12); „მცირედ უამ ნათელი ოქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდორე ნათელი გაქუსდა, რამთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდორე ვალნ. ვიდორე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რამთა ძე ნათლის იყვნეთ“ (იოან. 12, 35-36).

ღვთის ნათლად წარმოდგენა „უძველესი ტრადიციებითაა ნასაზრდოები და რელიგიურ შეხედულებათა განვითარების ეზოტერულ მხარეს ასახავს“ (82, 118).

ნათელი ის უნივერსალური ფენომენია, რომელიც თითქმის ყველა რელიგიურ სისტემაში სამყაროს შეცნობასა და აბსოლუტურ სიკეთეს განასახიერებს. სულისა და დგთაგბრიობის ამ მეტაფორას ჩვენ აღვიქვამთ სისპეტაკისა და სიფაქიზის, გონიერებისა და ინტელექტის, ზეამაღლებისა და ბედნიერების, უკვდავებისა და სრულქმნილების – თავად სიცოცხლის სიმბოლოდ.

იაკობ მოციქულის ეპისტოლის თანახმად, ნათლის ერთადერთი წყარო ღმერთია. „ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა...“ (იაკ. 1, 17).

დოგმატურ დვთისმეტყველებაშიც ღმერთი სახელდებულია, როგორც ნათელი, რასაც მრწამსის მეოთხე მუხლში ვხვდებით: „ნათელი ნათლისაგან და ღმერთი ჰეშმარიტი ღმრთისაგან ჰეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა“. ნათლის სიმბოლიკით ღმერთის წარმოსახვა იოანე მინჩხის პოეზიაშიც გვხვდება: „ღმერთი ზეციოთ ქუჯანად მოხუედ და კაცნი ზეცად აღიყვანენ, ნათელი ხარ დაუდამებელი, თკომნათობი ნათლისაგან მამისა გამოსრული, სულით წმიდიოურთ თანა დიდებული, შეურევნელი და განუყოფელი, ღმერთი მხოლოდ, კეთილისმყოფელი შენთა დაბადებულთავ, რომელნიცა გაპურთხევენ აწ და უკუნისამდე“ (73, 326)

ღმერთი, როგორც მიუწვდომელი არსება, სამყაროში დამკვიდრებული არსებების სახელებით არის წარმოდგენილი დვთისმეტყველებაში, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს ხილულ სამყაროში დაიგულოს სამყაროს შემოქმედი, მიიღოს მასზე ცოდნა, ამოიცნოს მისი ბუნება. სწორედ ამის ახსნა-ინტერპრეტაციაში გვეხმარება კატაფატიკურ-აპოფატიკური მეთოდი, რომლის საფუძვლები თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში დევს, საიდანაც შემოდის იგი სასულიერო მწერლობაში. კატაფატიკურია ნათელი, როგორც დვთის სახელი. სასულიერო მწერლობაში მას განუყრელად ახლავს „დაუსაბამო, დაუვალი, დაუვსებელი, დაულევნელი, აუს-რულებელი, დაუშრებელი, დაუდამებელი.... ქრისტე მარადიული, სულიერი მზეა, რადგან მას დაბნელება, დაღამება არ უწერია“ (100, 41). ამდენად, ნათელი დაუსაბამო, ნათელი დაუვალი... და ა.შ. დვთის აპოფატიკური სახელია.

„კონტრასტი სინათლესა და სიბნელეს შორის ბიბლიაში გამოყენებულია იმის-თვის, რომ ნაჩვენები იქნას აბსოლუტური დაპირისპირებულობა ღმერთსა და ბოროტ ძალებს შორის. ღმერთი (უზენაესი) სრულქმნილი სიკეთეა. მისი სიწმიდე იმდენად დიდია, რომ ის, როგორც ნათქვამია, „მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში“ (4, 155).

სახარებაში აღწერილია სულიერ ბრძოლა სინათლესა (ღმერთი – სიკეთე) და სიბნელეს (სატანა – მსოფლიო ბოროტებს) შორის: „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.“ (იოან. 1, 5). იქვთ ქრისტეს ცხოვრების, სიკვდილისა და აღდგომის სახით სინათლემ სიბნელეს სძლია.

6. სულავამ ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანის“, რომელსაც ნათლის სიმბოლური წარმოსახვით გამორჩეულ თხზულებად მიიჩნევს, ანალიზისას გამოკვეთა ნათლის სიმბოლიკის ზოგადი აპექტები: „1. სამყაროს შექმნამდე არსებობდა დაუსაბამო, უსაწყისო, უჟამო, შეუქმნელი, დაუბადებელი, უხილავი, მარადიული ნათელი, რაც „ნათელის“ სულიერ ასპექტს გულისხმობს. იგი ღმერთის სიმბოლური სახელია; 2. ბიბლიური კოსმოგონიის მიხედვით, ხილული ნათელი შეიქმნა კრეაციის მეოთხე დღეს, რომლის წყაროდ უჟამო, დაუბადებელი ნათელია მიჩნეული. ესაა ფიზიკურად არსებული ნათელი, „ნათელის“ ფიზიკური ასპექტი; 3. ქრისტეს მოვლინება, მე ღმერთის განხორციელება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „ნათელის“, „ნათლისაგან“ წარმოშობაა, რამაც „ნათელის“ მე ღმერთის პიპოსტასურ სახელად მიჩნევის საფუძველი შექმნა; 4. თეოლოგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებში, პატრისტიკულ-პაგიოგრაფიულ და პიმნოგრაფიულ მწერლობაში ნათელმა სიმბოლურთან ერთად ალეგორიული დატვირთვაც მიიღო და „ნათელი“ კეთილის საწყისად იქნა აღიარებული, ბნელი კი – ბოროტებისა; 5. გვიან შუასაუკუნეებში ნათელს დაეკისრა ესოეტიკური ფუნქციაც, რადგან იგი ადამიანის სილამაზისა და შინაგანი ბუნების გამოხატვის სიმბოლოდ დაისახა“ (135, 63-64).

იოანე ბოლნელი ფერისცვალების პომილიაში ყურადღებას ამახვილებს ნათლის მზესთან შედარებაზე და ხსნის, რომ მზის ბრწყინვალებაზე აღმატებული კაცოა გონებისათვის არ არსებობს და ამიტომ შეადარეს მახარებლებმა თაბორის ნათელი მზეს: „რადსათვს-მე, ანუ ვითარ-მე? (რამეთუ) გამობრწყინდა პირი მისი ვითარცა მზც, რამეთუ ღმრთელებად უბრწყინვალეს არს მზისთუალისა და უმჯურვალეს ალსა მას ცეცხლისასა. არამედ ესოდენ შეუძლეს გამოთქუმად წმიდათა მოციქულთა და უწყებად ჩუენდა, რამეთუ ქუეყანასა ზედა არღარად ვიცით უბრწყინვალეს მზისა“ (12, 248). იოანე მინჩხი კი სიმართლის მზედ სახელდებს თაბორის მთაზე ნათლით შემოსილ მაცხოვარს: „მთასა ზედა თაბორსა დღეს აღწდა სიმართლისა მზც და ნათელი მზისა ამის დამბადებელი, ბუნებით ღმრთელებრ მნათობი, ანგელოსთაგან ხილვად შეუძლებელი მბრწყინვალებად, ხატი და დიდებად სამარადისო, ჩუენთუს მჯსნელად განკაცებული“ (73, 324).

აქვე გავიხსენოთ დვოისმშობლის ნათლით შემოსვის ეპიზოდიც: „როცა დვოისმშობელთან ერთად გამუდმებით ლოცვაში იყვნენ ქრისტეს მოციქულები, მათზე გადმოვიდა სულიწმიდა და დვთაებრივი მადლით ააგსო. განსაბუთრებული სიუხვით მიიღო ეს მადლი დვოისმშობელმა, რომელმაც მას არამარტო სული, არამედ სხეულიც გაუბრწყინა და თავად აქცია სინათლის წყაროდ. ამას ამოწმებს ეკლესია, ამას ამოწმებს სულიერი გონება“ (41, 38). ამავე ავტორთან საუბარია დიონისე არეოპაგელის მიერ მარიამ დვოისმშობლის სხეულებრივი ნათლის ხილვაზე. მან ყოვლადწმიდა ქალწული იხილა მისი მიწიერი მოღვაწეობის უამს: „კვლავ და კვლავ პატივისცემით ვაღიარებ ყოვლადძლიერი ღმერთის, მაცხოვრის მადლისა და მისი მშობლის, მარადქალწულის დიდების წინაშე, რომ, როცა მახარებელთა და წინასწარმეტყველთა თავმა იოანემ წარმადგინა სხეულებრივად მცხოვრები და მზესავით შუქმფენი ღმრთებრივი სახის ყოვლადწმიდა ქალწულის წინაშე, შემომენათა იმდენად უზომო ძალის სიკაშკაშე, რომ ვერც ჩემმა უსუსურმა სხეულმა და ვერც სულმა ვერ შეძლეს დაეტიათ ეს სასწაული – დასაბამი მარადიული ნეტარებისა და დიდებისა. ეს ნათელბრწყინვალება არა მხოლოდ გარედან, უფრო შინაგანად მეფინებოდა, ყოვლადუცხო და ნაირფეროვანი კეთილსულნელებით მავსებდა“ (41, 40).

ჰიმნოგრაფებთან დვოისმშობელი „მნათობთა უნათლესია“, რადგან საღმრთო მადლითაა სავსე: „უზეშთაეს ხარ ქერობინთასა, ლირსო, უშუენიერეს ყოველთა სამკაულთა, ღმრთის მშობელო, უნათლეს მნათობთა სამყაროსათა, რამეთუ საღმრთოთა მადლითა სავსედ პნათობ მარადის წინაშე ღმრთისა“ (72, 188).

დვოისმშობლის ნათლით შემოსილობის მიზეზი მისგან „დაუსაბამო ნათლის“ შობაა, რის გამოც გახდა ის ამ ნათლის მარადიული მატარებელი და იწოდა – „ნათლის წყაროდ“. ამავე მიზეზით აქვს მიმადლებული ქალწულ მარიამს ნათლის სხვათათვის გადაცემის უნარიც. ჰიმნოგრაფთათვის ის დაბნელებულთა ნათელია, რომელმაც „სიმართლის მზე“ მოგვივლინა: „შენ ხარ ნათელი დაბნელებულთა და აღდგომა დაცემულთა, ღმრთისა დედაო, რომელმან პშევ მზე იგი სიმართლისა ქრისტე“ (152, 196)

**მზე.** კულტურათა უმეტესობაში მზე ყოვლისწარმომშობი ენერგიის სიმბოლოა; თეოგონიაში ის ყველა ასტრალურ სხეულს ჩრდილავს და თვალისმომჭრელ, ჰეროიკულ საწყისს განასახიერებს; „როგორც წესი, მზე წარმოდგება დემიურგის, ყოვლისმპყრობელის შვილად, რომელსაც გამოჰყვა უმთავრესი დვთაებრივი ნიჭი –

ხედავდეს ყველას და ყოველივეს. ამ რწმენიდან გამომდინარე, ინდუიზმში მზე (სურიას სახელით) უზენაესი ღვთაების – ვარუნას ყოვლისმხედველი თვალია; სპარსეთში – აჰურა მაზდის (ორმუზდის) და მითრასი, ოომლის კულტმაც არა მხოლოდ სპარსეთი, ოომის იმპერიაც კი მოიცვა; ეგვიპტეში მზეს ღვთაება „რა“ განასახიერებდა; ძველ საბერძნეთში მზის „ხილული სახე“ იყო ჰელიოსი – ზეგსის ყოვლისმჩენი თვალი... დაბოლოს, ქრისტიანობაში – ეს თავად იესო ქრისტეა – „მზე სიმართლისა“ (4, 143).

დავით მეფსალმუნე ბრძანებს: „ღმერთი არის მზე“ (ფს. 83,12). ეს სიმბოლო არც პიმნოგრაფთათვისაა უცხო. მათთვის ქრისტე „დაუდამებელი მზეა“: „დაუდამებელი მზე ქალწულისა საშოვესაგან გამობრწყინვებად მოვალს, რათა განანათლნეს მან დაბნელებულნი თუალითა წმიდითა. გულითა წრფელითა მივჰქედოთ მისსა ბრწყინვალებასა“ (72, 69); „და დღეს იშევ ბეთლემს ქალწულისაგან ნათლად წარმართა მზე ეგე სიმართლისად აღხილვად თუალთა მწუხარეთასა და განტევებად პყრობილთა სიკუდილისაგან“ (72, 82); „დაუსაბამო მზის“, ქრისტეს ნათლით შეიმუსრება ბოროტება და მართალნი შეიწყალებიან: „დაუსაბამოვსა მზისა ნათლისა ნათლის ღებითა დამდაბლებულ არიან და დაბნელებულ უკუნისამდე მავნებელნი სულნი ბოროტნი და მზეებრ ნათობენ ნათელლებულნი ადამეანნი“ (72, 187).

თეოლოგიასა და სასულიერო მწერლობაში მაცხოვრის ასევე გავრცელებული სახელია „სიმართლის მზე“. „შუა საუკუნეების ქართულმა მწერლობამ მზე ძე – ღმერთის ხატად დაკანონა და გადააქცია იგი ქრისტეს აღმნიშვნელ მეტაფორულ ცნებად, რომელიც ფართოდ გავრცელდა პიმნოგრაფიულ პოეზიაში“ (90, 75-7). ქალწულისაგან „სიმართლის მზის“ შობა, ცათა და ქვეყნის შემოქმედის ტვირთვა, კაცთა ნათესავის განსანათლებლად მოხდა, რაც ადამიანთა ცხოვრების ნათლით აღვსების გამოხატულებას წარმოადგენს: „აღვსებული სულისაგან წმიდისა, ყოვლად უბიწო დედად და ქალწული, რომელმაც ცათა და ქვეყანისა შემოქმედი იტვირთა და მისგან იშვა მზეც სიმართლისად, რომელმან განანათლა ნათესავი კაცთა“ (H 2337; RTI:200r); „უგალობდეთ ყოველნი მორწმუნენი ქალწულსა უბიწოსა, რომელმან უზეშთაესად გჯშვა დამბადებელი დაბადებულთავ და აღმავსნა ჩუენ ცხოვრებისა ნათლითა, რამეთუ დიდებულ არს“ (109, 129). ღვთისმშობლის ნათლით შემოსვა სიმართლის მზის შობითაა განპირობებული: „ღრუბელო სულმცირეო, ნათლითა შემოსილო. მტკრთველო მზისა მის სიმართლისაო...“ (72, 224); „მზის აღმ-

ოსავალით სიონისა აღმადლდი ჭორცითა, ქრისტე, ცასა ცათასა, ღრუბლითა ნათლისათა, მზე სიმართლისათ, შენ „უკუდავო“ (72, 261); „ქრისტე, დაშჯილთა წყუდიადისათა მზე სიმართლისად გამოუჩნდი და საღმრთოსა ბრწყინვალებისა მიფენითა განათლდეს საუკუნითგან შეწყუდომილნი სულნი“ (72, 264);

„თუალი ცხოვრებისათ, მიზეზი გსნისათ,  
ნათელი ბრწყინვალე, მზე სიმართლისათ,  
განმანათლებელი ცის კიდეთად“ (72, 325).

არცოუ ისე იშვიათია მზე დვთისმშობლის სახელდება:  
„მზემან რაო გიხილა შენ,  
შემოქმედი, განშიშულებული ძელსა ზედა,  
აჩუენა მგლოვარებად“ (72, 347), მიმართავს პიმნოგრაფი მაცხოვარს.  
დვთისმშობელია სიმართლის მზის ეტლი: „ეტლად მზისა მის სიმართლისა... გოწოდთ ქალწულო და დედაო უბიწოო“ (152, 140).

„შენ ხარ ვენახი ახლად ალევავებული...“

და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული“ (135, 278), – მიმართავს დემეტრე დამიანე დვთისმშობელს და ყოვლადწმინდა დედოფლის ერთადერთობას მზით გამოხატავს. დვთისმშობელი „მზეა გაბრწყინვებული“, რადგან ის დვთაებრივი ნათლით ბრწყინავს.

დემეტრეს იამბიკოს დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს აშინაარსებს, რადგან დვთისმშობელია „ვენახი“ და დედოფლივე „მზეც“. ო. სირაძის თანახმად, „ვენახი“ „სისავსის სიჭარბეს“ მოასწავებს. ვენახს ამ სისავსეს მზე ანიჭებს. ვენახი მზითაა აღვსილი, როგორც დვთისმშობელი – დვთაებრიობით. ვენახი პყვავის მზის ბრწყინვალებით, დვთისმშობელი კი – დვთაებრივი ნათლით. (129, 100).

დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინაულისანი“-ში აცხადებს, რომ არცერთი „ქალწული დედა“ არ უხილავს მზეს, თვინიერ წმ. მარიამისა, რომლის „ოხითა იმედოვნებს ცოდვილი და მონანული მეფე-პოეტი ძე ღმერთის ხილვას, ზემთა საუკუნეთასა“ ნათელთან ზიარებას:

არაო უხილავს მზესა ქალწული დედაო თვინიერ შენსა,  
არცა ჩემოდნად ბრალეულსა – ნათელი მისი,  
გარნა მე შენითა  
ოხითა, დედოფლალო,  
ვესავ ხილვად ნათელსა

ძისა შენისასა

და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა“ (49, 221)

ბიბლიის ლექსიკონში მზის შესახებ ნათქვამია: მზეს ეწოდება უდიდესი მნათობი (დაბ. 1, 16). ის შექმნა ღმერთმა და მოათავსა ცის თაღზე (დაბ. 1, 17). მზე მართავდა დღეს და განსაზღვრავდა წელიწადის დროებს (დაბ. 1, 14). ღმერთი ბატონობს მზეზე (იობ. 9, 7); მზე ნათელს ჰყენს კეთილებსა და ბოროტებს (მათ. 5, 45), მზე შედარებულია სიძესთან (ფს. 18, 5-6)... სიმბოლურად (გადატ. მნიშვნელობით) აღნიშნავს: ქრისტეს მოსვლას (მალ. 4, 2), ქრისტეს ფერისცვალებას (მათ. 17, 2), უზენაეს მთავარს (დაბ. 37, 9), ეკლესიის სისპეტაკეს (ქებ. 6, 10), წმინდანთა მომავალ დიდებას (მათ. 13, 14)...

**მთვარე.** მთვარე განსაკუთრებით გაღმერთებული იყო ქალდეაში. აქ და ბაბილონში მთვარე ჩამქრალ მზედ ითვლებოდა, ხოლო თავად მზე კი – მის ენერგიით აღსავსე შთამომავლად. ისლამამდელ არაბეთსა და დანარჩენ სემიტურ კულტურებშიც მთვარის თაყვანისცემა ასევე აღემატებოდა მზის კულტს. მთვარე წარმართავდა არა მხოლოდ ბუნების სასიცოცხლო რიტმს, არამედ ადამიანის ბედისწერასაც. მთვარის უჩინარ ფაზასთან უძველესი წარმოდგენებით ასოცირდებოდა სიკვდილი.

მითოპოეტურმა აზროვნებამ ერთმანეთთან დააწყვილა სიყვარული და სიკვდილი, ხოლო მთვარის სიმბოლიკის მიღმიურმა ასპექტმა მის ცივ ნათებას მომნუსხველი, იდუმალი და მისტიკური ელფერი შესძინა და სამარადეამოდ დაუკავშირა სასიყვარულო განცდის დრამატიზმს. სიყვარულში, როგორც წესი, არაცნობიერი, ირაციონალური საწყისი ჭარბობს; „სიმბოლური აზროვნების მიღრეკილებამ ანალოგიებისადმი ეს ფსიქოლოგიური ფენომენიც გაითვალისწინა და მთვარე მოგვევლინა, ვთარცა ქალური, პასიური საწყისი, განსახიერება არაცნობიერის წყვდიადისა, იმ შეცდომებისა, რომელიც მზით გამოხატული ცნობიერების გამონათებამდე იყო დაშვებული...“ (4, 147).

მთვარე, მზის მსგავსად, უმეტეს ხალხთა წარმოდგენაში ღვთაებადაა მიჩნეული. ბერძნები მას ქალად მიიჩნევენ და სელენეს ეძახიან, რომაელები კი – ლუნას. „ეგვიპტელთა, ფრიგიელთა და აღმოსავლეთის რიგი სხვა ხალხების წარმოდგენით, მთვარე „მამაკაცია“ (45, 200). ამ მხრივ საინტერესოა ქართული მითოლოგია თუ ზეპირსიტყვიერება, სადაც მთვარე მამაკაცადაა დასახული. მეგრულ მითოლოგიაში მზე და მთვარე ცოლ-ქმარნი არიან, სვანური თქმულებით – მმები.

ბიბლიაში მთვარეს პირველად „დაბადების“ წიგნში ვეცნობით „მთავრობად დამისა“, კერძოდ, იაკობის მიერ მონათხობ სიზმარში, სადაც ის ამბობს: „აპა მეტუენა მე ჩუენებად სხუა, ვითარმედ მზე და მთოვარე და ათერთმეტნი ვარსკულავნი თაყუანის-მცემდეს (დაბ. 37, 9-10). იაკობის სიზმარში მზეს, მთვარეს და თერთმეტ ვარსკვლავს სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა აქვს, რაზეც თვითონ მისი მამა აგვისელს თვალს, ის მზედ სახიერდება, მისი მეუღლე – მთვარედ, თერთმეტი ვარსკვლავი კი თერთმეტ ძმად. ასე რომ, „დაბადებაში“ მთვარე ქალის – იაკობის დედის – სიმბოლოა. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება წმიდა მარიამის მთვარესთან შედარება: „მთოვარე დადგა წმიდასა ზედა თვისსა, ქალწული უბიწოდ“ (142, 439). საგალობელი ტრადიციულად ეხმიანება ბიბლიურ წინასწარმეტყველებას, რომელიც ამბავუმ წინასწარმეტყველის ხილვაში შემდეგნაირად გაცხადდა: „ამაღლდა მზე და მთოვარს დადგა წესსა ზედა თვისსა“ (აბაკ. 3, 11). წმიდა იოანე ოქროპირი განმარტავს: „ამაღლდა მზე – იშვეს ღმერთი ქალწულისაგან, „და მთოვარს დადგეს წესსა“ – ქალწული ქალწულადვე ეგოს“ (125, 200).

ბიბლიის ლექსიკონში მთვარეზე ნათქამია, რომ იგი შექმნილია უფლის მიერ და მის სადიდებლად (ფს. 148, 3). ეწოდება მნათობი უმრწემესი (უმცროსი) (დაბ. 1, 16); გამოყოფს დღეს დამისაგან, მიუთითებს ნიშებსა და წლის დროებს (დაბ. 1, 14; ფს. 103, 19), დამის ხელმწიფე, მისი დანიშნულებაა ნათება უკუნითი უცუნისამდე (ფს. 71, 5-7; 88, 38; იერ. 31, 35-36), მთვარეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ზეცათა დედოფალს (იერ. 44, 17-19-25), მისი თაყვანისცემა ისრაელთ აკრძალული ჰქონდათ და დაისაჯნენ კიდევ ამისთვის (იერ. 8, 1-3).

გადატანითი მნიშვნელობით კი აღნიშნავს: ეკლესიაში ქრისტეს დიდებას (ეს. 60, 20), ეკლესიის მშვენიერებას (ქებ. 6, 10), სამყაროს ცვალებადობას (გამოცხ. 12, 1) და ა. შ.

მთვარის სულიერ ასპექტებზე საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, „ეზოტერულ ქრისტიანობაში მთვარე-მნათობი სულიერად შეესაბამება სულიწმიდას, ისე როგორც მზე-მნათობი ძეს“ (44, 119). მთვარისეულ, მარადქალურ საწყისს, სოფიას, დვითისმშობელს ხედავს მეცნიერი ასევე გრაალის თასში (44, 181).

**ვარსკვლავი.** ვარსკვლავი, როგორც წყვდიადში მოციმციმე სხივი, სულის სიმბოლოა; ესაა ხატება სამყაროს შემქმნელი დვთებრივი ვნებისა; „იდეოგრამა, რომელიც განასახიერებს „ღმერთისა“ და „ციხე“ ცნებებს.“ (5, 71). ამიტომაცაა, რომ

სახარებაში იქსო ქრისტეს შობის ჟამს ცაზე გამოჩნდება „ბეთლემის ვარსკვლავი“ – მესიის მეუფების მაუწყებელი.

გარსკვლავი ბიბლიაში აღურიცხველობის სიმბოლოდ გვესახება. დმერთი აბრა-ამს მიმართავს: „აღიხილენ თუალნი ცად მიმართ და აღრიცხენ ვარსკულავნი, უკუ-თუ ძალ-გიც აღრიცხვაი მათი, ესრეთ იყოს თესლი შენი“. (დაბ. 15, 5). ვარსკვლავ-თა რიცხვის განსაზღვრა მხოლოდ უფალს შეუძლია: „რომელმან აღრაცხის სიმრა-ვლე ვარსკულავთა და ყოველთავე მათ სახელით უწესნ“. (ფს. 146, 4). ეს ციური სხეულები ბიბლიაში სხვადასხვაგვარად მოიხსენიება: მხედრობანი, ძალი, სამკა-ული ცათა, ერნი. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას ელგუჯა ხინო-ბიძე წერილ ში: „ავთანდილის „ძალნი ზეციერნი“ „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართება-ში. მას საილუსტრაციოდ მოჰყავს ეპიზოდი ავთანდილისა და შერმადინის საუბრი-დან, როცა ყმა წუხს ავთანდილის მარტო წასვლის გამო და მეგზურობას სთავა-ზობს მას. გადაწყვეტილება მიღებული ავთანდილი კი პასუხობს:

„განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;

მარტოება ვერსა მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“ (165, 165). მკვლევარი არ ეთანხმება ა. შანიძესა და ვ. ნოზაძეს, რომლებიც თვლიდნენ, რომ „ძალნი ზეცი-ერნი“ იყვნენ ანგელოზები და ბიბლიიდან (მეფეთა 17, 16; მეფეთა 21, 3; მეფეთა 23, 4-5...) მოხმობილი და სხვა სათანადო მაგალითებით გამყარებული არგუმენტებით ასკვნის, რომ „ავთანდილის ძალნი ზეციერნი არიან ვარსკვლავები, კონკრეტულად კი ასტროლოგიური მნათობები. თანახმად ასტროლოგიური თვალსაზრისისა, ავთან-დილს სწამს, რომ ეს ძალნი ზეციერნი განაგებენ ყველაფერს, რაც ამქვეყნად ხდე-ბა. ავთანდილი, ემყარება რა სათანადო ასტროლოგიურ შეხედულებებს, ევედრება ამ მნათობებს. გმირის მიმართვა ყოველი მნათობისადმი ასტროლოგიური ცოდნი-თაა განპირობებული...“ (185, 179)

ძველ აღთქმაში მოცემულია ასეთი პასაუი: „უწენო მას და არა აწ ვნატრო და არა მახლობელად გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისაგან და აღდგეს კაცი ის-რაელისაგან...“ (რიცხ. 24, 17), რომლითაც მინიშნებულია იაკობისაგან მტრის გამა-ნადგურებელი ვარსკვლავის ამოსვლაზე. ამ ვარსკვლავის რაობას ახალ აღთქმაში იქსო ქრისტეს სიტყვები გვამცნობს: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, ვარსკუ-ლავი ბრწყინვალე განთიადისათ. (გამოცხ. 22, 16). ეს პასაუი არც ჰიმნოგრაფთათვი-საა უცხო:

„ვარსკვლავი აღმოჰკბრწყინდი იაკობისგან,

ქრისტე, წერილისაგბრ, და გიხილეს რად  
მოგუთა აღმოსავალით, მოვიდეს ძღუნითა  
თავუანის ცემად, გითარცა მეუფისა,  
რომელსა თავუანის გცემს ცად და ქუეყანავ“ (72, 63)

იაკობისგან ამომაგალი გარსკვლავი გულისხმობს არა ზოგად გარსკვლავს, არა-  
მედ კონკრეტულად ცისკრის გარსკვლავს, რომელიც ქრისტეა.

სასულიერო მწერლობაში „ცისკარი“, „განთიადის ვარსკვლავი“ მარიამ ღვთის-  
მშობლის მეტაფორაცაა. „სინურ მრავალთავში“ ნათქვამია: „შენ ხარ ცისკარი და-  
უდამებელისა მის დღისათ, შენ ხარ მშობელი მზისა მის სიმართლისათ“ (125, 132).  
„ღვთისმშობლის დაუჯდომელშიც“ „ცისკარი“ წმიდა მარიამის მეტაფორაა: „გიხა-  
როდენ, ცისკარო საიდუმლოისა დღისაო“ (69, 33); „საიდუმლო დღედ“ აქ ქრისტე  
უნდა ვივარაუდოთ, რომელიც სწორედ „ცისკარმა“ ანუ წმინდა მარიამმა აუწყა  
ცოდვილთ.

ბიბლიის ლექსიკონში კი ვარსკვლავთა შესახებ ნათქვამია: ისინი შექმნა ღმერ-  
თმა და მიამაგრა ცის თაღზე (დაბ. 1, 17). მათ დაუწესა დამით ნათება; გვამცნობენ  
ღვთის დიდების მიუწვდომლობას (ფს. 148, 3) და უფერულნი არიან ღვთის სახის  
წინაშე (იობ. 25, 5). წმიდა წერილში ნახსენებია: „ვარსკვლავი განთიადისად“  
(გამოცხ. 2, 28), ორიონი (იობ. 38, 31), მწუხრის ვარსკვლავი (იობ. 38, 32), არაჩვე-  
ულებრივი სიკაშაშის ვარსკვლავი აღმოსავლეთით მოგვთა მიერ დანახული იქსო  
ქრისტეს დაბადების დროს (მათ. 2, 1-2)...

წარმართნი თაყვანს სცემდნენ ვარსკვლავებს, ისრაელთ კი ეკრძალებოდათ მათი  
თაყვანისცემა; ვარსკვლავებით გზას იკვლევდნენ მეზღვაურნი (საქმე. 27, 20).

გადატანითი მნიშვნელობით ისინი აღნიშნავენ: ქრისტეს (რიცხ. 24, 17; გამოც.  
22, 16); ანგელოზებს (იობ. 38, 7), მართალთა და წმიდათა დიდებას (გამოც. 2, 28),  
ღვთის ჭეშმარიტ მსახურთა ჯილდოს (დან. 12, 3)...

ამ ყველაფრის გათვალისწინებითა და ჩვენებით, ვფიქრობთ, საინტერესოდ გად-  
მოსცეს ქართველმა პიმნოგრაფებმა ღვთისმშობლის სახე მნათობთა სიმბოლიკის  
მოხმობით. „ხილული მნათობები თავად ღმერთისა და მის ძალთა ხატებად  
გვევლინებიან, ისე როგორც ხილული ცეცხლი ქრისტეს სახედ არის აღქმული  
ბიბლიაში“ (82, 99). „დიდ მნათობებად არიან მიჩნეული მთავარანგელოზები. თეო-  
ლოგიაში ისინი მეორად, გონისმიერ სინათლეებად ითვლებიან, რომლებსაც პირ-  
ველადი და დაუსაბამო სინათლისაგან აქვთ განმანათლებლობა“ (174, 344).

მნათობთა მსგავსად, ნათების უნარი ადამიანსაც აქვს მინიჭებული. როგორც დვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, ის ცდილობს მიბაძოს შემოქმედს, ისწრაფოს მისკენ. ქრისტიანული გაგებით, ეს გზა ხორციელის დათრგუნგას, წარმავალის წილ წარუგალის შეყვარებას, ამაოებისაგან განძარვებას გულისხმობს.

## 6. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის საერთო სახე-სიმბოლოები

კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ადამიანი მუდამ შესტრფის და განადიდებს მარადიულობას, ზედროულობას, რომლის სათავესთან დგას უფალი და მისი ამქვეყნად მომავლინებელი ქალწული, რომელთაც ჰიმნოგრაფთა ბაგენი დაუდუმებლად განადიდებს. გარდა ზემოთ განხილული სიმბოლოებისა, ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედება მდიდარია ისეთი სახეებით, რომლებიც ერთდროულად მიემართება როგორც ღვთისმშობელს, ასევე მაცხოვარს და ჩვენ, რიგით მკითხველებს ყოვლისმომცველ უნივერსალიებთან გვაზიარებს. არცთუ ისე მცირეა ასეთ სიმბოლოთა რიცხვი, რომელთა გენეზისზე დაკვირვებას ასევე ბიბლიასთან მიყენავართ და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს ჰიმნოგრაფთა შემოქმედებითი ფანტაზიისა და დახვეწილი გემოვნების უნარს.

**კიბე** განკაცებამდე უფალი სხვადასხვა საგნის სახით ეცხადებოდა ადამიანებს. კიბეც ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ღვთის გამოცხადებას გვაუწყებს.

როგორც ბიბლიის კომენტარებშია მითითებული, წარმოდგენა ციურ კიბეზე საგმაოდ გაერცელებული ყოფილა. მსოფლიოს მრავალი ხალხის რწმენაში არსებობს ზეციური კიბე, რომელიც მიწიდან ზეცად იყო აღმართული და მათზე ღმერთები გადმოდიოდნენ, რომ პირადად მიეღოთ მონაწილეობა ადამიანთა საქმეებში. ზოგიერთი ძველი და თანამედროვე ხალხების რწმენით კი მიცვალებულთა სულები მიწიდან ზეცად კიბის საშუალებით ადიან, ამიტომაც საფლავებზე მინიატურულ კიბეს აღმართავდნენ (149, 326). მაცხოვრისა და ღვთისმშობლის კიბედ მოხსენიებაც საღვთისმეტყველო ტრადიციას ემყარება და მისი საფუძველი ბიბლიაში დევს. შესაქმის წიგნში მოთხოვნილია, თუ როგორ იხილა სიზმრად იაკობმა ცად აღმართული კიბე, რომელიც ღმერთის ხილვის, მისი გამოცხადების საშუალებაა: „და აპა ესერა, კიბენი აღმართებულნი ქუჯანით, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად და ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო მას ზედა“. (დაბ. 28, 12).

კიბის სიმბოლიკას ქართულ ჰიმნოგრაფიაში დიდი ტრადიცია აქვს, განსაკუთრებით, წმინდა მარიამთან მიმართებით. იოანე შავთელი თავის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანში“ დედაღვთისას კიბედ მოხსენიებს, რაც ბიბლიაში ზემოთნახენები მოვლენის გამოხატულებაა:

„იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე მაყულად,

დანიელ მთად, გედეონ საწმისად...“ (135, 304).

იოანე მტბევარი კი „ღმრთის დამტევნელ კიბეს“ უწოდებს ქალწულს:

„შენ ღმრთისა დამტევნელო, გამოუთქმელად

კიბეო, რომელსა ზედა გარდამოკდა

ღმერთი და ხატი მონისად მიიღო დღეს

და ზეცად აღმიყვანნა შენ მიერ ქალწულო.

ამისთვისცა სარწმუნოვებით გადიდებო“ (72, 56).

წმინდა მარიამი იაკობის კიბეა, რადგან სწორედ მასზე „გარდამოკდა“ მაცხოვარი ჩვენს მხენელად: „კიბედ იაკობისად იწოდე შენ, რომელსა გარდამოკდა დამბადვბელი მჯხნელად ჩუენდა, ვითარცა წჯმად საწმისა ზედა მდუმრიად შენგან გამოგბრწყინდა, დაბადებულთა დედოფალო, ამისათვის ყოველნი გადიდებო“ (135, 306).

ეს მოტივი და წმინდა მარიამის კიბედ სახელდება არც ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედებისთვისაა უცხო: „დაუსაბამოსა მის ღმრთისა მტკრთულებიდ გამოჰსჩნდი შენ, უბიწოო ქალწულო მარიამ, ღმრთისა საღვურო და კიბეო ღუთაებისაო, რომელი შენ ზედა გარდამოკდა და შენგან ჭორცნი შეისხნა“... (152, 194).

სიმბოლურად ქალწული მარიამი მიწასა და ზეცას შორის გადებული ხიდია, კიბეა, რომლის საშუალებითაც ცოდვის მორევში მყოფი კაცთა მოდგმის ღმერთთან დაბრუნება, ზეციურ სასუფეველში დამკვიდრება გახდა შესაძლებელი. სიმბოლოს სულიერი მხარის წარმოსაჩენად პიმნოგრაფებს მასთან შეუწყვილებიათ შესაბამისი ეპითეტი: „იხარებენ საღმრთონი ქადაგნი წინავსწარმეტყუელნი და მამათმთავარნი, რამეთუ სარწმუნო იქმნებს თქუმულთა მათთა შენ ზედა უქცეველად აღსრულებითა, უსძლოო სძალო ღმრთისა მაღლისაო. გიხაროდენ, კარავო წმიდაო, აბრაჟამის გამოსახულო და კიბეო სულიერო იაკობის ხილულო“ (72, 383). იაკობის კიბე სრულყოფილი სახეა ღვთისმშობლისა. იგი ადამიანებს შეახსენებს, რომ ღმერთი მუდამ მათთანაა. ანგელოზების ასვლაჩამოსვლა კიბეზე კი კაცთა მოდგმაზე ღვთისმშობლის განუწყვეტელი მზრუნველობის გამოხატულებადაა მიჩნეული.

ასევეა თეოლოგიაში, სადაც კიბედ არის მოაზრებული მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა. იაკობის კიბე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია შუა საუკუნეების ხელოვნებაში. მას ვხვდებით ოქრიდის წმიდა სოფიას ტაძარში, ტრაპეზუნტის წმიდა სოფიას ტაძარში, ოქრიდის წმიდა კლიმენტის ტაძარში, ათონის პროტატონის მონასტრის კარიაისის ეკლესიაში და ასევე პალერმოს პალატინის კაპელაში, მონრეალში და

ა.შ. ხოლო ქართულ სინამდვილეში იაკობის კიბე გვხვდება ბეთანიის, ზარზმის, ან-ჩისხატის მოხატულობებში.

**სანთელი.** მორწმუნე ადამიანისთვის სანთელი არის რწმენისა და ნუგეშის მარადიული სიმბოლო. ბიბლიური სიმბოლიკით „სანთელი ანთებული და საჩინო“ (იოან. 5, 33-35) უფალთან ზიარების სიმბოლოა. „ალბათ, სწორედ ამიტომ უამრავი ლამპრითა და სანთლით გააჩირაღდნა IV საუკუნის დასაწყისში, ადდგომის დღესას-წაულზე კონსტანტინეპოლი კონსტანტინე დიდმა, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული რომის იმპერიაში ქრისტიანული სარწმუნოების ლეგალიზება“. (5, 38). სან-თელი, როგორც ლვთისმსახურების განუყოფელი ელემენტი, ძველი აღთქმის ტრადი-ციითაა კანონიზირებული. ქრისტიანთა პირველი დევნის დროიდან მას, გარდა საკ-რალურისა, ფუნქციური დანიშნულებაც პქონდა, რადგან პირველ ქრისტიანებს ლი-ტურგიის ჩატარება წარმართობან მალულად, ძველ მდვიმეებსა და კატაკომბებში უხდებოდათ. იმ დროიდან რომაელებიც თითქმის ინტენსიურად ხმარობენ სანთელს.

სანთელი იმ სიმბოლოთაგანია, რომელიც ერთდროულად ქრისტესაც მიემართება და ლვთისმშობელსაც. მაცხოვარი მთელი ქვეყნიერების მანათობელი „ზეციური სანთელია“: „სანთელი იგი ზეცისავ დაბადებულთა განმანათლებელი საბაზმაკესა მას ზედა წმიდასა მოუკლებელად მგზნებარე ცეცხლი საღმრთო ნებთა ზედა უბიწოვსათა გამოჩნდა და არავ შემწველ ექმნა...“ (73, 219).

ქალწულის აღმნიშვნელ სიმბოლოდ პიმნოგრაფებთან სანთელთან ერთად სასანთლეც გვხვდება, რაც ამ შემთხვევაში უშუალოდ წმინდა მარიამს აღნიშნავს, ხოლო მასზე დანთებული სანთელი კი ჩვენს სახსნელად მოსული მაცხოვარია.

ძველი აღთქმისეული სანთელი, როგორც მარიამ ლვთისმშობლის წინასახე, ახალ აღთქმაში ზოგადად სიწმიდის სიმბოლოდაა მიჩნეული. მაცხოვარი განუმარტავს თავის მოწაფეებს: ისინი თავიანთი კეთილი საქმეებით ისე უნდა ანათებდნენ ადამიანთა წინაშე, როგორც სანთელი: „არცა აღანთიან სანთელი და დაღგიან ქუეშე გვმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და პნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა“ (მათ. 5,15). სწორედ უფლის ამ სიტყვებით მიმართავს წმინდა აბო აფხაზეთის მთავარს, რომელიც უვედრება მას, აფხაზეთში დარჩეს და სარკინოზების მიერ დაკავებულ ქართლში არ წავიდეს. (153, 456)

სანთელი ქალწულებრივ სიწმიდეს გამოხატავს ათი ქალწულის იგავში (მათ. 25, 1-12), რომლის მიხედვითაც გონიერი ქალწულები სიძის მისაგებებლად ანთებული ლამპრებით გავლენ, ხოლო უგუნურები ზეთის უქონლობის გამო ვერ აანთებენ

ლამპრებს. წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით „სანთლად აქა იტყვს სათხოებასა მას ქალწულებისასა და იწმიდესა მას უბიწოებისასა“ (176, 338).

უძველეს იადგარში დვთის დედისათვის სანთლი ჭეშმარიტი უწოდებიათ: „ტაძარი ხარ მაცხოვრისად და სანთლი ჭეშმარიტი, ქალწულო მარიამ“, – ნათქვამია აღდგომის დასდებელში (142, 382). მარიამ დვთისმშობლის მარადიული ბუნების გამომხატველ მხატვრულ სახეთა შორის ყურადღებას იქცევს სანთლის სიმბოლოსთან დაკავშირებული ეპითეტი „დაუშრუეტელი“: „სანთლო დაუშრუეტელო, ყოლად წმიდაო ქალწულო, შენ მუცლად-იღე ყოველთა შემოქმედი და შენგან იშვა მჯხნელი და მაცხოვარი სოფლისად. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისავ“ (142, 398-399).

სანთლის მნიშვნელობა ახსნილია თეოლოგიაში, სადაც იგი უფლის სათხო მოღვაწეობადაა მიჩნეული: „რომელმან აღანთოს სანთლი თუსი, ნუ დაშრეტნ მას“ (160, 307). ამიტომაც სასულიერო პოეზიაში სანთლად არის დასახული წმიდანთა დვაწლიც. როდესაც საღვთო სახელები „წმიდანებს მიესადაგებიან, მაშინ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ასპექტს ერთვის მხატვრული ელემენტი, რადგან საღვთო სახელები მხატვრულ ლიტერატურაში ადამიანის ეპითეტად, ატრიბუტად გამოიყენება, რითაც კონკრეტული პიროვნების დვთაებრიობა ან განლმრთობილობა წამოიწევს წინ“ (135, 12).

დვთის მცნებების ერთგულება, ლოცვა, მარხვა ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების საწინდარია, რაც აღქმულია სინათლედ. ამიტომაც ასეთ ადამიანთა დვაწლი სანთლელთან არის შედარებული, რადგანაც იგი ასხივოსნებს მთელი საზოგადოების ცხოვრებას, და, ამდენად, ყველასათვის სახილველი და საცნაური ხდება. ამგვარად არის აღქმული წმიდა ბასილი დიდის დვაწლი: „თავსა და დასაბამსა დმრთის მეტყუელებისასა, საცნაურსა მას სანთლესა, ყოვლად მოუკლებელად მნათობსა ქრისტეს ეკლესიათასა...“ (72, 201). პიმნოგრაფს სანთლად დაუსახავს წმიდა ეფთშმე მთაწმინდელიც, საღვთო წიგნთა მთარგმნელი, ქართველთა სულიერი საუნჯის გამამდიდრებელი: „სამებისა ნათლითა ჰნათობდი, დირსო, ყოველსა სოფელსა ჰბრწყინევდი. რაო სანთლი მაღალსა მას ზედა სასანთლესა“ (72, 159).

**პლდე.** კლდე და ქვა ადამიანთა ყურადღებას უძველესი დროიდანვე იქცევდა. სხვადასხვა ხალხის წარმოდგენების თანახმად, ქვის სიწმინდე განპირობებული იყო იმით, რომ ის დვთის სამკვიდრებელს წარმოადგენდა. ამის გამოხატულებას ვპოულობთ ძველ აღთქმაში, სადაც ქვას „სახლი დვთისა“ ეწოდა. დაბადებაში მოთხოვ-

ბილია: იაკობმა სიზმრის ხილვის შემდეგ აიღო ლოდი, რომელიც სასთუმლად ედო „...აღმართა იგი ძეგლად და დაასხა ზეთი თავსა ზედა მის ლოდისასა და უწოდა სახელი ადგილსა მას „სახლი ღმრთისა“ (დაბ. 28; 18, 19). წმიდა ქვაზე ზეთის დასხმის ტრადიციას ასევე იცნობდნენ ქველი მსოფლიოს ადამიანები.

ღვთისმეტყველებაში კლდე მიჩნეულია როგორც მაცხოვრის, ასევე ღვთისმშობლის სიმბოლოდ. ასეთივე დატვირთვის მატარებელია იგი სასულიერო პოეზიაშიც: „კლდისგან გამოუაუთელისა გამოხვედ ქრისტე, რომელი არს დედა ქალწული, უქორწინებელისა, სიტყუად დაუსაბამოდ დაუსაბამოვსა მამისა მაცხოვრად სულთა ჩუენთა“ (168, 160). გამოუკვეთელი კლდე ღვთისმშობლის ქალწულობის აღმნიშვნელია, რაც ასევე ქველი აღთქმისეული მოვლენის გამოხატულება და აღსრულებაა. გამოსვლათა წიგნი მოგვითხობს: უდაბნოში მყოფ ებრაელებს შემოაკლდათ წყალი. შეწუხებულებმა მოსეს დაუწყეს ყველრება. მოსემ, ღვთის ბრძანებით, დაკრა კლდეზე კვერთხი და გადმოვიდა წყალი (გამ. 17, 16), რაც სიმბოლურად ღვთისმშობლისგან იქსო ქრისტეს მოვლინებას გულისხმობს.

კლდე, როგორც ღვთისმშობლის სიმბოლო VII საუკუნის წმიდა მამის მაქსიმე აღმსარებლის „ღვთისმშობლის ცხოვრებაშიც“ ფიგურირებს: „ესე არს კლდც ცხორებისად, რომლისაგან სუეს წყურვილთა წყალი უკუდავებისად“ (A 40; Rtl:260 v).

ცხოვრების კლდე აქ ღვთისმშობელია, ხოლო უკვდავების წყალი – მისგან შობილი მაცხვარი.

კლდის მნიშვნელობა პავლე მოციქულმა განმარტა პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: „ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (1 კორ. 10, 4).

სასულიერო პოეზიაში კლდე წმიდანის ერთ-ერთ მეტაფორადაც გვხვდება, რაც სახარებისეული სწავლებითაა ნასაზრდოები. მაცხოვარმა კლდე უწოდა პეტრე მოციქულს, როგორც სარწმუნოების მტკიცე დამცველს. აქედან გამომდინარე, წმიდანის მიერ სახარების მცნებების დაცვა, სარწმუნოების ერთგულება, პიმნოგრაფის მიერ კლდის სიმტკიცესთან არის შედარებული. იოანე მტბევარი ასე მიმართავს ბასილი ნეოკესარიელს: „აღიღე ბრძენო მარცუალი იგი სარწმუნოებისად გონებასა და აღასრულე სიტყუად სახარებისად, რაჟამს უბრძანე მთასა მას ცვალებად, რამეთუ სწორ პეტრესა იყავ შენ კლდე სარწმუნოებისა“ (72, 96).

**ღრუბელი.** აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი შორეული წინაპრები ღრუბელს ზებუნებრივ საწყისს მიაწერდნენ. ეს წარმოდგენა სხვადასხვა რელიგიურ სისტემაში თითქმის თანხვედრი სიმბოლიკით აისახა, იყო ეს „ნათელი ღრუბელი“ თუ

„დრუბელთა შარავანდედი“... საღრმოო წერილი ამ სიმბოლიკით განსაკუთრებით მდიდარია: დრუბელი აქ ხან „ცეცხლოვანი სვეტია“, ხან „დიდების დრუბელი“, ან, უბრალოდ, „დმრთის დრუბელი“ – უფლის მიერვე შექმნილი, დვთაებრივი სიბრძნისა თუ ძლიერების გამომხატველი.

„დრუბელთმეტყველებაში“ კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭებოდა დრუბლის ფერსა და ფორმას. დრუბლის ქათქათა ქულები დღემდე, ანტიკური ინერციით (სადაც ისინი აპოლონის „ოთხფეხა მრევლს“ ანუ ცხვარს განასახიერებდა), „ნათელი იდუმალების“ შეგრძნებას ბადებს და ანგელოზთა საბრძანებელთან არის ასოცირებული, ხოლო მრუმე, შავი დრუბელი – დამთრგუნველი უიმედობისა და საბედისწერო განსაცდელის უნივერსალურ პოეტურ სიმბოლოდ იქცა“ (5, 104).

დრუბელი შექმნილია დმრთის მიერ. აჩვენებს მის ძლიერებასა და სიბრძნეს. მათ ეწოდებათ ცის სარკმელები, ციური ჭურჭელი, დმრთის ფეხთა მტვერი. გადატანითი მნიშვნელობით კი, დმრთის მიუწვდომლობას ნიშნავს. დრუბლის ფუნქცია ყველამ ვიცით, იგი წვიმის მომყვანია. წვიმა რწყავს დედამიწას, ახარებს და ამრავლებს ყველა სულდგმულს.

დრუბელი, დრუბლის სვეტი იმ სახელთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც არსობრივად დმერთს მიესადაგება, და ამავე დროს დვთისმშობელსაც აღნიშნავს. დრუბლის სვეტი, რომელიც ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ მიმავალ ებრაელებს უჩრდილავდა დღისითაც და დამითაც, სიმბოლურად მოასწავებდა ყოვლადწმიდა ქალწულს, რომელმაც მოგვივლინა ქრისტე დმერთი – მზე სიმართლისა. როდესაც გაიფანტა ურწმუნოების წყვდიადი, ყოვლადწმიდა დვთისმშობელი გამოჩნდა ცეცხლოვან დრუბლის სვეტად, რომელიც, სიმბოლურად, სიბრძეეში მყოფი კაცობრიობის წინამდოლს განასახიერებდა. სადვთისმშობლო სიმბოლიკის მკვლევარი ტიტე მოსია დრუბლის სიმბოლიკაში მაცხოვრის დვთაებრივი მხურვალების დაცხომასაც წარმოაჩენს: „წმიდა მარიამი დრუბლის სახით მოევლინა ადამის მოდგმას, რომელმაც მზელმერთის დამადნობელი მხურვალება დააცხო, სადაც ცოდვით ალმოკიდებულთ სული მოითქვეს“ (102, 116).

ძველ აღთქმაში ნისლის გამოჩენა ბიბლიურ გამოცხადებათა მომასწავებელია. ძველი აღთქმის გამოსვლათა წიგნი მოგვითხოვთს წინასწარმეტყველ მოსეს შესვლაზე ნისლში: „დადგა ყოველი ერი შორს. ხოლო მოსე შევიდა ნისლსა, სადა იყო დმერთი“ (გამ. 20, 21). აქვე მოთხოვთილია, რომ მოსეს მიერ აგებულ მოძრავ ტაძარს დღისით დრუბლის სვეტი ფარავდა, ხოლო დამით – ცეცხლის მსგავსი სვეტი.

როცა დრუბლის სვეტი წავიდოდა, ებრაელებიც გაყვებოდნენ მას; როცა სვეტი ჩერ-დებოდა, ებრაელებიც ჩერდებოდნენ და ბინავდებოდნენ. „და ვითარცა შევიდეს მო-სე კარაგსა მას, გარდამოკვდის სუეტი იგი დრუბლისა და დადგის კართა თანა მის კარვისათა და ეტყვი უფალი მოსეს... და ჰედვიდა ყოველი იგი ერი სუეტსა მას დრუბლისასა, მდგომარესა კართა ზედა მის კარვისათა და დგან ყოველი იგი ერი და თაყუანის-სცის კაცად-კაცადმან კარით კარვისა თუსისათ“ (გამ. 33, 9-10).

დრუბელი წინასწარმეტყველური ხილვაა, იგი ღმერთის გამოცხადებადაა აღქმუ-ლი გამოსვლათა წიგნში (გამ. 19, 20-24; 33), რომელიც გახდა დასაბამი, საწყისი სხვა ბიბლიურ წიგნებში ასახული ნათლის, დრუბლის, ნისლის სიმბოლიკისა.

დედადვთისას მიმართებით უმეტესად „ნათლით სავსე დრუბელი“ გვხვდება; ეს სიმბოლო მაცხოვრით ავსებულ ღვთისმშობელს აღნიშნავს.

დრუბელს, როგორც ღვთისმშობლის ეპიტეტს, ძალზედ ხშირად მიმართავენ პიმნოგრაფებიც:

„რომელი პირველ ისრატლთა ბანაკსა  
უძღოდა უდაბნოს სუეტითა ცეცხლისათა  
და აგრილობდა დრუბლითა ნათლისათა...“ (72, 16)

იოანე მტბევარი „ღვთის დამტევნელ დრუბლად“ მოიხსენიებს დედა ქალწულს:

„დრუბელსა ღმრთის დამტევნელსა გიგალობთ,

რომელსა ზედა უფალი გარდამოკვდა...“

მიქაელ მოდრეკილის „აღდგომის დასდებელში“ ვკითხულობთ: „გალობით ვადიდებთ ნათლითა შემოსილსა დრუბელსა, რომელსა ზედა გარდამოხდა ყოველთა მეუფე, ვითარცა წვიმად საწმისსა ზედა...“ (99, 321); იქვე წმინდა მარიამი „ქრისტეს შემწყნარებელ დრუბლადაა“ სახელდებული: „ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო, რაჟამს აღმაღლდი ზეცად მთისა მის გან ზეთისხილთავსა, დრუბელმან შეგიწყნარა.“ (99, 335).

ეს სახე გვხვდება „უძველეს იაღგარშიც“, სადაც ვკითხულობთ: „დრუბელი ნათლისათ ხარი შენ ქალწულო, მას მოჰყვანდა ძე, უწინარეს მთებისა შობილი“ (142, 98). ეს სიტყვები გენეტიკურ კავშირშია მათეს სახარების ერთ-ერთ ნაწყვეტთან: „აპა ესერა, დრუბელი ნათლისა აგრილობდა მათ, და აპა, ხმა იყო დრუბლით გამო და ჰსოჭუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათხო ვიყავ, მაგისი ისმინეთ“ (მათ. 17, 5).

ეს სახე „დვთისმშობლის შობის საკითხაგშიც“ დასტურდება: „გიხაროდენ, ღრუ-  
ბელო ნათლისაო, რომელი-ეგე უდაბნოსა შინა ამის ცხოვრებისასა მეოხებითა შე-  
ნითა უგრილობ ისრაელსა... რომლისაგან ადმოკდა მზე სიმართლისათ, რომელმან-  
იგი შარავანდედთა მიერ უხრწნელებისათა განამდიდრა ყოველივე“ (166, 112).

ეს კპიოეტი ასევ გვხვდება „ნევმირებულ ძლისპირნშიც“, რომელიც Xს-ის დამლა-  
ვითა და XIს-ის დასაწყისით თარიღდება:

„გიხაროდენ შენ, ტაძარო  
საღმრთოსა განგებულებისაო,  
გიხაროდენ, ღრუბელო...“ (109, 309)

მარიამ დვთისმშობლის ნათლის ღრუბლად, ნათლის სვეტად წარმოსახვის  
ბიბლიურ ტრადიციას აქტიურად აგრძელებენ მომდევნო პერიოდის ქართველი  
პიმნოგრაფებიც. ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანში“  
„სვეტი ნათლისა“ რამდენიმე ფუნქციით გვხვდება, რომელთა შორის ერთ-ერთი  
მარიამ დვთისმშობელზე მიმანიშნებელია: „სახედ შენდა ნათლისა სუეტი გამოაჩინა  
შენგან ტპროულმან დმერთმან. ამისთვის თაყვანის გცემთ შენ მის თანა!“ (135, 288).

თეოლოგიაში გავრცელებული თვალსაზრისით, ღრუბელი საპირისპირო მნიშ-  
ვნელობის მატარებელიცაა, რაც ევასთან მიმართებით ნამდვილად დასტურდება  
ძლისპირებში. ევას წყევა ღრუბლის ნეგატიურ ფუნქციად არის წარმოჩენილი, ცოდ-  
ვის განმაქარვებლად კი მარიამ დვთისმშობელია დასახული: „ევას წყევისა ღრუბე-  
ლი განქარდა, მარიამ, შობითა შენითა დღეს. საცოტო დაიჯსნა, და მაცოტო იგი  
გუელი მოიკლა შენ მიერ, ღმრთისა დედაო“ (168, 137).

როგორც ვნახეთ, სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული ღრუბელთან დაკავში-  
რებული „სვეტი ნათლისა“, „ღრუბელი ნათლისა“, არის როგორც დვთის, ასევე მა-  
რიამ დვთისმშობლის სიმბოლო. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, იგი წინასწარმეტყვე-  
ლური ხილვაა, ღმერთის გამოცხადებადაა აღქმული გამოსვლათა წიგნში (გამ. 19,  
20-24; 33), ხოლო ღრუბლის სვეტი, რომელიც ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ  
მიმავალ ებრაელებს უწრდილავდა დღისითაც და დამითაც, სიმბოლურად  
მოასწავებდა ყოვლადწმიდა ქალწულს, რომელმაც მაცხოვარი მოგვივლინა.

ამ სიმბოლოსთან ერთად ხშირად გვხვდება კპიოეტი „სულმცირე“, რომელიც  
მხოლოდ დვთისმშობელს მიემართება და უკავშირდება ესაია წინასწარმეტყველის  
ხილვას: „აჱა, უფალი ზის ღრუბელსა ზედა სუბუქსა და მოვალს ეგბპტედ...“ (ეს.  
19, 21) ნათქვამია უფლის მიმართ და დვთისმშობლის „სულმცირე ღრუბლად“

გააზრებაც აქედან უნდა იღებდეს სათავეს. ეს გარდასახვა კი ქრისტიანულ ეპოქაში უნდა მომხდარიყო.

ეპითეტთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ლელა ხაჩიძე, რომელსაც მოჰყავს „სულმცირის“ ბერძნული შესატყვისი „**κοῦφος**“, რაც „მსუბუქს“ ნიშნავს. ამ სიტყვას ამგვარადგე („მსუბუქი, მჩატე“) განმარტავს ილია აბულაძე თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (6, 405). მაშასადამე, აღნიშნული ეპითეტის მიხედვით, ლეტისმშობელი არის მსუბუქი, ჰაეროვანი ლრუბელი, რომელმაც მაცხოვარი იტვირთა.

წმიდა წერილისეული ეს ეპიზოდი გამოხატულებას პოულობს ძლისპირში: „დრუბლად სულმცირედ იწოდე: ეგპზტედ შემავალად. რომელსა გეტგირთვა დმერთი ყოველთავ მკლავთა ზედა უბიწოო დმრთისმშობელო ამისთვის მორწმუნენი მარადის გნატრიან შენ: ნუ დასცხერები ოხასა ჩუენთვს მაცხოვრისა მიმართ“ (168, 25); იქვე: „იესუ, მჯდომარც დიდებით საყდართა დმრთებისათა მოვიდა დრუბლითა სულმცირთა, რომელ არს ქალწული გამოუცდელი, ჭინად ჩუენდა მდალადებელთავ“ (168, 111). აზრი სავსებით ნათელია: იესო ქრისტე სულმცირე დრუბლით მოვიდა ადამიანთა გამოსახსნელად.

ესაია წინასწარმეტყველის მიერ ხილული, ლრუბელზე მჯდომი მაცხოვარი ჰიმნოგრაფს სასულიერო პოეზიაში ცნობილი საღვთო ატრიბუტებით შეუმკია: „მოგასწავებდა, უსძლო[ო], პირველ ესაია წინავსწარმეტყველი დრუბლად სულმცირედ, დირსო, რამეთუ შეიწყნარე საშოსა ცუარი ცხორებისავ“ (111, 703).

„სულმცირც დრუბელი“ ლეტისმშობლის ეპითეტად „უძველეს იადგარშიც“ გვხვდება: „გიხაროდენ, დმრთისმშობელო, სულიერო ტაძარო, რომელი ბუნებით მაყუალსა მიემსგავსე, რომელი ხარ სულმცირც დრუბელი“ (143, 478). ეს ეპითეტი არაერთგზის დასტურდება მიქაელ მოდრეკილის იადგარშიც: „დრუბელო სულმცირეო ნათლითა შემოსილო“ (74, 224); „ესე მოვიდა მაღლით სიმდაბლედ მზევ სიმართლისავ, დაფარული დრუბელსა სულმცირესა“ (74, 297); „ქალწულმან გაშვა ენმანუველ, სიტყუავ პირველ უამთა შობილი. ესე არს სულმცირევ იგი დრუბელი“. (74, 298).

იოანე მინჩხის საგალობლებშიც რამდენჯერმე დასტურდება ლეტისმშობლის სიმბოლო „დრუბელი სულმცირე“: „დრუბლისაგან სულმცირისა ვიხილეთ ჩუენ ნათელი მსხდომარეთა სიკუდილისა აჩრდილთა. მზევ იგი სიმართლისავ ქრისტც მიმყვანებელი ნათელსა უკუდავებისასა“ (73, 70);

„ლამპრითა სულიერითა  
სტეონ მართლისა თანა  
განვიდეთ ჩუენ მიგებებად მეუფისა,  
რამეთუ მოვიდა ღმრთეებით  
ღრუბლითა სულმცირითა  
აღსრულებად შჯულისა,  
გამობრწყინვებად ნათელი  
წარმართთა ზედა...“ (73, 320);

ლელა ხაჩიძის დაკვირვებით, დროთა განმავლობაში „სულმცირეს“ ქართულ ენაში დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა. სულხან საბასთან იგი განმარტებულია: „სულმოკლესავით“, რაც ამ სიტყვის დღევანდელ გაგებას ეხმაურება. ოუმცა, მეცნიერის აზრით, სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას გავლენა ვერ მოუხდენია ეპითეგზე. მას გაუგრძელებია არსებობა თავისი პირვანდელი მნიშვნელობით და ეროვნული სახისმეტყველების ორგანულ ნაწილად ქცეულა (182, 74-75). ეს შემთხვევა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ პიმნოგრაფიაში არსებული მხატვრული სახე-შესიტყვებანი მყარ, ფრაზეოლოგიურ ნიმუშებს წარმოადგენს და სიტყვის მნიშვნელობის ცვლა გავლენას ვერ ახდენს მის თავდაპირველ შინაარსზე.

საინტერესოა, რატომაა დვთისმშობელი მჩატე, მსუბუქი ღრუბელი? კონკრეტულად ღრუბლის ფუნქციასა და მის მიმართებაზე დვთისმშობელთან ზემოთ უკვე ვთხაუბრეთ. ეპითეგზი „სულმცირე“ გვეხმარება იმაში, რომ ზოგადად შესადარებელ საგანში განვასხვავოთ ფიზიკური და სულიერი მხარე, რაც სიმბოლური აზროვნების უმთავრეს ნიშნად ითვლება. მატერიალური ღრუბელი თავისდათავად მძიმე იქნება, რამდენადაც მას წვიმა მოჰყავს. დვთისმშობელი კი მსუბუქია, რადგანაც მან მაცხოვარი მოგვიყვანა.

პიმნოგრაფები ბიბლიურ მოვლენებთან ერთად ხშირად ბიბლიურ პერსონაჟებსაც იხსენიებენ: „ლამპრითა სულიერითა სტეონ მართლისა თანა განვიდეთ ჩუენ მიგებებად მეუფისა, რამეთუ მოვიდა ღმრთეება ღრუბლითა სულმცირითა აღსრულებად შჯულისა, გამობრწყინვებად ნათელი წარმართთა ზედა, აწ შევწიროთ მის-სა ქებავ, რათა ვპოოთ მის მიერ დიდი წყალობავ მოსლვასსა მას მისსა დიდებით“ (73, 320). სვიმეონ უფლისმიმრქმელის ხსენება საგალობელში მკითხველს შეახსენებს სახარებისეულ ეპიზოდს, რომლის თანახმადაც მოხუცებული სვიმეონი

ახალშობილ მაცხოვარს მიეგება და ხელში აიყვანა. ამ მოვლენის გახსენებით პიმნოგრაფი სვიმეონთან ერთად ჩვენც მოგვიწოდებს უფლის მიგებებად გასვლისკენ.

**წყარო.** პიმნოგრაფიაში გაგრცელებული დვოისმშობლის ეს პიპოდიგმა ეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვას უკავშირდება.

ეზეკიელს დმერთმა უჩვენა ტაძარი, საიდანაც გამოდიოდა წყარო და ჩაედინებოდა მკვდარ ზღვაში (ეზეკ. 47). წყაროს სახისმეტყველებითად არის განმარტებული არეოპაგიტიკაში: „ამის მდვდელმთავრობისა დასაბამ არს წყარო ცხოვრების, არსებავ სახარების, ერთი იგი მიზეზი, არსთა არსება“ (119, 158). წყარო საინტერესო სახე-სიმბოლოა, ის მრავალმხრივ არის საყურადღებო, რადგანაც რამდენიმე ფუნქციით გვხვდება სასულიერო მწერლობაში. გავიხსენოთ ახალი ადოქმა. მაცხოვარმა თავისი მოძღვრება მარადიულ წყაროს შეადარა, რადგანაც მხოლოდ ის არის ადამიანთათვის უკვდავებისა და საუკუნო სიცოცხლის მომნიჭებელი: „და ექმნას წყალი, რომელი მე მივსცე მას, წყარო წყლისა ცხოველისა და უძლოდის მას ცხოვრებად საუკუნოდ“ (იოან. 4, 14). „...და ყოველთა უფალმან ქრისტეს წყლად თუსსა მოძღურებასა სახელსდვა: „რომელსა გწყურისო, მოვედიოთ ჩემდა და სუთ“ (იოან. 7, 37).

ქრისტეს მიერ საგუთარი მოძღვრების წყაროდ სახელდებას პიმნოგრაფიაშიც უპოვია გამოხატულება. აქ ქრისტეს მოძღვრებით იოწყვებიან წმიდა მამები: „სახლსა შინა ღმრთისასა მდგომარე იყავ, ღირსო, წარსადინელსა წყალთა მათ ცხოველთა ქრისტეს მცნებათასა და იოწყვებოდი მათ მიერ კლიმი“ (72, 120). თავად მაცხოვრის წინასახედ წყაროს იშვიათად, თუმცა მაინც ვხვდებით: „...ღმერთ არს კორციელ-ქმნული, რომელი უქცეველად გამოვიდა შენგან უბიწოდ. იგი გამოადინებს აწ ცხორებასა მორწმუნეთათვს, რამეთუ წყაროდ არს უკდავებისაა“ (109, 663).

წმიდა წერილის „წყაროს“ კიდევ ერთი ფუნქცია მარიამ დვოისმშობელზე წინასწარმეტყველური მინიშნებაა. პიმნოგრაფებს წყაროს სახეში ხატოვნად მოუაზრებიათ ცხოვრების აღმომაცენებელი დვოისმშობელი: „რომელმან აღმოგვიცენე წაყრო უკუდავებისად – დედავ შენი“ (142, 369); „გიგალობთ შენ, ქალწულო, ღმრთისმშობელო, უკრწნელო, ქერუბინისებრ სიმტკიცეო, რომლისგან ღმერთი იშვა, რამეთუ შენ მხოლოდ ექმენ წყარო უკრწნელების, რომელმან აღმოგპცნე ყოველთა ცხორებად, რომლისგან აღმოვივსებო კურნებასა“ (142, 401). „გიხაროდენ წყაროო ცხოვრების აღმომაცენებელო“ (99, 26); ყოველთათვის ცხოვრების მომნიჭებელი ქრისტე უხრწნელების წყარომ, ანუ მარიამ დვოისმშობელმა აღმოგვიცენა.

ღვთისმშობლის ქალწულობა კი „დაბეჭდული წყაროს“ სახითაა გაცხადებული. ამ სიმბოლოს არსები გასარკვევად წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებს მოვიხმობთ: „წყაროდ დაბეჭდულად ამისათვის გიწოდა შენ, რამეთუ მდინარე იგი ცხორებისად შენგან გამოვიდა და განავსო ყოველი სოფელი და თუალსა მას წყაროდსასა არა დააკლდა ყოვლადგე“ (125, 205). როგორც განმარტებიდან ირკვევა, „დაბეჭდული წყარო“ ქალწულ მარიამის უბიწოებისა და მარადქალწულობის გამომხატველი ეპითეტი ყოფილა. მიქაელ მოდრეკილი, ერთ-ერთ საგალობელში, მას ქალწულობის გამომხატველ რამდენიმე სხვა ეპითეტთან ერთად წარმოგვიდგენს: „გიხაროდენ მთაო გამოუკუეთელო ლოდსა საცნაურსა უბიწოდ მშობელო: გიხაროდენ ბჭეო: აღმოსავალისაო დაჯშულო და წყარო დაბეჭდულო. გიხაროდენ ღვთისმშობელო: აღდგა მკვდრეთით ძე შენი და დმერთი ჩვენი, რომელსა აქუს დიდი წაყლობად“ (72, 492).

ეპითეტი „დაბეჭდული“ სასულიერო მწერლობაში ასევე წიგნის პიპოდიგმასთანაც არის დაწყვილებული. „დაბეჭდული წიგნი“ „დაბეჭდული წყაროს“ დარად, ასევე საიდუმლოს შემნახველია. ამ საიდუმლოს გახსნა კი მხოლოდ მაცხოვარს შეუძლია, რადგან ის არის ქალწულების მიზეზი. დაბეჭდილი წიგნის საიდუმლოებას პირველად ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „და იყვნენ თქუენდა სიტყუანი ესე, ვითარცა სიტყუანი წიგნისა მის დაბეჭდულისანი, რომელი უკუეთუ მისცენ კაცსა მეცნიერსა კითხვისასა და პრქვან მას წარიკითხე, ხოლო მან პრქუას: არა ძალმიძს კითხვად, რამეთუ დაბეჭდულ არს“ (ეს. 29). ხოლო მის არსს ხატოვნად განმარტავს წმიდა იოანე დამასკელი: „გიხაროდენ, წიგნო დაბეჭდულო, ყოვლისაგანვე გულისხილება განმხრწელსა შეუხებელო, ვინავ-იგი მოგუეცა შჯული ღმრთივ დაწერილი, შენ მხოლოდსა მიერ ხოლო ქალწულებით წარკითხული“ (166, 110).

ხატოვნებით გამოირჩევა ასევე „დაუწყუედელი წყარო“, რომელიც პიმნოგრაფებს ქალწულის მარადიული ბუნების გადმოსაცემად შეუქმნიათ. ერთ-ერთ ღმრთისმშობლისანში ქალწული მარიამი მამათმთავართა მიერ აღმოცენებულ წყაროდ არის ნახსენები. პიმნოგრაფი მამათმთავრებში ბიბლიურ წინასწარმეტყველებს გულისხმობს, რომელთაგან საუკუნეების წინათ გვეუწყა მაცხოვრის მოვლინება დაუმშრალი, მარადიული წყაროსგან: „მამათმთავართა მიერ აღმოგვიცენდი წყაროდ დაუწყუედელი, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენ მიერ მივიღეთ მდინარევ უკუდაგებისაო, რომლისაგან აღვივსენით წყურიელნი მადლისაგან“ (168, 174).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყარო პიმნოგრაფიაში სამი სახით გვხვდება: აღნიშნავს მაცხოვარს, ქრისტეს მოძღვრებას და ასევე სიმბოლოა დვის-მშობლისა.

ქართულ პიმნოგრაფიაში დვისმშობლისა და მაცხოვრის ერთდროულად აღმნიშვნელ სიმბოლოთა რიგს ასევე მიეკუთვნება: ხე ცხოვრებისა, ვენახი, ტევანი, ყვავილი, მორჩი, ვარდი, ნათელი, მზე, იონა წინასწარმეტყველი, ტაძარი, მარგალიტი... რომელთა შესახებაც დაწვრილებით სათანადო ქვეთავებში ვსაუბრობთ.

როგორც ვნახეთ, უამრავი ისეთი სიმბოლო მოიძებნება, რომელიც ერთდროულად მიემართება როგორც დვისმშობელს, ასევე მაცხოვარს. მათზე დაკვირვებამ გვანახა, რომ თითოეული ეს სახე მომდინარეობს ბიბლიიდან, კერძოდ, ძველი აღთქმიდან, სადაც ისინი წინასწარმეტყველური აზრით არიან დატვირთულნი. ძველი აღთქმისეული სახე გვევლინება ახალი აღთქმის მოვლენის პიპოდიგმად; ძველი აღქმის ეპიზოდები, ხატები სიმბოლურად აღიქმება და განიმარტება, როგორც მაცხოვრისა და დვისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრების მოვლენების პირველსახეები. ამასთან, დვისმშობლის წარმოდგენა ისეთი სახეებით, რომლებიც საღვთო სახელებათაც გვხვდება, ყოვლისმომცველ უნივერსალიებთან ზიარებას გულისხმობს.

## 7. ღვთისმშობლის მადიდებელი სხვა სახე-სიმბოლოები

ქართველ პიმნოგრაფთა ძირითადი ყურადღება და განცდა ღვთისმშობლის ქება-დიდებაზეა გადატანილი. ისინი ცდილობენ ქალწულის მადლისა და დამსახურების წარმოჩენას მკითხველთათვის, ამიტომაცაა, სადიდებელ სიმბოლოთა რიცხვი ასე მრავალფეროვანი მათ შემოქმედებაში, რომელთა ძირეულ ძიებას კვლავ წმინდა წერილთან მივყავართ.

პიმნოგრაფთა შემოქმედებითი უნარის წყალობით ბიბლიური სახე-სიმბოლოები ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს და მკითხველსა თუ მსმენელს ახლებურად განაცდევინებს ბიბლიითა თუ სხვა საღვთისმეტყველო თხზულებებით ცნობილ სახეებსა თუ მოვლენებს, რაც ბადებს ამაღლებულობის განცდას და ასევე გვანიჭებს ეს-თეტიკურ ტქბობას.

ზემოთ თემატურად განხილულ სიმბოლოთა გარდა, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში კიდევ უამრავი სახეა, რომელიც ასევე წმინდა მარიამს მიემართება, მის სადიდებლად და საქებადაა მოხმობილი. იქიდან გამომდინარე, რომ ეს სახეები ვერ მოვათავსეთ ზემოთ წარმოდგენილ თავებში, ისინი გავაერთიანეთ ზოგადი სათაურის ქვეშ „ღვთისმშობლის მადიდებელი სხვა სახე-სიმბოლოები“ (თუმცა, ყველა სახე-სიმბოლო, თავისთავად, ღვთისმშობლის სადიდებლადაა მოხმობილი – თ.გ.) და ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებოთ მათ გენეზისსა და წმინდა მარიამთან მიმართებაზე.

„ქერუბიმთა უზეშთაესი“. პიმნოგრაფები ცდილობენ განსაკუთრებით შთამბეჭდავად წარმოაჩინონ მარიამ ღვთისმშობლის სახე, დირსეულად შეამკონ მარადიული არსების მშობელი. ბუნებითი წესით შობილი ქალწული ბუნების წესის წინააღმდეგ ხდება ღვთის მუცლადმლებელი და მშობელი, ამიტომაც მიუჩნევიათ ის პიმნოგრაფებს ქვეყნის კურთხევისა და განახლების მაუწყებლად, კაცობრიობის გამოხსნის მახარებლად და ეპითეტთა მთელი არსენალი მოუზიდავთ მის შესამკობად. მათ რიცხვს მიეკუთვნება „ქერუბიმთა უზეშთაესი“, რომელსაც ზოგჯერ „ქერუბიმთა მობაძავი“ ან „ანგელოზთა სწორი“ ცვლის. მიქაელ მოდრეკილს ღვთისმშობელი ანგელოზთა უზეშთაესად (უმაღლესად) ესახება: „უზეშთაეს ხარ ქერობინთასა, დირსო, უშუენიერეს ყოველთა სამკაულთა, ღმრთისმშობელო“ (99, 372); „ქალწული ზის მობაძავი ქერობინთა, უტკრთავს წიაღითა სიტყუად ღმრთისად ჯორ-

ციელად“ (142, 13); „გიხაროდენ, ქალწულო უზეშთაესო, სერაბინთა და ქერაბინთაო, რომელნი გიცნობთ შენ, დედაო ღმრთისა ჩუენისა, დაგვცვენ ქებით მგალობელნი შენნი“... (152, 169); „თანასწორად ანგელოზთა იქმენ სისხლთა შენთა ნაკადულთა მიერ ნეტარო, და მკაფიოდ ზეცისა სასძლოსა მას დიდებისასა ქრისტემან იხარებ ბრწყინვალებისა გპრგუნითა ბრძენთა ქალწულთა თანა, ამისთვის მორწმუნენი მოგჯენენ წინაშე სამებისა წმიდისა“ (152, 170); თეოლოგიური სწავლების თანახმად, ეს ის პატივია, რომლითაც „მოელ ქმნილებაზე აღმატებულ იქნა“ (174, 125) ქალწული მარიამი, მათ შორის, თვით ანგელოზებზეც კი: „სულმან წმიდამან აღაშენა საყდარი ღმრთისა სიტყვსად სულიერი ქუეყანასა ზედა, ცათა მაღალთა უმაღლესი, ქერობინთა საყდართა უზეშთაესი, ვითარცა მზისა ნათელი, მაოტებელი ბნელისა, მშობელი კეთილთა მომატყუებელისად“ (73, 340).

„არეოპაგიტიკის“ მიხედვით, ღმერთისგან მომდინარეობენ ზეციური და ქვეყნიური ძალები. ზეციურ ძალებში შედიან ანგელოზები. მათი კრებული ანუ დასი არის ცხრა. იყოფა სამ ტრიადად: სერაფიმნი, უფლება, მთავრობანი, ქერობიმნი, ძალა, მთავარანგელოზნი, საყდარი, ხელმწიფება, ანგელოზნი. ანგელოზი „მაცნექს“, „მოამბეს“ ნიშნავს. ბიბლიაში ასე ეწოდებათ ზებუნებრივ არსებებს, რომლებიც გარს ეხვევიან ღვთის საბრძანებელს. მათი დანიშნულება ღვთის სამსახურია. ცაზე ისინი ღმერთს სცემენ თაყვანს, მიწაზე კი მოქმედებენ როგორც ღვთის მაცნეები, რომლებიც ადამიანებს მის დანაბარებს (სიტყვას) აუწყებენ და თანაც ებმარებიან ამ სიტყვის აღსრულებაში.

ებრაელებს სწამდათ, რომ ანგელოზებში რთული იერარქია არსებობდა და ყოველ მათგანს თავისი საკუთარი სახელი ერქვა. მაგრამ ბიბლიაში ამაზე არაფერია ნათქვამი.

**სამოთხე.** წარმოდგენა სამოთხეზე ადამიანში შემოდის შესაქმიდან, რომლის თანახმადაც იგი პირველ ადამიანთა საცხოვრისს წარმოადგენდა: „და დაასხა ღმერთმან სამოთხე ედემისა აღმოსავალით და დადგა მუნ კაცი იგი, რომელ შექმნა“ (დაბ. 2, 8) ქრისტიანულმა მოძღვრებამ სამოთხე ზეციურ აღგილად მოიაზრა და ადამიანთა საბოლოო სამკვიდრებლად დასახა. სამოთხე სულიერების, მარადისობის სიმბოლოა, რომელიც პირველ ადამის ცოდვით დაიკარგა და ადამიანთათვის მისაწვდომი გახდა მაცხოვრის გარდამოსვლის შემდეგ. პიმნოგრაფი „ქვეყნის სამოთხედ“ მოიხსენიებს წმინდა მარიამს: „სამოთხესა ქუეყანისასა, იერუსალიმსა

ზეცისასა, ქერობინთა მიმსგავსებულსა...“ (73, 235). ღვთისმშობლის სამოთხესთან შედარება კიდევ ერთხელ ემსახურება მისი უკვდავი ბუნების წარმოჩენას.

**ეგას ცოდვის გამომსყიდველი/ადამის წყევის დამსხნელი.** პირველ ადამის შეცოდებით ცოდვა შემოვიდა სამყაროში. „ადამიანის სხეული ცოდვით დაცემამდე და სამართლიანი სასჯელის მიღებამდე თვისებრივად საუკეთესო იყო, შეცოდების გამო კი დაუძლურდა და სიკვდილს დაქვემდებარებული შეიქნა“ (112, 37). თეოლოგიაში ევას ცოდვის გამომსყიდველად მარიამ ღვთისმშობელი ითვლება, ვინაიდან მან შვა სიკვდილის დამთრგუნველი.

მარიამ ღვთისმშობლის სახის სრულყოფილად აღქმაში დაგვეხმარება მისი სახელდება „ადამის წყევის დამსხნელად“, რადგან დედა ღვთისას მეოხებით მოხდა უფალსა და ადამიანს შორის დარღვეული კავშირის აღდგენა, მან აღხოცა ევას მიერ დანერგილი პირველცოდვა: „მოწოდებად წარმართთავ მოგუეახლა და ბეთლემს განელო ჩუენთჟს დაკშული სამოთხეს ქალწულმან შვა ძევ ბუნებით სწორი მამისავ, რომელმან შეცვალა წყევად კაცთავ კურთხევად და მოგუცა უკუდავებავ. უმეტეს სარ შენ ყოვლადწმიდაო“ (99, 49); „ბერწისა ანნადგან განმაქარვებელი წყევისავ, რომელმან შვა დამბადებელი, დღეს გამობრწყინდა“ (47, 133); „დამჯსხნელი პატიუთა მათ პირველისა მამისათა და განმაქარვებელი ევას დანერგულისა მის მწუხარებისა“ (47, 134). ღვთისმშობლის ამ სახელით წარმოდგენა წმიდა წერილიდან მომდინარეობს. ევასაგან შემცდარ ადამს ღმერთმა უთხრა: „რამეთუ ისმინე ჭმავ ცოლისა შენისავ და სჭამე ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არა ჭამა, მისგან სჭამე, წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მას ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა“ (დაბ. 3, 17).

ყოვლადსახიერმა უფალმა ისიც გააცხადა, რომ კაცობრიობას მოევლინებოდა მაცხოვარი, სოფლის მხსნელი, რომელიც იშვებოდა ქალწულისაგან და მოსპობდა ეშმაკის უფლებას კაცზე (შეს. 3, 15), რაც ქალწულ მარიამისაგან მაცხოვრის შობის შემდეგ აღსრულდა. ამიტომაც პიმნოგრაფები წმინდა მარიამს „ადამის წყევის დამსხნელად“, „პირველი დედის წყევის აღმხოცელად“ მიიჩნევენ: „დიდებულებავ შობისა შენისავ დღეს ვინ შეუძლოს მითხოვად ყოვლად ქებულო. რამეთუ უთესლოდ მუცლად იღე და ჰშევ ძევ უხილავისა მამისავ, რომელმან აღტოცა წყევად პირველისა დედისავ“ (72, 58); „დასცხერა წყევად პირველი შენ მიერ დირსო დედაო უბიწოო და კურთხევითა სულიერითა აღიგხო დღეს ქუეყანავ. რაჟამს მივიღეთ საშოთ შენით ნათელი და შობილსა მას მეუფესა ვადიდებო“ (99, 63); „ევასი განქარდა დღეს

წყვისა იგი დაშჯილებად შენ მიერ ყოვლად წმიდაო და კურთხევით გპრგპნოსან ყვნა ყოველნი ნაშობნი მისნი მეუფემან რომელი იშვა შენგან და დაგიცვა ქალწულადვე“ (99, 63); „ევას ყვადრების განმაქარვებელ“ და „ადამის გამოხსნის მიზეზ“ ლვთისმშობელს პიმნოგრაფი ევედრება საკუთარი სულისთვის: „დამხსნელო სიკუდილისაო და მომატყუებელო უაუდავებისაო, გიხაროდენ მიზეზო ადამის გამოჯსნისაო და განმაქარვებელო ევას უუედრებისაო, გიხაროდენ... შენგან შობილი ღმერთი საფლავით აღდგა... მას ევედრე ცხოვრებად სულთა ჩუენთათჟს“ (72, 276). პიმნოგრაფთათვის წმინდა მარიამი კაცთა ხსნის მიზეზია, რადგან მის მიერ შობილმა ორბუნებოვანმა მაცხოვარმა შეძლო ჩვენი ცოდვების გამოსყიდვა: „იკურთხევიან შენდა მომართ, უბიწოო, ყოველნი ნათესავნი ადამეანნი, ღმრთისა დედაო, რამეთუ შენ ხარ მიზეზი მომწყდართა ჭსნისა და ღმრთისა კაცთა დაგებისაო და სასოვებად საუკუნეთა კეთილთავ, რომელმან გპშევ ღმერთი და კაცი მხოლოდ ორითა ბუნებითა“ (72, 310)

თეოლოგიურ სწავლებაზე დაფუძნებული ევასა და ქალწულ მარიამის შედარება, როგორც ბინარული ოპოზიციის გამოხატულება, პირველად წმიდა იუსტინე მარტვოლმა მოგვცა. II საუკუნის ლვთისმეტყველის ირინეოს ლიონელის სწავლებით კი, რადგანაც მარიამისაგან იშვა ახალი ადამი, ლვთისმშობელი არის ახალი ევა, ანუ ევას გამომხსნელი. წმ. ირინეოს ლიონელის ქრისტოლოგია ეფუძნება მოძღვრებას „შემოკრების“, ანუ „რეკაპიტულაციის“ შესახებ, რომელიც პავლე მოციქულის სწავლებიდან მომდინარეობს (ქრისტე – ახალი ადამი) და გულისხმობს იმას, რომ ქრისტეში „შემოკრებილია“ ყოველივე დასაბამიდან განკაცებამდე.

არც პიმნოგრაფთათვისაა უცხო ეს მოტივი. ისინი მაცხოვარს მეორე ადამს უწოდებენ, რომელიც პირველი ადამის ცოდვათა გამოხსნის გამო ეცვა ჯვარს: „ტარიგად უბიწოდ გიცნობთ, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო, რომელი ნეფსით დაიკალ და შეიწირე მსხუერპლად მამისა, უცოდველო, ცოდვათათჟს ადამისთა, თუთ მეორეო ადამ დად ლეს აღმოპბრწყინდი საფლავით, რომელსაცა შინა დაებუჭდე და თანა აღადგინე, მჯსნელო, ადამ დაცემული ნაშობითურთ“ (72, 277). მაცხოვრის მოსვლამდე სიკვდილი „სუფევდა პირველ ადამის ურჩებით და მონა ვიყვენით ცოდვისა მიზიდვითა გულის თქუმისავთა“, ხოლო მაცხოვარმა ჯვარზე ხორციელი სიკვდილით „შჯულითა სულისა ცხოვრებისავთა განმათავისუფლენ ჩუენ“ (72, 279); „ევას წყვისა საცოური განქარდა და ადამის ურჩებისა პატიჟი მოისპო, რამეთუ მეორეი ადამ, ქრისტე მოვიდა ძიებად პირველისა მის თუთ შეწირა თავი თუთი უცოდველმან

სოფლისა ცოდვათა და ერისა უმეცრებისათვის, რაოთა დმრთის მეცნიერ ყოს ერი წარმართთავ, ვნებულმან ჯუარითა მოსპნა სოფლისა ვნებანი“ (72, 309)

დვოისმშობელსა და ევაზე საუბრისას წმიდა ირინეოს ლიონელი ამბობს: „ეგა იყო ურჩი. ის ურჩ-იქმნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქალწული იყო. თუკი ევა, რომელსაც ქმრად ჰყავდა აღამი და რომელიც ჯერაც ქალწული იყო, როგორც თავის თავს, ასევე კაცობრიობის მოდგმას სიკვდილის მიზეზად გაუხდა, მარიამი, რომელსაც მსგავსადვე ჰყავდა დაწინდული ქმარი და რომელიც ასევე ქალწული იყო, მორჩილების გზით თავის თავსაც და კაცობრიობის მთელ მოდგმასაც ხსნის მიზეზად ექმნა. რაც შეკრა ქალწულმა ევამ ურწმუნოებით, ის ქალწულმა მარიამმა სარწმუნოების მიერ გახსნა“ (177, 15-16).

თუ ევას პირიდან გამოსული სიტყვა სიკვდილის მომტანი აღმოჩნდა, სიტყვა (ლოგოსი), რომელიც იშვა ქალწულ მარიამისაგან, სიკვდილის დამთრგუნველი გახდა. ამიტომაც, ბუნებრივია, ქალწულ მარიამის ახალ ევად სახელდებაც. „რადგანაც მარიამისგან იშვა ახალი ადამი, თვით იგი არის ახალი ევა, ჭეშმარიტი ევა, ჭეშმარიტი დედა ცოცხალთა და დასაბამი მათი ხსნისა“ (177, 16). როგორც სამოთხეში ძველმა ევამ ძველი ადამი თავის დანაშაულის თანაზიარად აქცია, ასევე ახალმა ადამმა ახალი ევა პირველმშობელი დანაშაულის გამოსასყიდი ტანჯვის თანამონაწილე გახადა.

აქედან გამომდინარე, პიმნოგრაფი ქალწულ მარიამს ადამის სიხარულს და ევას სიქადულს უწოდებს: „...გიხაროდენ შენ: ადამის სიხარულო: გიხაროდენ ევას სიქადულო: ძემან შენმან სიკუდილი მოაკუდინა: ჯოჯოხეთი ძლევით შემუსრა: და ძლევა შემოსილი აღდგა: საფლავით მესამესა დღესა“ (99, 455). ე.ი. ქალწული მარიამი ევას ცოდვების გამომხსნელია, ახალი დედაა კაცობრიობისა. წმინდა მარიამია სიკვდილის დამხსნელი და ადამის გამოხსნის მიზეზი: „დამჭსნელო სიკუდილისაო და მომატყუებელო უკუდავებისაო, გიხაროდენ, მიზეზო ადამის გამოკსნისაო და განმაქარვებელო ევას ყუედრებისაო. გიხაროდენ“ (72, 276); იოვანე მტბევარი განადიდებს წმინდა ქალწულს, რომლის თესლიდანაც აღმოცენდა კაცობრიობის მხსნელი, რომელმაც დაგლახაკავებული ადამი უხრწნელებით განამდიდრა: „თესლისაგან შენისა აღმოსცენდა მჯსნელი კაცთა ნათესავისაო: იხილვა დატევნულ ჭორცთა შინა საგსებად დმრთეებისაო და დასაბამიერ იქმნა დაუსაბამო ქალწულისა საშოსა შინა და დაგლახაკნა ჩუენთუს მდიდარი იგი. რაოთა დაგლახაკებული ადამ განამდიდროს უხრწნელებით“ (72, 51);

„დღეს ძემან შენმან ადამს აღმოუწოდა,  
ქალწულო უბიწოო, ხრწნილებისაგა  
და განათავისუფლა შობითა შენგან  
უხრწნელად და კუალად აგო მუნვე  
სამოთხედ ნაშობითურთ, ვითარცა დმერთ არს.“ (72, 63)

ქალწულის მიერ მაცხოვრის შობით კვლავ დაგვიბრუნდა სამოთხე: „აჟა, ქალწულმან გაშვა დღეს მანუელ ყრმად, ჩუენ თანა ღმერთი, ბეთლემს, განედო ჩუენთუს ედემი, პირველ დაწმული და ადამი კუალად ეგო მუნვე სამოთხედ“ (72, 69);

ამ თემატიკის მხრივ მეტად საინტერესოა ბორენა დედოფლის საგალობელი, სადაც ავტორს ევას ცოდვების გამოსყიდვა წმინდა მარიამის მიერ მისთვის ვალის ზღვევად მიუჩნევია; ამიტომაც გასდევს მის იამბიკოს ცოდვათა გამოსყიდვის მოტივი. საგალობელში სახეთა პარალელიზმის პრინციპით შესანიშნავად არის გამოხატული წმინდა მარიამისა და ევას დაპირისპირება:

„რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,  
პრქვი რა გაბრიელს: „ვარ უფლისა მწევალი,-  
მაშინ ისტუმრე ქუეყნად მავალი“, –  
დაემხო ძალი. პირველ სისხლითა მთრგალი.  
ქალწულო, მიქსენ ბორენა ჭირმრავალი!“ (153, 593).

ევასთან დაპირისპირებაში წარმოაჩენს დვთისმშობელს წმიდა იოანე ოქროპირი თავის საკითხავში „გარდაცვალებისათვეს ღმრთის მშობელისა“: „პირველად ანგელოზნი აბრალებდეს ევას, ხოლო აწ მარიამს ადიდებენ, რამეთუ უძლურებად იგი დედათად განკურნა და დაცემული დიდებად თვისი აღადგინა და განძებული ადამ სამოთხით წარმოგზავნა გზასა მას ზეცისასა, რომელმან დაწმული სამოთხეს განადო და ავაზაკი დაამკუდრა მას შინა. რამეთუ შენ მიერ შუვა-კედელი იგი ზღუდისად მის დაპტინა, კუალად შენ მიერ, წმიდაო ქალწულო, მშკდობად იგი ზეცისად კიდეთა ქუეყანისათა მოემადლა“ (125, 205).

დვთისმშობელი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ასევე იწოდება „დასაბამად კურთხევისა და დასასრულად წყევისა“. იოვანე მტბევარი განადიდებს ქალწულს, რომლის მეშვეობითაც „დასცხრა ევას წყევა“ და კურთხევით აივსო ქვეყანა:

„დასცხრა წყევად პირველი შენ მიერ ღირსო  
დედო უბიწოო და კურთხევითა  
სულიერითა აღივსო დღეს ქუეყანად.

რაჟამს მოვიღეთ საშოთ სენით ნათელი  
და შობილსა მას მეუფესა ვადიდებთ:  
ეგადი განქარდა დღეს წყევისა იგი  
დაშვილებად შენ მიერ, ყოვლად წმიდაო  
და კურთხევით გჯრგზნოსან ყვნა ყოველნი  
ნაშობნი მისნი მეუფემან, რომელი  
იშვა შენგან და დაგიცვა ქალწულადვე“ (72, 63)

**კაცთა ცხოვრების მიზეზი.** მარიამ დვთისმშობლის სახის შექმნა პიმნოგრაფებმა ორიგინალური მხატვრული საშუალებების შექმნითაც სცადეს. ყოველი ასეთი სახე ქრისტიანული კანონიკის მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებშია მოქცეული. „გიხაროდენ, მიზეზო კაცთა ცხოვრებისაო, რომელმან ადგზოცე წყევად პირველი და მოგუანიჭე კურთხევად“ (72, 144). ყურადღებას იქცევს შესიტყვება – „კაცთა ცხოვრების მიზეზი“. სადვთისმეტყველო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ყოველივეს მიზეზი ამქვეყნად არის ღმერთი. „ის არის მიზეზი და დასაბამი ყველა ქმნილების, რადგანაც მის მიერ შეიქმნა ყოველივე“ (171, 270). როგორც ღმერთი არის ყოველივეს მიზეზი ამქვეყნად, ასევე ქალწული მარიამი არის ადამიანთა ცხოვრების მიზეზი, რადგანაც მისგან მოვლენილმა ღმერთმა ადამიანები მარადიულ სიცოცხლეს აზიარა, ანუ კაცთა მოდგმას ცხოვრების მიზეზი ექმნა. ეს სახე არც პიმნოგრაფიისთვისაა უცხო: „რამეთუ შენ მიერ მოვიღეთ პირველი იგი უხრწელებად, ამისთვისცა ზეცისა ძალთა თანა გადიდებთ, გიხაროდენ მიზეზო კაცთა ცხოვრებისაო“. (72, 144) სწორედ ამავე აზრითაა ქალწული „ადამის გამოსხივის მიზეზიც“: „გიხაროდენ, მიზეზო ადამის გამოკსნისაო“ (99, 393). ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ქალწული მარიამი „ჭინის სასოდ“ და „კეთილ საუკუნეთა მიზეზადაც“ იწოდებოდეს: „ესე არს სასოდ ჭინისად და მიზეზი საუკუნეთა კეთილთამ. დედამ ცათა მეუფისად“ (99, 439); „მიზეზად კეთილთა გიცნობთ და მჭინელად სულთა ჩუენთათკს“ (99, 390).

**დედა/მშობელი.** დვთისმშობლის სახელთაგან ყველაზე გავრცელებული სწორედ ეს სახელებია. მართალია, ისინი სიმბოლოდ არ წარმოდგებიან, მაგრამ ამ თავში მათი გაერთიანება პიმნოგრაფთა მიერ წმინდა მარიამის სადიდებლად და შესამკად გამოყენებამ განაპირობა. პირველად დედა უფლისა მას უწოდა სულიწმიდით განპრძნობილმა ელისაბედმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა დედა-ქალწული

დაუსაბამო ყრმას მუცლით ატარებდა: „და ვინაო ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა“ (ლუკ, 1, 43).

„ჭეშმარიტად და სამართლად ღმრთისმშობელად სახელ-ვსდებთ წმიდასა მარიამს“, – გვიხსნის იოანე დამასკელი, – „რამეთუ ესე სახელი სრულ-ჰუოფს ყოველთა საიდუმლოსა განგებელებისათა, რამეთუ უკუეთუ ღმრთისმშობელ არს მშობელი უეჭველად, ღმერთ არს მისგან შობილი უეჭუელად და კაცცა, რამეთუ ვითარმცა დედაკაცისაგან შობილსა ღმერთსა აქუნდა პირველ საუკუნეთა მყოფობად, არა თუმცა კაცად გამოჩინებულ იყო, რამეთუ ძე კაცისად უეჭუელად კაც არს. ხოლო უკუმთუ დედაკაცისაგან შობილი იგი ღმერთ არს, ცხად არს, ვითარმცდ ერთი არს ღმრთისა და მამისაგან შობილი იგი საღმრთოდსაებრ და დაუსაბამოდსა არსებისადა უკუანადსკნელთა ქამ შობილი დაწყებულებისაებრთასა ქალწულისაგან შობილი დაწყებულებისაებრ და ქამიერისა არსებისა ესე იგი არს კაცობრივისა, რამეთუ ერთსა გუამსა და ორთა ბუნებათა და ორთა შობათა ღმრთის ჩუენისა იესუ ქრისტესცა დაპნიშნავს ესე“ (174, 444-445).

პიმნოგრაფები განადიდებენ ღვთისმშობელს, რომელმაც „იტპირთა წიაღითა და ზრდიდა უბიწოდ სძითა, რომელ მზრდელ არს დაბადებულთა“ (72, 81); „გიხაროდენ, დედაო უქორწინებელო, რომელი შორის დედათა ხარ ქალწულ და ქალწულთა შორის დედა“ (174, 102).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომლის საშოშიც მიიღო დასაბამი დაუსაბამო ღმერთკაცმა იწოდება დედად მეუფისა ჩვენისა, რომლის მეოხებითაც „წყლულებანი გუელისა მიერნი განიკურნეს“: „უხერწნელო დედაო ქრისტეს, მეუფისა ჩუენისაო“ (73, 224); „გიხაროდენ ქალწულო სიქადულო; შენ მიერ, დედაო... წყლულებანი გუელისა მიერნი განიკურნეს“ (99, 2);

„სული წმიდად მოვიდა შენდა, ქალწულო

და ძალი მაღლით გფარვიდა შენ, უსძლოო.

საყდრად სიწმიდისად განგმზადა და დედად

უხერწნელებისად ჩუენ ყოველთა გპჩინა...“ (72, 66);

„ღმერთმან... საშოსა შინა უსძლოოსა დედისასა შეიმოსა დასაბამი ადამის ხატისა თჯისავ...“ (72, 106); „მტვირთველო შემოქმედისაო და დედაო ანგელოზთა მეუფისაო, გიხაროდენ...“ (72, 276); ღვთის დედას ყველა შენატრის, რადგან მან იტვირთა ანგელოზთა და კაცთა დამბადებელი: „ადამის ნათესავთა მეტყუელებანი და ზეცისა უხორცოთა მთავრობანი ერთობით ღირსებით გნატრიან, ღმრთისა

დედაო, ვითარცა თუ იტყოდე, წმიდაო, რამეთუ დაუბადებელი სიტყუა, დამბადებელი ანგელოზთა და კაცთა იტპრთე და პშევ ორი ბუნება ერთ ხატად“ (72, 302); „აპა, ესერა ტომნი კაცთანი გნატრიან შენ... და ჭეშმარიტად დედად დმრთისა აღგიარებენ..“ (152, 138); „დედაო მცხნელისა ჩუენისაო... იქმენ სასოება ჯხნისა ჩუენისა...“ (152, 162); წმინდა მარიამი, როგორც დვთის დედა, ყოვლისშემძლე და ყოველთა შემწეა, ვინც კი აღიარებს: „შენ ხარ შემწე ყოველთა, რომელნი შეხდა მოილტვიან... ვითარცა ხარ დედა დმრთისა...“ (152, 168);

„ვნებანი სულისანი განპკურნენ

და განმინათლე გონება

და გული, დედაო დმრთისაო,

რომელმან ნათლისმცემელი

ქრისტე მაცხოვარი უშევ კაცთა“ (152, 300). აქედან გამომდინარე დვთისმშობელი „ნათლის დედაა“: „ვედრებით გიდალადებთ, დედაო ნათლისაო, მოსავნი შენნი, რათა გპტსნე მძლავრთაგან...“ (152, 169).

დმრთისმშობელია დედათა შორის კურთხეული, რაც ასევე ბიბლიური სახელდება. ახალ აღთქმაში ვკითხეულობთ: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკ, 1, 28). ეს მიმართვა არც ჰიმნოგრაფებს დარჩენიათ კურადღების მიღმა და დედა ქალწული კიდევ ერთხელ უდიდებიათ მხატვრული სიტყვის ძალითა და მადლით: „უმეტესად კურთხეულ ხარ დედათა შორის...“ (72, 144);

კურთხეული დედა ქალწულთა სიქადული და ადამიანთა სამკაულია, რაც უფლის რჩეულობის ნიშანია: „დედათა დიდებაო, ქალწულთა სიქადულო, და ადამის ნათესავთა სამკაულო, ორთა მათ ბუნებათა განუყოფლად მშობელო“ (73, 237).

„დმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი,

დედა, ქალწული შუენიერი შროშანი...“ (135, 278).

„გალობანი სინანულისანი“ საგანგებოდ წამოსწევს წმინდა მარიამის დვთისმშობლობას. ძეგლში გატარებული თვალსაზრისით, ცოდვათაგან დაიხსნებიან ისინი, ვინც „დმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაო!“ (49, 216).

**ორბუნებათა მშობელი.** ქალწულ მარიამისაგან დვთის განკაცების გადმოცემისას ჰიმნოგრაფები საგანგებოდ მიმართავენ კვლავ საღვთისმეტყველო სწავლებას და მის მიზანმიმართულ გამოყენებას ცდილობენ. ჰიმნოგრაფები ამ სწავლებას იმდენად ითავისებენ და ისე აწვდიან მსმენელს, რომ მათ გამიჯვნას არც არავინ ფიქრობს.

უფრო მეტიც, მსმენელი ამის საჭიროებას ვერც ხედავს. სრულიად უყოფმანოდ შეიძლება ითქვას, რომ საგალობელი ღვთის სიბრძნის მხატვრულ გემოვნებასთან ჰარმონიული შეზავების უმაღლესი გამოხატულებაა, სულისა და სიტყვის უმშვენიერესი ნაერთია. „დედათა დიდებაო, ქალწულთა სიქადულო და ადამის ნათესავთა სამკაულო, ორთა მათ ბუნებათა განუყოფლად მშობელო...“ (73, 237). განკაცებული ღვთის ორი ბუნების შესახებ განმარტებას არაერთი ღვთისმეტყველი ცდილობს: „ვაღიარებთ რა ერთსა და იმავე იესო ქრისტეს, ჩვენს უფალს, სრულ დმერთად და სრულ კაცად, ვამბობთ, რომ მასვე, ერთსა და იმავეს, აქვს ყოველივე ის, რაც მამას, გარდა უშობელობისა, და აქვს ყოველივე ის, რაც პირველ ადამს, გარდა ცოდვისა“ (174, 396). ქრისტეში ორი ბუნების შერევა ხშირად არის ხაზგასმული საგალობლებში: „ხოლო სიტყუამან უხილავმან ღვთისა უხილავისამან, შეზავა მოწყალებით ღვთაებად კაცებასა ბრძმედსა შინა სიწმიდისასა, ყოვლად უბიწოსა, საშოსა ქალწულებისასა და იშვა უქცეველად დმერთი და კაცი სრული“ (99, 86). ეს მოვლენა მართლმადიდებელ ქრისტიანს შეაგონებს, რომ მან თავისი მზერა მხოლოდ მიწიერს კი არ მიაჯაჭვოს, არამედ უზენაესისაკენ მიმართოს. ამას ემსახურება საღვთო საიდუმლოებათა განდიდება საგალობელში. აქედან გამომდინარე, ყოველი ეპოქისა და დროის პრობლემა – პრობლემა სრულყოფილი ადამიანისა, პიმნოგრაფთათვისაც უმთავრეს საზრუნავად რჩება. მათი მიზანია, რომ საგალობელმა ადამიანის გონება ზეცად აღამაღლოს და უმაღლეს ფასეულობებს აზიაროს.

ქრისტიანული გაგებით, დმერთი არის დაუსრულებელი, უცვალებელი, მიუწვდომელი, რადგან არ იყო ჟამი, როდესაც არ იყო ღვთის სიტყვა, ანუ დმერთი დაუსაბამო არსებობდა მუდამ, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, მისი მეორე, ანუ ხორციელი შობა კი ქალწულისაგან მოხდა. პიმნოგრაფები ამ დოგმატურ სწავლებას ასე წარმოაჩენენ საგალობელში: „იშევ მეორედ დედისაგან უამთა უპირატეს შობილი ღვთებით მამისაგან და მომეც ჩუქენ ჭელწიფებად, შვილყოფად ღვთისა მაღლისა“ (99, 491); „რად არს საიდუმლოისა შენისა განგებად ქალწულო, ვითარ პირველ უამთა შობილი ძევ გიტპრთავს, რომელმან წამისყოფით დაპხადა ყოველივე, ვითარცა ინება“ (99, 82).

ამ ძირითად და მნიშვნელოვან სახე-ხატებთან ერთად პიმნოგრაფებს სხვა უამრავი სიმბოლო თუ სახელი გამოუყენებიათ ღვთისმშობლის მაღლისა და ძლიერების წარმოსაჩენად. მათ შორისაა: სამოთხის სამკაული, მეფეთა ძლიერება, ღვთის ნიჭი,

ძღვენი, შემწე სამების წინაშე, საგალობელი, სიმტკიცე, მეფეთა გვირგვინი, შარავან-დედი, ყოველთა სამკაულთა უმშვენიერესი, სულნელმყოფელი ყოველთა დაბადებულ-თა, ნაგოსაყუდელი და სხვა, ოუმცა, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ჰიმნოგრაფები ამ ყველაფერს საქმარისად არ მიიჩნევენ, რადგან, შეუძლებელია, მოკვდავის ენამ სრულყოფილად აღწეროს და გადმოსცეს დათისმშობლის მადლი:

„დადაცათუ მონებთაგან ჩუენთა  
გერ შესაძლებელ არს ჯეროვნად მოგონებად  
და დირსებით ქებად შენდა, ქალწულო, წმიდათა უწმიდესო,  
ნათელო სულთა ჩუენთაო, მშობელო შემოქმედისა ღმრთისაო,  
არამედ არავე და ვდუმნეთ ჩუენ ქებად შენდა“ (73, 294).

**ნათლის სვეტი.** სვეტის სიმბოლიკა ადამიანის სიმაღლისადმი სწრაფვამ და სივრცის დაუფლების დაუოკებელმა სურვილმა წარმოშვა. მეცნიერთა აზრით, სვეტში, პირველ ყოვლისა, „მსოფლიო ხისა“ და „ზეციური კიბის“ ანალოგი უნდა ვიგულისხმოთ. „ცოტაა სხვა ისეთი ვიზუალური სიმბოლო, რომელიც ესოდენ მეტყველად გამოხატავდეს „ცის საყრდენს“, ბჭეს, კოსმიური და მიწიერი ენერგიის კავშირს, ზეადსვლის, მდგრადობის, ურყევობის ცნებებს“ (5, 48).

სვეტის სახისმეტყველებაში უმთავრესი იყო არა მარტო მისი ფორმა, არამედ რიცხობრიობაც. ორი სვეტი ხშირად ნიშნავდა „ცათა საყრდენს“, „ცათა ბჭეს“, რომელზეც გადიოდა ტაძრისკენ (ზესამყაროსკენ) მიმავალი გზა. სწორედ ამგვარი ორი უდიდესი სვეტი იდგა სოლომონის ტაძრის კარიბჭის ორსავ მხარეს; შემდგომ ისინი იქცნენ სამართლიანობისა და კაცომოყვარეობის ემბლემად. შვიდი სვეტი („შვიდის“, ბიბლიური სიმბოლიკიდან გამომდინარე) კი იქცა ქართული ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლოდ, რადგან სწორედ „დვთაებრივი ხიდან“ გამოიკვეთა შვიდი ბოძი სვეტიცხოვლის შესაქმნელად. ადამიანებმა ექვსი ადგილად აღმართეს, ხოლო მეშვიდე – უფლის ანგელოზის მიერ ნათლის სვეტად ფერიცვალებული, ზეციდან „ჩამოესვეტა“.

„მთელი ეს სახისმეტყველება ღრმა ბიბლიური პლასტიდან არის აღმოცენებული: სვეტის ფორმა, შესაძლოა, ცეცხლმაც მიიღოს, კვამლმაც და ღრუბელმაც. ბიბლიური სახისმეტყველებისათვის მნიშვნელოვანია სვეტის საკრალური ფუნქცია, ხოლო სვეტის „ცეცხლოვანება“ სწორედ დათის ნების გამოვლინებად არის აღქმული. უმთავრესი აქ, ისევ და ისევ, სვეტის უნივერსალურ სიმბოლურ დანიშნულება-

შია: მან უნდა ზეაიტაცოს, „ზეგარდმო მზერას“ წარუდგინოს საკრალური და პატივ-დებული, ხოლო პროფანული, ყოფიერი, ძირს, მიწაზე დატოვოს“... (5, 49).

სვეტზე ძალიან ხშირადაა საუბარი ბიბლიაში: „და აღმართა მოსე კარაგი და დადგინა ხარისხი მისნი, და აღმართნა სვეტნი იგი მისნი, და დასდვა სვეტის თავნი, და მოქლონნი, და აღმართნა სუეტნი, და განმარტნა ეზოები იგი კარვისა მის, და დაპტერა საფარველი კარავსა მას ზედა კერძო, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს“ (გამ. 40, 16-17). ის განსახიერებაა სიძლიერის, ზესწრაფვის... გამოსვლათა წიგნში ნახსენები სვეტი ულპობელია, ისევე, როგორც დვთისმშობელია შეურყვნელი ყველა უკეთურებისაგან.

სვეტის სიმბოლიკა არც პიმნოგრაფთათვისაა უცხო, ისინი ხშირად მიმართავენ წმინდა მარიამს, ვითარცა „ნათელ, ბრწყინვალე სვეტს“. ეს განსაკუთრებით დამასახსიათებელია ნიკოლოზ გულაბერისძისათვის, რომელიც თავის „გალობანი ხუეტისა ცხოველისანი“ არაერთხელ განადიდებს დედოფალს ამ ხატ-სახის მოხმობით: „ოთ, დედაო და ქალწულო, ნათელო ნათლისა სუეტსა მსახებელო, ხოლო სუეტად სახელდებულო...“ (135, 284); „სუეტად ნათლისად ყოვლად ბრწყინვალედ ქადაგებულო...“ (135, 288); „სახედ შენდა ნათლისა სუეტი გამოაჩინა, ნათლისა სუეტო ქალწულო, შენგან ტპრთულმან ღმერთმან. ამისთვის თაყუანის-გცემთ შენ მისთანა“ (135, 288); „დედათა დიდებაო, ხოლო ქალწულთა სიქადულო, სუეტო განათლებულო, რომელი მიწევნულ გუყოფ ზეცასა ძისა თჯსსა, ღმრთისა დედაო, შეგბწყალენ შემსხმელი შენნი“ (135, 293).

როგორც ჩანს, ნათლის სვეტი სიმბოლოა სიძლიერის, ზესწრაფვის. ის ხშირად დვთის ნების გამოვლინებაცაა. პიმნოგრაფთა დაუშრეტელი ენერგიისა და მხატვრული სიტყვის წყალობით კი წმინდა მარიამის გამომხატველია, მისი ხატ-სახეა, რომლითაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს დვთისმშობლის ძალა, მადლი და მაცხოვრის მიერ მისი გამორჩეულობა.

\* \* \*

ჰიმნოგრაფებს უყურადღებოდ არ რჩებათ მარიამ დვთისმშობლის ცხოვრების არც ერთი მხარე, მათ ქებას იმსახურებს ქალწულის წარმომავლობაც. წინასწარმეტყველთა უწყების მიხედვით, ქალწული მარიამი დავითის ტომიდან დაიბადა, რომელიც იმჟამად დამცირებული იყო. მარიამ დვთისმშობლის მამა – იოაკიმე, წარმოშობით იუდას ტომს ეკუთვნოდა, მისი საგვარეულოს ფუძემდებლად მეფე დავითი ითვლებოდა, ანა კი მღვდელ მატათას უმცროსი ქალიშვილის აარონის ჩამომავალი იყო. ამიტომაც დავითის მოდგმა, როგორც აღმომაცენებელი მაცხოვრისა, ბუნებრივია, კურთხეულად ითვლება. დვთისმშობლის დავითის შტოდან წარმომავლობას ლუკა მახარებელიც ამოწმებს ახალ აღთქმაში: „აღმოვიდა იოსებცა გალილეათ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად, ქალაქად დავითისა, რომელსა პრქან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა“ (ლუკ. 2, 4).

ბიბლიური გენეალოგიის თანახმად, დავითის მოდგმა იესეს შთამომავლად ითვლებოდა, მეფე დავითი იყო მე იესესი, ამიტომაც დვთისმშობელი იესეს ძირიდან აღმოცენებულადაც იწოდება: „უბიწო ღმრთისმშობელო, იესეს ძირისაგან გამოშჩნდი შენ დედად ღმრთისა ჩუენისა დამბადებელისა, მეოხე გუეყავ დაუცხომელად მგალობელთა შენთა“ (109, 477).

ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროების თანახმად, ქართველი მეფეებიც იესეს შთამომავალნი არიან. ბაგრატიონთა სამეფო გვარი დავითისა და სოლომონის მემკვიდრეებად იწოდება. ქართულ მწერლობაში ეს ფაქტი ქართველი ერის მესიანისტური იდეის გამოხატულებად არის აღქმული და იგი არაერთი ქართველი ჰიმნოგრაფის შემოქმედებაშია აქცენტირებული (გავიხსენოთ – იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, თამარ მეფის „ცასა ცათასა“, „ქალწულებრივთა“ და სხვა).

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საგანგებოდაა გამოსაყოფი საგალობელთა ის ნაწილი, სადაც საუბარია სულიერ ხსნაზე, მღვიმეთაგან ამოსვლაზე, „ორბებ განახლებაზე“. საერთოდაც, დედოფლისაგან მაცხოვრის შობა ჰიმნოგრაფიაში აღქმულია სულიერი ტყვეობისაგან გათავისუფლებად, რასაც იოანე შავთელი გამოხატავს როგორც საგალობელში, ასევე აკროსტიქში. იგი დვთისმშობელს ევედრება სულიერი ტყვეობისგან დახსნას, სოფლის მღვიმეთაგან ამოყვანას, რათა განა-

ხლდეს სული ცოდვილისა. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ტროპარი, რომელიც მთლიანად სიმბოლურადაა გასააზრებელი:

„უჩინოთაგან მდგმეთა სოფლისათა  
ექსორიობად ჩემი აღმოიყვანე,  
ორბებ განახლდი სიჭაბუბე სულისად,  
ბრალთაგან მიჯსენ ძლიერთა, დიდებულო,  
ინებე ყოფად ჩემ შორის, უბიწოო“ (135, 305).

ჰიმნოგრაფი ქალწულს წუთისოფლის უჩინარ მდვიმეთა შორის ყოფისაგან გათავისუფლებას შესთხოვს. ეს მოტივი ფსალმუნებიდან მომდინარეობს: „მიჯსენ მე თოვისაგან, რაოთა არა დავინთქა, განვერი მე მოძულეთა ჩემთაგან და სიღრმეთაგან წყალთავსა. ნუ დამთქავენ მე მორევი წყალთავ, ნუცა შთამთქამნ მე უფსკრული, ნუცა შეიყოფნ ჩემზედა ჯურდმული პირსა მისსა“ (ფს. 68, 15-16).

„სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მდვიმე, გამოქვაბული ამობრუნებული მთაა, მდვიმე ადამიანის სულიერი გამოცდის ადგილია, მსგავსად უდაბნოსი. მთა ის ადგილია, სადაც ღმერთმა მცნებები მისცა მოსე წინასწარმეტყველს, ე.ი. მთა ღმერთთან ზიარების ადგილია. მდვიმე მისი საპირისპიროა, მთა და მდვიმე ოპოზიციური წყვილია, მდვიმე ცოდვათაგან განსაწმენდელი ადგილია...“ (135, 139). წორედ ამიტომ შესთხოვს ჰიმნოგრაფი იონას ვეშაპის მუცლიდან ამომყვან უფალს მდვიმისაგან ამოსვლას და ცოდვათა მიტევებას:

„იჯსენ სიკუდილისაგან  
სული ჩემი, სახიერ,  
ვითარცა იონა  
მუცლისაგან ვეშაპისა,  
აღმომიყვანე მდგმისაგან  
ცოდვათა ჩემთავსა  
განუხრწნელად  
ვითარცა იგი“ (72, 329).

სწორედ ამიტომ ადამიანის უპირველესი მიზანი მდვიმიდან თავის დაღწევისა და იქიდან სულის აღმოყვანისათვის ზრუნვაა. ასეთი რამ კი მხოლოდ ზნესრულ ადამიანს ხელეწიფება.

იოანე შავთელის საგალობელში სხვაგანაც არის სულის ხსნაზე ყურადღება გა-  
მახვილებული:

„ძნელოვანთაგან უბადრუკებისათა

იჯსენ ცხორებად ჩემი, ღმრთისა დედა“ (135, 303).

წუთისოფლის მღვიმეთაგან გათავისუფლება სულიერი განახლების მაუწყებელია, რაც ფსალმუნერი მოტივის მიხედვით, „ორბებ განახლებითაა“ გამოსახული იოანე შავთელთან. ორბი განახლების, გაახალგაზრდავების სიმბოლოა ქრისტიანულ მწერლობაში.

დემეტრე მეფის შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ იამბიკოში შიოს მღვიმეში ყოფნა სულით გაახალგაზრდავებად აღიქმება, რაც ამ იამბიკოში ფსალმუნური მოტივით გამოიხატა: „ორბობს მოხუცი“. ხოლო მისი არქეტიპი კვლავ ფსალმუნის სიტყვებია: „რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულის-თქუმავ შენი; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102, 5). ი. ლოლაშვილმა მის წყაროდ მიიჩნია ბასილი კუსარიელის „მჯეცთათუს სახის სიტყუა“ და ბასილი ქართლის კათალიკოსის „თხრობა სასწაულთათუს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოვსთა“: „პირველ ნაწარმოებში ნათქვამია: როდესაც ორბი დაბერდება ფრთები დაუმძიმდება და თვალები დაევსება, მოძებნის წყაროს წყალს, მის თავზე მძაფრი ქარის მიმართულებით ცაში აფრინდება, ფრთებსა და დაწირპლიანებულ თვალებს მზეზე გაახურებს და „შთაჭდის წყაროსა, დაიბანის სამჯერ და განჭაბუკდების“. დემეტრე მეფე დაბერებული ორბის განჭაბუკებას გულისხმობს, როდესაც შიოზე ამბობს: „ორბობს მოხუცი“. ამ შედარებით მინიშნებულია შიოს უბერებლობა და უკვდავება, რაც დიდმა მეუდაბნოებმ თავისი სამონასტრო მოდგაწერილობით მოიპოვა (89, 194).

ბასილი კესარიელის ხევნებულ თხზულებაში განმარტებულია ადამიანის სულიო განახლების მოტივი, რაც ძველი კაცის სამოსლისაგან განმარცვითაა გამოხატული: „და განიძარცო ძუელი იგი კაცი საქმითურთ მისით და შეიმოსოთ ახალი, რომელ ღმერთი დამყარებულ არს, ვინაიცა დავითმან თქუა: „განახლდინ, ვითარცა ორბისა სიჭაბუქე შენი!“ უკუე კეთილად რამე სოქუა სახისმეტყუელმან ორბისათვეს” (160, 179). ძველი სამოსლისაგან განმარცვა, ბიბლიის მიხედვით, ცოდვის სამოსლისაგან განმარცვას ნიშნავს, რაც ჰიმნოგრაფიაში საკმაოდ ვრცელ ადგილს იჭერს. „ორბობს მოხუცი“ ადამიანის სულიერი განახლების ფსალმუნურ მოტივს ასახავს, რაც კიდევ მრავალგზის გაიხმიანებს სასულიერო პოეზიაში.

ქალწულის მიერ ქრისტეს შობით კაცობრიობისთვის ახალი გზა დაისახა, ეს არის გზა დაკარგული ცხოვრებისაკენ, ცხოვრების ხისკენ, ღვთაებრივი რეალობისა-კენ, რაც ინიციაციას გულისხმობს, ანუ სხეულის, სულისა და სამშვინეულის ქვლავ

შერწყმას, რის შედეგადაც მათ უბრუნდებათ პირველსახე – ცოდვით დაცემის შედეგად დაკარგული. ახალი გზა ქრისტეს სიმბოლოა, რომელიც ზესთასოფლის დაბრუნების საშუალებას აძლევს კაცთა მოდგმას.

შუასაუკუნეთა ხელოვნებაში ყოველი გზა სიმბოლურია. ნებისმიერი გზის ფიზიკურად გავლა აუცილებლად რაღაც სულიერ პლანსაც გულისხმობს. (სანიმუშოდ მიუთითებენ ხოლმე, რომ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ცებზე სვლა სინამდვილეში სულიერი განცდაა, ფიქრია და ოცნება საკუთარი სულის საფეხურებზე).

ცნობილია, რომ შუასაუკუნეებში გზას, მოგზაურობას დრმა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. გზის გავლა, განსაცდელთა დაძლევა იდეალთან მიახლებად მოიაზრებოდა. ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანმა დაკარგული ღვთაებრივი „მე“-ს დაბრუნებაზე უნდა იზრუნოს. ფათერაკებით ადსავსე გზის გავლით, შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევით პიროვნება სულიერ სიმაღლეს სწვდება.

ცხადია, ჰიმნოგრაფიაშიც გზა ამავე სიმბოლური დატვირთვით გვხვდება. განსაზღვრებად „ახალის“ გამოყენება კი ქრისტეს მცნებათა გათვალისწინებით სვლის მოტივზე მიუთითებს, საღმრთო გზას მიელტვის ყოველი წმინდანი.

ედემის „უკუმოღების“, ანუ დაბრუნების მოტივი ასახულია ძლისპირებსა და ღმრთისმშობლისანებში: „შენდა მომართ იხარებენ, ღვთისმშობელო, მამა-დედანი კაცთანი, რამეთუ უკუ-მოიღეს ედემი შენ მიერ, რომელი წარეწყმიდა ურჩებითა“ (109, 175). ადამისა და ევას მიერ დაკარგული ედემის დაბრუნების საშუალება კაცობრიობას ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს შობით მიეცა.

გვიქრობთ, უნდა გამოვყოთ საგალობელთა ის ნაწილი, სადაც დედოფლის სასუზვეველში წაბრძანებაა აღწერილი. მხატვრული სიტყვის მეშვეობით მეტად ხატოვნად დაგვიხატეს ჰიმნოგრაფებმა ღვთისმშობლის მიძინება, როცა ცა გადაიხსნა, რათა თვალით უხილავ ნათელში დამკვიდრებულიყო დედა ქალწული:

„დღეს შეიძრნეს ზეცისა ძალნი  
და განეხუნეს სამყარონი ცათა მაღალთანი,  
ქუეყნად გარადამოიწოდნეს  
ზეცათანი გეთსამანიად, ტაძრად დედუფლისა“ (73, 327).  
საფლავი შიშით შესცქერის ღვთისმშობლის ცხედარს:  
„მიიძღუანეს საფლავსა  
კორცნი იგი უბიწოდსანი,  
ხოლო შიშით საფლავმან

მიუძღვანნა სასუფეველსა“ (73, 329).

ჩვენ კი, „მონანი შენი მგლოვარც ვართ მიცვალებასა შენსა, რამეთუ დღეს განგუეშორები შენ ჩუენ“ (73, 329).

როგორც ვნახეთ, აქ წარმოდგენილი დვთისმშობლის მადიდებელი სიმბოლოები დრმა თეოლოგიური დატვირთვის მატარებელია, გამოირჩევიან მხატვრულ-ესთეტიკური დახვეწილობით, ორიგინალურობითა და სიდიადით. მართალია, თითოეული სახის გენეზის წმინდა წერილამდე მივყავართ, მაგრამ საგალობლებში წინ არის წამოწეული პიროვნული ემოცია, რის გამოც ერთი და იგივე ბიბლიური სახე თუ მოგლენა, სხვადასხვა პიმნოგრაფის მიერ, სხვადასხვანაირი პათოსით არის გადმოცემული. ამიტომაც არის თითოეული სიმბოლო საინტერესო და ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელი.

### ნაწილი III

#### ჯვარცმის ღვთისმშობლისეული აღქმა (გლოვა და სიხარული)

„...და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი.“

(ლუკა 2,35)

მარიამ ღვთისმშობლის სახის სრულად აღქმა შეუძლებელი იქნებოდა ჯვარცმის მისტერიის გათვალისწინების გარეშე. „ჯვარცმის მისტერიას თან ახლავს ელეგიური მოტივი, რაც ჰიმნოგრაფიაში მთელი სამყაროს მიერ განიცდება. თვალწინ გადაგვეშლება საყოველთაო გლოვის სურათი. ნათლისდების მისტერიის გადმოცემისას, ბუნების გასულიერებით, ჰიმნოგრაფები გარდა იმისა, რომ მხატვრულად გადმოგვცემენ საოქმელს, ხაზს უსვამენ ქრისტეს ღვთაებრიობას, რომელსაც ცნობს, თაყვანს სცემს არა მხოლოდ მის მიერ შექმნილი „ღვთის ხატი“, არამედ ყოველი და ყველაფერი, რაც სამების მიერ შექმნილა“ (67, 177).

ჯვარცმის მისტერიას სასულიერო პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რაც მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილით ადსრულდა. განკაცებულმა ღმერთმა ჯვარცმამდე ადამიანური ყოფის მთელი წრე გაიარა. მაცხოვრის მოწამეობრივი სიკვდილი, – ეს არის პროცესი კაცობრიობის სრული განწმენდისა ამქვეყნიური ცოდვებისაგან.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამის წყალობით შემოსული უდიდესი ბოროტება ადამის ხატითვე დამარცხდა, რასაც ჰიმნოგრაფები არაერთხელ აღნიშნავენ: „რამეთუ კაცისა მიერ სუფევდა სიკუდილი, ამისთვისცა კაც იქმნა მხოლოდ შობილი ძევ ღმრთისად და მოვიდა სოფლად, უვნებელმან ივნო ჭორცითა, რათა იქსნას მსგავსი მსგავსებითა და ახაროს მოკუდავთა მათ უკუდავებად სიკუდილით და ქუესკნელით აღმოწოდებით მკუდართა აღდგომითა, ვითარცა ღმერთ არს“ (73, 146).

ახალი აღთქმის მიხედვით მაცხოვარმა თავისი ჯვარცმა რამდენადმე იგავურად იწინასწარმეტყველა, მისი ვნება ძველ აღთქმაშიცაა მინიშნებული. ამ პარალელებს არც ჰიმნოგრაფები უვლიან გვერდს და საგალობლებში იყენებენ, რითაც მიზნად ისახავენ „დაფარულის განცხადებას, ღვთაებრივი საიდუმლოს წარმოჩენას“ (135, 183):

„წინავთვე აუწყა უფალმან

ვნებად თუსი მოწაფეთა და პრქუა  
 აწ ესერა თქუენ თანა  
 აღვალ იერუსალიმად  
 და მოიწიოს ჟამი,  
 ოდეს მიგეცა  
 მოძღუარი თქუენი პურიათა ჭელსა,  
 რომელთა დამსაჯონ  
 და სიკუდიდ მიმცენ,  
 ხოლო აღვდგე მკუდრეთით,  
 იგინი განვაბნიე  
 და წარმართნი შევცრიბნე“ (73, 269).

პიმნოგრაფის ამ სიტყვებს საფუძვლად სახარება უდევს: „და ვითარცა აღვიდოდა იქსო იერუსალიმად, და მე კაცისა მიეცეს მღვდელთმოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჯუარცუმად, და მესამესა დღესა აღდგეს“ (მათ. 20, 17-19).

ჯ. მილტონი, რომელსაც პიმნოგრაფთაგან განსხვავებით, საშუალება ჰქონდა თავისი ფანტაზია, სიტყვის ძალა და ოსტატობა ბიბლიური ტექსტებისთვის შეეჯერებინა და მრავლისმეტყველი სცენები გადმოეცა, ქრისტეს ვნებით სიკვდილს შემდეგნაირად გვიხატავს: „დმერთი ზეციურ დასს კითხვით მიმართავს, თუ ვის შესწევს ძალა იტვირთოს კაცთა მოდგმის უდიდესი ტვირთი და ადამის დანაშაულს თავი შესწიროს. უხორცოთა დასი მდუმარებამ მოიცვა, რითაც კაცობრიობა სამუდამოდ ჯოჯოხეთისათვის გაიმეტა, მაგრამ ღვთაებრივი ძალით მოსილმა და ღვთაებრივი სიყვარულის გამომხატველმა, ღვთის ხატის გადარჩენას საკუთარი მხრები შეაშველა“ (97, 92).

მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილი არ იყო უმტკივნეულო. ქრისტემ გოლგოთის მძიმე გზა გაიარა არა როგორც ღმერთმა, არამედ კაცმა, რომელსაც კაცისავე ცოდვები მძიმე ჯვრად დააწვა მხრებზე, თუმცა „სხეულისა და სულის დაპირისპირების ტკივილზე, ე.ი. შინაგან წინააღმდეგობაზე გამარჯვების გზით მაღლდება იგი ღვთაებრიობამდე“ (147, 15).

როგორც შობა შეეხო ძე ღვთისას ადამიანურ მხარეს, ასევე სიკვდილიც მის ამ ნახევარს ეხება. რადგან მაცხოვრის ღვთაებრივმა ბუნებამ დასაბამი მიიღო, ადამის მოდგმის მსგავსად, მას დასასრულიც უნდა ჰქონოდა, ოდონდ იმ განსხვავებით,

რომ მაცხოვრის მოკვდავი ბუნების დასასრული ეს არის მარადიულობის დასაწყისი. „ადამის სხეული ჯოჯოხეთისთვის სატყუარად იქცა, რომელმაც უმეცრებით მიიღო მასში დაფარული ღმერთი“ (67, 93)

მას შემდეგ რაც ადამ და ევამ სულიერი სამოსელი დაპარგეს, სხეული და საერთოდ, ყოფა წუთისოფლის წარმაგლობის კანონზომიერებას დაემორჩილა და ხრწნადი სამოსლით შეიმოსა, რითაც კაცობრიობას სიკვდილი მოუტანეს და რომელსაც მაცხოვარი სწორედ ამ წარმაგალი სხეულით ამარცხებს: „განაქარგა ხრწნილებად“ (72, 146); იქვე: „სამარესა რად ნეფსით დაიდვა ჭორცითა ღმერთი შეუწერული, დაიწსნა სიკუდილი, და დაეყენა ხრწნილებად“ (72, 148)

სასულიერო პოეზიაში ჯვარცმის შემყურე მთელი სამყარო გლოვასა და მწუხარებას მოუცავს, ზეციური ძალები ზარდაცემულნი შესცემიან უგუნურ კაცთა მიერ ჯვარზე გაკრულ მათსავე მაცხოვნებელს, რაც მხატვრული სიტყვის დახმარებით ზედმიწევნით გადმოსცეს პიმნოგრაფებმაც:

„მზემან ბრწყინვალებად თჯსი დაიფარა,  
ცანი და ქვეყანად  
საფუძველითურთ ძრწოდეს,  
ზარგანგდილ იქმნეს ქუესკნელნი,  
ჰაერნი იგლოვდეს,  
შეძრწუნდეს მთავრობანი,  
ზეცისა კრებულნი, უსხეულოთა ერნი,  
რამეთუ იხილეს მათ  
ხილვად ზეშთა ბუნებისად საკპრველი“ (73, 279)

პიმნოგრაფები გვიხატავენ რა ატირებულ მნათობებს, ცას, საყოველთაო გლოვის შემაძრწუნებელ სურათს ქმნიან და ეს ყველაფერი მეტად ორიგინალური გზით მიაქვთ მკითხველამდე. მათ შემოქმედებაში გლოვობს ზეციური ძალები, რადგან მოკვდავთა მიერ შეურაცხეყოფილი და სასიკვდილოდ განწირული იხილეს ის, ვისაც მორჩილებდნენ: „უბიწონი ძალი ძლიერთა ანგელოზთანი განკპრდეს“ (73, 196), „ხოლო ანგელოზნი წმიდანი წარგანგდილ იქმნეს“ (73, 200); ცანიც უერთდებიან სამყაროს ზარსა და გოდებას: „ძრწიან ძალითურთ ცანი ცათანი, იგლოვენ ჰაერნიცა“ (73, 79), „ცანი მგლოვიარენი იქმნეს“ (73, 232); ცათა გლოვას ქვეყანაც ბანს აძლევს: „შეძრწუნდა ყოველი ქუეყანად“ (73, 232); ზეცის მნათობებმა ვერ გაუძლეს ამ სანახაობას და ბრწყინვალება დაიფარეს: „სამყაროსა მნათობთა

გიცნეს შენ... და დაიფარეს ბრწყინვალებად ნათლისაა“ (99, 174) და თითქოს ძამებით შეიმოსენ: „მნათობთა შეიმოსეს პნელი“ (72, 149). საინტერესოდ არის დახატული სამყაროს ფიზიკური მნათობის, მზის ურვა, რომელიც დაიფარა და დაბნელდა: „ბრწყინვალებამან მზისამან დაიფარა ნათელი“ (73, 285), „ჯუარცუმასა მზე იგლოვდა“ (73, 200).

გლოვის მისტერიაში და სასწაულებრივი პნელით მოსილ სამყაროში ყველაზე გვიან ადამიანი მოეგო გონს და თვალი აეხილა:

„ექუს ჟამიდან ვიდრე მეცხრე ჟამამდე  
ბნელი იქმნა ყოველსა ქუეყანასა  
და დაეცნეს პირსა ზედა  
უღმრთონი იგი ჯუარს მცუმელნი,  
მას ჟამსა შემრწუნდა ასისთავი და თქუა:  
„ჭეშმარიტად ესე,  
ძე ღმრთისა იყო“ (73, 278).

მაცხოვრის ჯვარცმის ეპიზოდის გადმოცემისას პიმნოგრაფები, სახარების ავტორთაგან განსხვავებით, მხოლოდ ფაქტის აღწერით როდი შემოიფარგლებიან, არამედ პიმნებში ლირიული განწყობილება შეაქვთ და თითქოს თვითონაც ხდებიან ამ საუკუნეებით დაშორებული აქტის მხილველნი და განმცდელნი. „შემოქმედი ყოველ რელიგიურ ფაქტთან ამყარებს დამოუკიდებელ მიმართებას. ესა თუ ის თემა, ესა თუ ის მოტივი, ხდება მისი პირადი რეფლექსიისა და განცდის საგანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი პირველი აღმოაჩენს და აღწერს ამ ფაქტს (51, 93):

„ესე აწ  
დაეფლა ქუეყანასა გულსა  
ჩემთვს, რომელი მომკლა  
სამოთხეს შინა მაცთურმა და  
დამფლა  
ჯოჯოხეთისა გულსა“ (73, 292)

სრულიად ბუნებრივია, რომ მაცხოვრის ჯვარზე ვნებამ ახალი შტრიხი შეიტანა ქალწულის სულიერი პორტრეტის ჩამოყალიბებაში, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ სრულყო იგი, რადგანაც მრავალ სხვა ასპექტთან ერთად, ყველაზე ნათლად სწორედ ჯვარცმის ჟამს გამოვლინდა ღვთისმშობლის მანამდე თითქოს უჩინარი დედობრივი ბუნება. ღვთისმშობლის გოდების თემა, „შვილზე მოგონებით გამოწვე-

ული, დედის მწუხარებით გამოხატული ლირიკული მოტივების განვითარების საშუალებას იძლეოდა“ (7, 159).

ჯვარცმის ეპიზოდი სასულიერო პოეზიაში არაერთგზის არის ასახული. ქართველ პიმნოგრაფებს კარგად ესმით მისი თეოლოგიური ასპექტები: ჯვარზე გაბვრით მაცხოვარი საბოლოოდ ამარცხებს ბოროტებას, თრგუნავს ხრწნადობას და სამუდამოდ იმარჯვებს სიკვდილზე.

კორნელი კაკელიძე გოდების უანრზე საუბრისას ასახელებს იმ წყაროებს, რომელმაც ხელი შეუწყო ამ უანრის განვითარებას ქართულ მწერლობაში. თავდაპირველად მას მოჰყავს ბიბლია, დავით წინასწარმეტყველის 136-ე ფსალმუნი, რომელიც ბაბილონის გოდებას ეძღვნება. წინასწარმეტყველთა წიგნებიდან კი ასახელებს იერემია წინასწარმეტყველის გოდებას. მისი აზრით, უფრო მეტ და შინაარსიან ნიმუშებს გოდების უანრში იძლევა ბიზანტიური ლიტერატურა, კერძოდ, იოანე დამასკელის „დასდებელი მიცვალებულსა ზედა“ (76, 200-201).

ჯვარცმასთან მდგომი დვოისმშობლის გრძნობების გადმოცემა სვიმეონ ლოდო-თებსაც (Xს.) უცდია თავის „დვოისმშობლის გლოვაში“, რომელიც ვნების კვირია-კის პარასკევსა და შაბათს არის დადებული (76, 204).

გლოვის პირველ ნიმუშად ქართულ ლიტერატურაში პ. პეპელიძე ასახელებს ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ფარსმან მეფის მუხანათური სიკვდილით გამოწვეულ განცდას. პირველი ჩაწერილი ნიმუში გოდებისა კი შემოუნახავს X საუკუნის პაგიოგრაფიულ ძეგლ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, სადაც წმიდა გრიგოლ ხანძთელი მოთქვამს აშოგ კურაპალატის სიკვდილის გამო. მომდევნო საუკუნეში იქმნება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში გოდებისა, რომელიც ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის, გიორგი ხუცესმონაზონს და შეტანილია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“.

მეცნიერის შეხედულებით, გლოვის უანრის წარმოშობას წინ უძღვდა უძველესი ქართული ტრადიციებიც, რომელზედაც ვრცლად საუბრობს ის.

ამ უანრის სხვადასხვა ეპოქაში წარმოჩენით, შევეცადეთ გვეჩვენებინა გზა, რომელიც გაიარა გლოვის უანრმა სასულიერო მწერლობაში გამოხატვამდე.

ბიბლიისთვის საზოგადოდ გოდების თემა უცხო არ არის („გოდება ერემია წინასწარმეტყველისა“, „გოდება ბაბილონისა“), მაგრამ სახარებაში, შეიძლება ითქვას, რომ არაფერია ნათქვამი შვილმკვდარი დედის განცდების შესახებ. მახარებელთაგან მხოლოდ იოანესთან ვკითხულობთ, რომ მაცხოვრის ჯვართან

იდგა მარიამი, მისი და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალინელი: „ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა იქსუდსსა დედად მისი დად დედისა მისისად, მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდალენელი“ (იოან. 19, 25).

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, პიმნოგრაფებმა რომელ წყაროს მიმართეს დედალვითისას მწუხარების გადმოსაცემად?

ლუკას სახარებაში აღწერილია სვიმეონ წინასწარმეტყველის, ანუ ლვის მიმრქმელის შეხვედრა ქალწულთან მაშინ, როცა მან ჩვილი იქსო ტაძარში მიიყვანა უფლის წინაშე წარსადგომად.

იერუსალიმში მცხოვრებ მართალ სვიმეონს სულიწმიდისგან უწყა, რომ არ ეწეოდა სიკვდილი, სანამ მაცხოვარს არ იხილავდა. და, აი, სულიწმიდის კარნახით, სვიმეონი მივიდა ტაძრად უფლის წინადაცვეთის დღეს, და იხილა რა ჩვილი იქსო, „მიიქუა იგი მკლავთა თკსთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა: „აშ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყჲსაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარება შენი“ (ლუკ. 2, 28-29). მართალმა სვიმეონმა უწინასწარმეტყველა ქალწულ მარიამს: „აპა, ესერა ესე დგას დაცემად და ადდგინებად მრავალთა ისრატლსა შორის და სასწაულად სიტყჲს საგებლად. და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი, რათა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“ (ლუკ. 2, 34-35).

როგორც ლვისმეტყველებაშია განმარტებული, მართალი სვიმეონი ქალწულ მარიამს თავისი მომავალი ძის დიდებაზე ელაპარაკება, რომლითაც „დაეცემიან ურწმუნონი და აღდგებიან მორწმუნენი, დაეცემა კრებული ჰურიათა და აღდგება ეკლესია“. წმიდა მამები დაცემასა და აღდგომაში მარცხენითი ავაზაკის დაცემასა და მარჯვენითის აღდგომასაც მოიაზრებენ, ვინაიდან პირველმა რწმენა და სამოთხე მოიპოვა, ხოლო მეორე ურწმუნებით დაეცა და წარწყმდა“ (125, 97).

„...და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი“ – ამ ქვეთავს ეპიგრაფად მართალი სვიმეონის ეს სიტყვები ჩვენ საგანგებოდ დავურთეთ. ის ლვისმშობელს იმ ტკივილზე აუწყებს, რაც მას უნდა განეცადა ქრისტეს ვნების ჟამს: „ხოლო თვით ნეტარმა და ზებუნებრივ საბოძვართა ღირსქმნილმა ქალწულმა ის ტკივილები, რასაც შობისას განერიდა, ვნებულობის ჟამს განიცადა, რაჟამს დედობრივი თანალმობით დაითმენდა შინაგან ჭრილობას, რადგან ხედავდა, რომ ვინც მან შობის გზით ღმერთად იცნო, ბოროტმოქმედივით კლავდნენ. ამის გამო მახვილისებრ სერა-

ვდა მას ფიქრები. სწორედ ამას ნიშნავს: „და თვით შენს სულს გაიგლის მახვილი“ (ლუკ. 2, 35) (174, 440).

ჯვარცმის თემაზ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მთელ ქრისტიანულ სამყაროში. დაიწერა მისი ამსახველი სხვადასხვა უამრავი ლიტერატურული ნაწარმოები, შეიქმნა ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები.

ჯვარცმის სცენა და ღვთისმშობლის განცდები ერთ-ერთი პოპულარული თემაა არა მხოლოდ ადრეული, არამედ აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაშიც. მეცნიერთა მიერ არაერთგზის არის აღნიშნული ბიზანტიური მწერლობის გავლენა ქართულზე. როგორც ლელა ხაჩიძე აღნიშნავს, მსგავსი გავლენა საგრძნობია ღვთისმშობლის გლოვის ამსახველ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებზეც. მეცნიერს ნიმუშად მოჟყავს IX საუკუნის ბიზანტიური მოღვაწის – თეოფანე გრაპტოსის საგალობელი „გოდება ღმრთისმშობლისა“, რომლის ეფრემ მცირისეული თარგმანი მან პარიზის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ბიზანტიურ და ქართულ ჰიმნებში წარმოდგენილი ჯვარცმის ღვთისმშობლისეულ აღქმაზე, მოკლედ მოგახსენებთ თავად თეოფანე გრაპტოსის შესახებ.

თეოფანე გრაპტოსი, ანუ სახეწარწერილი, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც IX საუკუნეში იერუსალიმში მოღვაწეობდა. როგორც ცნობილია, VIII-IX საუკუნეებში ბიზანტიაში ხატთაყვანისმცემელთა და ხატმბრძოლთა შორის მიმდინარე ხანგრძლივ ბრძოლაში მოელი ბიზანტია და, მათთან ერთად, საერო ხელისუფლებაც მონაწილეობდა. თეოფანე გრაპტოსი ხატთაყვანისმცემელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ის თავის უფროს მმასთან – თეოდორესთან ერთად მთელი ცხოვრების მანძილზე დაუცხომლად იბრძოდა ხატმბრძოლთა წინააღმდეგ, რის გამოც იმპერატორ თეოფილეს ბრძანებით, სახეზე ამოუდადეს წარწერა, რომელიც მის ხატთაყვანისმცემლობას მოწმობდა. ხატთაყვანისმცემლობის გამარჯვების შემდეგ დევნილი და დაღდასმული თეოფანე ნიკიის ეპისკოპოსად აკურთხეს. სიკვდილის შემდეგ ბიზანტიურმა ეკლესიამ თეოფანე გრაპტოსი წმინდანად შერაცხა.

ის მეტად ნაყოფიერი ავტორია. ბერძნულ ხელნაწერებში მისი სახელით წარწერილია 162 კანონი და 19 „თუთ ძლისპირნი“ სტიქარონი. „თეოფანეს ჰიმნების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოეტის მთელი სულიერი ცხოვრება, მისი ფიქრი და განცდა დაკავშირებულია მხოლოდ „წმინდა ისტორიასთან“. ალბათ

ამიტომაც უწოდეს მას „ტკბილხმოვანი სალამური“ (პალისტე), ე.ო. იარაღი დათაებრივის გამოთქმისა“ (183, 142)

მისი „გალობანი გოდებისათვეს დმრთისმშობელისა“ წარმოადგენს დედადაღისას მიერ მაცხოვრის ცხედრის დატირებას.

საგალობელი იწყება იოსებ არიმათიელთან დათისმშობლის მისვლის სცენით, ამას მოსდევს პილატესგან გვამის გამოთხოვა და დათისმშობლის გოდება, რომლის გულგრილად წაკითხვაც შეუძლებელია.

„საგალობელი ქმნის დათისმშობლის საკმაოდ იშვიათ სახეს – ესაა მწუხარებისაგან გაოგნებული დედა, რომელიც „მოკვდავთაებრ“ სასოწარკვეთითაა მოცული. ემოციურობას კიდევ უფრო აძლიერებს არაერთგზის გამეორებული „შენ თანა მოვუდები“, „თანა შთამოგყვე ჯოჯოხეთსაცა შინა“, „ვითარ ვიტკრთო ტკივილი ნაწლევთამ, რომლებიც რეფრენივით გასდევს საგალობელს. უდიდესი ფსიქოლოგიური სიმართლე თითქოს ხელახლა განგვაცდევინებს ახალი აღთქმის ამ ერთ-ერთ უველაზე უფრო ტრაგიკულ ეპიზოდს“ (183, 152).

ლელა ხაჩიძე საინტერესო პარალელებს პოულობს გრაპტოსის საგალობელსა და გურამიშვილის „ტირილი დათისმშობლისას“ შორის და ასკვნის, რომ დავით გურამიშვილი, როგორც ჩინებული მცოდნე ქართული პიმნოგრაფიისა „გარგად იცნობდა „დათისმშობლის გოდების“ ეფრემისეულ თარგმანს, რომელიც საუკუნეების მანძილზე სრულდებოდა ქართულ ეკლესიაში ვნების პარასკევს – უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გურამიშვილის „ტირილში“ აქცენტირებულია „გოდებანის“ მხატვრულად და ემოციურად უველაზე ძლიერი ადგილები“ (183, 156). აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გოდების ჟანრის ნაწარმოებებისადმი საგანგებოდ მიძღვნილ წერილში პ. კეკელიძე ასახელებს გურამიშვილის ლექს „ტირილი დათისმშობლისა“ (80, 198-230), რომელსაც ის ამ ჟანრის ერთ-ერთ შედევრად მიიჩნევს. ეს ლექსი „დავითიანში“ „ჯვარცმის ამბის“ შემდეგაა ჩართული (56, 18).

ეს პარალელები ეხება როგორც სათაურს, თემატიკასა და საერთო განწყობილებას, ისე მხატვრული სახეებისა და ფრაზების უმეტესობასაც. გრაპტოსის საგალობელში დათისმშობლის მძიმე სულიერი განცდები არაერთხელ გადადის ფიზიკურ ტკივილში. უველაზე მეტად შთამბეჭდავი კი ჯვარცმასთან მდგომი დედის „ნაწლევთა“ ტკივილია, რომელმაც მაცხოვარი იტკირთა:

„ვითარ ვიტკრთო

ტკივილი ნაწლევთავ,

შვილო...“ (183, 154)

გურამიშვილის „ტირილშიც“ დასაწყისშივე ნათქმამია დვთისმშობლის შესახებ:

„მოედვა მწარედ საგმილი, შეიქნა დადაგულობით,

დაეწო გული და დვიძლი, ნაწლევნი გათანგულობით“...

ასევე: „ჩემი იწვიან ნაწლევნი, ვხედავ შენს ჯვარზედ ვნებასა“.

მეცნიერი ასევე პარალელს ავლებს ამ ორი ავტორის მიერ წარმოჩენილ დვთისმშობლის მაცხოვრისადმი ვედრებაში და მეტი ჭეშმარიტებისთვის მოჰყავს ამ მოტივის ორი სტროფი ეფრემის თარგმანიდან და დავით გურამიშვილის ლექსიდან:

„ვერ თავს ვიდებ მე

უწმობასა შენსა,

რომელსა გაწოებდ

ჩჩკლებრ წიაღთა ტკრთულსა,

უკუეთუ შეხუალ ჯოჯოხეთს

ადამის მიმართ,

შთამოგყვე მეცა და ევას

მიუთხრნე საიდუმლონი“ (183, 155);

„ძეო შენს უკან გენუკვი

ჩემს სულის ამორთმევასა,

გემუდარები, ნუ მიზამ შენ მე

ამაზედ თხევასა;

მომკალ, წინაწინ წავიდე,

სენი ვახარო ევასა:

იქსო მოვა, დაგიჯსნის, მორცები

პირველს წყევასა!“

სიტყვები: „ვითარ ესე განვლო მახშლმან შენმან მგზებარე გული ჩემი“, – რაც თეოფანეს საგალობელში სახარებიდან უნდა მოდიოდეს, გურამიშვილთან შემდეგ სახეს იღებს: „მით მისმან კერძმან ლახვარმან ჭრა უფრო მიჰკერძისაო“. „აქ ეს სიტყვები დვთისმშობლის მიმართაა ნათქვამი და მათში იგულისხმება ამ სახის მთელი ისტორია. ტრადიციული „მახვილი“ გურამიშვილთან „ლახვრითაა“

შეცვლილი, ხოლო „ჭრა უფრო მიპკერძისაო“ საოცარი ძალით წარმოგვადგენინებს დვთისმშობლის სულიერი ტკივილის ზრდას“ (183, 155).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, თუ საიდან შეიძლებოდა არსებულიყო ასეთი მჭიდრო კავშირი ამ ორ ავტორს შორის. რ. სირაძის დაკვირვებით: „ძველ ქართულ მწერლობაში ლირიკოს პოეტებს წარმოდგენილი ჰყავდათ ხოლმე მათოვის იდეალური ავტორი, რომლის თვალთახედვითაც სურთ მათ მოგვაწოდონ საკუთარი საოქმედი“ (126, 119).

ლ. ხაჩიძე ეფრემისეულ თარგმანთან ანალოგს სულხან-საბას „დვთისმშობლის ტირილშიც“ პოულობს. მისი დაკვირვებით, საბა იყენებს ეფრემის თარგმანიდან მომდინარე მხატვრულ სახეებს. მაგ., ჯვარცმისკენ მიმავალი დვთისმშობლის გლოვის აღწერისას საბა წერს: „მტკივნეულ იყო გული მისი, შეიწვებოდეს ნაწლევნი მისი, კვნესოდეს ძუძუნი მისი, ელმოდა მუცელი მწარედ“ (117, 133).

ეფრემ მცირის თარგმანში სახარებიდან მომდინარე სახე „ვითარ ესე განვლო მახვილმან შენმან მგზებარე გული ჩემი“, საბასთან შემდეგნაირად გვხვდება: „რომელსა განმიპობს გულსა ლახვარნი გვერდისა შენისანი“, სადაც მახვილს ლახვარი ცვლის, რომელიც ლელა ხაჩიძის დაკვირვებით, საბასეული სიმბოლიკაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კი არაერთხელაა ნაჩვენებია დ. გურამიშვილის „ტირილი დვთისმშობლისას“ და სულხან-საბა ორბელიანის „დვთისმშობლის ტირილის“ კავშირი.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეოფანე გრაფტოსის „გოდებანი დვთისმშობლისა“ ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირისეული თარგმანით შემოვიდა და აირეპლა როგორც დავით გურამიშვილის, ასევე სულხან-საბას შემოქმედებაშიც.

ახლა კი საინტერესოა როგორ მიმართებას ამყარებს ქართველ პიმნოგრაფთა შემოქმედება გრაპტოსისეული მგლოვიარე დვთისმშობლის მხატვრულ სახეებთან? რა საერთო პარალელების ძიება შეიძლება და რაა სიახლე ამ მხრივ ქართულ პიმნოგრაფიაში. ქვემოთ შევეცდებით ამ კითხვებს უშუალოდ ტექსტებზე დაკვირვებით ვუპასუხოთ.

ბიზანტიელი პიმნოგრაფი უმეტესად წარმოგვიდგენს ფიზიკური ტკივილისგან დამწუხრებულ დვთისმშობელს, რომელიც გულამოსკვნით დასტირის საკუთარ ძეს. ის მხოლოდ მას შემდეგ მიეცემა შვებას, როცა მაცხოვარს აღდგენილს ნახავს:

„ხოლო მე დედობრივ

გჯდე აწ სხურებად ცრემლთა

ქარსა საფლავისასა  
გოდებით და ვტიროდი,  
გიდრემდის ადსდგე შენ“ (183, 151)  
ასევე: „ჰე, თუმცა მესმა ჯმავ შენი  
ტკბილი, მ იესუ“ –  
ჯმობდა უბიწოდ დედა –  
„და შესძრენ  
ბაგენი შუენიერნი  
და თუალნი ბრწყინვალენი,  
ყოვლითურთ შემკულნი სიკეთითა  
ჰე, თუმცა აღდგომილი  
გიხილე, ძეო ჩემო,  
და აღვივსე

ცრემლთა წილ სიხარულითა“ (183, 150). შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ეს ორი ადგილია თეოფანეს პიმნში, სადაც დვოისმშობლის სიხარული ჩანს, დანარჩენ შემთხვევაში ის გულდათუთქული დედაა, რომელიც ფიზიკურად განიცდის შვილის ტკივილს:

„აპა, მხოლოდ ვჰგოდებ შვილსა მოკლულსა,  
ჩემ თანა მოწაფითურთ,  
მკერდსა მიყრდნობილით,  
და საყუარელით, განგურემული გულითა“ (183, 148).

პიმნოგრაფი თავად მაცხოვრის დედას ალაპარაკებს საკუთარი მძიმე განცდების შესახებ:

„სძისა წილ ვასხურებ  
ცრემლთა უხრწნელთა  
მაგათ ბაგეთა და ცხოველთა  
მათ სიტყუათა შენთა წილ  
მკუდარსა გეზრახები!“ (183, 151)

საინტერესოა, ქართველ პიმნოგრაფთა მიერ დახატული დედა-ქალწულის ემოცია, ტკივილის სიღრმე; მათ ამაღელვებლად გადმოგვცეს გამწარებული დედის სურათი, რომელსაც ცრემლები ნაკადულივით სდიოდა: „მწუხარე გონებითა, აღსავსედ ცრემლითა, ეგლოვდა ლმობიერად“ (99, 167);

შვილის დაკარგვა ყველა დედისთვის ტრაგედიას წარმოადგენს: „მართალია, ქრისტეს სიკვდილი და ამაღლება სულ სხვა, ღვთაებრივი პლანია და იგი თავის თავში მოიცავს საყოველთაო ბედნიერებას, მაგრამ დედა მაინც დედა და სწორედ დედის პოზიციიდანაა ეს დანახული, და ამდენად ყველა ადამიანისთვის ადვილმისაწვდენი და მძაფრად განსაცდელია“ (24, 143); თუმცა ქალწულის ურვით შეპყრობილმა გულმა მაინც შეძლო ჯვარცმულ ძეში ადამიანური და ღვთაებრივი ბუნების განჭვრება. ღვთისმშობელი ხედავს ძეს, ჯვარზე დაკიდებულს, აღუწერელ ტანჯვაში მყოფს, გასისხლიანებულს, გატანჯულს, გვერდგაყოფილს. ვის შეუძლია წარმოიდგინოს ეს ხორციელი ტანჯვა? თუმცა არანაკლებ მძიმეა სულიერიც. მაცხოვარს ხომ „მთელი ქვეენის მწუხარება, ყოველი კაცის ხედვა, თითოეული ადამიანის კვნესა, კაცთა ნათესაობის ცოდვა გულში ჰქონდა გაწონილი“ (151, 121). „იხილნა ღმრთის მშობელმან ბუნებითნი ლმობანი შობისანი და უსესთაესნი ბუნებისა ქალწულებისა საკპრველებანი და კუალად მიუწოდომელნი ტკივილნი ძისა თუსისა ჯუარს ცუმისანი, რამეთუ ბუნებითოთა მით სიყუარულითა შვილობისა-ვთ განაძლიერა უძლური ბუნებად დედობრივი. თანაწარპტდა შიშსა ჰურიათასა დაუშიშითა გონებითა მდგომარეო ჰქედვიდა ძესა თვისსა ჯუარს ცუმულსა და ეგლოვდა ვითარცა კაცსა...“ (72, 263);

ქართველი ჰიმნოგრაფები სრულიად რეალურად აღიქვამენ ჯვარზე ვნების არსე. როცა ღვთისმშობელი თავის ძეს, ვითარცა მოკვდავს, ვითარცა წარმავალს დასტირის, ამ შემთხვევაში ჰიმნოგრაფი ცდილობს დედის წუხილი მთელი სიღრმით გადმოსცეს. მისი თვალი ბუნებრივად ჭვრებს იმას, რაც ყველასათვის სახილველია: დედა დასტირის შვილს, ვითარცა მოკვდავს:

„გიხილა რაო ყოვლად უბიწომან  
მშობელმან შენმან, ღმრთისა სიტყუაო,  
აღსავსედ ცრემლითა  
მწუხარებით გეგლოვდა“ (72, 322);

„უგნებელსა ღმერთსა გხედვიდა რაო ვნებად ჭორცითა, დაშჯილსა ჯუარითა, დამშტუალულსა სამშტუალითა და მოწყლულსა ლახურითა, უბიწოდ მშობელი შენი, ღმრთისა სიტყუაო, მდგომარეო იყო წინაშე ჯუარსა მწუხარეო გულითა და გეგლოვდა ცრემლითა“ (72, 285);

„მარიამ, მშობელი, მისი,  
მწუხარე არს შეურვებული,

რამეთუ ჰედავს სამშტუალითა დამსჭუალულსა  
და ეგლოვს გულითა“ (73, 278)

მგლოვიარე დვთისმშობლის სახის დახატვისას, ქართველი პიმნოგრაფები ვნებულის ორივე ბუნებას წარმოაჩენენ: ერთი მხრივ, დედალვოთისა, როგორც კაცს, სიკვდილის სამუდამო ტყვეს გლოვობს და წინა პლანზე გადმოდის დედა-შვილური ტრაგედია და მეორე მხრივ, შვილმკვდარი დედის ძის „სულიერი ბუნება იდუმალებით არის მოსილი“ (145, 27), რასაც თან ახლავს მგლოვიარე და უბედური ქალის რელიგიური ოპტიმიზმი: „რაისთვის გევნების, უვნებელო ვნებულთათვს (99, 167)

„პიმნოგრაფთა თანახმად, დვთისმშობლის ცხარე ცრემლებს ისეთივე ცხოველ-მყოფელი ძალა აქვს, როგორც ძის ჭრილობიდან გადმოდვრილ სისხლსა და წყალს, რომელმაც ადამის ცოდვა განაქარვა, დედა-ქალწულის მწუხარება კი ევას „პირველ პატიჟს“ აღხოცავს“ (66, 88).

იოანეს სახარებაში მოკლედ არის გადმოცემული ჯვარცმული შვილის მზრუნველობა დედაზე: „იესუ ვითარცა იხილა დედა თვხი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, პრქუა დედასა თვსსა: დედაკაცო, აპა ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას პრქუა: აპა დედა შენი!“ (იოან. 19, 26-27).

პიმნოგრაფებს კი, საგალობლის ლირიული ნაკადის გაძლიერების მიზნით, მაცხოვარიც შემოჰყავს საუბარში. ძლიერი ემოციური მუხტით არის აღბჟდილი მისი სანუგეშო სიტყვები მწუხარე დედის მიმართ: „ნუ მტირ მე დედაო, რაჟამს მიხილო მე, ძე შენი, რომელი მშევ უთესლოდ, საფლავსა დაღებულად, არამედ აწ აღვდგე და ავმაღლდე ზეცას ქებით, ვითარცა ღმერთ ვარ, და ვიდიდო მე მათგან, რომელნი ჭეშმარიტად დმრთისმშობლად გხადიან“ (109, 595).

პიმნოგრაფებმა თავიანთი მხატვრული სიტყვის მრავალფეროვნების წყალობით მაცხოვრისა და დვთისმშობლის დიალოგიც გადმოგვცეს, სადაც დვთისმშობელი თითქოს ძის მხოლოდ წარმავალ ბუნებას ხედავს და ყველა დედის მსგავსად, სასოწარკვეთილია, მაცხოვარი კი ანუგეშებს, თავის დვთაებრივ ბუნებას შეახსენებს და აღდგომით აიმედებს. ეს ეპიზოდი ნაცნობია როგორც თეოფანე გრაპტოსის შემოქმედებისთვის, ისე ქართველ პიმნოგრაფთათვისაც. გრაპტოსთან მაცხოვარი მოუწოდებს დედას, რომ არ დაიტიროს „მკუდართაებრ საფლავსა შინა“ (183, 151), რადგან ის ღმერთია და აღდგომილიც პირველი მას ეჩვენება. დაახლოებით იგივე ვითარებაა ქართველ პიმნოგრაფებთანაც: „იხილა რაღ დმრთისმშობელმან უბიწომან

ძევ თვის გოლგოთას ჯვარსა დამშტუალული, შორის ძკრის მოქმედთა, მწუხარე გონებითა, აღსავსევ ცრემლითა, ეგლოვდა ლმობიერად და ესრეთ იტყოდა, რაღათ გეგნების, „უგნებელო გნებულთათვს“ (72, 167); „უგნებელსა დმერთსა გხედვიდა რაღ ვნებულად, ყოლად უბიწოდ მშობელი შენი ქრისტე გოლგოთას, ძელსა დამოკიდებულად, მწუხარე ცრემლითა გეგლოვდა შენ და სულთქუმით ესრეთ გეტყოდა, რაღასა გევნების ბრალეულთა სასოო, ვერ დაისაჯე მსაჯული ყოველთავ“ (72, 169); „ვითარცა იხილე, ზეციერ, ჯუარს ცუმულმან ჭორცითა უბიწოდ მშობელი შენი მდგომარევ წინაშე ჯუარსა მგლოვარს მოწაფესა თანა საფუარელსა დმრთის მეტყუელსა ეტყოდე, სულგრძელო, სახიერებით რაღასა მწუხარე ხარ დირსო, ნუ შეორგულდები აწ ნეფსით ვნებასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ დაუსაბამოო დმერთი, დმრთისაგან შობილი უპირატეს ყოველთა საუკუნეთა. აწ ვაჩუენო ჭორცითა დმრთებისა ძალი, აწ შევმუსრო ჯოჯოხეთი, მოვაკუდინო სიკუდილი და მესამესა დღესა მიხილო საფლავით აღდგომილი ძევ შენი და დმერთი დაბადებულთავ“ (72, 270); „რომელმან ნეფსით ივნე ჯუარსა ზედა, გხედვიდა მჯსნელო ჭორცითა ყოვლად უბიწოდ მშობელი შენი, გეგლოვდა მსგავსად კაცთა მოკუდავთა მეუფესა უკუდავსა და ცრემლით გიდაღადებდა, რაღასა გევნების, მაღალო, ვითარ დაისაჯე, უკუდავო“, ვითარ გეუფლა სიკუდილი, უკუდავებისა მფლობელო, ხოლო შენ ეტყოდე, სეხიერ, ნუ მწუხარე ხარ, უბიწოო, რამეთუ აღვდგე და დავსცე მაცოური“ (72, 283); ჰიმნოგრაფებს მეტად ორიგინალურად აქვთ გადმოცემული დედის გლოვა, რომელიც წუხს ხალხთაგან მისი შვილის ღვთაებრივი ბუნების ვერ შეცნობას: „უფალო, ჯუარს ცუმულსა ჭორცითა რაჟამს გხედვიდა ყოვლად უბიწოდ მშობელი შენი, შეურვებული გულითა გეგლოვდა შენდა ვითარცა კაცსა განწირულსა გცრემლოოდა, ანგელოზთა უფალო, სულთქუმით გიდაღადებდა და გეტყოდა, რაღ არს ხილვავ ახალი, ვითარ დაისაჯე უმშჯავროდ უღმრთოთაგან, ქრისტე, მსაჯული ცხოველთა და მკუდართავ. ვითარ გეუფლა შენ სიკუდილი უკუდავებისა მფლობელსა“ (72, 317);

სხვაგან კი, დგთისმშობელს ესმის, რომ დმერთკაცის დედაა, მაგრამ მისი ტან-ჯვა ძის ტკივილის ტოლფასია და მოუწოდებს შვილს გამოავლინოს ღვთაებრივი ბუნება და დაამარცხოს სიკვდილი: „დმრთისმშობელი მწუხარებით ეგლოვდა ძესა თვისსა დამშტუალულსა ჯუარსა ზედა, ჰედვიდა რაღ გუემასა და ტკივილსა ჭორცითასა ბუნებითა მოკუდავთა უკუდავისა დმრთისა თანა, დადად ყო მისსა მიმართ

ცრემლით, შ, ძეო ჩემო, ყოველთა დმერთო, აჩუენე ძლიერო, ძალი შენი აღდგომითა  
მკუდრეთით, ვითარცა დმერთ ხარ“ (72, 278);

„მოჰედენ დირსო, ძესა შენსა ჯუარს ცუმულსა

უგნებელსა მას, ჭორციელად დაშჯილსა,

ღმრთისა დედაო და ესევდი აწ ძალსა,

მისსა ძლიერსა, რამეთუ მან თავადმან

მოკლას სიკუდილი და მკუდარნი აღადგინეს.

მიჰედენ მცნელო, ჯუარს ცუმულმან ჭორციელად,

მშობელსა შენსა, უბიწოსა ქალწულსა,

შეურვებულსა,

ეტყოდი შენ სულგრძელო,

ნუ მწუხარე ხარ დირსო ვნებასა ჩემსა

რამეთუ აღდეგ, მკუდრეთით, ვითარცა დმერთ ხარ“ (72, 297).

ქართველი პიმნოგრაფები მაცხოვართან უშუალო სიახლოვეს ამყარებენ საკუთარი მხატვრული სიტყვის ძალისხმევით და მასთან ღვთისმშობლის განცდებზე საუბრობენ: „მშობელი შენი, ღმრთისა სიტყუაო, შეურვებლი გულითა გეგლოვდა შენდა ცრემლთა მდინარისა ნაკადულნი გარდმოდიოდეს უბიწოთაგან თუალთა მისთა, გხედვიდა რაო მხსნელო ჯუარსა ზედა ვნებულად, გოდებით გეტყოდა, ზეციერ, ვითარ გევნების, უვნებელო, ვითარ დაისაჯე აწ ხორცითა მსაჯული ცხოველთა და მკუდართავ“ და დედალვთისას მსგავსად, ისინიც მოუწოდებენ ქრისტეს, გამოავლინოს საკუთარი ძალა და აღდგომით დათრგუნოს სიკვდილი: „არამედ ვესავ, ძლიერო უძლეველსა ძალსა შენსა, ვითარმედ სძლო სიკუდილსა აღდგომითა და მომფინო საღმრთო სიხარული“ (72, 261).

ღვთისმშობლის ტირილი მარადიული თემაა მსოფლიო ლიტერატურაში და საერთოდ ხელოვნებაში. ქართულ მწერლობაში მგლოვიარე დედის სახე ჯერ პიმნოგრაფებმა, ხოლო შემდეგ კი მე-18 საუკუნის პოეტებმა მაღალმხატვრული პოეტური ოსტატობით დაგვიხატეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი პიმნოგრაფები ახერხებენ ემოციის უკანა პლანზე გადატანას, როცა სიკვდილში მოსპობისა და განადგურების წილ, განახლებისა და ახალი სიცოცხლის დასაწყისს შევიცნობთ. ამ შემთხვევაში ყოველნაირი ხორციელი ტკივილი ფერმკრთალდება ღვთაებრივი ძალმოსილების წინაშე და დედის მწუხარებაც სარწმუნოებრივი ოპტიმიზმით შეიცვლება. ჯვარცმუ-

ლი ძის დვთაებრივი ბუნების გახსენება ქალწულის ემოციას ერთგვარად თრგუნავს: „შ ძეო ჩემო, ყოველთა ღმერთო, აჩუენე ძლიერო, ძალი შენი აღდგომითა მკაფიოთო, ვითარცა ღმერთ ხარ“ (72, 272). დვთისმშობლის სიტყვებში კარგად ჩანს ჯვარცმის მისტერიის არსი, რომელიც თავის თავში მოიცავს აღდგომის სიხარულს, რაც სარწმუნოებრივი ოპტიმიზმის ერთ-ერთ გამოხატულებად დაუსახავს ჰიმნოგრაფს: „...ესე დღეს აღდგა საფლავით, ვითარცა ღმერთ არს. იხილე უსძლოო და გიხაროდენ“ (73, 21).

გლოვისა და სიხარულის განწყობილებათა გადმოცემა საგალობელში ჯვარცმის მისტერიის სულიერ და ხორციელ მხარეთა აღქმას ემსახურება, სადაც, რასაკვირველია, სულიერი ასპექტი იმარჯვებს, ამიტომაც მწუხარება ჰიმნოგრაფის მიერ „ამაღლებულ ურვადაა“ აღქმული. ამიტომაა ქართველ ჰიმნოგრაფებთან ასე ხანმოკლე დვთისმშობლის წესილი.

საგულისხმოა, რომ მწუხარების სიხარულით შეცვლა საგალობელში თითქმის დროის ინტერვალის გარეშე ხდება, ამიტომაც ტკივილი და სიხარული გვერდიგვერდაა, რაც მოწმობს იმას, რომ მწუხარებამ „მახვილივით სწრაფად გაიარა“, წამიერად დაკოდა დედის გული და მალე აღდგომის სიხარულად გარდაისახა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ჰიმნოგრაფთა საგალობლებში გლოვასა და სიხარულს შორის ზღვარი თითქოს გამიჯნულიც არ არის, ვინაიდან მგლოვიარე დედა, მოკლე დროის შემდეგ სიხარულით სავსე დედად იქცევა. „ეპა, ტკივილი ბუნებითი და სიყუარული დედობრივი შვილობისათ, რომელი ეტკრთა უსძლოსა დვთისმშობელსა, მარიამს, რაჟამს, უამსა მას ვნებისასა მდგომარე იყო ადგილსა თხემისასა წინაშე ჯვარსა მხოლოდშობილისა. ცრემლით ეგლოვდა ძესა თვესსა ვნებულსა და ჯუარსცუმულსა, რომელი აღდგა და ადავსო სიხარულითა, რომელსა აქეს დიდ წყალობავ“ (99, 386).

გლოვას აღდგომის სიხარული და ვნებათა განკურნების იმედი ხშირად ენაცვლება საგალობელში: „ურვად დედობრივი დვთისმშობელსა აქუნდა მწუხარებით გხედვიდა რაო დაშჯილსა ჯუარითა ნეფსით დვთისა სიტყვაო; გოდებით გილადადებდა და სულთქმით ესრეთ იტყოდა შენდა მომართ, რახსა დაისაჯენით ბრალეულთა სასო, არამედ გნებავს ვნებითა ვნებათა განკურნებავ“ (99, 420); ეს სიხარული კი სიკვდილის დათრგუნვითა და მარადიულ სასუფეველში შესვლის რწმენითაა გამოწვეული. მგლოვიარე დედა მოუწოდებს მაცხოვარს აღდგომისაქნ, რათა ყველამ ნახოს მისი ძალა: „უბიწოდ დმრთის მშობელი ჰქედვიდა რაო ძესა თვესსა გოლგო-

თას ძელსა დამოკიდებულად ავაზაკთა შორის, განკრთა გულითა და აღივსო ცრე-  
მლითა, რამეთუ ცეცხლებრ შესწუვიდა ბუნებასა დედობრივსა ტკივილი შვილობი-  
სა, გლოვით ჭმა ყო, ჭ, ძეო და ლმერთო ჩემო, ვითარ დაგსაჯა შენ ერმან უშჯუ-  
ლომან შჯულის მდებელი, შენ, ბრალეულთა სასოო, მოკუდავთა ცხოვრებაო, რო-  
მელი მოჰკუედ, აჩუენე ძალი შენი, აღდეგ და განაბნიენ მტერნი შენნი და მოუწოდე  
წარმართთა დიდების მეტყუალებად აღდგომისა შენისა“ (72, 292)

ჯვარცმით გამოწვეული მწუხარება „ამაღლებული ურვაა შვებასთან წილდებუ-  
ლი“ (81, 125). აღდგომით გამოწვეული სიხარულიც, გლოვის მსგავსად, უნივერსა-  
ლურია – სიხარულს მოუცავს მთელი სამყარო, ცანი-ცათანი:

„იხარებენ დღეს ცანი  
ქუმყანად, ზღუად და მცენარენი,  
ანგელოზნი კაცთა თანა დღესასწაულობენ  
რამეთუ ქრისტე აღდგა  
და ერთ სამწყსო ყვნა ზეცისა და ქუმყანისანი  
მაღიდებლად აღდგომისათვე“ (99, 376)

ამის შემდეგ კი ეს მწუხარება სიხარულად ეცვლებათ ღვთისმშობელსა და  
მოციქულთ: „განმხიარულდით, მოციქულნო“ (73, 234);

„აპა, დასცხრენ ნაკადულნი  
ცრემლთანი უბიწოთა მათგან თუალთა,  
აწ მწუხარების წილ პირველისა  
აღსავსე არს სიხარულითა ღმრთისმშობელი“ (99, 378);

„დღეს აღივსო სიხარულითა წმიდაო დედოფალი, უქორწინებელი მარიამ, რაჟამს  
მიიწრაფა საფლავად საყუარელისა მის თანა მოწაფისა, რომლის დედად უწოდა  
მას მხოლოდ შობილმან უამსა მას ვნებისასა. აწ მის თანავე იხილა ძევ თუსი  
აღდგომილი შეუვრდა შეუხებელთა ფერტა მისთა და სურვიელად ამბორს უყო  
უკუდავსა მეუფესა: გიხაროდენ, გიხაროდენ, ღმრთისა დედაო. აპა, ჰედავ შენ გან  
შობილსა აღდგომილსა უკუდავსა, სიკუდილისა მძლესა“ (72, 272); „ბუნებისა მის  
დედობრივისა უძლურებავ განიშურა ღმრთის მშობელმან დღესა მას ვნებისა ძისა  
თუსისასა. თანაწარპტდა უშიშად შიშსა მას ჰურიათასა და კადნიერებით მდგომარე  
იყო წინაშე ჯუარსა, ადგილსა თხემისასა: ჰედვიდა რავ ძესა თუსსა ჯუარს  
ცუმულსა, დაშჯილსა და სიკუდიდ მიცემულსა, მწუხარე გონებითა ეგლოვდა

ვითარცა კაცსა განწირულსა ზეცისა უპორცოთა შემოქმედსა: ესე დღეს აღდგომილ არს მკუდრეთით, იხილე უსძლოო და გიხაროდენ“ (72, 305);

„მწეხარებით გეგლოგდა

უბიწოდ მშობელი შენი, ღმრთისა სიტყუაო,

გხედვიდა რად დაშჯილსა

ჯუარს ცუმულსა და სამშჭულითა დამშჭუალულსა,

ხოლო რაჟამს გიხილა

აღდგომილი მკუდრეთით მესამესა დღესა,

შეგივრდა, სეხიერ,

უხრწნელთა ფერწთა შენთა

და სიხარულით თავყუანის გცემდა“ (72, 335).

პიმნოგრაფები ულოცავენ ღვთისმშობელს ძის აღდგინებას და სიხარულად მოუწოდებენ: „იხარებდ უბიწოდ ღმრთის მშობელო ქალწულო, ძეო შენი ჯუარს ცუმული აღმობრწყინდა საფლავით. სიკუდილი მოაკუდინა, ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და პყრობილნი მას შინა ნათლად აღმოიყვანნა...“ (72, 175).

„აწ გიხაროდენ, ღმრთისა დედაო,

შენგან შობილი ღმერთი აღდგომილ არს საფლავით,

რომელმან მოაკუდინა

სიკუდილი, წარმოტყუენა ქუესკნელი,

იხილე, უბიწოდ

და მეოხ გუეყავ“ (72, 358)

ბნელში მყოფნიც განმხიარულდებიან, რამეთუ ეფინებათ ნათელი: „ხარებავ აღდგომისა შენისა ესმა ანგელოზთაგან მენელსაცხებელთა ექმნეს მახარებელ მოციქულთა, მაშინ დაიკსნა მწეხარებავ ევავსი და სიხარული საუკუნო მოეფინა შვილთა მისთა“ (99, 173).

ქრისტეს ჯვარზე ხორციელი სიკვდილი, რომელშიც ყველა ჩვენგანს მიუძღვის წვლილი, ღვთაებრივი აღდგომით დასრულდა, რომლის მადლიც პირველ მამიდან დაწყებული ყოველ სულდგმულს მოეფინა.

ამრიგად, ჯვარცმის მისტერიამ განაპირობა ღვთისმშობლის მეტად ორიგინნალური სახის შექმნა, რაშიც განსაკუთრებული სიტყვა პიმნოგრაფებმა თქვეს.

აქვე გამოვლინდა ის ფაქტიც, რომ სახარებაში შვილმკვდარი დედის განცდების შესახებ არაფერია ნათქვამი, ვფიქრობთ, იმიტომაც, რომ იქ წინა პლანზე ქრისტეს

სულიერი ბუნებაა წამოწეული, რომლის განსაკუთრებულობაც მისი ხორციელი ტანჯვის ფონზე ვლინდება; მაცხოვრის აღდგინებით კი უკვე ყველაფერია ნათქვამი. დგთისმშობელი დასტირის რა ძეს, ჰიმნოგრაფები წარმოაჩენს გნებულის ორიგე ბუნებას: 1) წმინდა მარიამი გლოვობს კაცს, სიკვდილის სამუდამო ტყვეს, ამიტომ აქ წინა პლანზე დედაშვილური ტრაგედიაა წამოწეული; 2) მეორე მხრივ, მშობელი შეიგრძნობს ჯვარცმული ძის სულიერ ბუნებას და რელიგიური ოპტიმიზმით ივსება.

ჰიმნებში თვალში საცემია არა მხოლოდ „ლირიკული მე“, არამედ ის ფაქტიც, რომ ჰიმნოგრაფები მხატვრული ოსტატობით აღწევენ თავიანთი განცდების მსმენელზე განხოგადებასაც და თავისთავად ჩვენც ვხდებით ამ განცდების თანამონაწილე.

წარსულში მომხდარ მოვლენებს ჰიმნოგრაფები გვაწვდიან, როგორც ახლა მიმდინარეს. „დრო ქრისტიანული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ჰიმნებისა თუ პომილიებისა უმთავრესად აწმუო, რამეთუ ეს დრო მაქსიმალურად განაზოგადებს ფაქტს. ის, რაც წარსულში მოხდა, თუ მნიშვნელობს დღეს, მოქმედებას გააგრძელებს მომავალშიც“ (50, 107).

ქართულ საგალობლებში გამოიკვეთა, როგორც შვილის ვნების განმცდელი, ასევე დგთის დიდებულების მხილველი დედის სახე. თვალში საცემია ის ზომიერება, რასაც ჰიმნოგრაფები ამგვარი მასშტაბის მოვლენის აღწერისას ამჟღავნებენ. ისინი ახერხებენ არ გასცდნენ ქრისტიანული კანონიკის ჩარჩოებს. ამიტომაც არ არის მათი დვთისმშობელი უზომოდ მგლოვიარე, „ნაწლავებდამწვარი“, აქ წუხილსა და სიხარულს შორის თითქოს განგებ არ არსებობს ზღვარი და მათი აღქმა ერთ მთლიანობაში ხდება მკითხველის მიერ. სწორედ ეს მომენტი განასხვავებს მას, როგორც გრაპტოსისეული, ასევე ადორძინების პერიოდის მოღვაწეთა მიერ შექმნილი დგთისმშობლის მგლოვიარე სახისაგან.

## დასკვნა

სასულიერო პოეზიის ტროპულ სახეთა დიდ ნაწილს მარიამ ღვთისმშობელთან დაკავშირებული ხატ-სახეები შეადგენს, რომლებიც გამოირჩევიან მხატვრულ-ესთეტიკური დახვეწილობით და ორიგინალურობით. ამასთან ერთად, თითოეული მათგანი ღრმა თეოლოგიური დატვირთვის მატარებელია.

როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოს არაერთი მეცნიერი იკვლევდა და იკვლევს, მაგრამ ამ მიმართულებით, როგორც ჩვენს ნაშრომშია წარმოჩენილი, ჯერ არ ყოფილა შესწავლილი.

ჩვენ მიერ გამოვლინდა ყველა სახე-სიმბოლო, რომელიც დედა ღვთისას მიემართება ქართველ პიმნოგრაფთა შემოქმედებაში და ამასთან, სისტემურად დალაგდა ყველა მათგანი.

თითოეულ ხატ-სახეზე სიღრმისული დაკვირვებით შევისწავლეთ მათი გენეზისი, მოძიების შედეგად გამოვლინდა სათანადო ბიბლიურ-თეოლოგიური წყაროები. მოძიებისა და დამოწმების გზით საშუალება მოგვეცა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით საგალობლის შემქმნელთა როგორც თეოლოგიურ განსწავლულობაში, ისე მოვლენათა აღქმისა და გააზრების შეუდარებელ უნარში, მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით მათ პროფესიულ დონეზე გადმოცემაში.

ნაშრომზე მუშაობისას საკვლევ მასალად გამოვიყენეთ VIII-XVIII საუკუნეების ქართველ-ბიზანტიულ შემოქმედთა პიმნები და პომილიები. კერძოდ, „უძველესი იადგარი“, „ძველი მეტაფრასული კრებული“ (სექტემბრის თვის საკითხავები), მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“, იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის შემოქმედება, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, დემეტრე-დამიანეს იამბიკოები, ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“, იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ და სხვათა პიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, ასევე, მცხეთური ხელნაწერი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ზოგიერთი ისეთი სახე, რომელიც აქამდე ღვთისმშობლის სიმბოლოდ არ იყო აღიარებული. ამასთან, ვნახეთ, რომ ქართულ სინამდვილეში არსებული სახეები არ არის ახალი, თითოეული მათგანის ძირი ბიბლიიდან მომდინარეობს.

ტროპულ სახეთა შორის პიმნოგრაფები იყენებენ: ეპითეტს, მეტაფორას, პარაბოლას, სახეთა პარალელიზმის პრინციპს, რათა ზეციური დედოფლისადმი

აღვლენილი ხოტბა-ვედრება მთელი სიძლიერით განაცდევინონ მკითხველსა თუ მსმენელს. საგალობლების სახისმეტყველებისა და თემატური ასპექტების შესწავლა დასრულდა გამოიკვეთა ის გზა, რაც საღვთისმშობლო სიმბოლოებმა გაიარა ძველი აღთქმიდან ჰიმნოგრაფიამდე.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი სიმბოლო ღვთისმშობლის ქალწულად წარმოჩნას ეძღვნება. საამისოდ უამრავი საინტერესო და ორიგინალური სახეა მოხმობილი, რომელთა ძირი ძველ აღთქმაშია საძიებელი.

ვფიქრობთ, რამდენიმე სახის გამოყოფა თემის დასკვნით ნაწილში ჩვენს ნაშრომს გაამრავალფეროვანებს. ამ მხრივ საინტერესო სიმბოლოა აპრონის კვერთხი, რომელიც ღვთისმშობელს გამოხატავს, ხოლო მისგან გამოღებული ყვავილი კი წინასწარმეტყველურად მაცხოვარს მოასწავებდა. (რიცხ. 17, 8). მისი გენეზისის შესწავლის პროცესში და საღვთისმეტყველო სწავლებაზე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ აპრონის აყვავებული კვერთხი წარმოადგენდა პირველ სახეს: ა) იქსო ქრისტეს უთესლოდ, უქორწინებელი მარიამ ღვთისმშობლისაგან ხორციელად დაბადების; ბ) ქრისტეს სხეულებრივი უხრწელების; გ) ქრისტეს ეკლესიის აღმდგენელი და გამაძლიერებელი მადლის.

ნათლის სიმბოლიკა კი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი ორ თავში გავაერთიანეთ: ფერთა სიმბოლიკასა და ასტრალურ სახე-სიმბოლოებში. წმიდა წერილიდან მომდინარე ორგვარი ნათლის არსებობა ჩვენს თემატიკაში საგანგებოდ გამოვყავით და დაკვირვებიდან გამომდინარე, ვნახეთ, რომ „ნათელი უსხეულო“, „ბუნებითი ნათელი“... აქ მატერიის შექმნამდე არსებული ნათელია; „ნათელი დაუსაბამო“, „ნათელი თვალშეუდგამი“, „წყარო ნათელთავ“ – წმიდა სამების პირველი და მეორე ჰიპოსტრასის – მამა ღმერთისა და ძე ღმერთის გამომხატველია, რადგანაც ნათელი, როგორც ფერი, ვარირებს თეთრსა და ბრწყინვალეს შორის; ამიტომაც მისი სიმბოლიკა გაიგივებულია შემოქმედთან. აქედან გამომდინარე, ნათლის სიმბოლიკა სათავეა ყველა სხვა ფერის აღსაქმელად და გასააზრებლად, რადგანაც სიმბოლური სახეებით აზროვნება მხოლოდ „ნათლისმიერი ხედვითაა“ შესაძლებელი.

ამასთან, ნათელი არის პირველი, რასაც უფალი ქმნის ქვეყნიერების დაბადების პირველსავე დღეს და რაც, ფაქტობრივად, საფუძველია ხილული და უხილავი სამყაროსი. აქედან გამომდინარე, ნათელი წამყვანი სახე-სიმბოლოა ქრისტიანული მწერლობისათვის და განსაკუთრებით, ჰიმნოგრაფიისათვის.

გამოვყოფთ ასევე დრუბლის სიმბოლიგას, რომელიც ორმაგი – დადებითი და უარყოფითი – დატვირთვით გვხვდება ჰიმნოგრაფებთან. მეორე მნიშვნელობას დრუბელი ევასთან მიმართებით იღებს, რომლის ცოდვის განმაქარვებლადაც მარიამ დვთისმშობელი გვევლინება.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სულმცირე დრუბელი“, რომელიც დასაბამს ესაია წინასწარმეტყველიდან იღებს და რომელიც ხშირად გვხდება ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში, მხოლოდ წმინდა მარიამს მიემართება.

როგორც ვნახეთ, უამრავი ისეთი სიმბოლო მოიძებნება, რომელიც ერთდროულად მიემართება როგორც დვთისმშობელს, ასევე მაცხოვარს. მათზე დაკვირვებამ გვანახა, რომ თითოეული ეს სახე მომდინარეობს ბიბლიიდან, კერძოდ, ძველი აღთქმიდან, სადაც ისინი წინასწარმეტყველური აზრით არიან დატვირთულნი. ძველი აღთქმისეული სახე გვევლინება ახალი აღთქმის მოვლენის პიპოდიგმად; ძველი აღქმის ეპიზოდები, ხატები სიმბოლურად აღიქმება და განიმარტება, როგორც მაცხოვრისა და დვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრების მოვლენების პირველსახეები. ამასთან, დვთისმშობლის წარმოდგენა ისეთი სახეებით, რომლებიც საღვთო სახელებათაც გვხვდება, ყოვლისმომცველ უნივერსალიებთან ზიარებას გულისხმობს.

აღმოჩნდა, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ყველა სახე ჰიპოდიგმურ-პარადიგმულია, ძველ აღთქმაში ისინი იძენენ წინასწარმეტყველურ ფუნქციას, რაც შემდეგ უპავ ახალ აღთქმაში ცხადდება. ამასთან, თითოეული სიმბოლო განმარტებულია წმინდა მამათა მიერ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნებისმიერი ჰიმნოგრაფიული ტექსტი იმ მკაცრად განსაზღვრული კანონიკის ფარგლებში იქმნებოდა, რომელიც საეკლესიო კრებების შედეგად იქნა ფორმულირებული. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიმნოგრაფებთან ისინი მაინც გამოირჩევიან ინდივიდუალობით, აშკარად იგრძნობა ავტორთა ხელწერა და რაც მთავარია, უმდიდრესი თეოლოგიური ცოდნა – როგორც საღვთისმეტყველო, ისე შემოქმედებითი. მათი მიზანია, რომ საგალობელმა ადამიანის გონება ზეცად აღა-მაღლოს და უმაღლეს ფასეულობებს აზიაროს. ყოველი სახე ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს და მსმენელსა თუ მკითხველს ახლებურად განაცდევინებს საღვთო მოვლენებს.

ჰიმნოგრაფები არ გვთავაზობენ სიახლეს თეოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ გამომსახველობითი მრავალფეროვნების საშუალებით, სხვადასხვა თემატიკის მოტივირებით შეაქვთ ზედროულობისა და ზესივრცულობის განცდა, ქმნიან იმგვარ გან-

წყობასა და ესთეტიზმს, რომ მკითხველი თავს გრძნობს საგალობლებში გადმოცე-  
მული ფაქტის უშუალო მონაწილედ; ეს კი ლიტურგიული ცნობიერების მქონე ადა-  
მიანის სულიერი ზრდის განმაპირობებელია, რაც პიმნოგრაფიის ერთ-ერთ დანიშნუ-  
ლებად შეიძლება განვიხილოთ.

ქართველ პიმნოგრაფთა საგალობლების პარალელურად მოტანილ ბიზანტიურ  
საგალობლებზე დაკვირვებამ კი კიდევ ერთხელ დაგვანახა ამ ორ უძველეს ქრის-  
ტიანულ ქვეყნებს შორის კავშირი, პიმნოგრაფთა შემოქმედებითი სიახლოვე, რომ-  
ლის ძირითადი საფუძველი ქრისტიანული მსოფლმხედველობაა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ., „ზღურბლისა და კარის სიმბოლიკისათვის ქართულ ტრადიციაში“. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXV. თბ., 2005.
2. აბაკელია ნ., „ღვინის სახლი „მარანი“ და მასთან დაკავშირებული მითოლოგიური კომპლექსი ქართულ ტრადიციაში“. ქრისტიანობის 2000 წლისთავისთვის მიძღვნილი კრ. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. 5. ქუთაისი, 2001.
3. აბაშიძე ბ., მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. თბილისი, 1984.
4. აბზიანიძე ა., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. თბილისი, 2006.
5. აბზიანიძე ა., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. II. თბილისი, 2007.
6. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: „მეცნიერება“, 1973.
7. Адрианова-Перетц В. П., Очерки поэтического стиля древней Руси. М., 1947.
8. Авериньцев С.,  
Золото в системе символов ранневизантийской культуры. Византия, Южные славяне и древняя Русь. Западная Европа. Москва: Издательство «Наука», 1973.
9. Авериньцев С. У., истоков поэтической образности византийского искусства. Древнерусское искусство. М., 1977.
10. Авериньцев С. У., Символика раннего средневековия. М. 1997.
11. ათონის ივერიის მონასტრის 1074 ხელთხაწერი ადაპტიოთ. თბილისი: საეკლესიო მუზეუმის საიუბილეო გამოცემა. 1901.
12. ათონის მრავალთავი (იოვანე ბოლნელის ქადაგებანი). ელენე მეტრევალის რედაქტორობით. თბილისი: პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1999.

13. ალიბეგაშვილი გ., ეპიფანე კვიპრელის „თვალთად“ და ქრისტიანული ებზეგეტიკის ტრადიციები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.
14. ალიგჭიერი დ., დვთაებრივი კომედია. თბილისი: „ფედერაცია“, 1941.
15. ამირხანაშვილი ი., „სახწაულის კომპოზიცია“. სჯანი. №9. თბილისი, 2008.
16. Архимандрит Киприан (Керн), Евхаристия. М., 1999.
17. ბაგრატიონი ა., „წყობილსიტყვაობა“. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ო. ლოლაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1980.
18. ბალხამიშვილი ბ., „ოქროს სახისმეტყველებითი ასპექტები ანტონ I კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“. ლიტერატურული ძიებანი. XXV. თბილისი, 2004.
19. ბარამიძე ა., კეგელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1954.
20. ბარამიძე რ., „ლოცვების მხატვრული ფუნქცია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ჟურ. რელიგია. №5. 1992.
21. ბარამიძე რ., ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.
22. ბარამიძე რ., ქართული მწერლობის შესწავლისათვის. თბილისი: „განთიადი“, 1986.
23. ბარამიძე რ., ლიტერატურული შტუდიები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988.
24. ბარამიძე რ., „დავითიანში“ განფენილი ზოგიერთი პრობლემა. თბილისი, 2005.
25. ბარბაქაძე რ., „ვეფხისტყაოსანი“ და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერითი სისტემის გააზრების თვალსაზრისით“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). №3. თბილისი, 1978.
26. ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები. ნ. ქაჯაიას ავტორობით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992.
27. ბაქრაძე ა., რწმენა. თბილისი: „მერანი“, 1990.
28. ბაქრაძე ა., „სასულიერო პოეზიის სახეები“, კრ. პოეზია. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1981.

29. ბეზარაშვილი ქ., „სიმბოლურ სახეთა ტრანსფორმაცია პიმნოგრაფიაში“. საქ. მეც. აკად. მაცნე. (ენისა და ლიტერატურის სერია). №3. თბილისი, 1983.
30. ბეზარაშვილი ქ., კული ბ., „მაყვალოვანის გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში“. ლიტერატურული ძიებანი. XXI. თბ., 2000.
31. ბეზარაშვილი ქ., „მასალები საქართველოს ლიტერატურისადმი წილხვდომილობის იდეისათვის ქართულ მწერლობაში“. ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები. ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადებიდან 75-ე წლისთავს. ე. ხინთიბიძის რედაქტორობით. თბილისი, 2002.
32. ბერიაშვილი მ., „მთა, როგორც მითიური წესრიგის დამამყარებელი ფენომენი“. კრ. „გარეჯი“. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. თბ., 1988.
33. ბიბლია. საქართველოს საპატიოარქოს გამოცემა, თბ., 1989.
34. ბიბლიის ენციკლოპედია. ერთტომეული. მე-2 გამოცემა. თბილისი: გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა, 2003.
35. ბიბლიის ლექსიკონი 2 ტომად. რედაქტორი ზ. სარჯველაძე. თბილისი, 2000.
36. ბიგანიშვილი თ., „სიმბოლურ-სახისმეტყველებითი ტრადიცია ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმამდე და საღმრთო წერილიდან პიმნოგრაფიამდე ნათლის სიმბოლიკის მიხედვით“. ლიტერატურული ძიებანი. XXVI. თბ., 2005.
37. Бычков В., Византийская эстетика. Москва: «Искусство», 1977.
38. Бычков В., 2000 лет христианской культуры. Т. I. СПБ, 1999.
39. ბოხოჩაძე ა., მევენახეობა-მედვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბილისი, 1963.
40. Бразм Г., Психология Цвета. Москва: Издательство «Астрель», 2009.
41. ბრიანჩანინვი ე., მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების გადმოცემა მარიამ ლიტერატურის შესახებ. თარგმნა ვლადიმერ ჩხილაძე. თბილისი, 2003.
42. ბულმაისიმისძე არსენ, „გალობანი წმინდისა მოციქულისა ნინოვსი“. ლიტერატურული ძიებანი. XV. თბ., 1964.
43. ბულაძე გ., ფიქრები წარმავალზე. თბილისი: „კალთა“, 1994.
44. გამსახურდია ზ., წერილები, ესეები. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1991.
45. გაფრინდაშვილი ნ., მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1972.

46. გაწერელია ა., „ქართული პიმნოგრაფიისა და ვერსიფიკაციის საკითხები“. რჩეული ნაწერები. ტ. III. თბ., 1981.
47. გიორგი მთაწმინდელის თვენი (სექტემბერი). გამოსცა, გამოპალევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ. თბილისი: გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, 2007.
- 48.
- Граф Уваров А., Христианская символика. Часть I. Символика древнехристианского периода. Санкт-Петербург: Издательство «Алтейя», 2001.
49. გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
50. გრიგოლაშვილი ლ., „დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ქართულ პიმნოგრაფიაში“. ივირონი — 1000. ეძღვნება ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის დაარსების 1000 წლისთავს. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983.
51. გრიგოლაშვილი ლ., „ქართული პიმნოგრაფია“. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. №1. თბ., 1983.
52. გრიგოლაშვილი ლ., „შუასაუკუნეობრივი მწერლობა და უანრის პოეტიკის საკითხები“. ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები (მასალები). I საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი, 2007.
53. გრიგოლაშვილი ლ., „წმიდანის თემა ქართულ სასულიერო პოეზიაში“. ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები. ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადებიდან 75-ე წლისთავს. თბილისი, 2002.
54. გრძელიძე თ., „სიმბოლიკის საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში“. ლიტერატურული ძიებანი. II (XVII). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
55. გულაბერისძე ნ., საკითხები და გალობანი სვეტიცხოველისანი. თხზულებანი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ. თბილისი, 2008.
56. გურამიშვილი დ., „დავითიანი“. კიევი: გამომცემლობა „მისტერიელი“; თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1980.
57. დარჩია ი., ფერის ფენომენი ბერძნულ ტრაგედიაში. თბ., 2005.
58. დედა დვოისმშობლის სასწაულები. II. თბილისი, 1997.

59. ლეკანოზი გიორგი ზვიადაძე, „ეოვლადწმინდა დვთისმშობლის ხარებისადმი მიღვნილი საკითხეავები ქართულ საეკლესიო ტრადიციებში“. ლიტერატურული ძიებანი. XXI. თბ., 2000.
60. Eliade M., The Sacred and The Profane: The Nature of Religion. United States of Amerika, 1987.
61. Энциклопедия символов, знаков, эмблем. М., 2000.
62. ეპიფანე კვიპრელი, ოუალთავ. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1979.
63. ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზთა ქართველთა მოქცევისასა, ოუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და დექსიკონსაძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1959.
64. Wellesz. A., History of Byzantine Music and Hymnography. Oxford, 1980.
65. Земная жизнь Пресвятой Богородицы. Издательский дом «Юнион-Паблик», 2002.  
Издательский дом «Ниола 21-ый век», 2002.
66. ოოდუა მ., ბიბლია და X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
67. ოოდუა მ., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.
68. ივანოვი მ., „სიმბოლო დვთისმეტყველებისათვის“. საღვთისმეტყველო კრებული. №3. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1987.
69. ივერიის ყოვლადწმიდა დვთისმშობლის ხატის დაუჯდომელი. თბილისი, 2003.
70. იმედაშვილი გ. „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები X ს. ქართულ ჰიმნოგრაფიაში“. ლიტერატურული ძიებანი. II. თბილისი, 1944.
71. იმედაშვილი გ. „ქართული კლასიკური საგალობლის პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი“. საიუბილეო კრებული. პ. პეპელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად. თბილისი, 1959.
72. ინგოროვა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია. წიგნი I. ტექსტები VIII-X საუკუნეები. ტფილისი: საეკლესიო მუზეუმის გამოცემა. №16. 1913.

73. იოანე მინჩხის პოეზია. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
74. იოანე პეტრიშვილი, სათხოებათა კიბე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.
75. Каждан А., Цвет в художественной системе Никити Хониата. Византия, Южные славяне и древняя Русь. Западная Европа. М.: Искусство и культура, 1973.
76. კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბილისი, სტალინის სახელობის თსუ-ს გამომცემლობა, 1957
77. კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. XI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.
78. Кекелидзе К., Иерусалимский канонаръ VII века. Тифлис, 1912.
79. Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908.
80. კეკელიძე პ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი: „მეცნიერება“, 1980.
81. კვირიკაშვილი ლ., „მწუხარების“ სემანტიკისათვის“, მაცნე. №3. თბილისი, 1983.
82. კვირიკაშვილი ლ., „ნათლისა და ცეცხლის მეტაფორული მნიშვნელობა ჰიმნოგრაფიაში“. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). №6. თბ., 1969.
83. კიკნაძე ზ., ხუთწიგნეულის თარგმანება, თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, 2004.
84. კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
85. კოჭლამაზაშვილი ე., განმარტება სამოციქულოსი. ტ. I. თბილისი, 2000.
86. ლეკიაშვილი ა., „შენ ხარ ვენახი“. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1972
87. Лихачев Д. С., Поэтика дневнерусской литературы, Москва, 1979.
88. ლოლაშვილი ი., „მიქაელ ფხელოსის ფილოსოფიურ-უგზებებიკური ტრაქტატი „პირმშოვსათვეს“. ძველი ქართული მწერლობის საკითხები. კრ. II. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.

89. ლოლაშვილი ი., მრავალკარედი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“, 1984.
90. ლოლაშვილი ი. „რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები“. საიუბილეო კრებ. შოთა რუსთაველი. თბ., 1966.
91. ლოპუხინი ა. პ., ბიბლიის განმარტებანი. გამომცემელ-რედაქტორი დეგანოზი ზაქარია ძინძიბაძე. თბილისი: გამომცემლობა „მერმისი“, 2000.
92. ლოსკი ვლ., „პალამისტური სინთეზი“. უურ. საღვთისმეტყველო კრებული. №2. თბილისი, 1986.
93. მამათა სწავლანი. X და XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1955.
94. მახარაშვილი ს., „ქართული მესიანიზმის სათავეებთან“. კრიტერიუმი. №3. 2001.
95. მახარაშვილი ს., თეოფილე ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2002.
96. მეფარიშვილი ქ., „ყოვლადწმინდა დვორისმშობლის მიმინება“. გაზ. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. №7-8. (19-20) ივლისი, აგვისტო. თბ., 2000.
97. მილტონი, ჯ. დაკარგული სამოთხე — დაბრუნებული სამოთხე. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ. თბილისი: „სახელგამი“, 1956
98. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დედალვოისმშობელი — შემწე ქართული ენისა. ძველი ქართული ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის. თბილისი, 2008.
99. მიქაელ მოდრევილის იადგარი. II. X საუკუნე. ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ლ. გვახარიამ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978.
100. მოსია ტ., ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა — სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი. ზუგდიდი: ზუგდიდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
101. მოსია ტ., მცენარის სახისმეტყველება. თბილისი, 2004.
102. მოსია ტ., საღვთისმშობლო სახისმეტყველება. ზუგდიდი, 1996.
103. მცხეთური ხელნაწერი (მოსე ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1981.

104. მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტათა I, II, ეზრას I, II, III წიგნები). გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1982.
105. მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივლითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1983.
106. მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი). გამოსაცემად მოამზადა გ. დოჩანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1985.
107. მცხეთური ხელნაწერი (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1986.
108. ნაკუდაშვილი ნ., პიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1996.
109. ნევმირებული ძლისპირნი. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.
110. Негруль А., Виноградарство с основами ампелографии и селекции. М., 1956.
111. ნეტარი ავგუსტინე, ალსარება. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1985.
112. ნეტარი ავგუსტინე, „ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის“. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. წიგნი III. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1991.
113. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსანის“ ვარსკვლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე, 1957.
114. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსანის“ ფერთამეტყველება. ბუენოს-აირესი, 1954.
115. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“. პარიზი, 1963.
116. ნოზაძე ვ., შვენიერების თეორიები. ნაშრომი ინახება თსუ-ს ემიგრაციის მუზეუმის ვიქტორ ნოზაძის ფონდში. გამოსაცემად მომზადებული ტექსტი კი ინახება მანანა კვატაიასთან.
117. ორბელიანი ს. ს., თხზულებანი. ტ. III, თბ., 1963.
118. ოსეფაშვილი ლ., ქართულ ხელნაწერ თოხთავთა თავფურცლის მინიატურის იკონოგრაფიული თავისებურებანი. თბილისი, 2005.

119. Зефирин Иоанн (Феофилакт-Фоминский Иоанн), Митрополит. Гефсимань Митрополит. 1961.
120. Похлебкин В. В., Международная символика и эмблематика (опыт словаря). М., 1989.
121. Аристархов Евгений Михайлович. Мифы и символы в астрологии. Догматическая астрология и астромифология. Том 1. Астромифология. М., 2004.
122. Сафадеус Франциско. Словарь астрономии. Астромифология. II. Астромифология-Астромифология. 2002.
123. Святой Ефрем Сирийский, Толкование на книгу Бытия // Восточные отцы и учителя церкви IV века. том III. М., 1999.
124. Симфония к синодальному изданию Библии. М.: Издательство «Свет на Востоке», 1995.
125. Синайский монастырь 864 г. Синайский монастырь. Аббатство Синайского монастыря. Аббатство Синайского монастыря. Том 1. Синайский монастырь. 1959.
126. Синайский монастырь. „Да здравствует Гуру Амите!“ Митрополит Гуру Амите. „Ми“. Гуру Амите. 1980.
127. Синайский монастырь. „Синайский монастырь“ и „Синайский монастырь“. Том 1. Синайский монастырь. 2008.
128. Синайский монастырь. „Синайский монастырь“ и „Синайский монастырь“. Том 2. Синайский монастырь. 1993.
129. Синайский монастырь. „Синайский монастырь“ и „Синайский монастырь“. Том 3. Синайский монастырь. 1992.
130. Синайский монастырь. „Синайский монастырь“ и „Синайский монастырь“. Том 4. Синайский монастырь. 2004.
131. Синайский монастырь. „Синайский монастырь“ и „Синайский монастырь“. Том 5. Синайский монастырь. 1997.
132. Словарь Библейского Богословия под редакцией Ксавье Леон-дюфуа. Брюссель: «Жизнь с Богом», 1990.

133. სულავა ნ., „გარდის სახისმეტყველება „გეფხისტყაოსანში“. რუსთველოლოგია, II, ეძღვნება „გეფხისტყაოსნის“ გახტანგისული გამოცემის 290-ე წლისთავს. თბილისი, 2003.
134. სულავა ნ., „ნათლის ტროპიკა ჰიმნოგრაფიაში“. ლიტერატურული ძიებანი. თბ., 1983.
135. სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი: მერანი“, 2003.
136. სულავა ნ., „ნესტან-დარეჯანის ხატ-სახე „გეფხისტყაოსანში“. ახალციხე: ახალციხის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“. №1 (5). 2009.
137. სულავა ნ., ფილიპე ბეთლემი. ლიტერატურული ძიებანი. XIX. თბ., 1998.
138. სულავა ნ., ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა. თბილისი: გამომცემლობა „ზეკარი“, 2006.
139. Тресидер Джек, Словар Символов. М., 1997.
140. Уваров А. С., Христианская символика. М., 2001.
141. უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება. ტ. VI. თბილისი, 1964.
142. უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.
143. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დდეთავსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „ქაცისა აგებულებისათვეს“. X-XIII ს.ს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დურთო ი. აბულაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.
144. უჯმაჯურიძე მ., „დავით გურამიშვილის რელიგიური ლირიკა“. ლიტერატურული ძიებანი. XXV. ეძღვნება დ. გურამიშვილის დაბადების 300 წლისთავს. თბილისი, 2004.
145. უჯმაჯურიძე მ., ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.
146. Фадеева Т., Образ и символ. М.: Издательство «Новалис», 2004.
147. ფარულავა გ. „ქართული მწერლობის სათავეებთან“. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. №1. თბ., 1983.
148. Флоренский П., Священник, Иконостас – Богословские труды. М., 1972.

149. Фрэзер Дж. Фольклор в Ветхом Завете. Москва: издательство «Ермак», 2003.
150. ფსალმუნთა განმარტება (სიტყუანი ფსალმუნთანი შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებული მრავალთა წიგნთაგან). ნაწ. 1. უძვ. ხელნაწ. მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნ. დობორჯგინიძემ. თბ., 1996.
151. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.
152. ქავთარია მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977
153. ქართული მწერლობა, ტ. I-II. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.
154. ქართული პოეზია. თბ., 1979.
155. ქერქაძე მ., „ნათლის სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი ქართულ პიმოგრაფიაში“. „მაცნე“ (ფილოსოფიის სერია). №1. თბ., 1997.
156. ყაუხეჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ელინისტური პერიოდი. ტ 2. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949.
157. ყენია რ., ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა. თბილისი, 1972.
158. ყუბანეიშვილი ნ., ძველი ადთქმის საღვთო ისტორია, თბ., 1990.
159. შანიძე მ., „შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა“. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. ტ. 11. თბ., 1968.
160. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.
161. შესაქმის განმარტება. I ნაწილი. მთარგმნელ-შემდგენელი დავით თიბიგაშვილი. თბილისი: თბილისის სახულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2004.
162. Шестаков В. П., Музыкальная эстетика западноевропейского средневековья и возрождения, Москва, 1966.
163. Шипфлингер Т., София – Мария, Москва, 1993.
164. Шмаков В., Священная книга Тота, Великие арканы Таро. Абсолютные начала синтетической философии эзотеризма. М., 1916.

165. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ბ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.
166. ძველი მეტაფრასული კრებული, სექტემბრის საკითხავები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.
167. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964.
168. ძლისპირნი და დმრთისმშობლისანი. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
169. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი. შეადგინეს გვ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2001. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2000.
170. წმიდა გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა დდეთათვს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ე. ჭელიძემ. თბილისი: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989.
171. წმ. გრიგოლ პალამა, „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა“. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. წიგნი II. თბილისი, 1991.
172. წმიდა გრიგოლ პალამა, „ნათლის შესახებ“. ქურ. ჯვარი ვაზისა. №2. თბ., 1990.
173. წმიდა ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული, ოთხი სიტყვა ლოცვის შესახებ. 1911 წლის გამოცემის მიხედვით. თბილისი, 2000.
174. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფაგამ. თბილისი, 2000.
175. წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა. თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, წ. I-II. თბ., 1993.
176. წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებათ მათეს სახარებისათ. I-II-III. თბილისი, 1996.

177. წმ. ირინეოს ლიონელი. I-VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები. თარგმნა, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე. ჭელიძემ. თბილისი: გამომცემლობა „ლაზარე“, 2002.
178. წმიდანთა ცხოვრებანი. II. ივლისი-დეკემბერი. თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“, 2006.
179. ჭელიძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია. I. თბ., 1996.
180. ჭილ-ეტრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯაშიაშვილმა. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
181. ჭიჭინაძე ნ., „კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები. XI-XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები“. საქართველოს სიმგელენი. №4-5. 2003.
182. ხაჩიძე ლ., „ერთი პარადიგმის შესახებ: ბიბლიური წარმოშობის ლვთისმშობლის ეპითეტი „ღრუბელი სულმცირე“ ქართულ პიმნოგრაფიაში“. კრ. კლასიკური და თანამედროვე ქრონიკი მწერლობა. №8. თბ., 2005.
183. ხაჩიძე ლ., ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან. თბილისი, 2000.
184. ხინთიბიძე ე., ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.
185. ხინთიბიძე ე., ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი: გამომცემლობა „ქართველოლოგი“, 2009.
186. ჯაფელი თ., „საუფლო ხე ალვა“. ჯვარი ვაზისა. 2. 1990.

### გამოყენებული ხელნაწერები:

- A-111 – გულანი. უდაბნოს მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი (XVIII ს.).
- A-254 – გამოკრებილი თუენი, XII-XIII სს.
- A-591 – საგალობელთა კრებული (XVII ს.)
- A-40 – მაქსიმე აღმსარებელი, „ლვთისმშობლის ცხოვრება“, XI-XII ს.ს.
- S -1464 ანტონ I, სადღესასწაულო და თვეები (1760 წ.).
- Sin-2 – თვეები (XI-XII ს.ს.).

Sin-5 – მარხვანი (1052 წ.).

Sin-7-2 – გიორგი მთაწმიდელი, ოვენი (XI-XII ს.ს.).

Q-756 – კრებული (1859წ.)

H -2337 – ოვენი (1049 წ.).

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

<http://ijhei.wordpress.com/>

<http://church.ge/>

<http://orthodoxy.ge/>

<http://patriarchate.ge/>

<http://www.metaphysics.name/>

<http://www.graveaddiction.com/symbol.html>

<http://www.zeitun-eg.org/stmary8.htm>

<http://people.hsc.edu/drjclassics/syllabi/greekreligion/Virgins.htm>

<http://society.nekeri.net/religion/pmb/index.php?do=search>